

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სიმონ გოგიათიძე

ქაშპა-აბაშლა:
აფხაზურ (აფხუ) - ალილეური თა
ქართველური მოლგა?



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2010

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

Simon Gogitidze

**Is Qashqa-Abeshla part of
Abkhazian or Georgian world?**

Publishing House
«Shota Rustaveli State University»
Batumi - 2010

ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

Симон Гогитидзе

**Кашка-абешла:
абхазско (апсуа)-адигейский или
грузинский мир?**

Издательство
«Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2010

UDC (ებკ) 39(=35)+94(=35)
გ-603

ნაშრომში შესწავლილია სატომო გაერთიანების – ქაშქა-აბეშლას ტერიტორიაზე ხეთურ და ასურულ წყაროებში მოხსენიებული 170-ზე მეტი სახელწოდების (ქვეყნის, ოლქების, ქალაქების, ადამიანთა საკუთარი, დინასტიური და ა.შ.) სემანტიკა-ეტიმოლოგია.

დადგინდა, რომ ყველა მათგანი თავისი წარმომაგლობით განეკუთვნება ქართველურ სამყაროს, უფრო მეტად კი მეგრულ-ლაზურს. მათი უმნიშვნელო ნაწილი მოდის საკუთრივ ქართულსა და სვანურ ენებზე. ასევე დადგინდა, რომ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონიათ აფსუურ (თანამედროვე აფხაზთა)-ადილეური მოდგმის ჯგუფებთან. ეს უცნასკნელი ძირითადად რუსი დამაყრობლების მიერ ბოლო თრი-სამი საკუთხის განამავლობაში ყვებანისპირებისა და მიმღებარე რაიონებიდან გადმოსახლებულნი იქნენ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში.

ტოპონიმები და ანთროპონიმები, რომლებიც ქაშქებს ჰქონდათ დაახლოებით 3,5-3 ათასი წლის წინ (მაგ: ტიბია, ფითაურია, ფათალია, ფატანა, ციანა, დადა, თურუ, დადილუ, თათილი, ქანუ, ქასუ, თახანი, მუთა, ფიფია, შარია, თურია, ქუქავა, ფასავა, გახარია, ხარია, ფაცია, ფაია, ლითა, ნუნუ, თალი, ვაშა და ა.შ.), დადასტურებას პოულობს ქართველურ ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე საქართველოში ზუსტად ასეთივე ფორმებით. საქართველოში, უფრო კი სამეგრელოში, შეიძლება შეხვდეთ მრავალ ასეთ ადამიანს სახელითა და გვარით, როგორიც იყო ქაშქურ სამყაროში, მაგალითად: თახაშ თურია, თათაშ თურია, თახან თარია, ცითა ხარია, ქათი ხარია, ვაშა ხარია, ვაშ ხაია, ასხარ ფაია, თულ (თალ) მალია, ის ქურუხა და ა.შ. ყველა მათგანის სემანტიკა გაიგება ქართველური ენების საფუძველზე.

**რედაქტორი ამირან კახიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

**რეცეზონტები შოთა მამულაძე
ისტორიის მეცნიერებათა როქტორი
ნუგზარ ცეცხლაძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი**

ტიზნი დაუნენანსებულია ნიმუ გერმენიშვილის ინსტიტუტის მიერ

ISBN 978-9941-412-43-1

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2010

შ ე ს ა ვ ა ღ ი

ქაშქას (კასკა) ტომები მოიხსენიება ხეთურ, ეგვიპტურ და ასურულ წერილობით ძეგლებში. მათზე განსაკუთრებით ბევრია საუბარი ხეთურ წყაროებში. ხეთის მეფეების (ხან-თილი I, არნუვანდა, სუფილულიუმა, მურშილ II, ხათუშილ III, თუთხალია IV და სხვა) მიერ შედგენილი XVII-XIII საუკუნეების წარწერები მოგვითხრობენ ქაშქების მიერ წარმოებული ბრძოლებისა და, ასევე, ხეთელთა მიერ მოწყობილი სადამსჯელო ოპერაციების შესახებ ქაშქის ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ.

XIV საუკუნის დასაწყისის ძეგლში, რომელიც წარმოადგენს ხეთების მეფე-დედოფლის – არნუვანდასა და აშმუნიქალის ლოცვას, მიმართულია ხეთების უზენაესი დვოაებისადმი – არინას მზის ქალღმერთისადმი. მეფე და დედოფალი შეწუხებულნი იყვნენ ქაშქების თავდასხმების გამო. ეს ლოცვა დვოაებათა გულის მოსაგებად და საკულტო ცენტრების დარბევის შესხენების მიზნითაა შედგენილი. ქაშქები აქ დახასიათებულნი არიან, როგორც ხეთების ქვეყნის ამაოხერებელნი და ფიცის გამზეხნი. ტექსტი შეიცავს ქაშქებისა და ხეთების მოსაზღვრე რაიონებში არსებული ოლქების, პუნქტების და მათი მმართველების ჩამონათვალს.

სუფილულიუმას ანალებში ბევრია საუბარი ხეთების მიერ ქაშქების ლაშქართან ბრძოლის შესახებ. ერთ-ერთ ხეთურ ძეგლში არის ჩივილი იმის შესახებ, რომ ქაშქთა მეომრებმა გაძარცვეს და გადაწვეს ხეთების სატაძრო ქალაქები. ხეთები მათ აღადგენდნენ, მაგრამ, როცა ისინი სხვაგან წავიდოდნენ სალაშქროდ, ქაშქები ისევ არბევდნენ მათ ქალაქებს. სუფილულიუმა ჩივის, რომ ქაშქები თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდნენ დიდალი ნადავლით (ოქრო,

ბრინჯაო). ხეთების მეფეს ისევ მოუხდა გალაშქრება მათ წინააღმდეგ, როცა მათ იშთახარას ქვეყანა დაიკავეს.

სუფილულიუმას სიკვდილის შემდეგ გამეფდა ჯერ მისი შვილი არცუვანდა (1346წ.), ხოლო შემდეგ მეორე შვილი მურშილ II (1345-1320 წწ.) მურშილი თავის ანალებში გვატყობინებს, რომ ქაშქებმა შემოუტიეს ხეთების სასაზღვრო ქვეყანას თურმითას. ამავე დროს ხეთებთან ბრძოლა დაუწყია იშხუფითას ქვეყანას. აჯანყებულან აგრეთვე ხალილას, დადუსკას (დუდუშკას) და ტიბიას ოლქებიც. ქაშქებს დაუკავებიათ მთიანი ოლქი ასხარფაია (აშხარბაია). მათმა ლაშქრობებმა შეაწუხა ხეთების ზემო ქვეყნის ქალაქები თურმითა, იშტიტინა და სხვები. მურშილის მეფობის მეექვსე წელს ქაშქებს დაუკავებიათ თარიქარიმეს მთიანი ქვეყანა, საიდანაც ისინი ემუქრებოდნენ დედაქალაქ ხათუშაშსაც. ეს უკანასკნელი აოხრებული იქნა კიდეც. ხეთების მეფეს დიდი ბრძოლები გადახდა ქაშქთა ერთ-ერთ ბელადთან ფიხუნიასთან, რომელმაც მოახერხა ქაშქების ქვეყნების გაერთიანება.

ხეთების სხვა მეფის ხათუშილ II (1301-1280 წწ.) ავტობიოგრაფია გადმოგვცემს, რომ როცა მეფედ იყო მისი ძმა მუგათალი და ის სალაშქროდ იმყოფებოდა ხეთების ქვემო ქვეყანაში, მის ზურგში ქაშქას¹ ქვეყნები (ფისხურუ, იშხუფითა, დაიშთიფა) აჯანყებულან. მათ მიუტაციათ ქვეყნები ლანდა, მარიშთა და გამაგრებული ქალაქები. ქაშქებს გადაულახავთ მდინარე მარასანთა (ჰალისი) და ქანესის ქვეყანაზე დაუწყიათ თავდასხმა. ეს ომი დაახლოებით 10 წელიწადს გაგრძელებულა. ამ დროის განმავლობაში მათ

¹ ხატუხილის ავტობიოგრაფიაში ტუმანას შემდეგ დასახელებულია *ka-siiia*, (ВДИ, 1960, №1,გვ.79), რომელიც ქაშქების ტომის სახელწოდების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს.

არაერთი ქვეყანა და ქალაქი გაუძარცვავთ. დასახელებულია კველა მათგანის სახელი. ხეთების მეფეს ქაშქების წინააღმდეგ სხვა ბრძოლებიც უწარმოებია, რის შესახებაც იგი მოგვითხრობს თავის სხვა წარწერებში. ხათუშილს ერთ ტექსტში გადმოცემული აქვს, რომ ქაშქები ხეთების ქვეყანაში შეიჭრნენ და ქალაქი ნენაშა თავიანთ სასაზღვრო პუნქტად აქციებო.

ქაშქებთან წარმოებული ბრძოლების შესახებ ცნობები მოგვეპოვება აგრეთვე ხეთების ერთ-ერთი უკანასკნელი მეფის თუთხალია IV-ის (XIII ს-ის 2 ნახ.) ანალებშიც. XIII საუკუნის 30-20-იან წლებში მცირე აზიისა და მიმდებარე მხარეებს შემოესია ე.წ. ზღვის ხალხები. მათ დაარბიეს ხეთების სამეფოც. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარებით ისარგებლეს ქაშქებმა და საბოლოო დარტყმა მიაყენეს ხეთების დასუსტებულ იმპერიას. მათ დაარბიეს და გადაწვეს დედაქალაქი ხათუშა. ერთ დროს ძლევამოსილმა ხეთების სამეფომ თავისი არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ასურულ და ურარტულ ლურსმნულ წერილობით ძეგლებში ჩნდება ხეთის სამეფოსა და ქაშქების ქვეყნის ნარჩენები. აღნიშნულ მხარეებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან მუშქების (ფრიგიის?), ურარტუს, კოლხას სამეფოები. განაგრძობენ არსებობას ხაიასა-აზის სამეფო დაიაენი-დიაოხის სახით, ასურეთი და სხვა მრავალი წვრილი ქვეყნები და ტომები, რომლებიც არ შესულან არც ერთ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულში.

როგორც უკვე აღინიშნა, ქაშქები იხსენიება ასურულ წყაროებში, კერძოდ: ტიგლათფილესერ I (1115-1070 წწ.), ტიგლათფილესერ III (745-727 წწ.) და სარგონ II (722-705 წწ.). წარწერებში.

ტიგლათფილესერ I თავის მეორე ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს, რომ ხეთის ქვეყნის ხალხმა – 4 ათასმა კასკიელმა და ურუმიელმა, მიიტაცეს შუბართუს ქვეყნის დასახლებები. მე გავიღაშქრე მათ წინააღმდეგ. ასურეთის მეფე იკვეხნის, რომ მან ეს 4 ათასი კაცი მათი ქონებითა და 120 ეტლით ჩაიგდო ხელში და თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე დაასახლდა. აღნიშნული წარწერის ვარიანტებში ქაშქას სინონიმად აბეშლა გვევლინება.

ტიგლათფილესერ III თიხის ფირფიტაზე წარწერაში მოგვითხრობს, რომ მას ხარკი მიუღია სულუმალ მელი-დიელისაგან, უასურმე თაბალიელისაგან, დადიმუ კასკიელისაგან და სხვებიდან. სარგონი II იკვეხნის, რომ დალაშქრა ქაშქუს ქვეყანა, გადაასახლა მისი მოსახლეობა, მოსპო და გაანადგურა ყველაფერი და ა.შ.¹

ზემოთ აღნიშნული და სხვა მონაცემების მიხედვით, მკვლევრები ქაშქების ადგილსაცხოვრისის შესახებ უკიდურესად განსხვავებულ მოსაზრებებს იძლევიან. ჩვენს დამკიდებულებას ამ საკითხისადმი სხვა დროს გაგაცნობთ, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ი. მანანდიანისა და ბ. გროზნის ერთად აღებული ნააზრევი. როგორც უკვე აღინიშნა, ამჯერად გვინდა წარმოგადგინოთ მხოლოდ ქაშქა-აბეშლას ტერიტორიაზე არსებული ოლქებისა და ქალაქების, ქაშქელთა ადამიანის საკუთარი სახელების სემანტიკა-წარმომავლობა.

გ. გიორგაძის აზრით, ქაშქებს ეკავათ ტერიტორია მდებარე ხეთების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც მოგვიანო ხანებში პონტოს სახელით იყო ცნო-

¹ ასურულ წყაროებში ასურეთსა თუ მის სამფლობელოებში შემოსეულ-თა შორის გუტიუმის, ლულუმოს, შუბარის გვერდით ისესენიება ეთნონიმური სახელები – კასი, კასინი (А. Хачатрян. Пересмотр древнейшего периода Нахири-Урартской истории, Ер., 1932, с. 29, ком. 2.

ბილი. მათი საცხოვრისი აღმოსავლეთით აღწევდა ხეთების ზემო ქვეუნამდე (ერზინჯანამდე), ჩრდილოეთით – შავ ზღვამდე, დასავლეთით – ყიზილ-ირმაკამდე. ბ. გროზნის მიხედვით, ყიზილ-ირმაკსა და ზემო ევფრატს შორის; ო. გერნის ვარაუდით, ყიზილ-ირმაკსა და თერმოდონტის შესართავებს შორის, ზღვის სანაპირო; გ. მაკუინით თერმოდონტის შეერთების ორივე მხარეს, უფრო აღმოსავლეთისა-კენ; ა. ზახაროვის აზრით, ბალას (ტოკატსა და სივაშს შორის) დასავლეთიდან ესაზღვრებოდნენ კასკიელები; ნ. აღონცის გამოკვლევით, შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს მთიანი ოლქები მდინარე ჰალისის შეერთებიდან ლიკ-კელკიტისა და ჰალისის სათავეებამდე; ს. ბადას მიხედვით, ჭოროხის აუზის ერთი ნაწილი; ხ. არუთინიანი მიიჩნევს, რომ ქაშქები მოსახლეობდნენ აღმოსავლეთ პონტოს მთებში თაგასტას, პალხუისას, იშხუპიტას, დურმიტას, პალას და ტუმანას შორის; ო. მანანდიანი და ე. ფორერი თვლიან, რომ ქაშქები ბინადრობდნენ ზემო ევფრატის დასავლეთით, თანამედროვე ქალაქების დივრიგის, ეგინის და არაბგირის რაიონებში და სხვა.

რომელ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ ქაშქები? თუ რომელ ენაზე მეტყველებდნენ ქაშქები, ეს საკითხი დღემდე დიად რჩებოდა, რადგანაც მკვლევართა შორის ამ საკითხშიც აზრთა სხვადასხვაობაა. ქაშქა-აბეშლას მკვლევართა მეტი წილი (გ. მელიქიშვილი, ო. დიაკონოვი, ო. ვორონოვი, შ. ინალიფა, ვ. არძინბა, ე. ფორერი, ა. გოეტცე, ბლაიხეშტაინერი და სხვები) აფხაზურ-ადიღეურ, უფრო სწორად აფხაზურ-ადიღეურ თუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ტომებად მიიჩნევდნენ. გარკვეული ნაწილი (ი. ჯაგახიშვილი, გრ. გიორგაძე, ს. ბადა, კ. თოფურია) მათ

ქართველურ, უფრო კი მეგრულ-ჭანურ, ანუ ლაზურ-სვანურ მოდგმასთან აკავშირებდა.

იყვნენ ისეთი მეცნიერები, რომლებიც ქაშქებს კიდევ უფრო სხვა მოდგმის ტომებს უკავშირებდა, კერძოდ: კასი-ტებს (გრ. ლაფანციანი), ხური-ურარტულებს (გ. მელიქი-შვილი), ხათებს (ვ. ხაჩატურიანი, ე. ფორერი), კასპიებსა და ქახებს (ნ. მარი). ზოგიერთების აზრით (ნ. ბერძენიშვილი), ნათელი არ არის, ვინ არიან ქაშქები.

ჩვენი აზრით, ქაშქა-აბეშლააები იგივე ხატები (პროტო-ხეთები) არიან. აქაური სახელწოდებები, ეს იქნება ქვეყანა – ოლქისა, ქალაქი-დასახლებული პუნქტისა, ადამიანის საკუთარი თუ დვთაებათა სახელები, ერთმანეთის იდენტურნი უნდა იყოს თავიანთი წარმომავლობითა და სემანტიკით. ისინი აშკარად მიანიშნებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ არიან აფსუურ (თანამედროვე აფხაზები) – ადიღეური (ჩერქეზული) მოდგმის ხალხი, ან თუნდაც მათი მონათესავე, პირიქით, როგორც ამას ქაშქა-აბეშლას ქვეწნების ეთნონიმიკა, ტოპონიმიკა და ანთროპონიმიკა გვიჩვენებს, ისინი არიან პირწმინდად ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი, კერძოდ 80%-მდე მეგრული, დანარჩენი სვანური ან საკუთრივ ქართული. დაახლოებით ასეთივე სურათია ურარტუსა და დაიაენი-დიაოხის სახელმწიფოშიც, ოდონდ აქ ჭარბობს სვანური და ქართული, შეიძლება იყოს უძველესი ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი.

სხვათა შორის, ქაშქების ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში იგივე წარმომავლობის ტომები მოსახლეობდნენ, რაც ძველადმოსავლურ ხანაში, რასაც გვისაბუთებს ბერძნულ-რომაული წყაროებით დადასტურებული ქვეწნების, ტომების, ქალაქების სახელწოდებათა შინაარსი. ასე მაგალითად: სინოფე = სინების, სანების მოდგმა; მაკრონი = მარ-

გალი, მაგარი, ონ ქართული სუფიქსით; მოსინიკი=მუშუანი, სვანთა თვითსახელი; მარები=მარ (კაცი), შეადარეთ: სა-მარე, სა-მარ-ხი, ქ-მარი და სხვა. გიმნიასი-გიმ = მიწა, ნიას = ნისლი; სკითინი – შკედ=ბურუსი; ქსერქქენა II დერ-ძანი=დერ-ჭანი; სპერი // სასპერი სა // ს ქართული პრეფიქსი, პერი სვანურად ქაფი, ბურგონი სვანური ბერგ (ოხხი), ონ სუფიქსი; ბარხონი სვანური ბარხი (ხილი), სისილისი II ზიზილო ზიზილა მცენარეა; სხამალანხი ს პრეფიქსია ხამა დორია სვანურად, ლანხი – გაბრაზება; ხარტონი დართი სვანურად ნაბადია; ზაგონი // ზიგან სვანურად გამიწყალა; ოქეფ-სვანეთშია ტოპონიმი თხე-იშ; სტამენე სტამან სვანურად კოკა; ქადა კადა ნაჯახია და სხვა მრავალი.¹

ქაშქა-აბეშლას ტერიტორიაზე მოგვიანებით ურარტუს ძლიერების ხანაში საისტორიო წყაროებში ჩნდება ტოპონომები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სახელმწიფოს დაიავნი-დიაოხი-მატიენას შემადგენელი ნაწილებია, კერძოდ: ოლქები (ურარტული წყაროების ქვეყნები): ბალთულხი, ხალდირიულხი, არდარაკიხი, კაბილუხი, ვარდა-არდა-სახელებით. ეს ტოპონიმები იხსნება ქართველური ენების მონაცემების გამოყენებით. მათი შინაარსია: ბალთა=სვანურად ნაჯახი, შეადარეთ ქართველური ქვეყნის ხაიასას (ჰაიაშა) ღვთაება ბალთა; არდარა=არდ II ართ (ერთი, პირველი) კაბილუხი = კაბალა (ქისით გაცემული ხარი); ხალდი = ურარტუს მთავარი ღვთაება, მსგავსი ტოპონიმებით მოფენილი იყო და არის ქართველური სამყა-

¹ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხაისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ.XII–IV სს.), ბათ., 2002.

როს ყველა კუთხის ურარტუ, დიაოხი, ხალიბია, ხალდია, საქართველო და სხვა.¹

ქაშქების მეზობელ ტომებს ძვ.წ. XIII საუკუნის ბოლომდე წარმოადგენდნენ ხათები, ხეთური დინასტიით, ე.წ. ხეთების ზემო ქვეყანა, ბალა, ხაიასა, სუხმა და სხვები. ზღვის ხალხების შემოსევის შემდეგ მცირე აზიისა და მის აღმოსავლეთ პერიფერიებზე პოლიტიკური და ეთნიკური რუკა საგრძნობლად შეიცვალა. ხეთების სამეფო დაეცა, ამავე დროს განადგურდა სვანურ-მეგრული წარმომავლობის ქვეყანა ხაიასა (ჰაიაშა). ქაშქა-კასკას სატომო გაერთიანებამაც განიცადა ცვლილებები. ამიერიდან ასურულ ლურსმნულ ტექსტებში გამოჩენილი ქაშქა-აბეშლა, ისეთივე ძლიერი არ არის, როგორიც იყო წინარე ხანაში. ამ დროს იქმნება კიდევ ერთი ქართული სამეფო დაიაგნი-დიაოხი, რომელსაც ანტიკური წყაროები ხან მატიენეს, ხანაც ტაოხებს უწოდებენ. მის გვერდით ვანის ტბის ირგვლივ ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ძლიერი ქართველური სამეფო (შესაძლებელია სვანური წარმომავლობის დინასტიით) ურაშტუ-ბიაინილი (ურარტუ-ვანი), რომელმაც მეტისმეტ ძლიერებას ძვ.წ. IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნეში მიაღწია. ქაშქა-აბეშლას გარკვეული რაიონები ჯერ მოექცნენ დიაოხის სამეფოს ფარგლებში, ხოლო შემდეგ მათი ტერიტორიები ასურეთისა და ურარტუს სახელმწიფოების დარბევა-განადგურების არეში შევიდა.

ანტიკური ხანის დასაწყისში ურარტუს სამეფო დინასტიის განადგურების შემდეგ, არ ვიცით საიდან, როგორ, მაგრამ ძალაუფლება ჰაიაცების-არმენების, თანამედროვე სომეხთა წინაპრებმა მიიტაცეს. მათ მალე ყოფილი ურარ-

¹ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი: დაიაგნი – დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006.

ტუს საზღვრებში მყოფი ყველა ტომი და მათი ოლქები დაიმორჩილებს. ისინი თანდათანობით დაეუფლნენ ქაშქების ყოფილ ტერიტორიებსაც. დაახლოებით ძვ.წ. II საუკუნიდან, სტრაბონისა და მოგსეს ხორენაცის გადმოცემით, სომხებმა აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყეს სომხური ენის გავრცელება. ქაშქების ტერიტორიის ჩრდილოეთი რაიონები შევიდა ძვ.წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბებულ მეგრულ-სვანურ სამეფოში—პონტოში. მალე აღნიშნული ოლქები რომის იმპერიამ ჩაიგდო ხელში, მათი ბატონობა ბიზანტიელებმა (ბერძნებმა) შეცვალეს. მას მოჰყავა აღნიშნულ მხარეში არაბთა და თურქ-სელჩუკთა ბატონობა. არაბები აქ VII საუკუნეში გამოჩნდნენ, ხოლო ოთხი საუკუნის შემდეგ — თურქები. საქართველოს ძლიერების ხანაში ქაშქას ტერიტორიის ჩრდილოეთი რაიონები მის შემადგენლობაში შევიდა. მონფოლთა ბატონობის დასასრულს, ისევ გაძლიერდნენ თურქოსმალები, რომლებმაც ერთი მეორის მიყოლებით მიიტაცეს ძველი ქართული ოლქები, სინოპიდან მოყოლებული, ყარსის ოლქამდე, ჭოროხის ხეობის ჩათვლით.

ასე, თანდათანობით, დროთა ვითარებაში გაჟრნენ არენიდან ქაშქა—აბეშლაები. მათი ნაწილი, როგორც ჩანს, გაწყდა ამ ბრძოლებში, ზოგი გაითქვიფა მომხვდურებში, ნაწილმა კი თავი შეაფარა სამხრეთ—აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ისტორიული და თანამედროვე საქართველოს რაიონებს. აი, ასეთი იყო ძალიან მოკლედ ქაშქების სისხლით დაწერილი ისტორია.

ცნობილია, რომ ქაშქა—აბეშლა უმრავლეს მკვდევართა მიერ მიღებულია, როგორც თანამედროვე აფხაზურ (აფხუები) —ადიღეველთა (ჩერქეზები) წინაპრებად. თუმცა იყო მინიშნებები იმის შესახებ, რომ ისინი არა აფხუათა წინაპრები, არამედ ქართველური ტომები იყვნენ. ჩვენ

შევისწავლეთ ქაშქის ტერიტორიაზე ხეთურ და ასურულ წყაროებში დასახელებული ყველა ტოპონიმი (ქვეყნის, ოლქების, ქალაქების სახელები) და ადამიანის საკუთარი, დინასტიური სახელები. აგრეთვე შეძლებისდაგვარად შევეხოთ დვთაებათა და ადამიანის სპეციალობის აღმნიშვნელ ტერმინებსაც.

ამ მიმართებით გამოვიყენეთ ხეთური, ასურული, ურარტული, ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, სომხური, ქართული, თურქული, მოვიანო ხანის ევროპული წყაროები. გამოვიყენეთ, აგრეთვე, ქართველური (საკუთრივ ქართული, მეგრული, სვანური) ლექსიკონები, ტოპონიმური და ეტიმოლოგიური ლექსიკონები, ძალიან მწირი სამეცნიერო ლიტერატურა, ქართულ სახელ-გვართა ისტორიები და ა.შ

ქაშქურ ტოპონიმებში, ადამიანის საკუთარ, დინასტიურ, დვთაებათა და სპეციალობის აღმნიშვნელ სახელებში აშკარად შეინიშნება იგივე სუფიქსები ია, ვა (უა, ბა), შქა (სქა), ცია, ენ, უნ, არ, ერ, ალ, ულ, ელ, ილ, თი, თა, და, ფა, იან, ხა, ქი, მა, შა, რომლებიც ისტორიული ხანიდან დღემდე აწარმოებენ ქართველურ ადამიანის საკუთარ სახელებს, გვარებს (მათ შორის დინასტიურს), ტოპონიმებს, პიდრონიმებს, ორონიმებს, სატომო და ქვეყანათა სახელებს და ა.შ. მათი სემანტიკა ისხსნება მხოლოდ და მხოლოდ ქართველური ენების გამოყენებით. ისინი ძირითადად აღნიშნავენ შვილს, მამას, წინაპარს, დინასტიას, მოდგმას, წარმომავლობას, ტომს, ქვეყანას და საერთოდ კუთხილებას. განსაკუთრებით ხშირია მეგრული სუფიქსები—ვა, ია და ილ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმში, ადამიანის საკუთარ და დინასტიურ სახელებში გვხვდება ისეთები, რომლებიც დღეს საქართველოში, განსაკუთრებით, სამეგ-

რელოშია გავრცელებული. ესენია ფიფია, თურია, თარია, შარია, ფათალია, გახარია, მალია, ფაია, ქუქაგა, ხარია, ფაცია, დათილი, ღუდუ, ბაია, დადილუ, ციანა, დადა, თუთუ, თათილი, თახანა, მახაუსა, შალი, ფატანა, ქანუ, ქასუ, მუთი, თალი, ვაშა, ლითა და ა.შ.

აქეთ გვხვდება ისეთი ტოპონიმები ან სახელები დინასტიური სახელებით (გვარებით), როგორიცაა: თულ მალია, თათაშ თურია, თახაშ თურია, ქათ ხარია, თალი ფაცია, ასხარ ფაია, თახან თარია, ქათ ხარია, ცითა ხარია, ვაშა ხარია, ვაშ ხაია, თალ მალია და ა.შ. დღევანდელ საქართვლოში მსგავსი სახელებითა და გვარებით არაერთი ადამიანი შეიძლება მოიძებნოს, უფრო ხშირად კი სამეგრელოში. ია-თი დაბოლოებული გვარები მეგრული სამყაროს კუთვნილებაა. იგი აღნიშნავს შვილს (ვაჟს). მრავალი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება ქაშქა-აბეშლასა და ლაზურ-მეგრული ენების ურთიერთობის დასადგენად.

აქეთ, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ საჭირო დრო და დაფინანსება რომ გვქონოდა, წინამდებარე წიგნი უფრო სრულყოფილი და გარკვეული ხარვეზებისაგან დაზღვეული იქნებოდა. მაგრამ წარმოდგენილი მასალა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქაშქა-აბეშლა ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ, ანუ აფსურ-აღილეურ-ჩერქეზულ მოდგმას კი არა, არამედ ქართველურ (მეგრულ-ლაზურ) სამყაროს მივაკუთვნოთ, და თანაც გავარკვიოთ მისი კავშირი ხათურთან.

ქაშქაბი და მათი ეთნიკური ხათვენილება

ქაშქა (კასკა) ძველადმოსავლურ წყაროებში სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი (კასკა, ქაშქა, ქასქა, გაშგაშ, კაშკა, ქაშქი, კასტა, გაშქა, კასკი, კასკაია). ამიტომაც როულია ამ სატომო სახელის თუ ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინის სემანტიკის გარკვევა, მით უფრო, რომ მკვლევარები ცდილობენ ამ სახელწოდების შინაარსის ახსნა დაუკავშირონ ჩრდილოდასავლეთ კავკასიურ ენებს. სინამდვილეში თითქმის მთელი მცირე აზია, განსაკუთრებით ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი დასახლებული უნდა ყოფილიყო ქართული წარმომავლობისა და მათი მონათესავე ეთნიკური ჯგუფებით. ამაში ნათლად დავრწმუნდით ჯერ კიდევ ჩვენი მონოგრაფიებისა და ცალკეული ნაშრომების მომზადების პროცესში¹.

გ-გიორგაძის გადმოცემით, ქასქებს ხათების შთამომავლებად მიიჩნევენ, თუმცა ეს ვარაუდი დღეისათვის ჰიპოთეზად რჩება. ქასკებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც ანატოლიის ერთ-ერთ ადრეულ მკვიდრო, რაც ჯერჯერობით არ მტკიცდება, თუმცა დაუსაბუთებელია მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვით ქაშქები თითქოს მოგვიანო ხანებში დასახლებულან ანატოლიაში. დღეისათვის აშკარაა, რომ ისინი ხეთებისაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი იყო².

გ-გიორგაძე თავის სპეციალურ მონოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ ქასქური ტოპონიმები, მაგალითად: ახშარფაია,

¹ ს. გოგიტიძე, დაიავნი-დიაოხი (ლოგალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006; მიხივვ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002.

² გ-გიორგაძე, ათასი ლვოაების ქვეყანა, თბ., 1988, გვ. 42-43.

ელურია, გახარია, შარია და ა.შ., წარმოებულია ია სუფიქსით. მსგავსი მაწარმოებული ერთვის მეგრულ გვარებს: ქეცბაია, თოფურია, ქანთარია, გახარია, ფიფია, გამახარია და ა.შ.

პატივცემული მეცნიერის აზრით, ქასქა (ქაშქა) სგა-სქა მეგრული სუფიქსებითაა გაფორმებული. სგა, შქა ნიშნავს შუა. ქაშქურ ტოპონიმებში ხუმინთიშქა, თათიშქა შეიძლება დავინახოთ მეგრული დიშქა (=შეშა). მსგავსი სუფიქსიანი ტოპონიმები შემორჩენილია სამეგრელოში დღესაც-უირდალიშქა. მრავალ ტოპონიმსა და საკუთარ სახელებში გამოიყოფა მეგრული სუფიქსი ვა. გ.გიორგაძე სხვა მრავალი მასალის მოტანისა და განხილვის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქასქები უფრო მეტად კოლხური წარმომავლობისანი არიან, ვიდრე აფხაზურ-ადიღეური. ქასქების ენა არ იყო არც ხეთური, ხურიტული, ლუვიური და არც ფალაური¹.

გ.მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ზოგი მქელევარი ქაშქებს პროტოხეთებს აახლოებენ, რადგან ბევრი ქაშქური სახელი თითქოს პროტოხეთური ენის მონაცემებით ისხსნება. მაგრამ მეცნიერები ხშირად პროტოხეთურ ენასაც აფხაზურ-ადიღეურ ენებს აახლოვებენ. ამრიგად, ასკვნის პატივცემული მეცნიერი, ქაშქებში აფხაზურ-ადიღეური თუ პროტოხეთური წარმომავლობის ტომები უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქაშქა ტერმინის ქვეშ არაერთი ქართველური

¹ გ.გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლავების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახლც., 2000, გვ. 15–17, 70.

ტომიც უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც იმ მხარეში მოსახლეობდნენ¹.

გ.მელიქიშვილი იგივეს აღნიშნავდა თავის მონოგრაფიებშიც: ქაშქა სახელი გარკვეული ეთნიკური ელემენტის სახელწოდება უნდა იყოს. გამორიცხული არაა, რომ ზოგჯერ ამ სახელის, როგორც კრებითი სახელწოდების, ქვეშ ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომი ერთიანდებოდა. მაგალითად, ქაშქებთან დაკავშირებულ ონომასტიკონში თავს იჩენენ ხური-ურარტული ელემენტებიც, მაგრამ წარმოშობით, ამ სახელწოდების მატარებელი ტომები სულ სხვა ეთნიკური შედგენილობისა უნდა ყოფილიყვნენ.

ქაშქების ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის საინტერესო მასალას იძლევა თვით ამ ხალხის სახელწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული, რომ ტერმინი ქაშქა მსგავსებას ამჟღავნებს ჩერქეზთა სახელწოდებასთან. ძველქართულ წყაროებში ჩერქეზები „ქაშაგ“ სახელით არიან ცნობილი. ძველი რუსული წყაროები კი მათ „კოსოგ“—ს ეძახიან. ამავე სახელწოდებით არიან ისინი მოხსენიებულნი სხვა უცხოურ წყაროებშიც. საქმე ეხება იმას, რომ ასურულ ძეგლებში ქაშქის გარიანტად გვევლინება ტერმინი აბეშლა. მაგალითად ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-თან პრიზმა-წარწერაში ისინი ქაშქიელებად არიან მოხსენიებულნი, იმავე მეფის სხვა წარწერაში ქაშქას ნაცვლად დასახელებულია აბეშლა. ისინი აქ ერთიმეორის სინონიმებად გვევლინებიან. ტერმინი აბეშლა სიახლოვეს იჩენს საქართ-

¹ გ.მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები—საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, გვ. 360.

კელოს ტერიტორიაზე მოსახლე აფშილების ტომის სახელთან, რომელიც ერთ-ერთი ჩრდილო-კავკასიური, ჩერქეზულ-ადილეური ან აფხაზური ტომი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, გადმოგვცემს პატივცემული მეცნიერი, სატომო სახელების (ქაშქა-ქაშაგი, აბეშლა-აფხსილი) მონაცემებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქაშქა და აბეშლა ჩრდილო-კავკასიურ, კერძოდ კი აფხაზურ-ადილეური ტომები და პროტოხეთების შთამომავლები შეიძლება იყვნენ¹. მიუხედავად ამისა, გ. მელი-ქიშვილი მაინც ფიქრობს, რომ ქაშქების მთავარი ქვეყნების (დუდუშქა, ხალილა) სახელწოდებანი თავიანთი სუფიქსებით სიახლოვეს ამჟღავნებენ ხური-ურარტულ სამყაროსთან².

თავის სხვა ნაშრომში გ. მელიქიშვილი ადნიშნავდა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქაშქები ლაპარაკობდნენ პროტოხეთურ ენაზე. ისინი მკელად ძვ.წ. III ათასწლეულში გავრცელებული იყენენ მცირე აზიის დიდ ტერიტორიაზე: მის ცენტრსა და მდინარე პალისის (ყიზილ-ირმაკი) აუზში. ამ მხარეში ხელი-ნესიტების გამოჩენის შემდეგ ძვ.წ. II ათას-წლეულში ძველი მოსახლეობა დარჩა ძირითადად ჩრდილოეთ (ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთ) მხარეს, შავი ზღვისა და ამიერკავკასიის მომიჯნავედ. ამიტომ ქაშქებში უნდა ვიგულისხმოთ პროტოხეთებთან ეთნიკურად ახლოს მდგომი ხალხი. ხეთები ამ ტერმინში აერთიანებდნენ აქ მცხოვრებ ზოგიერთ ქართულ და ხურიტულ ტომებს. ამ მხრივ საინ-

¹ გ.მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 93-95, 126-127; მიხილე, Население северных областей Наири-Урарту и его роль в Древне-восточной истории, М., 1960, с. 7.

² გ.მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 91, სქოლით.

ტერესოა აღინიშნოს ქაშქების ერთ-ერთი „მთავარი ქალაქის“ ხალილას იგივეობა ურარტუს ქვეყნის იმავე სახელობის ოლქთან, რომელსაც იხსენიებს სალმანასარ I (ძვ.წ. XIII ს.)¹.

ი.დიაკონოვის გადმოცემით პონტოში მცხოვრებ კასკიულებს მიიჩნევენ ხეთების მონათესავედ (იმოწმებს გ.მელიქიშვილს), დასავლეთ ქართველებთან ან აფხაზურ-ადიღეურ ხალხთან (გ.მელიქიშვილი, ს.ერემიანი). კასკების ოლქი ტიბია დასახლებული იყო ტომით, რომელსაც ბერძნები ტიბარენებს უწოდებდნენ. ტაბალის სახელს ჰგავს მხოლოდ გარეგნულად და არ მტკიცდება არც გეოგრაფიულად და არც ლინგვისტურად. აბეშლა კი უკავშირდება აფხილს-აფხუას, ე.ი. თანამედროვე აფხაზებს².

ი. ვორონოვის აზრით, ასურულ წყაროებში მოხსენიებული ქაშქები და აბეშლაები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან მოვიდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებიც აფხაზურ-ჩერქეზული წარმომავლობისანი იყვნენ. მათ აქ თან მოიტანეს დოლმენური კულტურა და შეერწყნენ აბორიგენებს და ასე ჩამოყალიბდა აფხაზური ეთნოსი. ამას ადასტურებს არაერთი ტოპონიმიკური მასალა, რომლებიც მათ დატოვეს სამხრეთში აკამფსისი, სინოპა, აფხარეა, სუფსა, ფასისი, არიფსა და სხვა. ესენი შეიძლება დავუკავშიროთ ტომ იგანიერიელებს, რომლებიც აქ მოსახლეობდნენ³.

¹ Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 168-169.

² Дьяконов И.М. Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. и северные походы вавилонских царей.-Вестник древней истории, 1981, №2, с. 52, 53.

³ Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии, Сухуми., 1969, с. 74.

3. ხაჩატრიანის ვარაუდით, ხატების ადგილსაცხოვრისი, როგორც უკვე გარკვეულია, მდ. ჰალისის აუზით იფარგლებოდა. მაგრამ ზოგიერთი კასკიური ტოპონიმი ხათური მასალების მიხედვით შედარებული და გაანალიზებული, ხატების გავრცელების არეალად მიუთითებს აგრეთვე აღმოსავლურპონტოური მთების რაიონს¹.

შ. ინალიფა იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეორიებს იმის შესახებ, რომ ძველაღმოსავლური აბეშლა უნდა შეესატყვისებოდეს აფსილებს (აბსილებს). მხოლოდ იმიტომ, რომ სახელწოდება აფსილი ახლოს დგას ტერმინ აბეშლასთან. მისივე აზრით, აბეშლა, აფსილი, აფშილი და ოვითსახელწოდება აფხაზებისა აფხაზუა მომდინარეობენ ერთ-ერთი ადგილობრივი ეთნონიმიდან².

6. მარის თეორიის თანახმად სამხრეთ კავკასიაში უხსოვარ დროს ერთ-ერთი უძლიერესი ხალხი კასები იყვნენ, რომლებიც განსხვავებულად იწოდებოდნენ: ხან კას-კუ, ხან კას-ხ, ხანაც კას-პ, ხანაც კიდევ კახი (კახელები). მათთანაა კავშირში კასპიის ზღვისა და კავკასიის სახელები³.

დ.ბუდიანიძეს გ. ჭელიძესა და გ. გიორგაძეზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ ქასქების კოლხურ-სვანურ წარმომავლობას ეთანხმება ენობრივი ერთგაროვნების მაგალითები: კარდიმკერდი, სუფი-სუფთა, ველი-ველი, დუდდუმილი-დუმილი, ვაკარ-ცხვარი (ქართ. ვაკი) და ა.შ. აქვე მოყვანილი გვარწო-

¹ Хачатрян В.Н. Некоторые вопросы этнической географии древней Малой Азии.- Всесоюзная сессия по Древнему востоку, тезисы докладов, Тб., 1971, с. 85.

²Инал-ипа Ш.Д. Абхазцы, Алашара, 1965, с. 85.

³ Марр Н. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа.- Известия Академии наук 1916 г., с. 1392-1394.

დებათა მაგალითები: ხუცია, ფილია, მასხულივა, შუხურია, გახარია, შარია, ფასურია, ფაცაცია. ყურადღებას იქცევს ქართული გვარის მიმსგავსებული გამოთქმა ქაშქურში: თაქაშთურია-ბალათურია, ჭანტურია¹.

ლ. მელიქევთ-ბეგი (იმოწმებს პ. განს, ვ. სენ-მარტინს, ვ.ბოგომოლოვსა და სხვებს) გადმოგვცემს, რომ კავკასიის სახელწოდება კასების (კას-პ, კას-კუ) ტომის სახელწოდებას უკავშირდება. მთათა სისტემის კასპიეს დაკავშირება შეიძლება აგრეთვე ქალაქ კასპთან, კავკასიასთან².

გრ. ლაფანციანი თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ტერმინ “კაშკა”-ში “კაშ” ძირია, იგივეა, რაც “კასიტ”-ში გამოყოფილი ფუძე “კას” khaʃ სომხურად ნიშნავს მამაცი³.

ვ.არძინბა ჯ. მაკუნის წიგნის ბოლოსიტყვაში (იმოწმებს გ.მელიქიშვილს, გ.გიორგაძეს, ი.დიაკონოვს) მიუთითებს, რომ ხატები და ქაშქები მონათესავე ტომები არიან., ქაშქა და აბეშლა ეკუთვნოდნენ აფხაზურ-ადილეურ ენათა ჯგუფს⁴.

ამ მიმართულებით გვინდა გამოყოთ ს. ბადა, რომელმაც პელევა-ძიება სხვა მიმართულებით წაიყვანა. მან არა მხოლოდ უარყო მანამდე გამოთქმული შეხედულებები, არამედ ქაშქას ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე სახელწოდება,

¹ დ.ბ.დიანიძე, მითოსური პარალელები. – ლიტერატურული საქართველო, თბ., 2006, 16 ივნისი, გვ. 13; შეადარეთ: გ.გიორგაძე, ვის ეკუთვნის ქაშქები. – გაზ. თბილისი, 1999, 9 აპრილი, გვ. 3.

² Меликст-беков Л. Введение в историю государственных образований Юга Кавказа, Тиф., 1924, с. 92-93.

³ Капанцян Гр. Историко-лингвистические работы к начальной истории армян, Ереван., 1956, с. 134-135; მიხივვ, Խայас- колыбель армян, Еր., 1947, ქვეთავი გაშგა ანუ კაშკა.

⁴ Маккуин Дж., Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, ბოლოსიტყვა.

რომლებიც ძველაღმოსავლურ წყაროებში მოიხსენიება, დაუკავშირა ქართველურ სამყაროს. ამავე დროს მოგვცა თითქოსდა ამ ტოპონიმთა და ადამიანთა საკუთარ სახელთა სემანტიკური ანალიზი. მისი აზრით, ტერმინი კაშკა უნდა დაიყოს ლაზ-მეგრულ ქა და შკა ელემენტებად. პირველი მათგანი აღნიშნავს რქას, ხოლო მეორე შუაში. საერთო ჯამში ქაშკა ნიშნავს “რქა შუაში”, ე.ი. ამ ქვეყნის “შუაში ყოფილ რქა”. მკვლევარი იქვე სვამს კითხვას, რქისებრ ხომ არ იყო ამ ხალხის ტერიტორია შექრილი ქვეყნის სიღრმეში.¹

მკვლევარი ნაშრომის სხვა აღგილს ქაშქაის განმარტვბისას ტერმინის პირველ ნაწილს (ქაშ) ყოფს ქა-შ ელემენტებად. ქა იქნება რქა და ეს სიტყვა ბანალური ტრადიციით რქიანს ნიშნავს, ხოლო შ-არის კუთვნილების მაჩვენებელი სუფიქსი და იხმარება მის წინ დასმულ სიტყვასთან ერთად, მივიღებთ ქაშ-ს, რაც ქართულად იქნება რქიანის კუთვნილება.²

ს. ბადამ ქაშქას ქვეყნის ასურული ვარიანტის ეტიმოლოგიას მეგრული ენის გამოყენებით ხსნის. მისი აზრით, იგი უნდა დაიყოს აბე-შ-ლა და თითოეული ნაწილის შინაარსი შემდეგია: აბე იგივე ამბე-ამბავია, შ-ახსოვს, ლ-ციდან ვარდნა. საერთო ჯამში ტერმინი ნიშნავს “მეფობა ციდან ვარდება”, ან „ვარდნის ამბავი ახსოვს“. მისივე აზრით, ქაშქა და აბეშლა მონათესავე ტომები არიან³. მკვლევარი იძლევა ქაშქას ქვეყნის ტერიტორიაზე დასახელებული ზოგიერთი ტოპონიმის ახსნას. ესენია: გახარია, თათაშთურია, თაქაშთურია, თახანთარია,

¹ ს.ბადა, ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006, გვ. 282.

² იქვე, გვ. 327.

³ იქვე, გვ. 289-290, 296.

ვაშხაია, ქათხარია, ქათხაიდუა, ღუდუშკა, ქაშალუვა და სხვა,¹ რომლებსაც სათანადო ადგილას განვიხილავთ.

კ. ოთვეურიას აზრით, თაქა-შ-თურია-ში თაქა-მამაკაცის სახელია, თური მეგრულად ნიშნავს გვარს ე.ი. თაქაშთურია განიმარტება, როგორც თაქას გვარისანი, შეადარეთ: ბადათურია-ბადის გვარისანი, ჭანტურია-ჭანის გვარისანი, ქუთათურია-ქუთას გვარისანი და ა.შ. მკვლევარი მიუთითებს, რომ, მართალია, ჯერჯერობით არ ხერხდება განხილულ ქასქურ ტოპონიმთა და საკუთარ სახელთა მნიშვნელობის დადგენა, მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები მაინც იმსახურებენ ყურადღებას თავიანთი ბგერითი შემაღგენლობით, ქაშქების ეთნიკური ვინაობის დასადგენად. ისინი მიუთითებენ უფრო მეტად ქაშქების კოლხურ წარმომავლობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღეურ წარმომავლობაზე.²

ირ.ტატიშვილის მიხედვით, დღეისათვის კვლავ გადაუქრული რჩება საკითხი ქაშქების ვინაობისა და ენის შესახებ. ამ პრობლემის კვლევა გარკვეულ წილად გადაჯაჭვულია ქართველური ენების და ხათური ენის მიმართულების კვლევასთანაც.³ მკვლევარს იქვე მოყავს ი.ზინგერის შეხედულება, რომელიც არ უაუღელყოფს გ-გიორგაძის ვარაუდს სამხრეთ კოლხურ, მეგრულ-ჭანურ ენებთან ქაშქების ენის ნათესაური კავშირის შესახებ, მაგრამ, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში პრობლემას ქმნის ხათური ენა, რომელიც თითქოს უკავშირდება დასავლურ-კავკასიურ ენებს და ამავე დროს კავშირს

¹ იქვე, გვ. 298-304.

² კ-თოვეურია, ვის ეკუთვნან ქაშქები, გაზ. თბილისი, 1999, 9 აპრილი

³ ირ.ტატიშვილი, ხეთები ქაშქების შესახებ,-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007, გვ. 15.

ავლენს ქაშქებთანაც. ირტატიშვილის აზრით, საკითხების კომპლექსური კვლევა გააძლიდორებს ჩვენს ცოდნას ჩვენი უძველესი წინაპრების მეზობელ თუ მონათესავე ტომებზე.¹

ქაშქა ხეთურ წერილობით ძეგლებში მოიხსენიება ოდნავ სახეცვლილი ფორმებით –kaška, kašga, kaska, kašqa, gašga, gašqa, qaška და ა.შ. ეგვიპტურში – kškš (kaškaš), ასურულში – kašku, kaškaia, ელ-ამარნას არქივის ერთ-ერთ ტექსტში – Gašgai.²

ერთი ქართული ლექსიკონის მიხედვით ქასქას-ი ქაქანია,³ მეორის მიხედვით ქაქანი სიცხისა და დაღლილობისაგან,⁴ მესამეთი – ხშირი ქშენა სიცხისა და დაღლილობისაგან.⁵ ქაშანი – შამბში ან თოვლში გაქელილი გზა.⁶ ქაშა – ზოგი ვაშლის ჯიშია, სხვაგან წერია, რომ ქაშა ისეთი ვაშლია, რომელიც მეტისმეტი სიმწიფის გამო ფაშრდება; ზოგი ჯიშია ასეთი.⁷ ქაშაგ ძველად ერქვა მოზრდილ ტყვეს.⁸ მაგრამ არაა გამორიცხული ეს სიტყვები ქართულში ქაშქი ხალხის თვისებების მიხედვით გაჩენილიყო. აჭარულ დიალექტში ქაშა ვაშლს დაუმწიფებელ ან ბუნებრივად მაგარ ვაშლს უწოდებენ.

¹ იქვე.

² ირტატიშვილი, ხეთები ქაშქების შესახებ, –სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007, გვ. 14, შენ. 1; გ.მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 84; გ.გიორგაძე, ხეთური ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის. – ქურნ. არტანუჯი, 2000, №10 გვ. 10.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 453.

⁴ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის ქონა, თბ., 1984, გვ. 568.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 271.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 454.

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 275.

⁸ იქვე.

ქართულ ენაში კაშკაში–ძლიერი ბრწყინვა–ელგარებაა, მაგალითად ვარსკვლავების კაშკაში, მზეს კაშკაში გააქვს. კაშკაშა–რასაც კაშკაში გააქვს –ელგარე, მოკაშკაშე, კაშკაშა მოგარე¹ კასკასი იგივეა, რაც კისკისი.²

სვანურ ენაში ქაშაკ – ძლიერის, შეუპოვარის (ქალის) სინონიმია; გაშ – დანა; გასკად, გასქა – ვიწრო ჩაკეტილი ადგილი, გას: 1 გოგმანი; 2 გასმა (ცეკვის ილეთი). ქაშან – საცალფეხო ბილიკი.³

ქაშქი ზაზა ფანასკერტელთან ასეა განმარტებული “რომელ არს წუენი ქერის კორკოტისა”, ე.ი. ქერის ლერდილის ნახარში წვენი. ძველ ქართულში დამოწმებულია ამგვარი ტერმინიც: ქაშქის წყალი. სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით, ესაა “ნადუდარი ქერის წუენი”. ჯ. შარაშენიძის გადმოცემით, მოყვანილი ტერმინები–ქაშქი და ქაშქის წყალი–იხმარებოდა ლუდის აღსანიშნავად. ასე იყო შუმერებშიც.⁴

სახელწოდება ქაშქას ახსნის რამდენიმე ვერსია ჩამოყალიბდა. ერთის მიხედვით ტერმინი უნდა დაიყოს ქა–შქა ან ქა–შ–ქა. მა შემთხვევაში ქა ადამიანის საკუთარი სახელია (ქა, ქაი, როგორც საკუთარი სახელი, დასტურდება სვანურ წერილობით ძეგლებში; შეადარეთ: ქა-სივაძე, ქა-ჟელაძე, ქა-სელაძე, ქა-სძე, ქაი-ლიანი),⁵ შ – კუთვნილოებითი სუფიქსი, ხოლო სუფიქსი ქა (ხა) ქვეყანა. ტოპონიმის სრული შინაარსი იქნება ქა–ს კუთვნილი ქვეყანა. მეორე შემთხვევაში შქა

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 261.

² იქვე.

³ ვ.თოფურია, მ, ქალდანი. სვანური ლექსიკონი, ობ., 2000, გვ. 166, 169, 779, 787.

⁴ ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, ობ., 1983, გვ. 41-42.

⁵ ვ.სილოვავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ობ., 1988, გვ. 548.

ელემენტი იმავე მეგრულ ენაში ნიშნავს შვილს, მსგავსად პაპასშეუა, შეადარეთ: პაპასკირი, პაპავა, პაპასშვილი, პაპაძე და ა.შ. ამ ანგარიშით ტერმინის სემანტიკა იქნება ქას შვილი თუ შვილები.

შემდეგი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ქა-ც და შკა (შკაია)-ც არის ორივე მეგრული სახელები. გვაქვს გვარი ქა-შაკაია, რაც იგივეა ქაშქაია-კასკაია (ასურულ წყაროში ასეა მოხსენიებული). ორივე ნაწილი დამოუკიდებელი სახელგვარებია, კერძოდ ქა და მისი ნაირსახეობანი ქაი, ქაა, დამოუკიდებელი სახელებია. ასევე დამოუკიდებელი პირსახელებია: შაკუ, შაკაია, შაკია. ხოლო ამ ორივესგან ნაწარმოები ქართული გვარები შემდეგია: ქაშაკაია, ქააიძე, ქაშავაშვილი, ქაშაკაშვილი, შაკაია, შაკიშვილი, ქააძე, ქაილიანი, ქასძე, ჩარიქასძე და ა.შ.¹ მსგავსი სახელები (თუ სახელები და დინასტიური სახელები, იგივე გვარები) ქაშქებში იმ პერიოდში მრავლად იყო; მაგალითად: თალიფაცია, ცითახარია, ისქურუხა, თულმალია და სხვა.. ასეთივე როზლი შემადგენლობის გვარები ამჟამადაც მრავლადაა საქართველოში და ეს ყველამ იცის. მაშასადამე, გამორიცხული არაა ქაშქა თრი დამოუკიდებელი პირსახელისაგან შედგებოდეს. ქა და შქა=შაკა ან შაკაია, ია კი ჩვეულებრივი მეგრული გვარების მაწარმოებელია.

¹ ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 169, 188, 191; პ.ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზეგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 128, 327; ი.ახევაშვილი, ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 1999, გვ. 772; გ.ხილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლებიII, გვ. 535, 554.

შესაძლებელია ქაშქა-გაშქა კომპოზიტური სახელი იყოს და შედგებოდეს ორი მეგრული სიტყვისაგან გა-შქა. პირველი მათგანი გა ნიშნავდეს გორას, ბორცვს,¹ ხოლო მეორე შქა-შუას. საბოლოოდ გაშქა-ს შინაარსი იქნება: “გორს შუა” (ადგილი), ე.ი. სადაც წარმოიშვა ასეთი სახელის მქონე დასახლება, ქალაქი. ტერმინში გამოყოფილ პირველ ელემენტს შევადაროთ უძველესი ქართული ქალაქის სახელი გა-არნი, ხოლო მეორე ელემენტს სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ასობით, მიკროტოპონიმი, ჩამოვთვალოთ ზოგი-ერთი მათგანი ზუგდიდის რაიონში: შქაშქარე, შქაშქარა, შქაშფერდი, შქაშდალე, შქაშკოკი, შქაშკოკიშ, ოხვამე, შქალალ სკაია (სქაია) და ა.შ.² სამურზაყანოშია: შქატყა, შქაკონკი, შქაზენი, შქასუკი, შქაშსუკი და სხვა.³

იმ შემთხვევაში, თუკი ტერმინის სწორ ფორმად კასკა-ს მივიჩნევთ, მაშინ მისი ეტიმოლოგია შეიძლება გაგებულ იქნას შემდეგნაირად: კა აქ უნდა იყოს ადამიანის ან ღვთაების ან ღვთაების სულიერი ორეულის სახელი.⁴ სქა-სკა-ფუტკარი. თუკი საკვლევი ტერმინის სწორ ფორმად ქაშქას ავირჩევთ, მაშინ ქა მეგრულად რქაა (ქართულ დიალექტებშიც ასეა) შქა-შუა, შქაშა||შქაშა შუაზე ან ქა-შ-ქა, მაშინ შ-უნდა აღნიშნავდეს კუთვნილებას, ხოლო ქი ან ხი ქვეყანას, ხალხს. აქედან გამომდინარე ტერმინის შინაარსი იქნება “კა ღვთაების

¹ ჯ.შარაშენიძე. შუმერები და მათი კულტურა, გვ. 40.

² პ.ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, გვ. 130, 131, 188, 231.

³ პ.ცხადაია, ვ.ჯორხუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 91, 195.

⁴ ძახიქ, გვ. 135, შენ. 2.

კუთვნილი ხალხი,” ან ქვეყანა, ან ქა-შქა=შუა მიწა, მიწა შუა ადგილას, ან კიდევ რქიანთა ქვეყანა, რქის ქვეყანა.

ტერმინ ქაშქას წარმომავლობის სხვანაირი ახსნა ასეთია: კასკაია უნდა იყოფოდეს ორ ელემენტად – კას და კაია. კას ქობულეთურ დიალექტში კარგს ნიშნავს, კაია კი აჭარულში ასევე კარგს. თუკი ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ საკვლევი სახელის სემანტიკა იქნება კარგზე კარგი, შესაძლებელია საუკეთესო.

ცნობილია, რომ ძირითადი ტომის თუ გაერთიანების სახელს სხვადასხვა წყარო (ხეთური, ეგვიპტური, ასურული) სხვადასხვა ფორმით გვაწვდიან. ამ ტერმინში არსებულ აფრიკატებს კ-გ-ჭ-თი გადმოსცემენ, არადა მაშინდელი მცირეაზიული სამყაროსათვის აღნიშნული ბგერები უცხო არ იყო. ამიტომ გვებადება აზრი მათ მაგიერ ხომ იგულისხმება დ ან ე ბგერები, ამ ენებისათვის უცხო აფრიკატები. ასეთ შემთხვევაში ქართული ლექსიკური მარაგის გამოყენებით ქასქების ეტიმოლოგია შეიძლება ასეც წარმოვიდგინოთ: ყაშყაში – არწივის, ორბისა და მისთანას ხმაური, ყივილი, დაშდაში იგივეა, რაც დაქდაჟა – წითლად ელვარება, წითლად ბრწყინვა.¹ მით უმეტეს, რომ ბოლოკიდური -შ ქაშქას სატომო სახელს ეგვიპტურ წყაროებში თან სდევს – კაშკაშ (ეგვიპტურ წყაროებში ქაშქები მოიხსენიებიან ქშქ-ის ფორმით²). შეადარეთ სამეგრელო-სვანეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები: ოდიში, ყორაში, ჩაინიში, ცაიში, აბაშა და ა.შ. თუმცა,

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 398, 506, 515.

² ვ-გოორგაძე. ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლავების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალც., 2000, გვ. 97.

რადგანაც ასურულ და ხეთურ წყაროებში ტერმინი ჸ-სუფიქსის გარეშე მოიხსენიება, ამიტომ ჩვენ უფიქრობთ, რომ, იგი შეიძლება კუთვნილებითი სუფიქსი იყოს და ქაშქების ტომის ქვეყანას აღნიშნავდეს. შ მაწარმოებელი, როგორც ცნობილია, ამჟამადაც ოწარმოებს მეგრულ-სვანურ გეოგრაფიულ ერთეულებს, ადამიანის საკუთარ სახელებსა და გვარებს: თათაში, დადაში, მარუში, ვანილიში, ბაღვაში და სხვა. მისი შემცვლელი საკუთრივ ქართულში წარმოდგენილია ს (ი) ბგერა: თბილისი, ქუთაისი, ბოლნისი, წავკისი, კუმისი. სავარაუდებელია ასეთი ფორმაც ქაცქაცი-კანკალი თრთოლვა, ფანცქალი; ქაცქაცა-(ძვ.) ხის ტკეცი (საბა).¹

შუამდინარეთში ერთ-ერთ სოციალურ ტერმინს ქაშქა მიწა ეწოდებოდა.² შენიშვნაში ნათქვამია, რომ ესაა მიწაა, რომელიც ეკუთვნოდა საზოგადოდ თემს, ან მისი უხუცესის საკუთრება იყო.³ ურარტულში, ე. ი. ძველ ქართულში Kaskal ნიშნავდა გზას, ლაშქრობას.⁴

ხათურ ტექსტში მთავრის დვთაება წარმოდგენილია kašku სახელით.⁵ ხათები ქაშქები თუ არა მათი მონათესავე ტომები მაინც იყვნენ. ხათი (ხართი, ქართი?) ქართველური სამყაროა, რასაც მოწმობს მრავალი ლექსიკური მასალების ერთიანობა, ამიტომ ქაშქა-კასკა ხომ არ უკავშირდება მთვარის დვთაების სახელს კაშქუ? ხათური კაშკა-ქაშქუ ასევე უკავშირდება ქართულ სიტყვას კაშკაშებს და რომელიც, როგორც მცირე-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 277.

² ძახიქ, გვ. 261.

³ იქვე, გვ. 267, შენ. 11.

⁴ Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М., 1960, с. 378.

⁵ ძახიქ, გვ. 225, შენ. 2.

აზიულ სამყაროში, ისევე ჩვენში, საქართველოში, დაკავშირებულია მზესთან, მთვარესთან და იმასთან რაც კაშკაშებს. ძველ კაბადოკიურში დამოწმებულ სიტყვას კასკარა-ს ქართულად შეეფარდება სიტყვა კაშკაშა, ყარყარა,¹ რაც იმას მოწმობს, რომ ხათურ-ქაშქურ-კაბადოკიური სამყარო იგივე ქართველურია. მაგალითად, მთვარე კაშკაშებს, ე.ი. მთვარე ელვარებს, მეტისმეტად ანათებს. ასე რომ, გამორიცხული არაა ქაშქების სატომო თუ ქვეყნის სახელი დაკავშირებული იყოს მთვარის ღვთაება კაშკა (თუ კაშკუ)–სთან. ქართულში კაშკაში სუფიქსი შ (ი) შეიძლება კუთვნილებითი იყოს და ნიშნავდეს იმას, რაც ეკუთვნის მთვარეს, ე.ი. კაშკუ ეკუთვნის (შ) მთვარეს (მისი ღვთაებაა) – კაშკა-ში ან კაშკუ-აშ-ი. სხვათა შორის, გამოთქმულია მოსაზრება, რომ კასიტების (კაშ-ითი, კაც-ითი) სახელწოდებაც წარმოშობილი უნდა იყოს მათი უმაღლესი ღვთაების kaššu-ს სახელიდან. ამავე ელემენტს შეიცავს აქაური პიროვნებების სახელები. ასურულ-ბაბილონური კაშუ (კასი) და ბერძნული კასფი (კასპი) იღენტურია; იგი შემონახულია კასპიის ზღვის სახელში.²

ქართველურ ენებში არის სიტყვა ქარქაში (ხმლის, ხანჯლის ბუდე). სგანურის ლენტებურ დიალექტშია ქაშალ, ხოლო ლაშხურში – ქარქაში. ამ სიტყვას აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: ქომაგი, მფარველი.³ საკუთრივ ქართულსა და მეგრულშიც ასევე იხმარება ტერმინი ქარქაში. მეგრულ-

¹ Гозалишвили Г. Два этюда из истории Понта и Каппадокии, Тб., 1967, с. 103.

² ზ. შარაშენიძე. კასიტების პირველსაცხოვრისისა და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. – საქართველოს მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, №2, გვ. 106, 107.

³ ვ.თოფურია, მ, ქალდანი. სგანური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 378.

ში ქარქაშა ნიშნავს აგრეთვე კარგი ხასიათისას მხიარულს, მოკისკისებს.¹

ქართველურ ენებში სრულიად შესაძლებელია, რომ ძველი ტერმინი ქაშქა ან ქაშქაშ მოგვიანებით გადაქცეულიყო ქარქა-დ ან ქარქაშ-ად. მოვიყვანოთ მაგალითები: ძველქართულში გვქონდა სიტყვა შჯული, აქედან მეშჯულე (რჯულის მეცნიერი, მოძღვარი); გვაქვს პარალელური ფორმა რჯული და მერჯულე. პ. ინგოროვებას აზრით, ეს ფორმები ერთმეორის ნაცვლად იხმარებოდა ძველქართულ ხელნაწერებში.² აქედან გამომდინარე, სრულიად დასაშვებია, რომ ქაშქა ან ქაშქაშ ქცეულიყო ქარქა-დ ან ქარქაშ-ად.

ტერმინში ქაშქა (ქაშქაია) შესაძლებელია ადამიანის ორი საკუთარი სახელი იმაღლებოდეს: ქაშ და შქა, გაფორმებული მეგრული ტოპონომიკური სუფიქსით -ია; საბოლოოდ გვექნება ქაშქაია, ზოგჯერ იგი გაფორმებულია შ სუფიქსით – ქაშქაშ (შეადარეთ საქართველოში გაგრცელებული სახელები – ქა და შაკა).

საქართველოში გაგრცელებულ გვარებში აშკარად შეინიშნება სატომო სახელ ქაშქა-კასკა-სთან კაგშირები. აი ისინიც: კასაპაშვილი, ქაშაყაშვილი, ქამადაძე, ქასივაძე, ქაშიბაძე, ჭირაქაძე, ქასილაძე, კასატიანი, კაშაშვილი, ქაშაკაშვილი, კაშია, გვაქვს სამეგრელოში გაგრცელებული სახელი ქესქია, პროტოტიპი ქასქიასი. ქესქიაშ ნაფოტნი, იქვე ტოპონიმიცაა, ქესქიაშ დალ-ჰიდრონიმი და ა.შ.³ (პ.ცხადარია, 2007:65,30).

ამრიგად, ქაშქას სატომო გაერთიანების ქვეყანა, იგივე ქართველური (მეგრული) სამყაროა და არა აფსუურ-ადიღეუ-

¹ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, თბ., 2002, გვ. 128, 129.

² პ. ინგოროვება. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 18-23.

³ პ.ცხადარია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, გვ. 65, 130.

რი. ტერმინ ქაშქას სემანტიკა ასეთია: ქა-შქა ან ქა-შ-ქა, ე.ი. ქა-ს კუთვნილი ქვეყანა ან ქა-ს შვილი თუ შვილები, შთამომავლები. ერთ-ერთი ფორმა კაშია, მიუთითებს მასზედ, რომ შეიძლება ქაშ (ქას) სახელი იყოს, ხოლო ია მეგრული ტოპონიმებისა და გვარსახელების მაწარმოუბელი სუფიქსი. კაშია ნიშნავს კაშის შვილებს, შთამომავლობას. სხვათა შორის, იგივე ფუძეა კასიტების სატომო სახელშიც: ქაშანა, კასი, კასინი; მათ მევეს სახელად ჰქვია კაშ-ტილია.¹ მსგავსი გვარი – კაშია, მეგრულში დღესაც არსებობს, რომელშიც გამოიყოფა ადამიანის საკუთარი სახელი კაშ (კაში) და მეგრული მაწარმოებელი – ია. ამ უკანასკნელი მსჯელობიდან გამომდინარე, კაშქი ნიშნავს კაშის ქვეყანას, კაშის კუთვნილებას.

ასევე, გამორიცხული არაა, სახელწოდების წარმომავლობა დავუკავშიროთ ხათური მთვარის დვთაების სახელს – კაშკუ, რაც იგივე ქართული კაშკაშია. ქაშქა-აბეშლა რომ ქართველური სამყაროა, ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ქაშქას ვარიანტად ხეთურ ძეგლებში გვხვდება ტერმინი მექაშქა, სადაც, ჩვენი აზრით, მე- პირველი პირის ნაცვალსახელი ან ქართული ტოპონიმიკური პრეფიქსი უნდა იყოს.

¹ В. Хинц. Государство Элам, М., 1977, с. 25, 114; А. Хачатрян. Пересмотр древнейшего периода Нахири-Урартской истории, Эр., 1932, с. 29.

ქაშქები საქართველოს ტერიტორიაზე და მათი ჟთამომავლები

ქაშქები (აბეშლავები), რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელი წინა აზის უძველეს სახელმწიფოებს – ხეთებს, ასურელებსა და სხვებს, ხეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ფაქტიურად ისტორიის არენიდან ქრებიან. დროდა-დრო, ძვ.წ. XII საუკუნიდან მოყოლებული, ისინი ისევ ჩნდებიან ასურულ წერილობით წყაროებში. ტიგლათფილესერ I (1115-1070წწ.) ასურეთში მეფობის დროს ქაშქები ურუმიელებებსა და მუშქებთან კავშირში მოიხსენიებიან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ასურეთის სამფლობელოებში შემოსეულთა სახით. ქაშქა სახელის ვარიანტად ასურულ ლურსმნულ ტექსტებში გვევლინება აბეშლა. როგორც აღინიშნა, მკელეუკრები პირველს აახლოებენ ჩერქეზთა სახელწოდებასთან, რომლებიც ქველქართულ წერილობით ძეგლებში ქაშაგის სახელით არიან ცნობილი. რუსული წყაროები მათ კოსოგ-ს უწოდებენ. მეორის სახელის (აბეშლა) მსგავსებას ხედავენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში მოსახლე ერთ-ერთი ტომის სახელთან აბშილი და მათ ქვეყანასთან – აბშილეთთან.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ქაშქები და აბეშლავები შეუძლებელია ყოფილიყვნენ იგივე ჩერქეზ-აფხაზურ-ადიდეური ხალხის წინაპრები, რადგან, როგორც დავინახავთ, ქაშქა-აბეშლას სატომო გაერთიანების ტერიტორიაზე მოხსენიებულ 170-მდე ტოპონიმისა და ქაშქური ადამიანების საკუთარი სახელების სემანტიკა, მათი შედარება ქართულ, უფრო კი მეგრულ სახელ-გვარებთან და ტოპონიმებთან ასეთი შეხედულების არსებობას არ ეთანხმება. რატომაა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღ-

მოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქაშქა—აბეშლას სახელები ერთად, გვერდიგვერდ ფიგურირებენ. თანაც მცირე აზიაში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების განაპირას მცხოვრები იგივე ტომები ძველ ეპოქაში ხეთურ-ასურულ წყაროებში მოიხსენიებიან, ხოლო კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში მოხსენიებული ქაშქა (კოსოგი?) – აბეშლა (აბშილი), მოგვიანებით ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ ეპოქებში. აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ ტომთა სახელებს შორის დამთხვევა შემთხვევითი როდია. ჩვენ გვგონია, რომ აღნიშნული სატომო სახელწოდებები (ქაშქა, აბეშლა) იქ მოსახლე ქართველმა ტომებმა (მეგრელებმა და სვანებმა) გადმოიტანეს ჩრდილოეთში, ძველაღმოსავლური ხანის დასასრულ ეტაპზე ან ანტიკური ხანის დასაწყისში. ისიც მინდა შევნიშნო, რომ ქაშქა—აბეშლაებს არავითარი კავშირი არ აქვთ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთში თუ რუსეთის სტეპებიდან დაძრულ აფსუა—ჩერქეზ ტომებთან. აფხაზეთისა და მის ირგვლივ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ სვანურ და მეგრულ ენაზე მეტყველი ხალხის ერთობა იყო. ამაზე მიუთითებს არა მხოლოდ სახელწოდება აბასკი, რომლის ფუძე ბასკ-ბასყ სვანურია და მარწყვს ნიშნავს, არამედ მრავალი ფაქტი და მოვლენა. ასევე აფსილი—აფსირი, რომელიც სწორედ ასეთი ფორმითად დადასტურებული ფლავიუს არიანესთან, დაკავშირებულია ქართულ სიტყვებთან: ფსორ — მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, ფსკერ — ძირი, ფშა—ფშანი — მდინარის ახლოს გამონადენი წყარო, ფშატალა — თოვლში ნარევი წყალი გაზაფხულზე და სხვა.

აბასკები და აფშილეთი, უფრო ზუსტად, აფსილები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მოიხსენიებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ

ისინი ცოტათი ადრე მაინც ბინადრობდნენ ამავე ტერიტორიაზე, რადგან მათ ამ პერიოდისათვის (ახ.წ. 131წ.) სამთავროებიც კი ჰქონიათ. აღნიშნულ პერიოდში (ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე), სტრაბონის გადმოცემით, აფხაზეთში მოსახლეობდნენ სვანები, რომლებსაც “ჰყავთ მეფე, 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო და როგორც ამბობენ, მათ შეუძლიათ გამოიყვანონ 200-ათასიანი ლაშქარი.”¹ მისივე გადმოცემით, მათ იძერებსაც უწოდებენ.² სხვათა შორის, ეს მონაცემები თანამედროვე ეპოქაშიც ნაწილობრივ დასტურდება.

სტრაბონის მიერ აღნიშნული მონაცემებით შეუძლებელია სვანებს არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, არამედ მიმდებარე რაიონებიც რომ არ სჭეროდათ. რამდენადმე გაზიადებულიც რომ იყოს სვანების ლაშქრის რაოდენობა, ან თუნდაც აღნიშნულ სამხედრო ძალებში მთელი მოსახლეობის ცოცხალი ძალა იგულისხმებოდეს, მაინც ბევრია მხოლოდ ერთი აფხაზეთისათვის, რადგან, როგორც ცნობილია, იმავე პერიოდში სტრაბონისავე ცნობით, იძერიულებს გაცილებით უფრო ნაკლები სამხედრო ძალის გამოყვანა შეეძლოთ, ვინემ მათ მეზობელ ალბანელებს. ამ უკანასკნელთ პერიოდით 22 ათასი ცხენოსანი და 60 ათასი ფეხოსანი მეომარი.³

კლავდიოს პტოლემაიოსის (90–170წწ.) მონაცემების მიხედვით, მდინარე უუბანი გადიოდა სვანების ტერიტორიაზე.⁴ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელწოდება მდინარისა უუბანი და ძველი სახელი არდონტი (ვარდანა–არდანი) არის ქართველური წარმომავლობისა. პირველი

¹ Страбон. География, Лен., 1964, с. 473.

² იქვე.

³ იქვე. გვ. 476.

⁴ Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, 1997, с. 336.

აღნიშნავს ყრუ უბანს (ე.ი. ყრუ უბანი—ყრუბანი—ყუბანი). მეორე სახელწოდება (არდ—ონი) არდ—ართ ქართულში, მეგრულში ერთს ნიშნავს, ინ—ი კი სუფიქსია. ქართველურ სამყაროში მსგავსი სახელები არაერთი სხვაც გვხვდება — ადამიანის საკუთარი სახელები, გვარები, ტოპონიმები და ა.შ. ბერძენი მწერლისავე გადმოცემით, მდინარე სოანა,¹ რომელიც იგივდება თერგთან,² ამ მხარეში სვანების განსახლებაზე მიუთითებს (სტრაბონთან სვანები სოანას ფორმითაა გადმოცემული). ასე რომ, სვანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა არა მხოლოდ აფხაზეთი, არამედ მიმდებარე ვრცელი ოლქებიც. ასევე საგანგებოდაა აღნიშნული უძველეს წერილობით ძეგლებში როგორც ქაშქების, ისე სვანების მოსახლეობაში არსებული უხუცესთა საბჭოების შესახებაც, რომლებიც თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც დასტურდება. ამ მხარეში ამჟამად მოქმედებს უხუცესთა საბჭო, ისეთივე, როგორიც იყო 2 ათასი წლის წინ. გ. მელიქიშვილის ცნობით, ამ დროს ქაშქებში ვხვდებით გვაროვნული წყობილების დროს სამხედრო დემოკრატიას, სატომო საბჭოს, უხუცესთა საბჭოს და ბელარს.³

ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში სვანური ტომების განსახლების არეალი მოიცავდა ტერიტორიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან იმიერკავკასიის ბარამდე,

¹ პტოლემაიონის რუბაზე მდინარე სოანა თანამედროვე მდინარე ახ—სუს შეფარდება (с. Т. Еремян. Страна махелония надписи Кааба-и-зардшут-ВДИ, 1967, №4, с. 57.).

² К.Алиев. Новое о границах древней Кавказской Албании. - В всесоюзная сессия по древнему востоку 1971 г., тезисы докладов, Тб., 1971, с. 130-131.

³ გ.მელიქიშვილი. ძიებახი საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 91.

მდინარე თერგსა და ყუბანს შორის.¹ ვ. თოფურიას აზრით, სვანები მოსახლეობდნენ ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდობალყარეთის მთიან ნაწილში, ლეჩეუმსა და რაჭის ჩრდილო ნაწილში; ბალყარები და ყარაჩაელები წარმოშობით სვანები არიან.²

საქართველოს ტერიტორია რომ ყუბანამდე და ვოლგის შესართავამდე ვრცელდებოდა, არც ესაა ახალი. ლეონ I აფხაზთა (მეგრელთა, სვანთა) ერისთავი საქართველოს ნაწილად თვლიდა ტერიტორიას კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე (ვოლგა), თავისთავს კი – საქართველოს სამეფო კარის ქვეშევდრომად.³

ა. სონდულაშვილი წერს, რომ სვანები მოსახლეობდნენ ჩრდილო კავკასიაში, რომელიც ყუბანის ტერიტორიასაც მოიცავდა. სწორედ ამის გამო გვხვდება შუა საუკუნეებში ტერმინი–დიდი სვანეთი. აქ ნაჩვენებია სონის გზა. ოსები მდ. ურუხის ხეობაში გვიან ჩამოსახლდნენ.⁴

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე აბეშლა–აფსილი–აბშილი იგივე სვანები მეგრელები (პტოლემაიოსის სვანო–კოლხები, ფავსტოს ბუზანდის ეგეორ–სვანები) რომ არიან, ამას მოწმობს ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობაც. მისი მოწმობით, აჯანყებულ მისიმიანებთან მოსალაპარაკებლად ბიზანტიელებს აფშილები გაუგზავნიათ, იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთის მონათესავენი ყოფილან და არ განსხვავდებოდნენ ენითა

¹ თ. მიბზუნი. მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986, მისივე, სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის –სქაუქტ, გვ. 464.

² იხ. ქრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბ., 1963, გვ. 80-166.

³ ჩვენი საქართველო. ივ. ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ, ავტორ-შემდგენელი ნ. ფოფხაძე, თბ., 2002, გვ. 67-69.

⁴ ა. სონდულაშვილი. „სამხრეთი ოსეთი საქართველოში?!“ თბ., 2009, გვ. 37.

და ჩვევებით. მისიმიანები იგივე სვანები უნდა იყვნენ (შეადარეთ მისიმიანი—სვანთა თვითსახელ მუშანს, მოსინიკს). ბიჭვინთამდე სვანების განვრცობაზეა საუბარი აგრეთვე VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, ოღონდ ჩრდილოეთის მხრიდან.¹

ყოველივე ამას მხარს უჭერს აგრეთვე არქეოლოგიური მასალებიც. კოლხური კულტურის დამახასიათებელი ატრიბუტებია აღმოჩენილი როგორც ჩრდილო კავკასიაში, ისე ყიმირის ნახევარკუნძულზე. ყუბანის უძველესი დროის კულტურა ისეთივეა, როგორიც სამხრეთ კავკასიის კულტურა. ჩრდილო კავკასიის ფენები გათხარა ე. შანტმა და მისი წიგნები ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში.² ყირიმშია ნაპოვნი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი შრომის იარაღები: წალდი,³ ცულები, გრაფიტო წარწერით — კოლხი, კოლხური თეთრი და ა.შ.⁴

6. მარის აზრით, კოლხური ტომები, საკუთრივ მეგრულები ყირიმშიც ბინადრობდნენ (პანტიკაპეამდე)⁵. ყირიმში გასულ საუკუნემდე მართლაც შემორჩა ქალაქები სახელწოდებით: ქუთაია, დია, კონცხი აია ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. ქალაქები და ქვეწები მსგავსი სახელწოდებით უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე არსებობდნენ როგორც ქართველი ტომების განსახ-

¹ С.Б. Ашурбейли. Древнеармянские письменные источники V-VII вв. о племенах и народах Кавказа. - Источниковедческие разыскания, Тб., 1988, с.227.

² წიგნი მთიოებულია ნ. ფოფხაძის ნაშრომში. — გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 14 ივლისი, შეადარეთ: თ. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 220; მიხვე, ქართველურ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებათვის, თბ., 1976, გვ.15, 59-60.

³ А. Каҳидзе, Н. Каҳидзе. Древнеколхидское хозяйственное орудие цалди. — Российская археология, 1993, №3, с.198-203.

⁴ თ. ჯაუხეთიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წაროები, თბ., 1976, გვ. 20.

⁵ პანტიკაპეონი დაარსა აიეტის შვილმა (იქვე).

ლების არეალში, ისე ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე: ქუთა-ქუთაია-საქართველოს ქალაქი (ქუთაისი), ქუთა-ურარტუს ქალაქი, ჩრდილოეთ მესაპოტამიაში. დია შევადაროთ ქართული სახელმწიფოს დია-ოხ-ი-ს სახელს. სოხუმის ანტიკურ სახელს დიო-სქურ-ია, ქართულ გვარს დია-ურ-ი. აია-ასეთი სახელით აღნიშნულ მიწაწყალზე 20-მდე ქალაქი, ოლქი და ქვეყანა არსებობდა, მათგან მნიშვნელოვანი იყო პ-აია-სა, დ-აია-ენი, უ-აია-ის-ი. ბერძენ-ლათინი ავტორების (ფსევდოსკილაქსი, პლინიუსი, პტოლემაიოსი, სტეფანე ბიზანტიელი) გადმოცემით, შიგ კოლხეთის შუაგულში არსებობდა ქალაქი აიას სახელით (ქუთაისი ან ნოქალაქევა-არქეოპოლისი). პომეროსის გადმოცემით, ასე ერქვა კოლხეთის ოლქსაც და ქვეყანასაც,¹ ლეგენდარული ქართველი მეფის აიეტის სამეფოს. ქუთაია, დია და აია ქართული ეტიმოლოგიის მქონეა. აზოვის ზღვის უძველესი სახელი, მეოტი-მეოტიდა, რომელსაც ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ასახელებს, ისიც ქართულია.

აია სვანურ მითოლოგიაში მიწისქვეშეთისა და მიწათმფარველობის ღვთაება იყო. ქუთაია გაფორმებულია ია მეგრული სუფიქსით, ძირი ქუთა, ჩვენი აზრით, ან ადამიანის საკუთარი სახელია (ასეთ შემთხვევაში ნიშნავს ქუთას შვილებს) ან თავისუფალი ადგილი მოებს შორის (შეადარეთ ქუთნა-გამოქუთნას)². ან კიდევ ქუა-თა, ქვადან მომდინარეობს.³ რაც შექხება დიას, იგი შეიძლება აია ფუძედან იყოს განვითარებული. დ ქართველურ ენებში ხალხის კატეგორიის სიმრავლის მაჩვენებელია. თავდაპირველი დაია-დან შეიძლება მომდინარეობდეს დია. გვაქვს მეორე

¹ Гомер. Одиссея, перевод В. Жуковского, М., 1981, с. 158, 167, 171.

² რ. გორდეზიანი. წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 118.

³ ვ. ჯაოშვილი. ქუთაისი, თბ., 1989, გვ. 57.

ვარიანტიც. დია მეგრულ-სვანურში დედაა. დია-ო საქართველოში ადამიანის საკუთარი სახელიცაა, დიაური-ქართული გვარია, სოფელიცაა (დია) კლარჯეთის ტერიტორიაზე.¹ როგორც ზემოთ ითქვა, ჰეროდოტეს უწინარქსაც აზოვის ზღვას მეოტიდა ერქვა, მის გვერდით მოსახლე ხალხს მეოტები ერქვათ. რას ნიშნავს მეოტი? ეს სიტყვა ქართულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც გაქცეული, განლტოლვილი, გადახვეწილი.² „ქართლის ცხოვრების“ დანართში მეოტი-გამოქცეულს ნიშნავს.³ ესაა ძველი ქართული სიტყვა და ნიშნავს გაქცეულს, მოხეტიალეს, შეიძლება მომთაბარესაც.

არისტარქეს (ძვ. წ. 65–47 წწ.) მართველობის პერიოდში კოლხეთის სამეფო მოიცავდა როგორც კოლხეთს, ასევე ყირიმსაც ტრაპიზონის მხარის ჩათვლით. ეს აღიარა რუსმა ი. პროცენკომაც, თავის წიგნში საქართველოს შესახებ.⁴ ქართველ მეფეს მითრიდატე VI ევპატორს (121–65 წწ.) არა მხოლოდ აღნიშნული მიდამოები (მათ შორის ყირიმიც) უჭირა, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიც ქართველი ტომების (ხალიბები, ხალდები, ტიბარენები, მარები, მაკრონები, სანები, მოსინიკები, დრილები, სკვითინები და სხვათა) მიწა-წყალი. სხვათა შორის, კოლხეთაიას სამეფოს იგივე ტერიტორიები ეპყრო აიგრის მეფობის (XIIIს.) პერიოდშიც, დიოდორე სიცილიელი გადმოგვცემს,

¹ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი, გვ. 154.

² ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 276.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 444.

⁴ ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ, ავტორ-შემდგენელი ნ. ფოფხაძე, თბ., 2002, გვ. 19.

რომ აიეტი კოლხეთში მეფობდა, მისი ძმა პერსესი ტაგ-რიკეზე¹

აკად. ნ. ვაკილოვს ხორბლის ჯიში მახა უნახავს ყირიმის არქეოლოგიურ მასალებში და აღუნიშნავს, რომ ეს ჯიში მხოლოდ ყირიმსა და კავკასიაში გვხვდება, რაც მოსახლეობის ერთგვაროვნებაზე მიუთითებს. ყირიმში მოპოვებული სხვა სახის მასალებიც ქართველური წარმომავლობისაა.²

ბოსფორის სამეფოს ტერიტორიაზე ქერჩის მიდამოებში ნაპოვნ ბერძნულ წარწერებში (თარიღდება ძვწ. IV ს-ით) მოიხსენიებიან კოლხები: ფილოკომოსი კოლხის ძე და მაძისი კოლხის ძე. ქერჩს ვესტბერგისა და ნ. მარის გადმოცემით, IX საუკუნეში ერქვა Kor_wd II კორდ II კერჩ.³ კორ II კურ ძირიანი ტიპონიმები ქართული წარმომავლობისაა. შეადარეთ ქართული სოფლების სახელები: კურანი ფასიანის მხარეში, კურუშეთი, კორტოხი, კორიდეთი, კორანი, მდინარე კური (მტკვარი), ქვეყანა კულხა-კოლხეთი, ურარტულ წყაროებში ქართული ქვეყნები: კურიანი, კულიანი, კულხახალი, კუარზანი, ბორცვი კორდანო და უამრავი მიკროტოპონიმი კორტოხის ოუ კორტოხას სახელით საქართველოში.⁴ ქართული გვარებია: კორკელია, კოროშინაძე, კორტავა, კოროხია, კორძაია და სხვა.⁵ საქართოდ, კორ-

¹ ო. ყაუხებიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1977, გვ. 88.

² ჩვენო საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ, ავტორ-შემდგენელი ნ. ფოფხაძე, თბ., 2002, გვ.12.

³ Н.Я. Mapp. Этно и глоттогония восточной Европы, Лен., 1935, с.164, 182.

⁴ ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959; მისივა ნაშრომი იხილეთ საქართველოს იხტორიული გეოგრაფიის კრებულში, IV, თბ., 1971.

⁵ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, თბ., 1999, გვ. 705.

კორი-კორა ფუძე ძალზედ გავრცელებულია ქართულ ტოპონიმიკაში.¹

რა სემანტიკის მატარებელია ფუძე-ძირი კორ? ქართულში კორას აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1) კარის საკუტი ხის კოჭი. 2) იგივეა, რაც საქადური (უღლის ამოწეული ადგილი, რომელიც ხარს ქედზე ედება; კორდინატით, რომელიც წლების განმავლობაში არ მუშავდებოდა; კორტოხი-გორაკი, მაღლობი და ა.შ.²

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ მოყვანილი ახალი ერის დასაწყისისათვის ყოველმხრივ გამორიცხავს აფსუა-ჩერქეზული მოდგმის ტომების არსებობას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ისინი ამ პერიოდში კასპისა და არალის ზღვასთან მოსახლეობდნენ. აქ ბინადრობდნენ მხოლოდ კოლხები და სვანები. პლინიუსიც (23–79 წწ.) აღნიშნავს ამ მხარეში რამდენიმე სვანური ტომის (საჩების-სანიგების) არსებობას.³ არაერთი ბერძენი და რომაელი მწერალი მიუთითებს ამ მხარეში სანების, სანიგების,⁴ სვანების, სოანების, კოლხების, კოლების, კორაქების, პენიონების მოსახლეობას, რომელთაც, პტოლემეოსის ენით რომ ვთქვათ, სუანო-კოლხები (სვანო-ეგრისელები) ეწოდებოდათ.⁵ პროპატი კესარიელის ცნობით, სვანეთის მოსახლეობას უჭი-

¹ რ. გორდეზიანი. წინაბერმნული და წინაქართველური, გვ. 117.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომებული, თბ., 1986, გვ. 269.

³ პლინიუს უფროსი. ბერძენის ისტორია. — ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი ალ. გამჭრელიძისა, თბ., 1973, გვ.32.

⁴ სატომო სახელი სანიგი სანგის ფორმით დადასტურებულია ურარტუს ტერიტორიაზე, რომლის მმართველი დინასტია და მოსახლეობის 80% მეტს შეადგენდნენ ქართველი ტომები.

⁵ ჩვენი საქართველო... გვ. 22; ახლანდელი ტაშქენტის ადგილას ძველ ციხე-სიმაგრეს ერქვა ჩაჩი (შეადარეთ ჩაჩ-ბა, ე.ი. ჩაჩის შვილები, შთამომავლები): გ. იანი. კოცონგბი ქურდანებზე, თბ., 1970, გვ. 283, შენ.1.

რავს კავკასიის მთების მწვერვალები და გარშემო ტერიტორია. ზოგიერთი მათგანი მათ კორაქსებს, კერკეტებს, ჰენიონებს, აბასკებს, სანებსა და სანიგებს ეძახის. ვფიქრობ, მართებული უნდა იყოს გ. ერაძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში, დასახელებულ ჯგუფთაგან, ყველა სატომო სახელს არ უნდა წარმოადგენდეს, ზოგიერთი შერქმეულია თვით ბერძენ-ლათინთა მიერ და არა მხოლოდ მათ მიერ, არამედ ზოგიერთი მათგანი თვით ქართველთა მიერაც. გ. ერაძე მიუთითებს, რომ ტუაფსესა და ტრაპიზონის რეგიონებში მოსახლე ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიებული ტომები (ჰენიონები, კერკეტები, კორაქსები, აბაზები, სანიგები, სანები და ა. შ.) მეცნიერთა მიერ ეთნონიმებად არის მიღებული. მკვლევარი მართებულად მიუთითებს, რომ კოლხურ კულტურაზე უადრესი აფხაზურადიდეური სამყაროს შეთხვისა და დამკვიდრების უსუსური საფუძვლები მეცნიერებას არ გააჩნია. ჩამოთვლილ ტომთაგან ყველა მათგანი ქართული სიტყვებით იშიფრება. აფხაზი-ქართული განზოგადოებული ცნებაა და აღნიშნავს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს. აბაზი-აბაზა-აფხარი ქართული მიკუთვნილებითი ფორმაა იმ აფხაზთა, ანუ ქართველთა, რომლებიც ეგრისის სამეფოს სამოსაზღვრეო ფუნქციას ასრულებდნენ ფეოდალური ურთიერთობიდან თავისუფალ, ნებაყოფლობით ურთიერთობაში,¹ სულხან-საბას (18ს.) ლექსიკონის მიხედვით:

ა) “კესკეტონი-არიან კაცთა დამეთა მცველნი, რათა ბოროტად მოქმედნი არა უტეონ.”

¹ გ. ერაძე. როდის და როგორ შეტრიალდა აფხაზეთი? – გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1996, 5 იანვარი.

ბ) “ინიონი—რაინდი.” მისი წარმომავლობა პენიონიდან ეჭვს არ იწვევს. მით უმეტეს, რომ პენის, ცხენის თუ პუნქს გარეშე რაინდის ფუნქცია წარმოუდგენელია.

გ) “ქორაკი—ავშარა”—ულაბმო აღვირი ცხენის. კვლავ საცხენო ატრიბუტიკასთან დაკავშირებული ტერმინებია—კორაქსიც. ისინი მარტების უდელტეხილს აკონტროლებდნენ ორივე მხრიდან. აქვე იყო გეოგრაფიული ტოპონიმი კორაქსის კადელი.

გ. ერაძე სვამს კითხვას და თავადვე პასუხობს: შეიძლება კი ამდენი ზუსტი აზრობრივ-ფონქტიკური დამთხვევა შემთხვევითობას მივაწეროთ? რასაკვირველია, არა.¹ აფხაზეთსა და ჯიქეთს ქართველების საცხოვრისად წარმოგვიდგენს იტალიული მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, იგი გვიამბობს, რომ აფხაზეთისა და ჯიქების ქვეყნებში მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულები და ქართული ზედწარწერით: ანაკოფიასა და ბიჭვინთაში არის კოლხიდის გურიისა და იმერეთის პატრიარქის საჯდომი.² მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება უამრავი.

ა. ბაქრაძე რეკომენდაციებს აძლევს უურნ. არტანუჯის რედაქციას აფხაზეთის თემაზე სპეცნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით. იგი წერს: “აფხაზეთის ტერიტორიაზე უზარმაზარი ქრისტიანული ტაძრებია. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა. უწიგნოდ ქრისტიანობა წარმოუდგენელია. “აფხაზურად”, უფრო სწორად, აფსუურად წიგნი პირველად მე-20 საუკუნეში დაიწერა. მაშინ რომელ ენაზე მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა ამ ტაძრებში? რა თქმა უნდა,

¹ იქვე, გაგრძელება 6 იანვრის გაზეთში.

² არქანჯელო ლამბერტი. საქართველოს აღწერა, თარგმანი აღ. ჭყონიახი, თბ., 1938, გვ. 10.

ქართულად. ამას ამ ტაძრების ქართული წარწერებიც ადასტურებენ...¹

ხეთური და ასურული წყაროების ქაშქა (გასგა) — აბეშლა რომ მეგრულ-სვანური წარმომავლობის თემებისაგან იყო წარმომდგარი, როგორც აღინიშნა, ამას ადასტურებს არა-ერთი ბერძნულ-რომაული წყაროის მონაცემები. იმავე ტერიტორიაზე, რომელზედაც ძველადმოსავლურ ხანაში ქაშქბი ბინადრობდნენ, მოგვიანებით, ანტიკურ ხანაში, მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (მეგრული, სვანური) ტომები მოსახლეობდნენ. ამ ტომთა და დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებების სემანტიკა აღნიშნული ენების ლექსიკური ფონდის საშუალებით იხსნება. ქაშქა—აბეშლას ტომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ანტიკური ხანის დასაწყისისათვის არ იხსნიებიან, რის გამოც საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი აქედან სწორედ ამ დროს ან მომდევნო ხანაში უნდა გადასახლებულიყვნენ როგორც კაგკასიის ჩრდილო—დასავლეთ ნაწილში, ასევე საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის სხვა ოლქები-სათვის უნდა მიემართათ და იქ დასახლებულიყვნენ. ასეთი შეხედულების მართებულობაში გვარწმუნებენ ტოპონიმები, რომლებიც მკვლევართა და ჩვენი შეხედულებითაც, დაკაგ-შირებული უნდა იყოს სატომო სახელ ქაშქა—აბეშლასთან: მთა კასპია, დასახლება კასპი, კაცები, კასპიის ზღვა, კას-პიის ბჭე, კასპიის გასასვლელი, ტომი კასპიები, ოლქი კასპიანა და შესაძლებელია კახი—კუხი—კოხი (დაახლოებით კახეთის ტერიტორია).

სტრაბონის დროისათვის, ე. ი. ძველი და ახალი წელ-თაღრიცხვის მიჯნაზე, ტომი კასპიები და მათი ქვეყანა კასპიანა უკვე აღარ არსებობდა. როგორც ჩანს, ეს ტომი

¹ ქურნ. არტანუჯი, №10, თბ., 2000, გვ. 7.

შეერწყა ალბანურ ტომებს. სავარაუდოა, რომ მათი გაქრობა ძვ. წ. III-II საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ამათ პეროდობე მოიხსენიებს, იგი მათ ახასიათებს, როგორც თავის თანამედროვედ, კ. ი. ძვ. წ. V საუკუნეში. ისინი, მისი თქმით, შედიან მე-11 სპარსულ სატრაპიაში.¹ ბერძენი ისტორიკოსი მათ ქვეყანას კასპიანას უწოდებს, თავისი ნაშრომის სხვა აღგილას გვაწვდის კასპიების შეიარაღებისა და მათი მონაწილეობის შესახებ სპარსელთა მხარეზე საბერძნეთის წინააღმდეგ გამართულ ომში.² სტრაბონი კი მათ შესახებ ამბობს, რომ მისი ცხოვრების პერიოდისათვის ისინი უკვე გამქრალი იყვნენ. პეროდობე ცხოვრობდა და მოდგაწეობდა 484–425 წლებში, ხოლო სტრაბონი ძვ.წ. 64 – ა.წ. 24 წლებში. აქედან გამომდინარე, კასპიები ისტორიის არენიდან უნდა გამქრალიყვნენ ძვ. წ. IV-II საუკუნეებში, უფრო კი II საუკუნეში. ალბანელებმა თავიანთი სამეფო დააარსეს ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე. მომდევნო საუკუნეებში მათში არაერთი ტომი გაითქვიფა. ყოველივე ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით, კასპიების გადაშენების პროცესი ძვ. წ. III საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო და იმავე წელთაღრიცხვის II საუკუნეში დასრულებულიყო.

მპელევართა აზრით, კაგბასიის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს სატომო სახელ კას-ებთან (კას-პ, კას-კუ). აქ მითოთებულია სტრაბონი, რომელიც ერატოსთენეზე დაყრდნობით ამბობს, რომ ადგილობრივი მცხოვრები კავკასიას კასპიეს უწოდებდნენ. კასპიეს დაკავშირება შეიძლება საჭართველოში არსებულ დასახლება

¹ პეროდობე. ისტორია, ტ.I, თბ., 1975, გვ. 225.

² А.Н. Даватур и др. Народы нашей страны в «истории» Геродота, М., 1982, с.95, 165.

კასპ-თან¹. 6. მარის აზრით, ეს მოწმობს, რომ უხსოვარ დროში, ოდესაც ყველა ამ რაიონში, დაახლოებით, ქართლის სოფელ კასპიდან დაწყებული მთელი კახეთის გავლით კასპის ზღვამდე, ბატონობდა ხალხი კას-ები, რომლებსაც აქედან გამომდინარე ჰქონდათ სატომო სახელი კასპი ანუ კასხი და ა.შ.²

6. მარის თეორიის თანახმად, სამხრეთ კავკასიაში ძველად, უხსოვარ დროს ერთ-ერთი ძლიერი ტომი იყო კას-ები, რომლებიც იწოდებოდნენ განსხვავებულად – ხან კას-კუ, ხან კას-ხ, ხან კას-პ. მათ არაერთ გეოგრაფიულ ერთეულს მისცეს სახელები. მათგან უნდა წარმოქმნილიყო სახელწოდებები კახი ანუ კაჭხები (კახ [ეთ] ელები). მისგან გაორმაგების გზით წარმოქმნა კავკასიის მთის სახელი, რომელიც შემდეგ იქნა გადატანილი გასასვლელზეც. მისი გე გადმოცემით, კას-ხ-ს სხვადასხვა ხალხის სახელებთან აქვს კავშირი კოსოვი, კაზაკი. კაციდან გამოჰყავს კასიტი, კასპი, კახი და სხვა.³

მსგავსი შეხედულების მომხრენი იყვნენ ლ. მელიქ-სეფ-ბეგი, ივ. ჯავახიშვილი და სხვები. ივ. ჯავახიშვილი ქაშქა-კასკას კოლხებს უკავშირებდა. იგი ამბობდა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები, რომლებიც შემდეგდროინდელი მესხების, იბერებისა და კოლხების წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლებს აწარმოებდნენ ასურეთის წინააღმდეგ. კიმერიელთა შემოსევამ დაამხო მაშინდელი იმპერიები და ქართველ

¹ Л. Меликссет-беков. Введение в историю государственных образований юго-Кавказа, Тиф., 1924, с. 92-93.

² Н.Я. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. – Известия академии наук, 1916, с. 1392-1394.

³ Н.Я. Марр. Основные вопросы истории языка, Лен., 1937, с. 256.

ტომთა ტალღაც ჩრდილოეთისაკენ წასწია. ამ დროიდან მოყოლებული, მუსკების, თაბალებისა და კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ამიერკავკასიონდა განისაზღვრებოდა.¹

6. ბერძენიშვილის აზრით, კასხები წარმოიშვნენ კასპიანის ისინი არსად წასულან, ადგილზე დარჩნენ და დროთა განმავლობაში ქართიზაცია განიცადეს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთლად ნათელი არ არის, ვინ არიან კასხები, ქაშქები თუ თავად კასპიები.²

ალ. აბდალაძე მოვსეს ხორენაცის (Vს.) სომხეთის ისტორიაში მოხსენიებულ კასპთა (კასპქი, კაზბქი) ტომთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ საიდუმლოებითაა მოხილი, თუ რა ენაზე მეტყველებენ კასპიები, ანდა როდის გაქრენენ ისტორიის არენიდან. ისიც უნდა ითქვას, რომ ანტიკური ავტორები კასპიების სახელწოდებით აერთიანებდნენ სხვადასხვა მოდგმის ტომს.³

ლ. სოლოვიოვის აზრით, ქაშქები მოედვნენ არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობს და აქ მოხახლეობა შეცვალეს, არამედ სხვა მეზობელ (მაგ. აფხაზეთი) რეგიონებშიც განსახლდნენ.⁴

შესაძლებელია თუ არა მოხვდრილიყვნენ კასპა-ქაშქაშები ტომები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე?

¹ ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ნ.I, თბ., 1979, გვ. 43.

² 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 364.

³ მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაუროვ ალ. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 273, შენ. 135.

⁴ ცნობა ამოღებული მაქვე: გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 44.

რადგან ქაშქა ტომებში სვანური და, ძირითადად, მეგრული ჯგუფები იგულისხმებიან, ამიტომ მათი ნაწილი, როგორც ჩანს, ადგილზე დარჩა, ხოლო ნაწილი კი კაგბა-სიისაკენ დაიძრა. ნაწილი რომ ადგილზე დარჩა, ამის მამტკიცებელია მრავალი სატომო, თემისა და ქალაქის სახელი, რომლებიც იმავე ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაშიც განაგრძობდნენ არსებობას, და რომელთა სემანტიკა მეგრული ენის გამოყენებით იხსნება.

ქაშქასა და აბეშლას სახელები ძველაღმოსავლური ხანის დასასრულისათვის, როგორც უპევ აღინიშნა, ქრება მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე და მოგვიანო ეპოქაში, ამიერკავკასიაში ჩნდება შესაბამისი სატომო სახელები ქასქა-კოსოვი, აბეშლა-აფსილი (აბშილი). ამავე დროს ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები და გეოგრაფები, აგრეთვე ქართველი მემატიანენი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოიხსენიებდნენ ტომსა თუ ტოპონიმებს, რომლებიც თითქოსდა ფონეტიკურად ქაშქებს უკავშირდება. ეს, როგორც უპევ ზემოთ ითქვა, არაერთმა მკვლევარმაც აღნიშნა.

რა კავშირში შეიძლება იყოს სატომო სახელი ქაშქა-კასკა საქართველოს დასახლებული პუნქტის სახელთან-კასპთან და თუკი მართლაც კახი წარმოშობილია კასხიდან, ამ სახელწოდებების კორექციას თუ მოვახდენ, აშკარად დავინახავთ, რომ საკვლევ ტერმინებში გამოიყოფა ძირი ქაშ-კას (შეადარეთ კას-პი, კას-ხი, კას-პია). როგორც ვხედავთ, მათ შორის სხვაობა მხოლოდ სუფიქსებში გამოიხატება. არიან კი ისინი ნამდვილად ქართული მაწარმოებები? რა კავშირი შეიძლება პქონდეს აღნიშნულ სუფიქსებს ერთმანეთთან?

მაწარმოებლები, რომლებიც აწარმოებენ სატომო სახელ ქაშქას (კასკა, გაშქა) და მეორეს მხრივ ამიერკავკასიურ სახელწოდებებს კასკი, კახი, კასპია, შემდეგია: ქი, კი, გა, ხი, პი, ია. ჩვენი აზრით, აღნიშნული მაწარმოებლები თავიანთი წარმომავლობით უნდა იყოს ქართველური და მნიშვნელობით თითქმის იდენტურნი.

საყოველთაოდ ცნობილი ქართველური (სვანურ) ტომის მესხების წინაპრების სახელებს მუსკაია, მუსკი, მუშქი, მოსოხი, მოსხიკე, მუშკინი, მესხი და ა.შ. ჰქონდათ შემდეგი მაწარმოებლები: ია, კი, ქი, ხი, კე, ხი. ამ სატომო სახელს იგივე სუფიქსები გააჩნია, რაც სატომო სახელ ქაშქა—კასკას. მსგავსი მაწარმოებლებითაა გაფორმებული არაერთი ქართველური ტომისა თუ ქვეყნის სახელები, კერძოდ: კოლხი, კოლხიკე, კულხა, ლაზიკა, მოსინიკი, ოძრხე, უიტერუხი, დიაოხი, აბილიანიხი, აშტუხინი, სანიკე, სანიგი, სინიხი და მრავალი სხვა.

გ—კ—ხ, როგორც ცნობილია, ისეთი ბგერებია, რომ მათი ერთიმეორეთი მონაცვლეობა ქართული ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით დასაშვებია.¹ ხი (ხე) და მისი ვარიანტები სვანურ ენაში გავრცელებული სუფიქსებია და ისინი აღნიშნავენ კუთვნილებას, ე. ი. კუთვნილებითი სუფიქსებია. მეგრულში ხი, ხის ნიშნავს ხალხს, ქი—ქვეყანას. საკუთრივ ქართულში ხი მრავლობითობას, შთამომავლობას აღნიშნავს.

რაც შეეხება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დადასტურებულ ეთნონიმსა თუ ეთნონიმურ სახელწოდებას (კასპი ტომი, კასპი დასახლება, კასპია ქვეყანა) როგორც ჩანს, მათში გამოყოფილი სუფიქსებიც ქართველური წარმომავ-

¹ ქ. სანაძე, ზოგიერთი გვარის წარმოებისათვის „ტბეთის სულთა მატია-ნეში“. — მაცნე, ისტ. სერია, 1974, №4, გვ. 135.

ლობისაა. რას უნდა ნიშნავდეს ამ სახელწოდებებში გა-
მოყოფილი პი?

პი (ფი), როგორც აღვნიშნეთ, ასეთივე სუფიქსი გამოი-
ყოფა ურარტუს დედაქალაქის ტუშ-ფა (ტუშპა) სახელიც
და სათანადო ადგილას დავუკავშირეთ ქართულ სამყაროს,
კერძოდ სვანურს. ამ ენაში ფა (პა) ნიშნავს დინასტიას,
ტომს, მოდგმას, ჯილაგს, გვარს. შესაძლებელია ქართულ
ენაში ფა-ს ვარიანტად ბა-პა (ბაბა, პაპა) გამოდგეს. ტუშ-
პა-თუშფა ნიშნავს ტუშების-თუშების მოდგმას, გვარს, ჯი-
ლაგს. ამ გარემოების გათვალისწინებით, კასპი (კასფი თუ
ქაშფი?) აღნიშნავს ქაშ-ების, კას-ების ტომს, მოდგმას,
ჯილაგს.

მაშასადამე, მცირეაზიული და ამიერკავკასიური სატომო
და საგეოგრაფიო სახელების ძირები კაშ-კას-ქაშ ერთმანე-
თის იდენტური შეიძლება იყვნენ. ისინი ერთ შემთხვევაში
გაფორმებულია პა (ფა, ბა), ხოლო მეორე შემთხვევაში ქა
(ქი, კი, ხი) მაწარმოებლებით. სახელწოდებები ქაშქი, კასკი,
კასპი, კასპია(ხა), ფაქტიურად, ერთი და იგივე ქართული
წარმომავლობის ტოპონიმები თუ სათემო სახელწოდებებია.

ქაშქების კვალი შესაძლებელია შემორჩა საქართველოს
სხვა ტოპონიმებსაც. გორის რაიონში გვაქვს ტოპონიმი
სა-ქაშ-ეთ-ი, ხაშურის რაიონში ქაშ-გ-ეთ-ი და აქვე ახ-
ლოს ჩამომდინარე ქსანი, რომელიც მტკვარს ერთვის. ხომ
არაა ქსანი თავდაპირველი ქას-ნი-დან მომდინარე. ბაღ-
გაშთა სამფლობელოს კაცხის (არგვეთი) სახელიც შესაძ-
ლებელია უკავშირდებოდეს აღნიშნულ ეთნონიმსა და სხვა.

საინტერესოა, რამდენად ძველია აღნიშნული სახელწო-
დებები? დაგიწყოთ ქართული ქალაქით – კასპით. ლეონტი
მროველი (XI ს.) ძველ ცნობებზე დაყრდნობით ქალაქ კას-
პის დაარსებას მითიური მცხეოლების შვილს ეთნარქ უფ-

დოს მიაწერს. კასპი იხსენიება უძველეს ქართულ ქალაქთა სარკინე, ურბნისი, ოძრახე და სხვათ გვერდით. კასპი მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. IVს.) საქართველოში ვითომდა შემოსვლის დროს.¹ “მოქცევაი ქართლისაი”-ს ქრონიკა ამავე პერიოდში ახსენებს კასპის ციხეს “უფლისციხე კასპისა.”² ქართველი ისტორიკოსი ამავე დროს გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქართლის სამეფოს მეათე მეფის არსების მოღვაწეობის დროს, მან “კასპი შეიპურა და უფლისციხე განაგო”.³ არსები ჩვენი გამოთვლით მეფობდა ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში ან III საუკუნის I ნახევარში, შესაძლებელია, სულაც უფრო ადრეულ ეპოქაში.⁴

6. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ კასპი უძველესი ქალაქია. მას ციხეც პქნედა, რომელსაც უფლისციხე ერქვა. ამავე წყაროს ცნობით, კასპი უფრო ძველია, ვიდრე ქალაქი მცხეთა.⁵

საქართველოს ქალაქის სახელი კასპი გამოძახილია ქაშქების ანუ კასპების სატომო სახელისა. კავკასიონის ქედის ერთ მონაკვეთს, მათი საცხოვრისის მომიჯნავეს, ეწოდებოდა კასპიის მთები. შესაძლებელია, მათი გამოძახილი იყოს კახი—კახეთი (კასხი). ჩვენ უფრო გვგონია, რომ კახი—კოხი—ჯუხი კაგშირში იყოს ურარტულ წყაროებში მოხსენიებულ სატომო სახელთან ერიკუხი, რომელიც სევანის

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 10, 17.

² შატბერდის კრებული, X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გოუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 320, 321.

³ იქვე, გვ. 320, 321.

⁴ კასპის ისტორია და არქეოლოგია იხ: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., 1990, წ. 5, გვ. 128 და შემდეგი.

⁵ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკოხები, თბ., 1990, გვ. 333, 334.

ტბის ჩრდილოეთით ბინადრობდა.¹ ტერმინი შეიძლება დაიყოს ორი ნაწილისაგან ერი-კუახი. პირველი ნაწილი ერი ძველქართულში ხალხს, ჯარს, მრავალრიცხოვნებას გამოხატავდა, ხოლო კუახი იყოს კუხი-კოხი-კახის იდენტური. ერიკუახის შინაარსი იქნება ერი, ხალხი კუხი, კუხი, კახი.

კასპიები, როგორც ჩანს, მტკვრის დინების გაყოლებით თანდათანობით კასპიის ზღვასთან, მტკვრის შეერთების რაიონის სიახლოებებს მკვიდრდებიან. ანტიკური ხანის პირველ ნახევარში გაჩნდა მათი სახელობის კასპიის ზღვა, კასპიის კარი (გასასვლელი, ბჟე), ოლქი კასპიანა და ოვით სატომო სახელი კასპია.²

კასპიების ტომსა და მათ სახელთან დაკავშირებული გეოგრაფიული ერთეულების შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის სტრაბონი (ძვ. და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნა) მასთან მოხსენიებული და დახასიათებულია კასპიის მთები, კასპიის ზღვა, ტომი კასპები, ოლქი კასპიანა და კასპიის კარი. ბერძენი მწერლის ცნობით, კასპიების ტომი ამჟამად დაკარგულია, მაგრამ მათ სახელთან დაკავშირებული სახელწოდებების მქონე გეოგრაფიული ერთეულები აღბანელებს მიეკუთვნება. ადრე კასპიანა მიდიელებს არმენიელებმა წაართვეს. დიოსკურიიდან (სოხუმიდან) კასპიის მთამდე 5 დღის საგალი და დაახლოებით 9600 სტადიონია.³ ადგილობრივები კაგკასიონის მთას კასპიების ტომის მიხედვით კასპიას უწოდებენ. სხვათა შორის, სტრაბონი კიდევ ერთ საინტერესო და საყურადღებო ცნობას იძლევა კასპიების შესახებ, მისი გადმოცემით, კასპიები

¹ Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), Еր., 1970, с. 155, 156.

² კასპიები მოსახლეობდნენ მტკვრის კასპიის ზღვასთან შეერთების რაიონში (Вопросы истории Кавказа и Албании, Баку, 1962, с.27).

³ სტადიონი შეეფარდება დაახლ. 200 მეტრს.

70—წელზე გადაცილებულ მშობლებს შიმშილით კლავენ.¹ მაგრამ ეს ცნობა რამდენად გამოსაღებარია ქაშქებისა და კასპიების იგივეობის დასადგენად, ძნელი სათქმელია.

კასპიის ოლქსა და კარს თავის “ბიბლიოთეკაში” დიოდორე სიცილიელიც ასახელებს ნინოს ასირიელის დაპყობებთან დაკავშირებით.² კასპიის ბჭე მოიხსენიება მცხეთის ბერძნულ წარწერაში, რომელიც რომის იმპერატორ ვესპასიანეს (69–78წ.) ხანისაა.³ საქართველოს ქალაქი კასპი ხოსპის ფორმით ტაბულა პევტინგერიანას საგზაო რუკაზეც მოიხსენიება.⁴ პლუტარქეს ცნობით, კავსიანები ახალშობილთ დასტირიან, ხოლო მკვდრებს დაჰხარიან.⁵

თ. ყაუხეხიშვილის შენიშვნით, ესენი ხომ არ არიან კავკასიანები? მით უმეტეს, რომ ამ ჩვეულების მსგავსი ქსენოფონტეს მოსინიკებსაც ახასიათებთ (Anab. V.4,34).

შესაძლებელია კავსიანები (კაოსი—ან—ი, კაუსი—ან—ი) იგივე კასი—ან—ი ანუ კას—ები, კას—გ—ებ—ი, კას—ხ—ებ—ი, კას—პ—ებ—ი იგულისხმებოდეს. პლუტარქეს მიერ აღნიშნული მონაცემი რატომდაც არ მახსოვს, რომ ქსენოფონტეს პქონდეს. თუმცა მინდა შევნიშნო, რომ ეს მონაცემი თუკი არსებობს, ამ ტომის სვანებთან კავშირზე უნდა მიუთითებდეს. მოსინიკი—მოსინი იგივე მუშანი—მუშუანი სვანების თვითსახელია.⁶

¹ Страбон. География, с.94, 472, 476, 486-498.

² თ. ყაუხეხიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წაროები, თბ., 1976, გვ. 120.

³ იქვე, გვ. 245.

⁴ ნ. ლომოური. ძველი საქართველოს საგაჭრო გზების საკითხისათვის. — ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 107.

⁵ თ. ყაუხეხიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წაროები, თბ., 1976, გვ. 178.

⁶ თ. მიქელაძე. ძიგანი კოდხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-ზირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 13-14.

კასპიების ტომის სახელთან დაკავშირებული გეოგრაფიული ერთეულები სხვა არაერთ ძველბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთანაც გვხვდება. მაგრამ ისინი ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს არ წარმოადგენერ. სხვათა შორის, ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც გვხვდება ტომ კასპიებისა და ოდქ კასპიანას მოხსენიება, კერძოდ, მოვსეს ხორენაცოთან (V ს.). აქად ნახსენები კასპიის კარი, კასპთა-კასბთა ქვეყანა (კასპი, კაზბეკი), რომელიც თურმე არტაშეს I აჯანყებია.¹ VII საუკუნის სომხური ანონიმური გეოგრაფიის ავტორი (ანანია შირაკაცი) სარმატიაში მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლისაც ასახლებს კასპიებს, ხელებსა და შირვანელებს შორის.² სხვათა შორის, იგივე ავტორი იბერიის (ქართლის) პროვინციების ჩამოთვლისას ასახლებს კოსს (იგივე კასხ)–ს ერისხისა, კუდატის და საცხეუმეტ–ხანიცხ–ს შორის.³ სომები ავტორი ედიშე (V ს.) კავკასიის მთას ეძახის კაპკოხს.⁴

ზოროასტრის ქაბის წარწერაში (261 წ.) ამ მთებს ქაპის მთები ეწოდება.⁵ დაახლოებით ამ ფორმით (ალ-კაბ-კი) იხსენიებიან კავკასიონის მთები არაბულ წყაროებში (ალ მასუდი, იაკუთი და სხვები).⁶ შესაძლებელია ასერ-

¹ მოვხებ ხორგნაცი. სომხეთის ისტორია, თარგმანი ალ. აბდალაძისა, თბ., 1984, გვ. 144, 172.

² Армянская география VII в. изд. К. Патканова, СПБ., 1877, с.37.

³ οδζο, οδζ. 40.

⁴ Егиш. О Вардане и войне армянской, перевод И.Орбели, Ер., 1971, с.183, Եղիշը 31.

⁵ 6. ლომოური. ნარგვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, ობ., 1974, გვ. 21, 38.

⁶ ბ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელმწოდებები. — სტაუქტ, გვ. 131-132; იაგუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, ორგმანი ე. სიხარულიძისა, თბ., 1964, გვ. 1, 12, 75.

ლები უძველეს პერიოდში კავკასიონს უწოდებდნენ ოქროს მთებს სახელით Kabchüsi.¹

სომხურ და სპარსულ წყაროებში აღნიშნული მთების ამ ფორმით მოხსენიება, შესაძლებელია მომდინარეობდეს კასპიების სატომო სახელიდან (შეადარეთ: კასპ, კასპ-ქ, კასპ-ქოხ) და იგი ს-ანის ჩავარდნით იყოს გამოწვეული. კასპიებს ანუ კასახ ნ. მარი კასიტებთან აიგივებდა.² საინტერესოა, თუ არსებობს მსგავსი გაიგივებისათვის ხელმოსაკიდი არგუმენტები? ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კასიტი (ქაშითი) ფონეტიკურად ახლოს დგას ტერმინ ქაშქა-კას-კასთან, მით უმეტეს, რომ ორ შემთხვევაში გამოყოფილი ფუქები კას II ქაშ II ქას ერთმანეთის იდენტურია. ხოლო, რაც შეეხება დაბოლოებას ტი-თი-თა-ეთ ქართველური სუფიქსებია და მსგავსად არაერთი ქართული გვარსახელებისა და ტოპონიმებისა, არის ნაწარმოები. რაც შეეხება ტერმინ ქაშქაში არსებულ ქი დაბოლოებას, ისიც ქართველურ სამყაროში გავრცელებული სუფიქსია და მის ვარიანტებთან გი-კი-ქი-ხი ხალხს, ქვეყანას, მრავლობას აღნიშნავს. თანაც დამოწმებულია mât kaşşû, kar - kaşşî, კ. ი. ტერმინი კასიტი ტი (თი) სუფიქსის გარეშე.

მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საკვლევ ტერმინებს შორის მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება უნდა იყოს და არა ტომობრივი კავშირი. მათ შორის ქრონოლოგიური სივრცე ძალიან დიდია. კასიტები ძვ. წ. III ათასწლეულში ჩანახ, ხოლო ქაშქები ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. მათ შორის არსებობს ტერიტორიული სიშორები. პირველები ურმიის ტბის სამხრეთით, ელამის ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ, ხოლო ქაშქები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავ-

¹ Грозный. Доисторические судьбы передней Азии. – ВДИ, 1940, №3-4, с.43.

² Н.Я. Марр. Этно и глоттогония восточной Европы, Лен., 1935, с. 48.

ლეთში. ოუმცა შეუძლებელი არაფერია. უფრო სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს კასიტების კასპებთან დაკავშირება, რომლებიც კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მოსახლეობდნენ.

ელამურ წერილობით ძეგლებში კასიტების ქვეყანა მოიხსენიება *kašsen* (კაშენი) ფორმით. ესაა მისი პირველი მოხსენიება. იგი განეკუთვნება ძვ.წ. III ათასეულის მეორე ნახევარს, შემდეგ იხსენიება ბაბილონურ და ასურულ წყაროებში. შინაქერიბის წარწერაში იხსენიება *mât kaššu* და მისი ქალაქები *bit - kilamzah*, *Hardišpi*, *bit - kubatti* და სხვა.¹ სარგონის დროიდან კასიტების გარკვეული ტერიტორია ცნობილია კარგაში, კარ-კასია თუ კარ-კაში სახელებით. მისი მმართველია *kaštariti*.² მკვლევრები მიიჩნევენ, რომ კასიტების სახელწოდება წარმოებული უნდა იყოს, მათი უმაღლესი ღვთაება *kaššu*-დან. ამავე ღვთაების სახელს შეიცავენ კასიტ პიროვნებათა სახელები. ჩვენ ამავე დასკვნამდე მივედით დამოუკიდებლად ქაშქების წარმომავლობის დადგენისას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ზ. შარაშენიძის ნაშრომს არც კი ვიცნობდით. მკვლევრები იმასაც ფიქრობენ, რომ ასურულ-ბაბილონური *kaššu* და ბერძნული *kaspi* იდენტური უნდა იყოს. მათი სახელი შემორჩა კასპიის ზღვის სახელში. ზოგიერთები ამ ხალხის სახელწოდების ძირს ხედავენ სახელში-კავკასი.³ ჩვენ, ჩვენის მხრით, გვინდა დაგსძინოთ, რომ კასიტური სახელები (ტოპონიმები, ადამიანის საკუთარი სახელები) ძალიან ახლოს დგანან

¹ ზ. შარაშენიძე. კასიტების პირველსაცხოვრისისა და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. — აკად. საზ. მეცნ. განცოლების მოამბე, 1961, №2, გვ. 100.

² იქვე, გვ. 53.

³ იქვე, გვ. 106-107.

ქაშქების ტერიტორიაზე აღრიცხულ ამავე რიგის სახელებთან. უფრო მეტიც, ძალიან ბევრი მათგანი ქართველურ სამყაროს შეიძლება დავუკავშიროთ, როგორც ამაში დავრწმუნდით ქაშქების მაგალითზე და ახლო ხანებში ამასვე გავაკეთებთ კასიტების მაგალითზე.

ტერმინ აბებლას წარმომავლობისათვის

ცნობილია, რომ ასურულ წყაროებში ქაშქას გაერთიანებას აბებლა შეესატყვისება, მაგრამ მათი კავშირი შავი ზღვის ჩრდილო—აღმოსაგლეთში ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულ ქაშაგთან და აფსილთან ჯერ კიდევ გასარკვევია.

დავუშვათ, “ზღვის ხალხების” შემოსევებმა მცირე აზიაში მართლაც მოიყვანეს მოძრაობაში აქ მოსახლე ტომები, ხეთების სამეფო განადგურდა. ქაშქა—აბებლას ტომებიც აიყარნენ მათი საცხოვრისიდან და ზოგიერთი მათგანი ასურეთის სამფლობელოებს შეესია, როგორცაა მოთხორობილი ტიგლათფილესერ I-ის (1115–1077 წწ.) ანალებში.¹ ზოგიერთნი ამიერკავკასიისაკენ, ზოგიც—ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისაკენ დაიძრნენ, ყოველ შემთხვევაში, ყუბანისპირეთმდე, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზეც. არიანეს (95–175 წწ.) ცნობით, ამ უკანასკნელის მიწა-წყალზე ახ.წ. II საუკუნეში განლაგებული იყო აბაზგების, აფსილებისა და სანიგების სამთავროები.² სტრაბონი (ძვ.წ. 64–ახ.წ. 24 წწ.) და პლინიუსი (23–79 წწ.) აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავს პოლიტიკურ წარმონაქმნებს არ იცნობენ. მათ შორის მხოლოდ პლინიუსი ასახელებს აფსუას ტომს და იმასაც კავკასიის ჩრდილოეთით კასპიის ზღვისაკენ ვოლგის შეერთების სიახლოვეს.³ ნაკლებად დასაშვებია, რომ პლინიუსის აფსუებს კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფშილებთან რაიმე საერთო ჰქონიდათ, გარდა

¹ Дьяконов И.М. АВИИУ.-ВДИ, 1951, №2, с. 279.

² ოფაუხიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, გვ. 159.

³ ნ. ფოფხაძე. სიმართლე უნდა ითქვას თუ ასეთია, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, 20 აპრილი.

სახელთა ფონეტიკური მსგავსებისა. აფშილთა ტომის კავ-შირი კი აბემლასთან დასაშვებად მიგვაჩნია. თუმცა ყუბანისპირეთში თუ მის აღმოსავლეთით მოსახლე აფსუების (?) შესახებაც შეიძლება იგივე ითქვას ტოპონიმიკური მასალების განხილვის საფუძველზე, კერძოდ, მდინარე ყუბანის ძველი და ახალი სახელების ლინგვისტური ანალიზის საშუალებით. კლავდიოს პტოლემაიოსის (100–175 წწ.) მიერ დასახელებული ყუბანის უძველესი სახელი ვარდანი-არდონი¹ შეიძლება აიხსნას ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამოყენებით.

არდონი-ში (ართონი) შეიძლება გამოიყოს ფუძე არდ (ართ), რომელიც მეგრულია და ქართულში ერთ-ს აღნიშნავს. ართ (ერთ) ქართველურ ენებში ნიშნავს პირველს, მზეს, კავშირი აქვს სიტყვა არდადეგთან, არდა-ანთა-ორთა კოლხურ მითოსში-ნადირთ მფარველი ლვთაების სახელია.² არდა (არდინი) ქართველურ სამყაროში (ურარტულში) მზის ლვთაებაა;³ არდინის მზის ლვთაების საკულტო ადგილია ქალაქი არდინი (მუცაცირი), არდი, არდანი, არდევანი ქართული ადამიანის საკუთარი სახელებია, არდიქე, არდიშვილი, არდია, ვარდანია, ვარდია, არდაზიანი, ართიანი, არდაშელი, არტონია საქართველოში ფართოდ გავრცელებული გვარებია.⁴ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იყო მდინარე სახელით არდინეოსი, ძველი ქართული ქალაქებია: არტანი, არტანი, არტანუჯი, ართვინი. დაიაქნი-დიაონის შემადგენელი ოლქისა და მისი ცენტრის

¹ Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия - историческая область Грузии, Тб., 1997, с. 174.

² ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, 155, 170.

³ Марр Н.Я. Язык и общество. Лен., 1934, с. 355; Марр Н.Я. Основные вопросы истории языка, Лен., 1937, с. 41.

⁴ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 1999, გვ. 628, 674, 820–821; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988, გვ. 485, 508.

სახელი არდარა (ვარდარა)–უარდა–ვარდა, არდარაკიხი, ურარტუს ტერიტორიაზე არდარაფშა¹ და სხვა მრავალი საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც დასტურდება წერილობითი ძეგლებით.²

ამ მდინარის თანამედროვე სახელი მომდინარეობს ასევე ქართული სიტყვებისაგან ყრუ–უბანი, ყრუ–აბანი, სიტყვასიტყვით ყრუ (უხმაურო, უსიცოცხლო) მხარე. ყრუ–ყურ მკვლევართა განმარტებით ნიშნავს ბნელს, გაუგალს, უღრანს, როგორც შავი ტყე: უდრანი, ბნელი, ხშირი, გაუვალი, ტევრით დაფარული ტყე³ ეს მხარე, სადაც ყუბანი მოედინება, წარსულში მართლაც მიუდგომელი, ტყით დაფარული, მიყრუებული მხარე იყო. უბანი–აბანი ქართველურ ენებში (საკუთრივ ქართულსა და მეგრულში) მხარეს, კუთხეს ნიშნავს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადნიშნული მხარე (აფხაზეთი, ყუბანისპირეთი) უძველესი დროიდან მოყოლებული ჯერ სვანების სამყოფელს, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, სამეგრელოს სამთავროსა და საქართველოს სახელმწიფო შემოდიოდა, რასაც არაერთი იტალიური (ლათინური) რუკა ადასტურებს.⁴

არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) მეტეოროლოგიაში (V, 19) მდინარე ყუბანი მოიხსენიება კიდევ ერთი სახით – ჰიპა-

¹ ს.გოგიტიძე. დაიაგნი–დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთხით) ბათ., 2006, გვ. 124, 126.

² გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თბ., 1941, გვ. 12; ი. ბაგრატიონი. ქართლ–კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 34, 47, 51, 52, 68, 70.

³ გ. ბელოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით–ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002, 403.

⁴ Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия-историческая область Грузии, с. 845, 486, 847; პ.ცხადია, ვჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი თბ., 2003, 257.

ნისი (ჰიფანისი)¹. ასევეა სტრაბონთანაც.² იქვე კომენტარებში განმარტებულია, რომ ის შეესაბამება თანამედროვე ყუბანს.³ ამ მდინარის სახელს კავშირი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხეთში) არსებულ მეორე მდინარესთან—ჰიპოსი, რომელიც ფასისის (რიონი) შენაკადია.⁴ იგი ცხენისწყლად არის მიჩნეული.⁵ მაშასადამე, ყუბანის სახელი ჰიპანისი და კოლხეთის ჰიპოსი ერთმანეთთან კავშირშია იმ განსხვავებით, რომ ჰირველში -ან სუფიქსი დასტურდება, რომელიც თავისი წარმომავლობით ქართველურია. მსგავსი სუფიქსით ნაწარმოებია უძველესი დროიდან დღემდე ქართველური ტომების, ქვეყნების, ოლქების, ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები. ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ მაგალითების აქ მოტანას არც კი საჭიროებს. მდინარე ყუბანს ანტიკურ წყაროებში რომ ჰიფანისი – ფასისი ერქვა, ეს სხვებსაც აქვთ აღნიშნული.⁶

მდინარე ყუბანს ბიზანტიული მწერალი კონსტანტინე პორფიროგენეტი უკრუხს ეძახის. ეს უკანასკნელი იმ დროს ყოფდა საქართველოს ოლქს ჯიქეთის ტამატარხისაგან (ტმუტარაკანი).⁷ ტერმინი უკრუხი უნდა შედგებოდეს ორი ქართული სიტყვისაგან: უკუ, ნიშნავს უკულმას, საპირის-

¹ ო.ყაუხხიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, ობ., 1969, გვ. 42, 148.

² Страбон. География, в 17 книгах, перевод Г.А. Стратановского, Лен., 1964, с. 470.

³ იქვე, 862.

⁴ იქვე, 472, 474.

⁵ ო.ყაუხხიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, ობ., 1976, გვ. 141.

⁶ გეორგიკა, I, 1961, გვ. 81.

⁷ Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия - историческая область Грузии, с. 196.

პიროს.¹ მეორე რუხი-მუქს, ნაცრისფერს.² მისი შინაარსი იქნება გამდინარე უკუდმა, საპირისპიროდ (რაღაცის მიმართ), რუხი, მუქი, ნაცრისფერი მდინარე (წყალი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ენაში უკ³ (რუსულად – γκ) დაუმუშავებელ მიწას, ყამირს ნიშნავს; აქედან გამომდინარე უკ-რუხი (უკ-რუხი) შეიძლება ნიშნავდეს დაუმუშავებელ, რუხ მიწას. ოუმცა, შესაძლებელია ტერმინ უკრუხს მივცეთ შემდგები ინტერპრეტაცია, უკრუხის პირველი სამი ბეგრა (უკრ) ტერმინ ყებანის ახსნის ჩვენებელ შინაარს ესადაგება. ამ ნაწილში შეიმჩნევა უ-ს გადანაცვლება თავში, ასე მაგალითად ყრუ (კრუ) → უყრ (უკრ), ხოლო კ-ს უ-რუდ ქცევა უცხო აფრიკატის (ყ) გამო მოხდა, რადგან ბეგრმა ენამ არ იცის ჭ-ს არსებობა. ან შეიძლება თავკოდური უ სულაც იყოს პრეფიქსი ო-ს შესადარი, როგორიც ახასიათებს ქართველურ ენებს და განსაკუთრებით მეგრულს, თანაც ო-სა და უ-ს მონაცვლეობა ქართველურ ენებში ხშირია. რაც შეეხება ხი სუფიქსს ისიც ქართველურია და მრავლობითობის აღმნიშვნელს წარმოადგენს, ან ხი კუთვნილებითი სუფიქსია. იგი დაახლოებით ასევე ქართველურ ტერმინს – უბანს შეეფარდება. მაგალითად, მდინარე ჭოროხი, ადგილთა სახელები ურარტული ზაბახა (ჯავახი), დიარხი (ტაოხი) უიტერუხი (ოძრხე) და ა.შ.

მკვლევართა გადმოცემით, ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში უცხანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ აფხაზურ-ადილური ტომების უშუალო წინაპრები – კერკე-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბ., 1986, გვ. 428.

² იქვე, გვ. 380.

³ იქვე, გვ. 435.

ტები, ჯიქები, ტორეტები და სხვანი.¹ ჩვენ დავსძენდით, რომ ოუგი ეს ტომები მართლაც აღიღეს გვარტომებს ეკუთვნოდნენ, მაშინ საიდან გაჩნდა ყუბანის უძველესი და ძველი სახელები, რომელთა სემანტიკა ქართველური ენების გამოყენებით აიხსნება, თანაც არა ერთი და ორი. ზოგჯერ ის გარემოება ავიწყდებათ, რომ აღნიშნულ მიდამოებსა და მის მოსახლეობრე მხარეებში უძველესი დროიდან მოყოლებული მოსახლეობდნენ ტომები, რომელთაც მეოტებს უწოდებდნენ, ხოლო აზოვის ზღვას – მეოტის ან მეოტიდის ტბას, საიდანაც იწყებოდა კოლხების საცხოვრისი.² მეოტები აზოვის ზღვისპირეთში მოსახლეობდნენ.³ მეოტი ხომ ქართული სიტყვაა და მომთაბარეს, მოხეტიალეს ნიშნავს. მაინც რად უნდა იყოს ყუბანის სახელი უცხო წარმომავლობისა, როცა მისი მიდამოები ეგრისის საზღვრებში შემოდიოდა. ლეონტი მროველით თუ მისი წყაროთი, ასე ყოფილა ალექსანდრე მაკედონელამდეც.⁴

ძველ საქართველოში აღიღებს ქაშქების სახელით იცნობდნენ. სვანები დღესაც მათ ამ სახელით მოიხსენიებენ. როგორც ჩანს, ამ ტერიტორიაზე ქაშქებს (ქართველურ ტომს) შეერწყა მოგვიანებით მოსული ადიღეველები და შესაძლებელია ამ უკანასკნელთა ენამ გაიმარჯვა. არ არსებობს საბუთი იმის შესახებ, რომ მცირეაზიელი ქაშქაბები აღიღეურ-აფხაზური მოდგმის ხალხი იყო.

¹ ლ. ურუშაძე. თურქი მეცნიერები სვანეთის შესახებ, ჟურნ. მნათობი, 1991, №6, გვ. 125.

² Даватур А.И. и др. Народы нашей страны в „истории“ Геродота, М., 1982, с. 83, 149.

³ Страбон. География, с. 468.

⁴ 6. ბერძენი შვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 550.

პირიქით, ისინი ქართველური (მეგრული) ტომები იყვნენ,¹ რაშიც ნათლად დავრწმუნდებით ჩვენი მონოგრაფიის სრულად გაცნობის შემთხვევაში. როგორც უუბანისპირელი მოსახლეობის წინაპრები, ისევე ბალყარები და ყარაჩაელები თავიანთი წარმოშობით სვანები არიან. არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთი, არამედ სხვა მიმდებარე ტერიტორიებიც სვანებს და სხვა ქართველურ ტომებს ეჭირათ.² ბალყარეთში სვანები ოთხი საუკუნის წინათ რომ ბინადრობდნენ, საამისო მრავალფეროვანი მასალები მოგვეპოვება.³ სტრაბონის, პტოლემაიოსის და მენანდრეს (VI ს.) მონაცემები ამ მხრივ სარწმუნოა. მენანდრეს გადმოცემით, სვანები მოსახლეობენ კავკასიის გარშემო.⁴

ყოველივე ამას ადასტურებს არა მხოლოდ ტერმინთა ფონეტიკური სიახლოვე, არამედ სახელწოდებათა ზუსტი ანალოგია, და, როგორც ჩანს, მათი სემანტიკური და ეტიმოლოგიური მნიშვნელობები.

თუ შევადარებო ტერმინებს აბეშლასა და აფშილს (ან მის ნაირსახეობებს: აფსილი, აბშილეთი) დავინახავთ, რომ ასურულ, რომაულ და ქართულ სახელწოდებებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ერთ ტერმინში, ისე მეორეში აკლია თითო ხმოვანი. კერძოდ, აბეშლა-ში შ—ს შემდეგ ი, ხოლო აფსილ-ში ფ—ს შემდეგ ე. უძველესი და მოგვიანო ხანის ტერმინები უნდა

¹ ს. გოგიტიძე. ტერმინ აბეშლას წარმომავლობისათვის. — სამხრეთდასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 2008, გვ. 38-58.

² მ.ჩართოლანი. დასახლეთ საქართველოს მაღალმთანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის.—მაცნე, ისტორიის... სერია, 1992, №2, გვ. 71, 80.

³ Баразбииев М.Н. Этнокультурные связи балкарцев с соседними народами, Нальчик, 1999, с. 41; Кучмезов Б. Из истории грузино-балкарских отношений. – АЭФ Кавказа, Тб., 2010, с. 465.

⁴ ს.ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, III, თბ., 1936. გვ. 221.

აღდგეს, როგორც აბეშილა და აფესილი. სახელწოდებებში აბეშლასა და აფსილში ხმოვნების ამოვარდნა, ერთ შემთხვევაში ფუძისეული (ე) და მეორე შემთხვევაში ი-ს, განაპირობა ფუძისეულ ბეჭ-ფეჭ-ზე ა პრეფიქსისა და ილ(ლა) სუფიქსის დართვამ.

მოგეხსენებათ ილ-ლა-ელ-ლია ქართველური სამყაროს სუფიქსებს წარმოადგენენ და ისინი უძველესი დროიდან დღემდე აწარმოებენ როგორც ტოპონიმებს (ქვეანათა, ოლქთა, ქალაქთა სახელებს), ისე ადამიანის საკუთარ სახელებს, გვარებს და ა.შ. ამ რიგის მაწარმოებლებითაა ნაწარმოები თავად ქაშქა-აბეშლას სამყაროში დადასტურებული ტოპონიმები და ადამიანის საკუთარი სახელები: ფათალია, ფიქურიალი, ასხარფაია, თულმალია, იოლი, საფალი, ასხაფალა, ფიფალილა, ხიმუილი, დათილი, სუნაილი, საუსილი, ციფილი და სხვა. მსგავსი მაწარმოებლებით გვაქვს ტოპონიმები ურარტულ-ქართული სამყაროდან, რომელთა სემანტიკა გაიგება ქართველური ენების გამოყენებით. ესენია: ლახირხილა, შაშილუ, ხუშალ(ხი), უბურდალი(ხი), ანზალია, არგიშტიხინილი, მენუახინდი, გურკუმელი, ღიულა, იცალა, ხალილა, ცუდალა, სიფლია, მეტალუ და სხვა.¹ ანტიკური და ფეოდალური ხანის წერილობითი ძეგლებიდან ცნობილია ქართული ტოპონიმები, ეთნონიმები, ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები: ფაფალა, სათალა, მაწალა, ალაბალა, არდაშელი, გეგილი, გოდეშელა, დადაშილი, ქარცხალია, კაშაშელი, ჯინალი, ქართლი, ქართველი, ლაპილი, ქართნილი, სავაილი, ქაქუ-

¹ Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М., 1960; Арутюнян Н.В. Биайнили (Урарту), Еր., 1970.

ჩელა, ადილა, დედილი, თუალია, მარმელა, შედლა, კოპილა და სხვა მრავალი.¹

თანამედროვე საქართველოში არსებული ტოპონიმები, მიკროტოპონიმები და სახელ-გვარები: ბოგილი, ბრილი, ბარდნალა, ბელელი, საყულია, ჭარნალი, არდაშელია, ახალაია, ბასილაია, ბერსელია, ბურძგლა, გაბელია, გიშელი, კვაშალი, ბაბილა, ბერულა, ბროლა, ამბროლა, ამურველა, ბასილა, დათილა, გოგილა, თამილა და სხვა მრავალი.²

მაშასადამე, ტერმინ აბეშლა-აფსილში გამოყოფილი ლილა, ილ სუფიქსები ქართველური მაწარმოებლებია. გვრჩება აბეშ და აფს, შესაძლებელია აბაშ, აფეს, აფას, აფშ, აფეშ და ა.შ. საკვლევ ტერმინში აბეშ რომ ფუძე უნდა იყოს, ამას სხვა ქართველურ სამყაროში გავრცელებული გარემოებებიც ეთანხმება. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის (307–361 წწ.) მამის მამას, ქართველთა მეფის, ასფაგურის ქალიშვილს აბეშურა ერქვა.³ სახელი თავისი შემადგენლობის მხრივ ქართული უნდა იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ მასში თვალნათლივ ჩანს -ურ სუფიქსი, რომლითაც ნაწარმოებია უძველესი დროიდან დღემდე არაერთი ქართული გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყანა, ოლქი, ტომი, ქალაქი, სოფელი) და ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები. ასეთებია: ხევსური, ხევ-

¹ სანქციონი წერილობითი ქვედები, II, გვ. 482, 494, 504, 569; ნ.ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000, გვ. 206, 236; პ.ცხადაია, ვჯოჯუა. სამურზაყანის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 182, 184, 263; ჩილდირის ეალეთის ჯაბა დავთარი, თბ., 1979, გვ. 123, 162, 194.

² ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 1999, გვ. 618-883; ს.მაკალათია. თუშეთი, თბ., 1983, 171-172; ი.ბექირიშვილი. პ.ჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001, 61-62; გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002, გვ. 76, 337.

³ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, 64.

სურეთი, თუშური (ერი), კელასური, პითური, მალიტასკურია, გუნდაური, ბუდაური, იაკობაური, მუხური, ჩოლაბაური, წიწამური, ოლადაური, არტური, აკაური, ხეცაური, ცაბურა, ბაკური, ფიონელაური, მახაური, ჯაბაური, აფციაური, გოგოლაური, ხოშარაული ჯიქური, სედური (სარდური) ცილიბური, უდური ეთიუნი, ფითაური და სხვა მრავალი.¹

ეთნონიმ აბეშალასა და საგუთარ სახელ აბეშურასთან ძალიან ახლოს დგას ტოპონიმი აბიშირა, რომელიც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო ზოლში, იალბუზის დასავლეთით მდებარეობდა.²

განვიხილოთ ფუძე აბეშ. როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოსა და მის სამეფო-სამთავროებში ტრიალებს ამ ფუძე-ძირის მქონე სახელები და გვარები. ამის ერთ-ერთი დასტურია ის, რომ აბეშლა ქაშქას სინონიმია თუ მისი ერთ-ერთი ძირითადი ტომი. იგი, როგორც აღინიშნა, მოიხსენიება ასურულ ლურსმულ ტექსტებში, შემდეგ ანტიკურ ხანაში მეორდება, მისი მსგავსი სახელი აფსილის (აფსილია) ფორმით კოლხეთის (ეგრისის) ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე. იგივე სახელი აბეშურა ჰქვია IV ს. 80-იან თუ 90-იან წლებში მოღვაწე ქართლის მეფის ასფაგურის ქალიშვილს. შემდეგ XII-XVIII საუკუნეების ძეგლში “ტბეთის სულთა მატიანეში” მოხსენიებულია გვარები: აბესალამეთი, აბესალამისძე, აბესალამური.

¹ ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახბ (XVII-XVIII სს.), წ. II, თბ., 1989, გვ. 210, 346, 393; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., 1990, გვ. 123-142; ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, გვ. 164, 168; ი. ბერიძიშვილი. აჭარის გეოგრაფიულ სახლთა დექსიონი, გვ. 63, 69, 74; გიორგაძე გ. ვопросы общественного строя хеттов, Тб., 1991, с. 66; Кавказско-ближневосточный сборник, Тб., 1984, с. 77.

² დ. პაიჭაძე. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. – ახალები, თბ., 2000, №1, გვ. 117, 119.

აღნიშნული გვარების შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ ქვემო აჭარის სოფლებში, კერძოდ, აჭარისაღმართში, სადაც აბესლამიძეების უბანია, ახალშენში, ორთაბათუმში, მეჯინისწყალში, ბათუმში.

ქართული გვარი აბესლამიძე და სხვანი, როგორც ჩანს, ადამიანის საკუთარი სახელიდან აბესალა თუ აბეშალადან მომდინარეობს. თავდაპირველად აბესალა (აბეშალა), შემდეგ ფორმდება მა(მი) სუფიქსით და იქმნება აბესალამი (აბესალომი). მი (ომ თუ უმ) მაწარმოებლით ცნობილია ქართული გვარსახელები, ტოპონიმები და ეთნონიმები: სოხმი (სუხმა), ქარიმა (ქარიმატი), კაპრეშემი, ბათომი, ღორჯომი და სხვა მრავალი. ი.ბექირიშვილის გადმოცემით, შუმერეთში ყოფილა განთქმული ტაძარი ებესლამ–აბესალამის სახელწოდებით.¹ ი.მაისურაძის მიხედვით, აბესლამიძე საკუთარ სახელ აბესლამიდან უნდა იყოს წარმომდგარი, რასაც ასევე საკუთარ სახელ აბესალომს ადარებს.²

სვანეთის წერილობით ძეგლებში დასტურდება გვარები და სახელები: აბესალომი, აბესალამი, აბესლამიძე, აბესაძე, აბესა, აბზანი, ბეშქენ ბესიანი, ბესია, ბისელინა, ბესი.³ იმ შემთხვევაში, თუკი ა–ს პრეფიქსად მივიჩნევთ, ისეთსავეს, როგორც ქართულ ტოპონიმებსა და ეთნონიმებს ახასიათებთ, როგორიცაა: აჭარა, აწყური, აჭი, აცი, აფსაროსი, აბაზგუნ, აბილიანიხი, – მაშინ აბეშლას ფუძედ ბეშლა თუ ბეშილა–ც უნდა განვიხილოთ.

თანამედროვე საქართველოში გავრცელებულია გვარები და სახელები, რაც იმის მოწმობაა, რომ საკვლევი ტერმინი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან, კერ-

¹ ი.ბექირიშვილი. აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათ., 1996, გვ. 11.

² ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1979, გვ. 16.

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988, გვ. 490.

ძოდ: აბაზაძე, აბაშელი, აბაშია, აბესალამიძე, აბესაძე, აბესიძე, აბშინაშვილი, აბსავა, აბსანძე, ბესარიონი, ბეშქე, ბესელია, ბეშიძე და სხვა მრავალი. გვარი აბესლა-მი-ძე (აბეშლა-მი-ძე) ზუსტი პროტოტიპია სატომო სახელის აბესლა-აბეშლა-სი, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მეგრულ აბეს, რაც ამბავს ნიშნავს.¹ შესაძლებელია მოსაუბრეს, ამბავის მიმტანს?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიებულია გვარი ბერსელეთი და შუახევის რაიონში სოფელი ბესელაშვილები, რომლებიც საძუთარი სახელიდან ბესელა-ბერსელა-დან მომდინარეობენ. პირველ შემთხვევაში, გვარი ნაწარმოებია ეთ სუფიქსის დართვით, რომელიც ძველი ძველი დროიდან მოყოლებული, აწარმოებდა ქართულ გვარებსა და ტბონიმებს: აბუქოთა, მცხევა, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი, ბელლეთი, ჯავახეთი, თავად აბესლამეთი, გოგლაჟეთი, გოგანეთი, დავლაეთი, ზარქიეთი და მრავალი სხვა.²

რა სემანტიკის მატარებელია აბეშ-ბეშ ფუძე-ძირი?

ქართულ ენაში აფშარა-სულაუნის, ე.ი. ყველის ყალიბია, აფშლეკა-ფეხის აწევა, ბესა-კარტოფილის შესანახი მშრალი ადგილი მიწაში, ბეხი (\leftarrow ბეში?)-ლენჩი, მოსულელო, უჭირო, ბზე-მზე, ბსხილ-საქონლის მკბენარი, პასალ (\rightarrow ბასალ \rightarrow ბაშალ?) - სოლი, ფსვალ (ბშუალ) სოლი სარაზის იარაღი, ფეს (ბეს?) - ფესვი.³

მეგრულ ენასაც მოეპოვება ტერმინ აბეშლასთან ახლოს მდგომი სიტყვები: მაგალითად: აბეს – ამბავი, აბშირა –

¹ ოქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001, გვ. 162.

² ი.ბექირიშვილი. ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათ., 1995, გვ. 140-141; მიხვევ, ი.ბექირიშვილი. აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001, გვ. 136, 150, 211.

³ ქართულ კილო-ოქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, 44, 70, 71, 540.

სულგუნის ჩასადები ჩარჩო, აფშარა – ულაგმო აღვირი, აფშარა – ხის ჭურჭელი (სულგუნის ჩასაწყობად), აბხა – ბეჭი და სხვა.¹

აბეშლას ფონეტიკურად კარგად უდგება მეორე ვარიანტული სატომო სახელი აბშილი – აფსილი და გეოგრაფიული სახელწოდება აბშილეთი და აფსილეთი. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რადგან ეთნონიმ აფსილ-აბსილეთში გამოიყოფა ფუქე – ძირი ფშ (ბშ), სწორედ ეს გახდა ამ სატომო სახელის აფხაზურ-ადილეური ხალხისადმი მიკუთვნილების მიზეზი. გასაგებია, რომ ფშ (ბ) აღნიშნულ ენებში წყალს აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებში ფშ და მისი ნაირსახეობანი წყალს, ხეობას, ფსკერს, ძირს და ა.შ. ნიშნავს, – არ იქნა გათვალისწინებული ამ ეთნონიმის სემანტიკის დადგენისას. ფს-ძირიანი ქართული სიტყვებია: ფსორ – მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, ფსკერი – ჭურჭლის, ზღვის ან მდინარის ფსკერი, ფშა – მდინარისაგან ახლო გამოდენილი წყარო, ფშანი – იგივეა, რაც ფშა, ფშალა – სვია, აფუშილ-აფუშულ-აფუშული, ფშატ, ფშატალა, ფსელი, ფაშ, ფას, ფაშა და ა.შ.²

მეგრულში ფსილა – ქვიშას, სილას აღნიშნავს, აფშარა – ხის ჭურჭელს ყველისოვის, ფსალ-სოლი, ფსელა – შარდი, ფსინა-სმენა, გრძნობა, ფსორო-სოლი, ფსუხელი, ფსორი-წყლის ვიწრო სადინარო ტყეში, ფაშთიაშ-ჭა.³ აფს (აბშ, აბზ) და მისი ნაირსახეობათა კვალი აშკარად ჩანს

¹ ო.ქაჯაია. მეგრულ-ქართული დაქსიკონი, I, თბ., 2001, 162, 164, 199.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 46, 188-192, 219-224; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 44, 449; ჸ. ცენტრის, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 301.

³ ო.ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002, გვ. 111.

უძველეს ქართველურ სამყაროშიც, კერძოდ, შუმერში. ამ ქვემანაში აბზუ – მტკნარი წყლის ღვთაებაა, მცოდნე მამაა.¹

სგანურ მითოლოგიაში აფსათი ნადირობისა და ფრინველთა განმგებელი ღვთაებაა. იგი თავისი ფონებიკური აგებულებით ახლოს დგას ბერძნული მითის “არგონავტების” პერსონაჟ–აფსირებეთან. ო. მიბჩუანის აზრით, აფსირ (ტე) აფსატის ბერძნული წარმოება უნდა იყოს.²

მითნავენ, რომ ქართული ტომების განსახლების არეალში არსებული მდინარეები, რომელთაც ძველად ემახდნენ ფასისს–ესეც აფსუურია. ასეთი სახელის მდინარეებს თანამედროვედ ჰქვია რიონი, ყუბანი, არაქსი, ჭოროხი. დადგენილია, რომ აღნიშნულ მდინარეთა მიდამოებში უძველესი დროიდან 19–20 საუკუნეები და ზოგიერთ მათგანში ამჟამადაც ქართველური ტომების შთამომავლები მოსახლეობები: კოლხები, ლაზები, ფასიანები, კულხაბალი, ულთუზა, ხობენა (ოტენა, ტაონი), სპერები, ჰენიოხები, აზანი, ერიკუახი, დაიაენი–დიაოხი, ხალიბები, აბნულუანი, აბილიანიხი კლარჯები, იმერლები, აჭარლები და სხვები.³

საქართველოში გავრცელებულია ფს–ფშ–ფაშ–ფეშ ძორიანი ტოპონიმები: ფშავი, ფშავეთი, ფასის მთა, ქალაქი, ბასიანი, ოლქი ბასიანი, ბეშუმი, აქედანაა ტომის სახელი ფასიანები, მდინარე ფასისი, ეს იგივე არაქსი, რახსი, არეზია, აფსარუნტი (გონიო), აფსარი (ჭოროხი), აკამფსისი

¹ მ. ხომერიკი. ზესთამჩნური ცნობიერების სინდრომი, ქურ. ჭოროხი, 2004, №9-10, გვ. 91.

² ო.მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიულთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან, ობ., 1989, გვ. 347, 348.

³ სგოგიტიძე. დაიაენი–დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006; მიხივე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ბათ., 2002.

(ჭოროხის რომაული ფორმა). ქართველური ტომის მუშქების ტერიტორიაზე არსებულ ასურულ წყაროებში დაფიქსირებულია ქალაქი ფსი თუ ფსა, ზუგდიდის რაიონში დელესა და ხეობას ეწოდება ფსქაია, უბანს ლეაფშილე. სვანეთის წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად დასტურდება ფსიმივა,¹ რაც თითქოს ქართულად იხსნება – წყალი, მდინარე მიდის. მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ იგი იყოს ორი ელემენტისაგან შემდგარი მეგრული სახელი – ფსი და მივა//მუვა. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ქაშქურ სამყაროში ხშირია და ღვთაების (მუვა – ძალის, სიმყარისა და სიმტკიცის ღვთაება) სახელს აღნიშნავს. სამეგრელოში გვარია ოფსააია,² რაც თავისი გაფორმებით (ოპრეფიქსითა და ია-სუფიქსით) აშკარად მეგრული ტოპონიმია. ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულია გვარები: აფსნიძე, აფსავა, აფშილავა, აფშინაშვილი, ბასანაშვილი, ბასილაძე, ბასილაური, ბასილაძე, ბაშარიძე, ბასიშვილი, ბეჭიძე, ბაშარაული, აფხილიანი, აფსარიძე და სხვა. სახელები: აფშინა, აფსა, აბსა, აბსეფი, აბშილა, ბესია, აბესალა, აბესა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს ქართულ ონომასტიკურ მასალებში, რომელებიც დაცულია ძველბერძნულ და მათზე დაყრდნობილ რომაულ წყაროებში, შეინიშნება ფსი (ფსა) ელემენტი. ეს სიტყვა, რომელიც ქართული სემანტიკის მატარებელია და ამის შესახებ უპვე ითქვა, ერთერთი უძველესია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის. ამავე დროს, მავანმა შეიძლება თქვას, რომ ისინი არის არა ქართული, არამედ ჩრდილო-კავკასიური ან სკვითურ-კიმერიული. ეს სიტყვები,

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 547.

² ა. ცხადაია. სამეგრელოს.... გვ. 327.

გარდა იმისა, რომ ლეგენდაში (მითი არგონავტების შესახებ) დაკაგშირებულია კოლხეთთან (აია-კოლხეთთან), მისი თანხლები და მასთან კავშირში არსებული როგორც ონომასტიკური, ისე ტოპონიმიკური და სხვა ლექსიკური ერთეულები პირწმინდად ქართველური წარმომავლობისაა. აღნიშნული ლეგენდარული ამბავი განეკუთვნება ძვ. წ. XIII საუკუნეს და მოგვითხრობს კოლხეთის რეალურ ამბებს. ამ მითის მიხედვით, კოლხეთის მეფე აიეტს ჰყოლია და და შვილი, რომელთა სახელებში გამოიყოფა ფსი ელემენტი – აფსირტე, კალიფსო. ბერძნულ-რომაული წყაროები აფსირტეს აკაგშირებენ დღევანდებული გონიოს ადგილზე არსებულ ციხე-ქალაქ აფსარის (აფსარუნტის) სახელთან. პლინიუსის მიხედვით, ახ. წ. 78 წლისათვის იგი მოქმედი ციხე-სიმაგრე ყოფილა. უფრო ძველად, ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი ავტორის, ფსევდოსკილაქსის ცნობით, მდ. ჭოროხსაც იგივე სახელი (აფსაროსი) რქმევია. ეს სახელი, დამკვიდრებული ტრადიციით, ადგილს აფსირტეს აქ მოკვლის გამო დაერქვა. თანამედროვე მკვლევართა აზრით, აფსაროსი შეიძლება უკავშირდებოდეს სვანურ მითოლოგიაში ცნობილ ნადირთა და ფრინველთა გამგებელ ღვთაება აფსათის სახელს.¹

ჩვენი აზრით, აფს-ირტი იგივე აფს-არტი//აფს-ართი-დან უნდა იყოს წარმომდგარი და ნიშნავს: აფს – წყალი ან წყლის ღვთაება, ართ – პირველს, ერთს, მზეს. უკველ შემთხვევაში ეს ასეა ქართველურ ენებში: ერთი-ართი-აშდი. არდი-არდინი ძველ ქართულ სამყაროში, როგორც ურარტულში მზის ღვთაება იყო. რაც შეეხება საკუთარ სახელ კალიფსოს, ისიც ორ ნაწილად უნდა დაიყოს – კალი-ფსო (კალი-ფსა). მისი პირველი ნაწილი კალი-კარი-ყარი უნდა

¹ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, I, თბ., 1974, გვ. 57-58; თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს, გვ. 347-348.

մոմքօնարշոծց ան յարօ/մյարօ-դան (մշելքարտշելագ նո՛ժնաց վեցան) ան ևոթպազօնան Վ-յալո. Մյոմլուն կալո յարտշելո ևոթպազ վալուն ուղենքշորո ոյտս. կալո մշերշելո ևաեցլուն (Մյաժարշտութեան կալա-ծերուա, կալա-ծյ). ուսուց շենքա ալոնի՛նուն, ռոմ, հայեն անբուտ, մոտմուն մուեսենիցծուն արամիանուն ևեցա ևաշուտարո ևաելուն, Ծոքոնոմյեն դա ևոթպազեն (վեցպանա, ոլոյի, վալայի, շանենշելո դա լցուայեն անա, շոլուետո (շրարթշելմո - շանենալո), արյուն, վալքուուշ, մշեցա, մշ-քո, ուսուա, ձասուայ, ձերսյ, յորշյ, շիուալյ, անցուուա, արձացո, ևամիուն, մուլո դա ս.թ.) յարտշելշորուա. ևայուտենացուա, ռաթոմ շենք ոյտս զսա յլումենքունուն ևաելուն այսանշոր-ալո-դյշորո?

անա ևանշորմուն մովուեկշետուսա դա մովատմովմշելուն լցուայեն ոյտս.¹ ուգո ցաշրշելուն ոյտս ռոգորու շոլուետուն, ուսյ շրարթշու Ծյրութորուանշյ. շոլուետուն Ծյրութորուանշյ մշելագմուսաշլուր դա անքուշը ևանամուն շնորհուն ոյտս ևամեյո, ոլոյի, վալայի դա լցուայեն անաս ևաելուտ.

շրարթշու Ծյրութորուանշյ կո լցուայեն անա, Ծոքոնոմյեն: անագո, շասունուն, անաշեն, անալյ, անան, լցուանուն, անագա-մանույ, անաթշեն, լցուանշեն դա ևեցա² ալնունշելո լցուայեն ևաելուն շայաց մուրդուն ույետո շմշելուն յարտշելո ևաելուն միուուն ևաելուն ևաելուն ևաելուն ևայուտուն ևայուտուն ևայուտուն ևայուտուն (ձաումա).⁴ անյերուն ևաելուն մազա լցուայեն ևաելուն ևայուտուն ևայուտուն (ան-յու-ո). յարտշել

¹ տ. մոծենանո. լասաշլուտ ևայարտշելուս..., զ. 321.

² յե Ծոքոնոմյեն տաշմուրունուն նամրումցմուն: Մանաճյ յ.ա. О некоторых проблемах истории и географии древней Армении, Ер., 1956; Արդյունյ Հ.Բ. Բիանիլի (Урарту), Еր., 1970.

³ Գորիդզե Ս.Դ. Локализация и этническая принадлежность стран Даиаен-Диаоха. – АЭФ Кавказа, Тб., 2010, с. 403-404.

⁴ Ե. ցոցութիւնյ. շմշելուն յարտշելո վայսանա ևասա (ձաումա), զ. ակարա, 2002, 6 լցուայենմերու, զ. 6.

ენაში კიაპი ნიშნავს უმცირეს, ბეჭვისოდენას, ციცქას ან მცენარის ნორჩ ყლორტს.¹ მეგრულში კიოპი ნიშნავს პატარა, წრისებრ თეორ ნიშანს საქონლის შუბლზე.² შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად ამ ტერმინს ადამიანის მიმართაც ხმარობდნენ. აქედან გამომდინარე ქალკიოპე ნიშნავს პატარა, ციცქა ქალს.

სახელები მედეა და მედი (მედი-კო) ყველასათვის ცნობილია. ისინი საქართველოში ძალიან გავრცელებულია. სავარაუდოდ, შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: მე-დეა (მე-დაი) და მე-დი, როგორც ურარტუს მეფის სახელი მე-ნუა. ვფიქრობთ, რომ ფასიფაეს სრული ფორმა უნდა იყოს ფასიფაია, რომელიც ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: ფასი და ფაია. მათ სემანტიკაზე აქ აღარ შევჩერდებით, ვინაიდან ქვეყით ამ საკითხზე ვრცლად ვისაუბრებთ. პერსე (ფერსე) სემანტიკურად შეიძლება უკავშირდებოდეს ფუძეს ქართული გვარისას ფერსელიძე (ფერსე-ლი-ძე) და, როგორც ჩანს, საკუთარი სახელის სახით გავრცელებული იყო მოგვიანო დროის საქართველოშიც. კირკე ნაწარმოები უნდა იყოს ისევე, როგორც მტკვრის ანტიკური სახელი კირ-ნ-ოს-ი და სოფლის სახელი კირ-ნ-ათ-ი. არპაგი ნაწარმოებია იმავე ძირიდან, საიდანაც მდინარე ჭოროხის ერთერთი უძველესი სახელი არპასოსი, რომლის შესართავთანაა მთა არფაზონი (სოფ. ერგეს მიმდებარე ტერიტორია). არპასოსი-ჰარპი ხეთურ და ბერძნულ სამყაროში ცნობილია როგორც ღვთაება. ვვარაუდობთ, რომ არპაგის იდენტური წარმომავლობისა იყო ქართლის მეფის არტაგის სახელიც. ბერძნული წყაროების საკუთარი სახელი იდია ასევე დაკავშირებულია ქართულ სამყაროსთან. ჭოროხის ხეობაში,

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 289.

² ო.ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, ობ., 2002, გვ. 147.

ოლთისისწყლის სათავეებთან არის სოფელი იდი, სტრაბონისგული იდეას (ტაოს ტერიტორიაზე). საქართველოში გავრცელებულია ქალის სახელები იდი, იდა და მათგან ნაწარმოები გვარი იდაძე.

ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული კოლხეთის სინონიმია ურარტულ წყაროებში ორგზის დამოწმებული კულხახალი,¹ ანუ კოლხა. ჩვენი აზრით, ამ ტერმინში გამოყოფილი -ხალი იგივეა, რაც მეგრული ხალა, რომელიც ნიშნავს ხალხს, შობას, გაჩენას.² მაშასადამე, სახელწოდება განიმარტება, როგორც კოლას ქვეყნის ხალხი, ანუ კოლხას ხალხი. შედარებისათვის – ხალი – სა-ხალი – სახლი. ასე რომ, ხალი ქართულ შიც ნიშნავდა (ამჟამად სა-ხლი) ხალხს, დინასტიასაც და მოდგმასაც. თავად ტერმინის ფუძე კოლ-კულ შეიძლება ნიშნავდეს: კულა – ვიწროყლიანი სასმისი, კულა – ხორბლის ჯიში და ა.შ. თ. მიბჩუანის აზრით, კოლას თავდაპირველი ფორმაა კალ-კალო, რაც ქართულ ქნაში კალოს, ვაკეს, სწორ ადგილს ნიშნავს.³ საწმისი ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, იგივეა, რაც სა-წამ-ისი (შეად.: წამალი, წამწამი). ჩვენი აზრით, შესაძლებელია, რომ საწმისი სიტყვა საწმენდიდან მომდინარეობდეს. მოლი ქართული ლექსიკონის მიხედვით ნორჩი ბალახია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს – ქართლის, ანუ იბერიის 25-ე მეფეს “მოქცევად ქართლისად” ცნობით ასფაგური ერქვა,⁴ რომელიც

¹Меликишвили Г.А. УКН, М., 1960, с. 301, 304.

²ო.ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002, გვ. 510.

³ თ.მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან, გვ. 144-145.

⁴მოქცევად ქართლისად–შატბერდის კრებული, X საუკუნისა, გამოსაცვად მოამზადეს ბ.გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 321.

III საუკუნის 80-იან თუ 90-იან წლებში მოღვაწეობდა. ეს მეფე “ქართლის ცხოვრების” გადმოცემით ქართლის 23-ე მეფეა. ანასეულ “ქართლის ცხოვრებაში”, რომელიც ქართლის ცხოვრების რედაქციებს შორის უძველესია, დამოწმებულია ამავე მეფის სახელად აფხაზური და არა ასფაგური.¹ ურარტულ სამყაროს დასავლეთით, ევფრატისპირეთსა და მის მიდამოებში, იქ, სადაც ქართველური ტომების მოსახლეობაა შენიშნული, ქუთა (შეადარეთ ქუთა-ის-ი), ურა (ურთა, ურაიანი), არანა (გა-არნი, არიან-ქართლი), ტაბა (ტობი, ტაბალი, ტობანიერი) და სხვა, მათ გვერდით იხსენიება პუნქტი აბისა.² ნ.არუთინიანი გვთავაზობს ამ პუნქტის შედარებას აბსიაიასთან, თანამედროვე ჯებელ-ელ-აფხ-თან (მარდინის ჩრდილო-დასავლეთით).³ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება შემთხვევითი როდია. ერთი ასეთივე ტოპონიმი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ჭანეთშია დადასტურებული (ეს ტერიტორია დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). ჭანეთ-ლაზეთში ხომ მთლიანად ქართველები მოსახლეობდნენ და ამჟამადაც ასეთივე სურათია. ესაა სოფელი აბსო (აბსუ) ათინის უბანში.⁴ აქვეა სოფელი ნაფშითი (ძველი ნაფხაი). მასში უნდა გამოვყოთ ნა პრეფიქსი და ით სუფიქსი, ძირია ფშ-აფშ-ფს-აფს, რომლებიც იგივეა, რაც აფხილსა და აფხარში გამოყოფილი ფუძე-ძირი. აქვეა პუნქტი ქაშკარი, რაც იგივეა ქაშ-ის (ქაშქის) კართ ან ქაშქა არ სუფიქსით. საქართველოს ისტორიულ ოლქში – შავშეთში მოგვეპოვება მიკროტოპონიმი ქაშათ, რომელთა სახით ქაშქების ნაკვა-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 59, შენ.

² Дьяконов И..М. АВИИУ.-ВДИ, 1951, №2, с. 313.

³ Арутюнян Н.В. Биайнили (Урарту), с. 277, ком. 374.

⁴ ი.სიხარულიძე. ჭანეთი, II, ბათ., 1979, გვ. 12.

ლევი შეიძლება იყოს შემორჩენილი. აქვეა ქაშგილ, რაც შეიძლება ქაშკილ იყოს ან ქაშ(ად)გილ, ქაშქების აღგილი, სადგომი. ფსქაია, ლეაფშილე, სააფსა, ფსორი, ფშალო – ამ სახელებით სამურზაყანოს ტერიტორიაზე რამდენიმე მიკროტოპონიმი აღირიცხება და საქართველოში ალბად რამდენიმე ასეული. აფშილა დელეა ზერასოფელში, ქობულეთში, ხოლო შილა ტოპონიმია ჭანეთში.¹

მაშასადამე, აფს-აბისა-აბსიაია ქართული ტოპონიმები შეიძლება იყოს მხოლოდ. იქაა აფს ძირი (შეადარეთ აფსილი), აბისა (აბესა-ლა), აბსიაია (აბს-ილ-ეთ-ი). შევადაროთ ქართული გვარსახელები აბესი (აბესიძე) აბესანი (აბესანიძე), აბესა (აბესაძე), აბესალა (აბესლამიძე), აფსა (აფსავა) აფშილა (აფშილავა), აფშინა (აფშინაძე), აბისალა (აბისაშვილი) და სხვა. ტოპონიმში აბსიაია უქველია ია მეგრული სუფიქსი ოუ არა, მაშინ სვანური აია, მიწათმფარველობისა და მიწისქვეშეთის დვთაება უნდა გამოიყოს. ია აწარმოებს მეგრულ გვარსახელებსა და ტოპონიმებს, მაგალითად: ბაბუტია, სიდონია, ათანია, ფაცია, ფაცაცია, თორია, შარია, შენგალია, ბასარია, დანია, ციხია, ფაშდია, წიფურია, ხაია, ანარია, მახუნჯია და ა.შ. მეგრულში ია (უა, ვა) სუფიქსი აღნიშნავს შვილს (ვაჟიშვილს).

გავიხსენოთ თავად ქაშქურ-აბეშლური ტოპონიმები და სახელ-დინასტიური სახელები: თათაშ-თურია, თაქაშ-თურია, თალი-ფაცია, ფიფია, მახარია, ფათალია შარია, თოთია, თულ-მალია, ფაია, თითია, თახან-თარია, ცითა-ხარია, ცას-ფია, შუხურია და ა.შ.² განა აღნიშნულის მიკუთვნილება შეიძლება იმ ხალხზე, რომლებიც გამოჩნდნენ 30

¹ ი.ხიხარულიძე. ჭანეთი, II, გვ. 17; მიხივვ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959, გვ. 60.

² გ.გომირგაძე. ხეოური და ასურული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაჟების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 15-17.

საუკუნის შემდეგ, როცა იმ დროს რუსეთის სტეპებში მხე-
ცებივით, პირუტყვებივით დაძრწოდნენ. ამ სახელებსა და
გვარებს ათეულ ათასობით ქართველი, სვანი და გან-
საკუთრებით მეგრელი, ლაზი, ჭანი ატარებს. სირცხვილია
მსგავსი გაურკვევლობა...

აბეშლასა და აფხილის ეტიმოლოგის კიდევ ერთი
ვარიანტი გვინდა შემოგთავაზოთ. ამ შეხედულების მიხედ-
ვით, ტერმინი კომპოზიტური სახელი უნდა იყოს და დაი-
ყოს აბე-შლ, აბე-შილ, აფ-სილ და ა.შ. მით უმეტეს რომ
ამგვარი დანაწევრებისათვის გვაქვს მიზეზი. შილ ქართულ
ენაში, იგივეა, რაც მაზლის ცოლი, რძალი, ძმის ცოლი;
შილა – ბამბის წითელი ქსოვილია.¹ იმ შემთხვევაში, თუკი
ფუძე სმოვანს არ შეიცავს, ე.ი. შლ – შეესაბამება, მაშინ
ამავე ენაში შლუ-ს ჭარანაკლებ კაცს ეძახიან.² აბ-აბე-ს
რაობის გარკვევა შედარებით რთულია. თუმცა ძველი
ქართული ადამიანის საკუთარი სახელებია აბა, აფა, აფაი,
აფი, აბესალა, შილა, შალა (შეად.: შალაბერიძე, შალაისძე,
შილაგაძე, შილაკაძე); შესაძლებელია აფს (აფშ) ღვთაების
სახელი იყოს. შილა-ც სიკვდილის ღვთაების სახელია
ზოგიერთ ქვეყანაში. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ
შილა, როგორც პირსახელი, საქმაოდ გავრცელებულია
სამეგრელოში. ასე პქვია ლაგვილავა შილა ძოკიას ძეს,
რომელიც პაატა ცხადაიას ერთ-ერთი ინფორმატორი იყო.³
აბეშლა-აბეშალა-ში გამოყოფილი შალა იქნებ მეორე
ქართველური ტომის სახელში მათუშალა-ში არსებული
ერთ-ერთი ელემენტის შალა-ს ტოლფარდია, თუკი, რა თქმა
უნდა, სახელწოდებაში თუშ ძირი არ გამოიყოფა (შეად.: მა-

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 633.

² იქვე, გვ. 635.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს..., გვ. 178.

თუშ-ალ-ა). სტრაბონის (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 24) გადმოცემით იმ მთას, რომლიდანაც ევფრატი და არაქსი სათავეს იღებენ აბი ჰქვია.¹ ამ მთის გვერდით დასახლებულან ენიანები, რომელთა სემანტიკაც ქართველურია. ენიანი ნიშნავს ცუდი ენის მქონეს, ენატლიკინას. აქვე ურარტულ სანაში განლაგებული იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული სამეფოს დაიაგნი-დიაოხის ოლქი აბნულუანი (ბიზანტიური აბნიკი, სომხური წყაროების ავნუნიკი).² იქნებ აბი ამ უკანასკნელის უსუფიქსო ფორმა იყოს. თუმცა ურარტელები (სვანური დინასტიით) ხშირად ორმაგი სუფიქსებით (მათგან ერთი ადგილობრივი) იხსენიებდნენ ქვეყნებს, ოლქებისა და ქალაქების სახელებს, ასე მაგალითად: კულხა-კულხახალი, კალბა-კაბილუხი, ხალდი-ხალდირიულხი, შირიმი-სირიმუ-თარა, უზანა-უზიანობითარნა და ა.შ.

აღნიშნული მთის სახელი აბი შეიძლება წარმოდგარიყო ადამიანის საკუთარი სახელიდან. ასე მაგალითად, აბა – ქალის სახელი იყო კილიკიაში.³ აბა ასევე ძველი ქართული სახელიცა.⁴ სტრაბონის მიხედვით აბი მითური ტომია.⁵ როგორც ზემოთ აღინიშნა, აბისა ურარტუს ქალაქია, ხოლო აბისი სოფელია საქართველოში.⁶ უძველეს ქართველურ ენაში, შუმერულში, აბ, აბა მამას ნიშნავს (შეად. ქართული ბაბა, ბაბუ).⁷ ტერმინში ა – პრეფიქსია და ბა – მაღალს ნიშნავს (შეადარეთ ურარტული ბაბანია).

¹ Страбон. География, с. 497, 500.

² ს.გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), გვ. 100-102.

³ Страбон. География, с. 628.

⁴ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 65.

⁵ Страбон. География, с. 271-275, 277, 278.

⁶ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახოის აღწერა, თბ., 1986, გვ. 43.

⁷ რ. გორდეზიანი. წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 40.

შეიძლება აბე-შილი (აფ-შილი) მეგრული ენის გამოყენებითაც აიხსნას. ამ ენაში აბე-აბეს მეგრულში ამბავია. ლა (ელა-ალა)-ქართველური სუფიქსი. შესაძლებელია აბე-სა-აბასა-აბაშა საკუთარი სახელიც იყოს და შესაბამისად აბესას-აბეშას შთამომავლობას აღნიშნავდეს. მეგრულში შილ ქსოვილს აღნიშნავს.¹ დაახლოებით იგივეს ნიშნავს საკუთრივ ქართულშიც: შილ – წითელი სამოხი.² ფშაურ დიალექტში შილა ბამბის წითელი ქსოვილია.³ შილი, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი, გავრცელებული იყო სამეგრელოში, და, საერთოდ, ზანჯრ(მეგრულ-ლაზურ) სამყაროში, რის მოწმობაა სამეგრელოსა და ჭანეთ-ლაზეთში გავრცელებული ტოპონიმები: შილეთი, შილერითი, შილარითი და სხვა. ქართული ენის დიალექტებში ასილა ნიშნავს კოდს. შილაია ერქვა ნაირი-ხუბუშკის მეფის ქალაქს.⁴ ეს ტოპონიმი, ჩვენი აზრით, ასე უნდა დაიშალოს: ხუბუშკია, სადაც ხუბუ მეგრული საკუთარი სახელია (შეად. გვარი ხუბუ), ხოლო შკია – სკუას სახენაცვალი ფორმა. მაშასადამე, ხუბუშკია იგივე ხუბუსკუაა და შეესაბამება ქართულ ხუბუშვილს.

შილი, უძველესი ქართულის მიხედვით, რომელიც ურარტულ ლურსმულ ტექსტებს შემოუნახავს, შეიძლება შვილს, ძეს ან კიდევ შთამომავლობას ნიშნავდეს. ურარტუს მეფის არგიშტის (ძვ. წ. 784–764 წწ.) მონაცემებით მას დაუპყრია “ქვეყანა ზაბასაე-შილი” (Zabahaešili),⁵ რომელიც მდებარეობდა ქვეყნების ბიანსა (ქართული ოლქი და

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 260.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 1396.

³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 653.

⁴ Дьяконов И.М. АВИИУ.-ВДИ, 1951, №2, с. 296.

⁵ Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, с. 212; Арутюнян Н.В. Биайнили (Урарту), с. 191, ком. 32.

ქალაქი ბანა) და სირიმუთარას (ქართული შირიმნი, შირიმთა) შორის. ზაბახაევ-შილი-ში სხვა რა უნდა იგულისხმებოდეს, თუ არა ზაბახას, ჯავახას შვილები, ე.ი. ზაბახას შვილის შთამომავლობა, ქვეყანა. კაპადოკიურ ფირფიტებში ხათების საკუთარ სახელებად გვხვდება ამ-შილი, ბურ-შილი, მურ-შილი, დუხე-შილი, დუხუ-შილი და ა. შ.¹

ამრიგად, ტერმინი აბეშლა ქართველურ სამყაროს შეიძლება დაუკავშირდეს. მას, ჩვენი აზრით, არავითარი კავ-შირი არ გააჩნია აფხაზეთის დამპყრობ აფხაზი ტომებთან.

¹ გ. მელიქიშვილი. მიებანი... გვ. 208, 209.

ტერმინ აბებლას კავშირი საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე ტერიტორიასთან

ცნობილია, რომ პვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ქაშქა-აბეშლას ტომებს მრავალი სპეციალისტი (ნ. მარი, პ. უშაკოვი პ. უსლარი, ვ. სტრუვე, შ. ინალიფა, დ. გულია, მ. დიაკონოვი, გ. მელიქიშვილი და სხვები) აფხაზურ-ადიდეური მოსახლეობის წინაპრებად მიიჩნევდა.

ცნობილი მეცნიერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ხეთური წყაროების ქაშქას ასურულ ლურსმნულ ტექსტებში ქაშქას ვარიანტად დამოწმებული აბეშლა შეესაბამება. გ. მელიქიშვილის გადმოცემით, ისინი აფხაზურ-ადიდეური წარმომავლობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ.¹ მსგავსი შეხედულებისაა ნ. არუთინიანი. იგი იზიარებს შეხედულებას, რომ ასურულ ვარიანტში ქაშქას ენაცვლება აბეშლა. ასე რომ ქაშქა და აბეშლა ერთი და იგივე ტომის სახელწოდებია.²

მკვდევრები იმასაც მიიჩნევენ, რომ ასურული წყაროების აბეშლა და მოგვიანო ხანაში აფხაზეთის ტერიტორიაზე დამოწმებული ტომი აფხილი (აბშილი) ერთი და იგივე წარმომავლობის ტომებია და მათ შორის არა მხოლოდ ფონეტიკური, არამედ ეტიმოლოგიური კავშირიც არსებობდა. აქვე დაგსძენდით, რომ იმავე ტერიტორიაზე,

¹ Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, Тб., 1954, с. 75-77; მისივე: К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 120, 168; საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 100.

² Н. В. Арутюнян. Бийанили (Урарту), Еր., 1970, გვ. 34-35; დამოწმებულია Ebeling. RLA, I, с. 6.

სადაც ქაშქა-აბეშლას ტომები ბინადრობდნენ ანტიკურ ხანაში მოსახლეობდნენ ქართველური მოდგმის ტომები – მაკრონები, ღრილები, ბექირები, მოსინიკები, მარები, ხალი-ბები, ტიბარენები, შევითინები, სასპერები, ჭანები, ხალდები და სხვები.¹ საკითხავია, საიდან გაჩნდნენ მრავალრიცხოვანი ქართველური (მეგრული, სვანური) ტომები აქ, თუკი ისინი ძველადმოსავლურ ხანაში არ მოსახლეობდნენ? თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქაშქური ტოპონიმებისა და ადამიანის საკუთარი სახელების (სულ მათი რაოდენობა 170-მდეა) შესწავლა გვიჩვენებს მათი ქართველური (უფრო მეგრული) სამყაროსადმი მიკუთვნილების ფაქტზე.

სანამ გადავიდოდეთ ტერმინების “აბეშლა“-სა და “აბ-შილ-აფსილი“-ს ურთიერთმიმართების საკითხზე, მანამდე მცირე ექსკურსი გავაკეთოთ წყაროებში მათი მოხსენიების შესახებ.

როგორც აღინიშნა, ხეთური და ასურული წყაროების ქაშქას (კასკა) ერთადერთ ვარიანტად ასურულ ლურსმნულ ტექსტებში აბეშლა გვევლინება. ესაა ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115–1077 წწ.) მოღვაწეობის ხანა. შემდეგ რომაულ წყაროში, კერძოდ, ფლავიუს არიანე შავი ზღვისპირეთში მოგზაურობის დროს (131 წ.) ასახელებს ტომს სახელით აფსილი. მისივე გადმოცემით, ისინი სანი-გებისა და აბასკების გვერდით აფხაზეთის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ.² აღნიშნული მიდამოები კოლხეთის სამე-ფოს ფარგლებში შედიოდა რამდენიმე საუკუნის განმავლო-ბაში. მოგვიანებით აქ ეგრის-ლაზიკა გაბატონდა. ფეოდა-

¹ ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგ-რაფია (ძვ.წ. XII–IV სს.), ბათ., 2002; მისივე: დაიაქნი-დიაოხი (ლოკალი-ზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვოს), ბათ., 2006.

² ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭადმაძის რედაქციით, თბ., 1961, გვ.42–43.

ლურ ხანაში აღნიშნულ მიღამოებს ფლობდა ჯერ ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფო, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო, ბოლოს კი სამეგრელოს სამთავრო. მათი საზღვრები დროდადრო ყუბანამდევ კი გადიოდა.

სხვა რომაელი ავტორი პლინიუსი (23–79 წწ.) აფხაზეთის ტერიტორიაზე სოანების (სვანების) გვერდით სანებს (ჭანებს), სალტიებს (=ფოთოფაგები?) და სხვებს ასახელებს აპსილების ტომთან ერთად.¹ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს მხარე ცოტათი ადრე მაინც ქართველურ ტომს სვანებს ეკავათ, რის შესახებ მოგვითხრობს ბერძენი ავტორი სტრაბონი (ძვ.წ. 64–ახ.წ. 24 წწ.). აქვე უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ იმ დროიდან, რა დროსაც ჩნდება წერილობითი ძეგლები ამ მხარის შესახებ, ე. ი. ძვ. წ. VI–V საუკუნეებიდან მოყოლებული ახ. წ. II საუკუნემდე, არც ერთი მწერალი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ასახელებს აფხაზ და აფსილ ეთნონიმებს. ამ ტერიტორიიდან შორს ჩრდილო-აღმოსავლეთში პლინიუსი ასახელებს ტომს – აბზოას. ისინი კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთში, მდინარე ვოლგის შესართავის მახლობლად ბინადრობდნენ, და თანაც სკვითების ჯგუფის ეროვნების ნიშნით არიან აღნიშნული. ამ რუკის გამომცემელ დიუბუს სოხუმის სამხრეთით დატანილი აქვს აფსილები და ისინი ქართველური ტომის ნიშნით აქვს აღნიშნული. ტექსტში რამდენ-ჯერმეა ნათქვამი, რომ აფსილები–მეგრელები იყვნენ, წინათ ჰენიოხები ეწოდებოდათო.²

¹ პლინიუს უფროსი. ბუნების ისტორია.–ტაციიტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, გამოსცა აღ. გამურელიძემ, თბ., 1973, გვ.32.

² ნ.ფოფხაძე. სინამდვილე კი ასეთია, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, 20 აპრილი. ასევე იხილეთ მისი ნაშრომები: გაზ. გუდაუთა, 1998, №4; გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 14 ივლისი.

დავუშვათ და აღნიშნულ ტერიტორიაზე რომც ყოფილიყო მსგავსი მოსახლეობა (აფშილები, აბაზგები, ქაშქები), განა ეს ცვლის ეთნიკურ სურათს აფხაზეთსა და მის მიდამოებში? ქაშქი, აბეშლა პირწმინდად ქართული მოდგმის ტომების სამყაროა და მათი ხევნება კოლხეთის ჩრდილოეთ მონაკვეთზე განა ცვლის რაიმეს აფხაზუათა (კიმურიელთა?) სასარგებლოდ? სტრაბონის გადმოცემით, არა მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორია, არამედ კავკასიონის მწვერვალები და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე მიწაწყალი უქანამდე და ყირიმამდე ეკავათ სვანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა სტრაბონის ცნობა, რომ მათ ლაშქრობის დროს 200 ათასიანი ჯარი გამოჰყავდათ.¹ ეს რომ ასე იყო ამაზე მეტყველებები, ტომლებიც დასტურდება წერილობით ძეგლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოყოლებული,² აქ ჩრდილო კავკასიელი ბანდების შემოსვლამდე და დამკვიდრებამდე. სტრაბონის მონაცემებს მხარს უჭერს არაერთი ანტიკური ოუ მოგვიანო ხანის წყარო (აგათია, პროკოფი კესარიელი, მენანდრე და ა. შ.). 6. ლომოურის აზრით, არ ქოლოგიური მასალების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველური ტომები შეადგენდნენ.³

ქართულ წყაროებში აფშილეთი პირველად იხსენიება ისტორიკოს ჯუანშერის (VIII–IX სს.) თხზულებაში, იქ, სადაც მოთხოვთ არაბი სარდლის მურვან ყრუს მიერ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ლაშქრობა.

¹ Страбон. География. Лен.1964, с. 473, 473. ქართები (გეორგები), რომ ყირიმის ნახევარკუნძულზეც მოსახლეობდნენ ამის შესახებ იხ. 6. ფოფხაძის ნაშრომი. გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 14 ივლისი.

² პ. ინგოროვება. გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 146–188; პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ. 2003.

³ Н. Ю. Ломоури. Абхазия, с. 9.

მატიანეში ნათქვამია, რომ ყრუმ “შემუსრა ქალაქი აფში-
ლეთისა ცხეუმი.”¹

აფსილები და მათი ქვეყანა აფსილია მოიხსენიება, აგ-
რეთვე ბიზანტიულ ავტორებთან: პროკოპი კესარიელთან,
თეოდოსი განგრელთან, თეოფანე ჟამთაღმწერელთან,
აგათიასთან, მენანდრესთან და სხვებთან.²

გ. თამარაშვილი და ივ. ჯავახიშვილი ქაშქას კოლხებად
მიიჩნევდნენ.³ პ. ინგოროვა წერილობითი წყაროების, ეთნო-
ნიმიკის, ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მივიდა
იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთი ძირძველი ქართული სამყა-
როს შემადგენელი ნაწილია, და, რომ უძველესი დროიდან
ქართველი ტომებით იყო დასახლებული.⁴ კოველივე ამას
უდიდეს შეფასებას აძლევდა გ. ჩიტაია.⁵

შ. ინალიფა ამტკიცებდა, რომ თითქოს აფხაზურ-
ადილეურ ტომებს III-II ათასწლეულში ეკავათ ტერიტორია
ჩრდილო კავკასიონან მცირე აზიამდე მთელი აღმოსავ-
ლეთი შავიზღვისპირეთი. ასე, რომ, მისი ვარაუდით, ისინი
განივრცობოდნენ უზარმაზარ სივრცეზე.⁶ ასეთი შეხედუ-
ლების სიმართლე, ე.ო. ხატებისა და აფხაზურ-ადილეური
ენების ნათესაობისა არ სჯეროდა ი. დიაკონოვს.⁷ გ. ალექ-

¹ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 235.

² ს. ყაუხესიშვილი. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 128, 133, 135; მიხილე: გეორგიკა, ტ. III, ტფ., 1936, გვ. 86, 162, 237; გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 44, 46, 105.

³ გ. თამარაშვილი. საქართველოს ეკლესია დასაბამითგან დღემდე, რომი, 1910, გვ. 56, ფრანგულ ენაზე (მითოთებულია სხვათა ნაშრომების მიხედ-
ვით), ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ. 1913, გვ. 26.

⁴ პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე, გვ. 146–188.

⁵ გ. ჩიტაია. შრომები, II, თბ. 2001, გვ. 112–113.

⁶ Ш. Инал-ипа. Вопросы этнокультурной истории абхазов, Сух., 1976, с. 423-425.

⁷ И.Дьяконов. Предыстория армянского народа, Ер., 1968, с. 10-13.

სეევას აზრით, იგი არც არქეოლოგიური მასალების მიხედვით დასტურდება.¹

მკვლევრები ტერმინ აფშილისა (აბსილი) და აბშილეთის (აფსილეთი) წარმომავლობას სხვადასხვანაირად სხინან. ბ. გოგიამ და ჯ. გამახარიამ წერილობითი წყაროების, დოკუმენტური მასალების, ეთნონიმიკური, ტოპონიმიკური, ლინგვისტური და სხვა მასალების ანალიზით დასაბუთებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან 17–18 საუკუნეებამდე მხოლოდ ქართველური, ძირითადად, მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომები ბინადრობდნენ; მხოლოდ შემდეგ მოხდა ჩრდილოკავკასიური ბანდების შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.² მათივე განმარტებით, ქსენოფონტის (ძვ.წ. V–IV სს.) მიერ კილიკიაში მოხსენიებული მდინარე ფსაროს ნიშნავდა ლაქიანს, ფსილიტები-შიშველს, უთმოს; მდინარე აფხარის ეტიმოლოგია ბერძნულია და აღნიშნავს ულაქოს. აფსილი ჩერქეზული სიტყვა არ არის, მასში აპრეფიქსი არ იყოფა, აქ ფსილი წყალი არ არის.³ მკვლევარები აქვე მიუთითებენ შ. ინალიფას აფხარის განმარტებაზე, რომელიც თითქოს აფხაზურად აღნიშნავდა ფიჭვს (წიწვოვანების ხეივანებს).⁴ მკვლევრების აზრით, შ. ინალიფას ძველბერძნულ-რუსული ლექსიკონით რომ ესარგებლა (სადაც აფხაროსი უთვზოს აღნიშნავს), მაშინ ამგვარ შეცდომას არ დაუშვებდა. ანტიკურ ხანაში მდინარე ჭოროხის ხეობაში (ბათუმის მახლობლად) ვისაც არ უნდა

¹ Е. Алексеева. Древняя и средновековая история карачаево-черкезии, М., 1971, с. 186–198.

² ჯ. გამახარია. აფსილ—აბაზგოა კონიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1998; Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тб., 1997.

³ იქვე, გვ. 30.

⁴ Ш.Инал-ипа. Вопросы... с. 254, 384.

ეცხოვრა, ისინი ამ მდინარეს სისტემურ როშფ-ს არ დაარქ-
მევდნენ.¹

შოპენის მიხედვით, აპ, აბ ნიშნავს წყალს, მდინარეს; აპგას ნიშნავს მდინარეთა აუზს ან ასების წყალს. ფ. მი-
შენკო აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი აგტორების აფსი-
ლებს უწოდებს „უთმოს, ჰელენის“. უპაპეს ეტიმოლო-
გიით აფსაროსი ძლიერ წყალს აღნიშნავს.² ე. კახიძის
გადმოცემით, წინა აზიაში “აპ”-ით წარმოებული სახელები
წყალს უკავშირდებიან და მათი მატარებელი ლვთაებები
მამაკაცები არიან. აპსარა ძველი ინდური სიტყვაა და
გამოხატავს ქალს, მდედრს.³

ი. გელბი ქაშქას სინონიმს აბეშლას აკავშირებდა
მესოპოტამიური წყაროების აფიშალ-აბიშალ-თან, ხოლო
აბეშლას ტერიტორიას ტიგროსსა და ვანის ტბას შორის
მდებარე რაიონებთან. ტერმინი ახლოს დგას ასურეთის
მეფის სახელთან-აბიაშალი (აფიაშალი).⁴

გ. გასვიანის აზრით, აფხაზეთში აფსუა-აბაზები და
ადილე-ჩერქეზები გვიან საშუალო საუკუნეებში ჩამო-
სახლდნენ უებანისპირეთიდან და ადილე-ჩერქეზეთიდან. აქ
მოსულმა უცხო ჯიშისა და ჯილაგის ხალხმა იმ ქვეყნისა
და ხალხის სახელი მიისაკუთრა, სადაც ისინი გვიან დრო-
ში დამკვიდრდნენ. ისინი ადგილობრივ, მკვიდრ ქართველებ-
თან შედარებით ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდ-

¹ Дж. Гамахария, Б. Гогия. Ук. соч., с. 136.

² იქვე, გვ. 518, 421, 527.

³ ე. კახიძე. აფსაროსის ეტიმოლოგიისათვის. – საისტორიო მაცნე,
ბათუმის სახ. უნ-ტი, 1996, №4, გვ. 13-17.

⁴ История Древнего востока, II, М., 1988, с. 25.

ნებ.¹ მაკლევარს აქვე მოაქვს მასალები, რომლებიც ასეთ ფაქტებს ადასტურებენ. მისი გადმოცემით, თ. გვანცელაძის მიერ 10–12 წლის წინ მიკვლეული რუკით (შედგენილია 1561 წ. იტალიელი კარტოგრაფის ჯ. გასტალდის მიერ) დადგინდა, რომ XVI საუკუნეში აფხაზები მოსახლეობდნენ მდინარე ყუბანის შუა ნაწილში. მათ ქვეყანას ABSYAS REGI ეწოდება. აქვე გვერდითაა აღნიშნული დაბა-ქალაქი აკუა. ამავე რუკის მიხედვით, სამეგრელო მოიცავს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს და აფხაზეთი არც კია დატანილი რუკაზე. გ. გასვიანის თქმით, ამას ადასტურებს სხვა მოღვაწე ისტორიკოსები თუ სამხედრო პირები, კერძოდ ა. დიახოვავ-ტარასოვი და ვ. ტატიშჩევი. ამ უკანასკნელის გადმოცემით, აფხაზეთის დიდ ნაწილს ყუბანისპირელი აფხაზები ავსებენ. აქვე გ. გასვიანი აკეთებს დასკვნას, რომ აფხაზები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ყუბანისპირეთში ბინადრობდნენ. ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე XVII–XVIII საუკუნეებში გადმოსახლდნენ. ამასვე წერს რუსი სამხედრო ისტორიკოსი ა. დიახოვავ-ტარასოვიც.²

ვ. ტატიშჩევი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია; ახლა მის დიდ ნაწილს ყუბანის მოსახლეობა ავსებეს.³

იტალიელმა ბერმა 1629 წელს აღნიშნა, აბაცა ხალხი თავის თავს აბსნეს უწოდებს, ისინი უცხოური გარეგნობით

¹ გ. გასვიანი. ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ., თბ., 2003 გვ. 2; მისივე, აბხазია. Древние и новые, абхазы, Тб., 2000, с. 51-52, 56-58 და სხვა.

² იქვე. გვ. 39.

³ В.Н. Татищев. История Российской, I, М.-Л., 1962, с.171.

გამოირჩევიან. აბსენტი ახლახან ჩამოვიდნენ ჩრდილო კაპ-კასიიდან სამხრეთ კავკასიაში.¹

იტალიელი კარტოგრაფის გასტალდის მიერ 1561 წელს შედგენილ რუკაზე მთელი აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი აღნიშნულია, როგორც სამეგრელოს ოლქი. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას კი სახელწოდება საერთოდ არ აქვს,² და, შეუძლებელია რომც პქონდეს, რადგან აფხაზები (თანამედროვე აფხაზები) ჯერ კიდევ არ სახლობდნენ აქ. ამ რუკაზე ყუბანის შუა წელის ჩრდილოეთით მითითებულია აფხაზის რეგიონი. იმავე მდინარის მარცხენა შენაკადზე დატანილია ქ. აქუა-იგივე აყვა, რომლის სახელი ჩრდილოკავკასიიდან დამყრობლებმა ცხეუმს-სოხუმს შეარქეს. ვილჰელმის რუკაზე (XVII ს.) მინგრელია აწერია თითქმის ყუბანის სათავეებამდე ტერიტორიას.³ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სამეგრელო რომ ყუბანისპირეთამდე ვრცელდებოდა, აღნიშნულია მაშინდელ არაერთ რუკაზე, არაერთი მოგზაურისა თუ კარტოგრაფის მიერ.

მართებულია მ. ლორთქიფანიძის აზრი ამავე საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს, რომ უცნობია რა ეწოდებოდა იმ ხალხს იქ, თავის თავდაპირველ სამშობლოში, აქ რომ დასახლდნენ, სავარაუდოა, რომ ქართველებმა აქ მოსახლე ქართველი აფხაზების გამო მათაც აფხაზები უწოდეს.⁴

¹ ეს ცნობა ნ. ფოფხაძემ მოიტანა ქ. შანტრის წიგნიდან: რეზერვე ან-ტროპოლოგიკ... ტ. II, გვ. 132; იხ. ნ. ფოფხაძის ნაშრომი გაზ. ახალგაზარდა ივერიელში, 1990, 14 ივლისი.

² თ. გვანცელაძე. 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აბხაზთა ისტორიული სამშობლოს დოკალიზაცია. –ქურნ. არტანუჯი, №6, თბ., 1997, გვ. 28-31.

³ თ. გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. – ქურნ. არტანუჯი, 310, თბ., 2007, გვ. 58.

⁴ მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 20

აფხაზეთს XV საუკუნეშიც ქართველები შერვაშიძეები (შერვაში) განაგებდნენ. ოავადებიც ქართველები იყვნენ ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარლანია, ზვანბაია, აკირთავა, ლაკერბაია და სხვები.¹

დ. გოგოლაძის აზრითაც, დღევანდველი აფხაზეთის ტფრიტორიაზე ქართველი ტომები ბინადრობდნენ. რეგიონში არსებული უძველესი ტოპონიმები: ცხუმი (სვანურად რცხილა), დიოსკურია (ტყუპი ძმები), დედის საუფლო, დედა ადგილი, ბიჭვინთა (ფიჭვინთა, ფიჭვნარი), მოქვი (სვანურად ზვინი) და ა.შ. თავად ტერმინი აფხაზეთი ქართულ ენობრივ სამყაროს განექუთვნება. ფუძე აფხა და ფხა ასოციაციას იწვევს ქართულ ტერიტორიულ ტიპონიმებთან, როგორიცაა; სოფელი აფხავი (ანანურთან), ფხოვი, სოფელი აფხაზეთ (XII ს.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.²

ჩრდილოკავკასიელი რ. პლიევის აზრით, ბას-ხი ნახურად ნიშნავს მოუდრეკელ მდინარეს, რადგან ამავე ენაში ხი წყალია, მდინარე.³

ი. ვორონოვის გადმოცემით, ასურული წყაროების ქაშქები და აბეშლავები აფხაზურ-ჩერქეზული წარმომავლობისანი არიან. ისინი მოვიდნენ აქ და შეერწყნენ აბორიგენებს. მოსულთა ენამ გაიმარჯვა. აფხაზ-ადილეველები რომ მოსახლეობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში და კავკასიის სამხრეთ-დასავლეთში, მოწმობს ამ მხარის ტოპონიმიკა – სინიპე, აკამფსისი, არიფსა, აფსარეა, დუაბზუ, სუფსა, ფასისი და სხვა (იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს), რომლებიც შეიძლება დაგუკავშიროთ ტომ

¹ იქვე, გვ. 21.

² დ. გოგოლაძე. “აფხაზთა” საერისთავოს, დღევანდველი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995, გვ. 6-8, 29-35.

³ პ. Плиев. Хранитель тайн-язык. М., 1997, с. 37-41

იგანიეხელებს, რომლებიც უძველესი დროიდან აქ ცხოვ-რობდნენ (იმოწმებს გ. მელიქიშვილს). მათ მცირე აზიდან დოლმენური კულტურა უნდა შემოეტანათ (იმოწმებს ანჩაბაძეს).¹

ს. ბადას მიხედვით, შუამდინარული აფსუ (ღვთაება) ორი მეგრული სიტყვისაგან შედგება აფ და სუ. აფ ნიშნავს არის, ასევე ერგება, სიტყვა სუ ქართულად იქნება გაჩუმებული. მაშასადამე, აფსუს შინაარსი იქნება არის გაჩუმებული. ტერმინ აბეშლა-ში გამოიყოფა სამი ელემენტი. პირველი აბე მეგრულია და იგივეა, რაც ამბე (ამბავი), შ-მეგრულია, ქართულად იქნება ახსოვს. ლა აღნიშნავს ციდან ვარდნას ანუ მეფობა ვარდება ციდან. აბეშლა და ქაშქა მონათესავე ტომები არიან.² მკვლევარი გვაძლევს აფსილისა და აფსუას ეტიმოლოგიურ ახსნებსაც. მისი აზრით, აფსილი იყოფა ორ ნაწილად, აფ შეესაბამება ერგება, ლ-მეგრული არის, შილი-მოქსოვილი. მაშადამე, ტერმინის შინაარსია “აქვს მოქსოვილი”. აფსუა ლაზ-მეგრულია, აფ ნიშნავს არის, სუა-ფრთას, ე.ი. აფხაზეთის “ერთი ფრთა”. ს. ბადა იძლევა ტერმინ აფხაზეთის განმარტებასაც. მასში აფ მეგრულია და ნიშნავს არის, ხ-ამავე ენის მიხედვით მხარე, კუთხე. ტერმინის შინაარსია “არის მხარე”. ზე-თი შემდეგაა დამატებული. აფხას ლაზ-მეგრულში ბეჭის მნიშვნელობაც აქვს.³

დ. მუსხელიშვილის აზრით, აბხაზთა თვითსახელი აფსუა ნაწილდება ორად – აფს ფუძედ და უა სუფიქსად (ეს უკანასკნელი ადამიანსაც ნიშნავს). ქართულიდან ბერძნულში გადასული ფორმა აფსილი ასევე იყოფა ორ ნაწილად –

¹ Ю. Н. Воронов. Археологическая карта Абхазии, Сух., 1969, с. 74.

² ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006, გვ. 78, 289–290.

³ იქვე. გვ. 295–296.

აფს ფუძედ და ილ სუფიქსად. ქართულში მხოლოდ აფსილ ფორმა არსებობს. ამიტომ საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ ქართველებმა, ბზიფელი აფხაზების თვითსახელი მიიღეს შიშინა ვარიანტით—აფსილ და არა აბჟუელი აბხაზებისა, რომელთაც სისინა ფორმა ახასიათებთ. ისინი მეგრულების გვერდით ცხოვრობდნენ და ქართველებს, ლოგიკურია, აფსილ ვარიანტი უნდა შეეთვისებინათ. მთავარია ის, რომ აფშილებს არასდროს უცხოვრიათ ბზიფზე. ბზიფს იქით თვით აბხაზებსაც არ უცხოვრიათ შეა საუკუნეებში. ეს ტერიტორია იყო ჯიქეთი და აქ ჯიქები მოსახლეობდნენ. ქართველები აფშილებს უწოდებდნენ მერმინდელი აბჟუის ანუ კოდორსა და გუმისთას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე ძველ მოსახლეობას. მათ დასავლეთით აფხაზები ბინადრობდნენ. ერთი სიტყვით, ასეთი მდგომარეობა იყო XI საუკუნის წყაროების მიხედვით. დ. მუსხელიშვილი აქვთ გამომდინარე აკეთებს დასკვნას; აფსუა სხვა, უფრო ახალი ეთნონიმია და XI საუკუნის აფხაზეთის მოსახლეობისათვის უცნობია, ხოლო აფშილ—სხვა, ძველი ეთნონიმია და დღუვანდელი აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს ეწოდებოდა. მკვლევარი ენათმეცნიერული ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ აფშილს არც გეოგრაფიულად, არც ქრონოლოგიურად და არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო აფსუასთან, რომლებიც გვიან ჩამოსახლდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე.¹

ე. ოსიძის გადმოცემით, აფშ—ილ და აფს—არ ტერმინებში ილ და არ სუფიქსები გამოიყოფა, რომლებიც ქართულ მაწარმოებლებად შეიძლება მივიჩნიოთ. აფსუა, აფს—ილ,

¹ დ. მუსხელიშვილი. აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, ქურნ. არტანუჯი, №10, 2000, გვ. 17-24.

აფშ-ილ და აფშ-არ ფორმებში ფუძე-ძირი ხმოვნის გარე-შეა წარმოდგენილი. ოთხივე შემთხვევაში ფუძე-ძირს სუ-ფიქსი მოსდევს, რომელსაც შეეძლო ფუძისეული ხმოვანი ამოეგდო. აბაზა და აბასკაბასგ ფორმების მიხედვით შე-საძლებელი ხდება სინკოპირებული ხმოვნის აღდგენა. რედუცირებული ხმოვანია ა. რეკონსტრირებული ფუძე-ძირი (ა ბას) ა ბაშ უნდა იყოს, რაც რეალურად არის დადას-ტურებული აბასკაბასგ ეთნონიმში.¹

თ. გვანცელადე აღნიშნავს, რომ რეალურად რა ენაზე ლაპარაკობდნენ აბეშლას ტომის ადამიანები, ძნელი საოქ-მელია. აფსარ ეთნონიმში არ ელემენტი ელ სუფიქსის ფარ-დია. ძირი აფს აფხაზურ აფს-^ა ა-ს უნდა დაუკავშირდეს, სადაც უა სუფიქსად ქცეული ადამიანის აღმნიშვნელი ძი-რია (მითითებულია ქ. ლომთათიძე).²

თ. გამყრელიძის აზრით, თუ ჩვენ ეთნონიმ აფშილებში თანამედროვე აფსუა-აბხაზთა წინაპრებს ვიგულისხმებთ, ამას ვერ ვიტყვიოთ აბაზგ-აფხაზებზე, რომლებიც აფსუა-აფშილებისაგან განსხვავებულ ჯგუფებს უნდა წარმოად-გენდნენ. უძველესი ფორმა აბაზა დასაბამს აძლევს აბხაზ-თა თვითსახელ აფსუას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს აბაზა ფორმის ხმოვან რედუცირებულ ვარიანტს: აბა-ზა-აბზა-აფსა. აფსა ძირი საფუძლად უდევს: აფსა-აფსუა. აფსუებს აფხაზები აფხაზეთის სამეფოს დაშლის შემდგომ ეწოდათ. უდავოა, რომ აფსუა-აფხაზთა აბხაზებად სახელ-

¹ ქ. ოხიძე. აბასკ II აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისათვის. – სქაუქტ, გვ. 561-571.

² თ. გვანცელაძე. კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ. – სქაუქტ, გვ. 571-580.

დება საკუთრივ ქართულენოვან სამყაროში მოხდა და აქედან გავრცელდა სხვა ენებში.¹

აფხაზეთის მოსახლეობა ქართული რომ იყო და მათი სალაპარაკო ენა ქართულია, ამას ადასტურებს არაერთი წყაროს ცნობა.

XII საუკუნეში მცხოვრები აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯევი თავის ნაწარმოებში აფხაზეთს ქართულ სამეფოდ მიიჩნევს. მეორე აზერბაიჯანელი პოეტი ხაჯანი კი აღნიშნავდა: “მე გავხდი აფხაზეთის მცხოვრები და ვილაპარაკე ქართულად”².

გამბა, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოვიდა, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში ბატონობდა “წარმოშობით აფხაზი შერვაშიძის საგვარეულოდან, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს და უძველეს გვარად ითვლება ამ მხარეში³. იქვე მოგზაური უმატებს, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა ქრისტიანობა შემოინახა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან.⁴ აფხაზების სალაპარაკო დიალექტს არავითარი კავშირი არ აქვს მეზობელი ჩერქეზების დიალექტთან. ამავე დროს რადგან აფხაზეთი დაპყრობილი ჰქონდა ოსმალეთის იმპერიას, აქედან ქრისტიანები იდევნებოდნენ და მუსლიმანი მთიელები შემოდიოდნენ.⁵

რა თქმა უნდა, ესაა სრული სიმართლე – აფხაზები იგივე მეგრელები, ლაზები არიან. აფხაზეთი ქვეყნის სახე-

¹ თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან, – სქაუქტ, გვ. 581–602.

² ამ ცნობებს ვიმოწმებ გ. პაიჭაძის ნაშრომიდან, Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989, с.24.

³ ქად ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თარგმნა გ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 85.

⁴ იქვე, გვ. 88.

⁵ იქვე, გვ. 91.

ლია ერთ-ერთი ქართველური ტომის მიხედვით (შეადარეთ აბაზგია). ამ ტერიტორიაზე ძვ.წ.ელთაღრიცხვიდან ახალი წელთაღრიცხვის მიჯნამდე ქართველური ტომები, სვანური წარმომავლობისანი ბატონობდნენ. შემდეგ ეგრის-ლაზიკის სამეფოს არსებობის პერიოდში ამ მხარეში თანდათანობით კოლხეთის ცენტრალური რაიონებიდან მეგრელები ვრცელდებიან და სვანური მოსახლეობა კი ძირითადად მოქმდება და მის კალთებს აფარებს თავს. აფხაზეთის მმართველები ყოველთვის იყვნენ ჯერ სვანები, ხოლო შემდეგ მეგრელები. ეგრის-აფხაზეთის, ანუ აფხაზეთის სამთავროს თუ სამეფოს არსებობის პერიოდში ამ ქვეყნის მმართველი ძალა ქართველები, ქართველი მეფეების მირიანისა და ჯუანშერის ნათესაური წრიდან იყვნენ, ვიდრე ეს მხარე 978 წელს საქართველოს ერთიან მონარქიაში არ გაერთიანდა, ქართველი მეფის ბაგრატ III (975–1014 წწ.) ერთიანი საქართველოს დროშის ქვეშ. 1463 წელს საქართველოს სახელმწიფო დაიშალა. დასავლეთ საქართველოს ყუბანისპირეთამდე მართავდნენ ბედიან-დადიანები. მხოლოდ XVII საუკუნეში დაიწყო სამხრეთ რუსეთის მხარეებიდან თავად რუსების მიერ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ესენი ძირითადად იყვნენ აფხაზები, ჩერქეზები, ადიღეელები.

სტატიის „„უნაკლო ენციკლოპედიისათვის“ ავტორების განმარტებით, აფხაზები (და არა აფხაზები) ისეთივე ქართველები არიან, როგორიც მეგრელები, იმერლები, კახელები და სხვანი. ანტიკური ხანიდან XVII საუკუნის დასასრულამდე აფხაზთა სალაპარაკო ენა მეგრული იყო. აფხაზური ენა არ არსებობს და არც არასდროს არსებულა. XVII საუკუნეში აფხაზეთში შემოიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიელები (ადიღეური ტომები), მათ მეგრულ ენაზე მოლა-

პარაკე აფხაზებს თავს მოახვიეს აბაზინური ენა. აფხაზები (აფხუები) მალავენ, რომ საქუთარი ენა არ გააჩნიათ. ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრნი, არაერთხელ ვყოფილვართ მოწმე იმისა, რომ ყაბარდო-ბალყარელები, აბაზინები აყვედრიდნენ აფხუა-აფხაზებს, თქვენ ჩვენს ენაზე ლაპარაკობთო.¹

დავუშვათ, რომ აბეშლა იგივე ტომია, რაც აფხილი, და, რადგანაც ქაშქა-აბეშლას ტოპონიმებისა და ადამიანების საკუთარი სახელები პირწმინდად მეგრულია, და ზოგიერთი ანტიკური წყაროს ჩვენების თანახმად აფხილებიც მეგრული თუ მათი მონათესავე ტომია, ამიტომ უნებურად იბადება კითხვა, მაშინ ვინ უნდა იყვნენ აფხაზეთის დამპყრობი აფხუა ხალხი? პლინიუს უფროსი (23–79 წწ.) ერთმანეთისაგან განასხვავებს აფშილს, რომლებიც აფხაზეთში, ქართული ეტიმოლოგიის მქონე ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ² და ეთნონიმ აბზოას (აფხუას), რომლებიც ვოლგის შესართავის მიდამოებში ბინადრობდნენ. აბზუა-აფხუას შესახებ ცნობები ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში ფილოლოგმა ნათელა ფოფხაძემ შემოიტანა, ქვეყით რასაც მოვიყვანთ, სწორედ მისი დაკვირვებისა და კვლევა-მიების შედეგია.

პლინიუსი ერთადერთი მწერალია, რომელმაც ახსენა აბზოა ხალხი. მისი გადმოცემით, ისინი ბინადრობდნენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან, ვოლგის შესართავთან, რომელსაც მაშინ რა ეწოდებოდა. აბზოა სკვითების ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ნ. ფოფხაძის თქმით, აბ-

¹ ვ. ზუბაძია, კ. უბილავა, ა. თოფურია. უნაკლო ენციკლოპედიისათვის, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, 4 აპრილი.

² ტერმინი აფხაზეთი შეიძლება დაკავშირებული იყოს მეგრულ სიტყვასთან – აფხა (ზურგი, ბეჭი), სვანურ სიტყვასთან აფხა (ბაყაფი) ან ადამიანის საკუთარ სახელ აფხა-სთან. აფხაზია-აფხაზეთი ისეთი წარმოების სახელია, როგორიც მეგრული გვარები: კარტო-ზია, შეროზია და ქართული ოლქების სახელები: შავშეთი, კლარჯეთი, თრიალეთი და სხვა.

ზოა ტომის შესახებ მასალა გამოქვეყნდა “ლეგბ ქსელიქალ ლაიბრერი” სერიის პლინიუსის “ნატურალის ისტორიის” მეორე ტომში (გვ.364).

1842 წლის შტუტგარტულ (გერმანია) თარგმანში (გვ.618) მთარგმნელი განმარტავს, რომ აფსოები დასახლებული არიან თანამედროვე (და არა ისტორიული) რუსეთის ქალაქ ასტრახანთან. მკვლევარი ამ ნაწყვეტს ასე თარგმნის: კასპიის ზღვის სკვითების სრუტის მონაკვეთის ორივე მხარეს სკვითები მოსახლეობენ. ერთ მხარეს ნომადები და სავრომატები ცხოვრობენ, მერე მხარეს –აბსო ხალხი.

6. ფოფხაძის განმარტებით, რუსი პროფესორი ლ. ელნიცკი აღნიშნული ცნობის დამალვას შეეცადა: “სახელი აბსოა, რომელიც სხვა ავტორებთან არ გვხვდება და რომელსაც მხოლოდ პლინიუსი ასახელებს, შესაძლოა იყოს პლინიუსის მიერ მოხსენებული აბიების დამახინჯებული სახელწოდება, რომელიც იქნება პტოლემეს მიერ დასახელებული ტომის, აკიბისა და ადგილის–აბიკას სახელწოდებაში შემორჩა, რომელიც პერიოდოტესთან გილეას შეესაბამება.”

ლ. ელნიცკი რამდენჯერმე შეეცადა მაქინაციის გზით შეცდომაში შეეჭვანა მკვლევრები აბსოას ტომის ცნობების შესახებ. ერთი, როცა რექმის გამოცემაში სიტყვა აბსოა სხვა გვერდზე მიუთითა, ხოლო მეორედ, როცა ამ ტომის საცხოვრისი კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაიტანა და ა.შ.

პლინიუსი აღნიშნავს აბსოას სკვითებისადმი კუთვნილებას. მათი მშობლიური ენის შესახებ არაფერს გვეუბნება. რომაელი ავტორი ცხუმის სამხრეთით მოსახლე აბსილებს კოლხებისაგან არ ასხვავებს. აბასგებს პლინიუსი არ იცნობს. ტერმინები აბსილაი, აბასგოი, აბშილი, აბხაზი–აბ-


სოას არ ჰგავს,—ისინი სხვადასხვა აღგილზე მოსახლეობდნენ და ერთმანეთთან მათი დაკავშირება სრული სიბრიუმეა, არამეცნიერულია. I საუკუნეში პლინიუსის გადმოცემით, დიოსკურია (ცხუმი, სოხუმი) კოლხეთის ქალაქი იყო. იგი მასვე უწოდებს სებასტოპოლისს. აბსოას ვოლგისპირეთში მოსახლეობაზევე მიუთითა თავის რუკაზე შვეიცარიელმა აკადემიკოსმა დიუბუ დე მონპერემ. მეორე აკადემიკოს პალასის გადმოცემით, აბსნე აბაზას ნაწილი ტომია ჩრდილო კავკასიაში. ტერმინი აფხაზი არ შეესაბამება აბსოას. აბსოა ეთნონიმის კუთვნილი საცხოვრისი შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთში არ ყოფილა — დასკვნას აკეთებს ქალბატონი 6. ფოფხაძე¹.

მაშასადამე, მართალია 6. ფოფხაძე, რომელსაც პირველწერებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ აბსოა ტომის ადგილსაცხოვრისს ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო, ასტრახანის მიდამოები. იქნებ მათი დასავლეთისაკენ გადმონაცვლების მიზეზი ხაზარები იყვნენ, რომლებიც იმავე ტერიტორიაზე ჩნდებიან ანტიკური ხანის დასასრულიდან, ან საერთოდ ამავე ტომის ჯგუფში შედიოდნენ. როგორც ჩანს, აბზოას ტომი დროთა განმავლობაში ყუბანისპირეთში გამოჩნდა, საიდანაც XVII–XVIII საუკუნეებში რუსი დამპყრობლების ხელშეწყობით მოახერხეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმოსახლება, შემდეგ კი იმავე რუსი ოკუპანტების დახმარებით მათ მიაღწიეს აფხაზეთის, როგორც ქართული მიწაწყლის, გაწმენდას ქართველი, სვანი და მეგრელი მოსახლეობისაგან.

¹ 6. ფოფხაძე. სინამდვილე კი ასეთია, საქართველოს რესპუბლიკა, 1994, 20 აპრილი.

თ. მიბჩუანის აზრითაც, აფსილ—აფშილს საერთო არა-ფერი აქვს აფსუა (აბზოა—აბაზა) ეთნონიმთან. აბასკი—აბაზ-გი—აფხაზი ადიდეური ტომებისათვის უცხო ტერმინია, სამაგიეროდ, სვანურად იგი ნიშნავს სამარწყვე ადგილს, მეგრულად—პირიქითა მხარეს.¹


¹ თ. მიბჩუანი. სამურზაფანო, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1998, 28 აგვისტო-4 სექტემბერი.



= Üubišna K = Katapa.
I = İstabara.
S = Salia

H = Hattena

რუკა მოტანილია
ქ. გარეტანგის წიგნიდან
1943 წ.



Հայոց-օսմանական զամանակների տաճամքածովք Ծյուղութուն

ადამიანის საკუთარი სახელებისა და ტოპონიმების წარმომავლობა

ფ ა თ ა ღ ი ა

ტერმინი შესაძლებელია სვანური წარმომავლობის სიტყვა იყოს. იგი უნდა შედგებოდეს ფუძისაგან ფათა და ორმაგი სუფიქსისაგან-ალ-ია. ფათა სინონიმია განიერი ქუდისა და ტანისამოსის მოყვარულის.¹ როგორც ჩანს, ფათალიას მოსახლეობა ამგვარი ჩაცმულობის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. ტანისამოსის მიხედვით სხვა არაერთი ხალხის თუ ტომის სახელი წარმომდგარა ქართველურ სამყაროში, მაგალითად, მელანქლენებისა; მათ ბერძნები ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ შავი ქურთუკის თუ ტანისაცმლის მოყვარულები ყოფილან.

გვაქვს სხვა ვარიანტებიც. ფალთა სვანურ ენაში ნიშნავს თმაგაშლილს, თმაგაჩენილს, გრძელბალნიანს, ბანჯგვლებიანს. ამ შემთხვევაში ფუძისეული ბოლოკიდური თანხმოვანი ლ გადაადგილებულია ფუძის შეუაში, თუმცა ფალთას აქვს ვარიანტი ფათა იმავე მნიშვნელობით. მაგალითოსათვის შევადაროთ ისევ სვანური წარმომავლობის ქვეყნის სახელები, რომელიც შედიოდა დაიაენი-დიაოხში: კაბილუხი და კალბა. პირველი ურარტულ, ხოლო მეორე ასურულ ლურსმნულ ძეგლებში მოიხსენიება. ადნიშნული ქვეყანა ამავე სახელწოდების ცენტრით მდებარეობდა თურქეთის თანამედროვე ქალაქ კაბადალის მიდამოებში. იგი იყო

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 748.

უძველესი ქართველური სამეფოს დაიაქნი-დიაოხის უკიდურესი სამხრეთი ოლქი.¹

ქართველურ ენებში (სვანურში) სახელწოდება ფათალიას შეიძლება მოეძებნოს სხვანაირი ახსნაც. ფათუნიშნავს თმას.² ფანთალ-ტოტებგაშლილ (ხეს).³ შეიძლება ეს ნახევრად ველური ტომები ქაშქები გრძელ თმებს ატარებდნენ, ან რაღაც ამდაგვარი თვისებებით ხასიათდებოდნენ, რის გამოც მათ ქვეყნას, ოლქს, ქალაქს ასე ეწოდა, ან სადაც დასახლება გაჩნდა იქ არსებული ტოტებგაშლილი ხის გამო ეწოდა ფანთალია. ია-სუფიქსი, როგორც ცნობილია დღესაც აწარმოებს ქართველურ (მეგრულ) ტოპონიმებსა და გვარსახელებს. შესაძლებელია თავდაპირველი ფანთალია ფათალიადან მომდინარეობდეს და ნ ფორმანტი შემდეგ შეზრდილი იყოს. ასე მაგალითად: კიტრი-კინტრი, ეგური-ენგური, ოძრხე-უნძრხე და სხვა.

ტერმინ ფათალიას ახსნა მეგრულ ენაშიც მოექცევა. იქნებ საკვლევი ტერმინი ფართალიას უკავშირდებოდეს, რომლის მნიშვნელობაა ბრტყელი ან ცომის გასაბრტყელებელი ხელსაწყო,⁴ ან ფატ-ფეტი,⁵ ფატალა-დაჩეჩილი მატყლი.⁶ ასევე სარწმუნოდ გვეჩვენება სხვა მეგრული

¹ ს. გოგიტიძე. დაიაქნი-დიაოხი. ლოგალიზაციისა და ეთნიკური კუთხით გვინდებისათვის, ბათ., 2006, თავი კაბილუხი; მისივე: ლокализация стран. Даиаэн-днаоха. - მოამბე VI (ამირანი) მონრეალი-თბ., 2002, გვ. 58-59; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. V. XII-IV სს.), ბათ., 2002, გვ. 107-108.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 748.

³ იქვე, გვ. 749.

⁴ ო. ქაჯაა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 84.

⁵ იქვე, გვ. 89.

⁶ იქვე, გვ. 89.

სიტყვა თართალია, რომელიც “ფუსფუსს, ფაციფუცს” აღნიშნავს.¹

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ნაწარმოებებში შემონახულ სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ნავების სახელებს შორისაა – ფათალია ნავი.²

რაც შეეხება ორმაგ სუფიქსებს. ძველაღმოსავლურ სანაში მრავალი ქართველური ქვეყნის, ტომის თუ დასახლებული პუნქტის სახელი წარმოებულია მსგავსი სუფიქსებით, მაგალითად, ალ-ულ-ილ-ით: ხუშ-ალ-ხი, აშ-ალ-აშ-ი, ხალდი-რი-ულ-ხი, კულ-ხა-ხა-ალ-ი, კოლ-ხ-ეთ-ი და მრავალი სხვა.³ ია სუფიქსი ამჟამად აწარმოებს მეგრული წარმომავლობის გვარებსა და ტოპონიმებს. ძველი მცირეაზიული ტომის სახელი კაშია ზუსტი ანალოგიაა თანამედროვე მეგრული გვარისა კაშია, რომელშიც აგრეთვე ია სუფიქსი გამოიყოფა (შეადარეთ: შენგელია, შონია, სახოია, შარია, ბერია და ა.შ.). ხეთურ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები თულმალია, თარია, შარია, ციხარია, ელურია და სხვები სუფიქსალური წარმოების მხრივ პროტოიპები არიან საკვლევი ტერმინის – ფათალია-ხი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსიკაში მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც გვაგრაუდებინებენ ტერმინ ფათალიის მათგან წარმომავლობას. ესენია: ფშაურ-ხევსურულ-მოხევურ-მთიურ-თიანეთის ქართულ დია-

¹ ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 37.

² ზ. ქუჩალევიშვილი. ქართული სანაოსნო საშუალებები, კრებ. აია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991, გვ. 108.

³ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი. იხ. “ქვეყანა ხუშალხი,” “ქვეყანა აშკალაში,” “ქვეყანა ხალდირიუხი,” მისივე, დიაოხის შემადგენელი ოლქების ლოკალიზაციისათვის. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათ, 2002, გვ. 15-20.

ლექტებში დადასტურებული ფათალა-სურო, ხვართქლა; ფათარი-ბრტყელფოთლიანი მცენარეა (ბალახი), ოროვანდი; ფათილე-საჯზე გამომცხვარი მეცხვარის პური; ფათლახი (ქსნის ხეობა)-უსუფთაო ადამიანი, ფათლახი (თუშურში) მძიმე ადამიანი, საქონელი; ფოთ-ჩქარი, ფიცხი და სხვ.¹

ძველი საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ფათ ძირიანი ტოპონიმები, მაგალითად ჭანეთში-ფათხია,² საქართველოს ტაშირის ხეობაში აღწერილია ტოპონიმი ფათალას სოფელი.³

საქართველოში გავრცელებულია აგრეთვე ამავე ძირიანი სახელ-გვარები: ფათალიშვილი, ფატლაძე, ფართლიძე, ფატარიძე, ფარფალია, ფანთია, ფათალა, ფათალი, ფატიმა, ფათანი, ფატმა, ფატმანი, ფათანი და ა.შ. რაც მთავარია ჩვენში გავრცელებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი, ფათალა, ფაფალა და გვარი ფათალია, ფათალიშვილი, ფართალაძე, ფატლაძე და ა.შ.⁴

ქაშქების ტერიტორიის სიახლოეს ამავე სახელწოდების ტოპონიმს ადასტურებს არაერთი მოგვიანო ხანის მკვლევარი. ი. ბექირიშვილი წერს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რიზეს მხარის სოფლები აღწერა ი. ყიფშიძემ და გამოაქვეყნა ნაშრომი “ჭანეთში მოგზაურობის” სახელწოდებით. მასში მოხსენიებულია სოფელი ფატლა (იგივე ფატ(ა)-ლა-ფატალ-ია- ს. გ.). ამ სოფლიდან არიან ჭანი ფატოდლები, კ. ი. ფატოშვილები, უფრო ზუსტად ფატლაძეები.

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 532, 546.

² ი. სიხარულიძე. ჭანეთი, II, გვ. 53.

³ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახოის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986, გვ. 55.

⁴ პ. ცხადაით. სამეცნიეროს ვეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 79, 106, 314; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 2002, გვ. 766-767; ი. მაისურაძე. ქართული გვარ-სახელები, თბ., 1981, გვ. 165.

ბი.¹ ვახუშტიც მოიხსენიებს სოფელ ფატალას; ამასთან დაკავშირებით გ. ქორდანია წერს, რომ უძველეს ნუზის ტექსტებში არის საკუთარი სახელები: ფართალა, ფათა, ბადა, ფათალი, ფათა-თაში. აღნიშნულ ძეგლში მოხსენიებული მამაკაცის სახელი – ფათალი-ფათალა, მისივე შენიშვნით, გადმოსულა ქართულ ნიადაგზე, რაც ძველად იხმარებოდა საკუთარ სახელად.²

ამრიგად, საკვლევი ტერმინი – ფათალია მეგრული წარმომავლობისაა. სამეგრელოს წერილობით ძეგლებში დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელი ფათალი და გვარი ფათალია.

შ ა ნ ი ა

სახელწოდება სვანურ ენაში პოულობს ახსნას, თუმცა წარმომავლობით მეგრული ჩანს. ტერმინში უნდა გამოიყოს შარ, რაც ფართო ზოლს ნიშნავს, შარა-ზოლებიანი.³ ია კი ჩვეულებრივი ქართველური სუფიქსია, რომელიც აწარმოებს მეგრულ-ლაზურ წარმომავლობის გვარებს: გვაზაბია, ქიშმარია, ქორქია, ალანია, შენგელია, თარია და სხვა მრავალი. ურარტუს ტერიტორიაზე არსებობდა ია მაწარმოებლით გაფორმებული ტოპონიმები: ბარაია, რაც მეგრულში სწორს, თანაბარს ნიშნავს,⁴ კალამია, კალამ – ბოგანიძური შალაფა, კალამი – ხის მრგვალი ოეფში ლვინის დასალე-

¹ ი. ბექირიშვილი. ახი აჭარული გვარსახელი, თბ., 1996, გვ. 176.

² გ. ქორდანია. მეხურელნი, თბ., 1956, გვ. 177-178.

³ გ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 811, 812.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტ-თბ., 1997, გვ. 28-29.

ვად და კალამია – ბალის ღერო, ღეროს ნარჩენები ყანაში.¹

შარია – მეგრული გვარია. საქართველოში გავრცელებულია მსგავსი ელემენტებით გვარები: ბაბა-შარია, ოდი-შარია, შარ-ტავა და სხვა. ქართული გვარებია-შარაძე, ბა-შარა-ელი, ბა-შარაძე, შარაბიძე, შარაშიძე და ა.შ.

ქართულში შარი-შარიანი-შარის მომდებს, შარის მოყვარულს, წეუბს, კამათს აღნიშნავს.² შარ სუფიქსი მეგრულში აღნიშნავს წარმომავალს, მაგალითად, ბაბაშარი-ბაბას შთამომავალი,³ მსგავსადაა ნაწარმოები-ბაბუშარია, ოდიშარია და სხვები. სვანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული გვარი ოდიშარი-ოდიშიდან მოსულს ნიშნავს. ქართველურ ენებში (საკუთრივ ქართულსა და მეგრულში) შარა-გზას, შარაგზას ნიშნავს. საქართველოში როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვედ გავრცელებულია მსგავს მაწარმოებლიანი ტოპონიმები შარაულა (ტაო-კლარჯეთში), შორაპანი (იმერეთში), შარისპირი (ჯურუულეთი), უშარნი და ა.შ.

სვანურ წერილობით ძეგლში დასტურდება მსგავსი წარმომავლობის გვარსახელები: ელაშარ, ვედშარ, შარალანი, ოდიშარი, უედშარი,⁴ ისტორიული გვარია შარიანი.⁵ შედარებისათვის მოვიტანოთ მეგრული გვარი შარია, სახელი შარია, შარუ, შარა, შარინა. არის ქაშქური სახელი თუ გვარი შარია, რომელიც ქაშქებში ტოპონიმად ქცეულა. სამეგრელოში გვაქვს ტოპონიმები: შქა სამარგალოშ შარა

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დაქსიკონი, ტ. II, ობ., 2002, გვ. 102-103.

² ქართული ენის განმარტებითი დაქსიკონი, ტ.VII, გვ. 630.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დაქსიკონი, III, 241, I, 210.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 507, 509, 545 და სხვა.

⁵ გ. გასფიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, ობ., 1973, გვ. 276.

(სოფ. ახალსოფელი), შქა სამარგალოშ შარა (სოფ. ინგირი), ყალიჩაშ შარა (იქვე), თემშარა (სოფ. კახათი), საშარაშიო (სოფ. ხურჩა), შარუშ ნოხორი (სოფ. ოდიში), შარაგიმალ (სოფ. ჯიხასკარი) და სხვა.¹

შარი აქადურში მეფეს ნიშნავდა. ცნობილია, ისიც, რომ ძველი შუამდინარეთი სვანური და მეგრული ტომების, ე.ი. ძველი ქართული სამყარო იყო. იქნებ მსგავს ტერმინებს შარ-შარი-შარია მსგავსი წარმომავლობა პქონდათ. ს. ბადას მიხედვით, შარა (რომელიც გამოიყოფა ქართულ გვარებში შარვაშიძე, შარაშია) არის ქვედა მესოპოტამიის სამხერეთში, ე. ი. შუმერში ქალაქ-სახელმწიფოს “უშმას” მფარველი ღვთაების სახელი (ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006, გვ. 326–327). ამრიგად, შარ-შარია მეგრული წარმომავლობის ტერმინი უნდა იყოს და აღნიშნავს წარმომავლს. თუმცა გამორიცხული არაა, შარა ადამიანის საკუთარ სახელი ან ღვთაების სახელი იყოს, შარია კი შარას შვილებს, შთამომავლობას ნიშნავდეს. ქალაქი შარია შესაძლებელია ღვთაება შარას სახელზე აგებული იყოს, ან შარიას მიერ დაარსებული.

თ ა ღ ი ფ ა ც ი ა

თალიფაცია, როგორც ჩანს, მეგრული წარმომავლობისაა, თუმცა იგი აისხება სვანური ენის გამოყენებითაც. სვანურში თალაფა ნიშნავს წამწამს, თუ ნამდვილად ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები ტოპონიმის სახელწოდება, მაშინ თალიფაცია უნდა აისხნას, როგორც განსაკუთრებული წამწამის მქონე ხალხის სამოსახლო. აღნიშნული ტერმინის

¹ პ. ცხადათ. სამეგრელოს... გვ. 88, 151, 159, 175, 217.

ახესნის სხვა ვარიანტიც მოიპოვება სვანურ ენაში. თუკი იგი კომპოზიტს წარმოადგენს, შეიძლება დაიყოს ორ კომპონენტად თაღ—ი—ფაცია. თაღ ნიშნავს სოლს,¹ ფაცია კი სვანურ წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება.² თუ ეს ასეა, მაშინ საკვლევი ტერმინი აიხსნება როგორც ფაციას სოლი, ან ფაციას სოლის ადგილი, სამოსახლო. როგორც ჩანს, ასეთი სახელი იმის გამო დაერქვა პუნქტს, რომ ამ ადგილას ერთ დროს ფაცია აწარმოებდა თავის სპილენძის თუ ხის სოლებს. საქართველოში რამდენიმე სოფელია ამ სახელით. ბოლნისის ხეობის, თრიალეთისა და ენისელის აღწერაში შეტანილია სოფლები თაღას სახელით.³

ქართული ენის მონაცემების მიხედვით, სახელწოდება შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: კომპოზიტის პირველი ნაწილი თაღი შეიძლება იყო ადამიანის საკუთარი სახელი თაღი—თაღიკო. თაღი—იგივე ბარდანად.⁴ ხოლო მეორე — ფაცია — შეიძლება იყოს ფაცია (ძლიერს, ცოტა), ან ფაჩუა (პატარა).⁵ თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თაღი—ფაცია იყოს რთული შემადგენლობის საკუთარი სახელი, როგორიც ტიგლათფილესერი, თუქულთინინურთა, თუთხალია, თურმანი, არდაშელი, პირიმზე, თინათინი და ა.შ. თავად ხეთურ წარწერებში მოგვეპოვება ისეთი სახელწოდებები, რომ საკვლევი ტერმინის პირველი ან მეორე ელემენტი იყოს ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის ან საკუთარი სახელის შემადგენლობაში, მაგალითად: ფიგა-ფაცუი, თაღ—მალია, ფაცი—მ[...], ფაცი—ცი, ხეთური დათაებათა

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. დასახ. ნაშრ., გვ. 256.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 104, 546.

³ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 48, 56, 72.

⁴ ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 229.

⁵ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 537, 538.

პანთეონიდან ხაფან-თალია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არაერთი ადამიანი შეგხვდებათ ამ სახელისა და გვარის მქონე. თალი საკუთარი სახელია, ხოლო ფაცია მეგრული გვარი (არის სახელიც), ისეთივე, როგორიც ქაშქური და მეგრული თალი—მალია. გვაქვს აგრეთვე თალაყვაძე, ტალავაძე, და ა.შ. ფაცია შეიძლება იყოს დინასტიური ან საგვარეულოს სახელი.

ამრიგად, თალიფაცია უნდა წარმოადგენდეს ადამიანის სახელსა და გვარს (დინასტიურ სახელს), იმ პიროვნებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ასეთი სახელის მქონე დასახლებას. თალი შეიძლება ნაირსახეობა იყოს დვთაება დალის, რომელიც გავრცელებული იყო ამავე სამყაროში. დალი შემოინახა სვანურმა ტრადიციამაც, როგორც ნადირობის დვთაების სახელი. მას ალთან უნდა ჰქონდეს კავშირი.¹

ამრიგად, თალიფაცია წარმოადგენს მეგრულ სახელსა (თალი) და გვარს (ფაცია).

თახაშთურია-თაქაშთურია

ქართველურ ენაში (მეგრულში) თახაშ სამშაბათია, თუირ-ორთქლი, ნათავედი.² როგორც ჩანს, ამ ტოპონიმის სახელი დვთაების სახელიდანაა ნაწარმოები. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, მნათობ-დვთაების სახელი, რომლის-თვისაც სამშაბათი წარმართულ ეპოქაში იყო განსაკურებული მეგრულად თახაშხა, სვანურად თახაში ეწოდებოდა. საფიქრებელია, რომ თახა არიას, ანუ მარსის სახე-

¹ გ. ჩიქოვანი. მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 92, 185.

² ვ. ოოფურია, გ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 263.

ლი უნდა იყოს და ქართველურ ტომებში ომიანობის დათაებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.¹

მაშასადამე, თახაშ სვანურში დათაების სახელი ყოფილა. საერთო ტერმინი აღნიშნავს დათაება თახაშისადმი კუთვნილ თაფლს, ნათავედს, ან ორთქლს.

ტერმინის მეორე ნაწილი თურია ჩნდება ქართულ გვარებში, მაგალითად, თურმანიძე, თურმანაული, თურმანიშვილი, თურქანაისძე, ქართული ადამიანის საკუთარი სახელია თურმანი. თური ძველი სვანური ადამიანის საკუთარი სახელია, რომელიც წერილობით ძეგლებში დასტურდება, არის აგრეთვე ბალვათურ, სიქუთურ, ბალათურა.² ხეთურ წყაროებში მოგვეპოვება მსგავსი ფუძიანი ან გაფორმებული ქაშქური ტოპონიმები: თახანთარია, თათაშთურია, ტახან-ტაპტაპა, თახანა და ა.შ.³

საკვლევ ტერმინში თურ-ი უფრო მეგრულია და ნიშნავს მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომის, მოღვამის წარმომადგენელს. მაგალითად თურკათა-მოგვარე, ნათესავი ხალხი.⁴ ზუსტად ამის გამოა, რომ მეგრულში არსებობს დამოუკიდებლად, ცალკე როგორც სახელი, ისე გვარი თურ, თურია.

ქაშქური სახელი თახაშთურია ზუსტად იგივეა, რაც ქართული თახაშვილი (თახაშ+შვილი), თახაშის შვილი, შთამომავლობა, თახაშის ნათესავი. იქნებ თაქა, თაყას გადმოცემა იყოს. როგორც ცნობილია ყ-ბერა მსოფლიოს

¹ ივ. ჯავახიშვილი. თხ. ბ. I, თბ., 1979, გვ. 173-175.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. სილობავამ, თბ., 1988, გვ. 505, 513, 537 და სხვა.

³ გრ. გიორგაძე. ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქაშქების (ქაშქების) და აბეშლაების ეთნოკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000; მიხილავ, Вопросы общественного строя хеттов, Тб., 1991; ი. ტატიშვილი. ხეთები ქაშქების შესახებ. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკონცენტრირებული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების სამსახურის, თბ., 2007, გვ. 14-27 და სხვა.

⁴ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 67.

ენებში თითქმის არ გვხვდება. საქართველოში ასევე გავრცელებულია თახა // თაყა-თა(რ)ხანი // თარხანა.

ურარტუს დედაქალაქის თუშფას ასურულ სახელში თურუშფა შეიძლება გამოიყოს ძირი თურ, ეტყობა, მსგავსი სახელითაა ნაწარმოები სხვა ქართველური სამყაროს შემადგენელი ნაწილები ეტრუსკი (ეტურსკი), ტროა (ტორა-თორია-თურია) და სხვა მრავალი. ეს, რომ ასეა ნაწილობრივ ადასტურებს ურარტუს მსოფლიოში არსებული მსგავსი ტერმინები: ქვეყანა ტურუკი, დასახლება მუტურნა, მთა ტურაბდინი და ა.შ.

სხვათა აზრით, ეს სახელი აისხება, როგორც თათაშ-თურია და გვებნება, თაქას გვარისა არისო. შევადაროთ დღეს საქართველოში არსებული მეგრული წარმოშობის გვარები: თურია, ბალათურია, ჭანტურია (ჭანთურია) და სხვა.¹

ამრიგად, ქაშქური ტერმინი თახაშთურია კომპოზიტური სახელია, შედგება ორი ნაწილისაგან თახაშ და თურია. პირველი ნაწილი საკუთარი სახელია, ხოლო მეორე გვარი, მეგვარის, სისხლით ნათესავის მნიშვნელობით.

ხ უ მ ი ნ თ ე შ ქ ა

აღნიშნული ტოპონიმის სემანტიკაც ქართველურ ენებში იძებნება. როგორც ჩანს, იგი კომპოზიტური სახელია და შედგება ორი ელემენტისაგან – ხუმინ და თეშქა. მისი პირველი ნაწილი ხუმინ შეიძლება წარმოშობილი იყოს მეგრული და სვანური ლუმირ-იდან, რაც ნაძვს აღნიშნავს,

¹ ქურნ. აია, 1999, №7, გვ. 18-26; ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ., 2006, გვ. 299.

ხოლო თეშქა-დიშქა – შეშას.¹ ტოპონიმის სახელი შეიძლება წარმომდგარი იყოს იმ ნაძვის შეშისაგან, რომელიც თავმოყრილი ყოფილა დასახლების გაჩენის ადგილას. ასე-თოვე წარმოების ტოპონიმი ღუმურიში, აფხაზეთის ტერიტორიაზეც გახვდება, რომელიც სვანებისა და მეგრულების უძველესი საბინადროა.

მეგრულ ენაში საკვლევ ტერმინს მოეპოვება სხვა ახსნებიც, მაგალითად, ხუმინ ნიშნავს ხმაურს,² გუმინ-ღუმინი – სიღრმეში ყრუ ხმაური, შრიალი,³ ღუმინ-ღმუილი, ღრიალი, ხმაურია,⁴ ქუმინ-ხმაური, ქუხილი, ღუმუ-ღომი,⁵ თხუმინ – ცხვირში ლაპარაკი, ღუდღუნი.⁶ ხოლო თეშქა-თიშქა ნიშნავს – იმას შუა. აქედან გამომდინარე, ტოპონიმის მეორენაირი ახსნა შეიძლება იყოს „ხმაური, ღრიალი იმას შუა“, ე.ი. ადგილი, სადაც მოხდა „იმას შუა ხმაური“. ან იმის გათვალისწინებით, რომ მეგრულში თი – სახლია, ტოპონიმის შინაარსი შეიძლება გავიგოთ, როგორც ხმაურიანი სახლი, ან ხმაურიანი სახლი მისი კუთვნილებაა.

მეორე ნაწილი თიშქა შეიძლება აიხსნას ასე: თიშ მეგრულია და ქართულად ნიშნავს – მისი, შ – კუთვნილებითი სუფიქსია, ქა მეგრულში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რქა, ქა-ქიანა, ქანა-ქვეყანა, მხარე.⁷

ქართული ენის დიალექტებში, მაგალითად, თუშურში, გვაქვს სიტყვა ხამინ, რაც დახამინებას აღნიშნავს.⁸ ასე,

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 477.

² გ. ელიაგა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 390.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 412.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 196.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 157, 197.

⁶ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 80.

⁷ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 123.

⁸ ქართულ კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 767.

რომ ხუმინ თიშქას შინაარსი მრავალნაირად შეიძლება იქნას გაგებული.

მსგავსი ტოპონიმები ქაშქების ქვეყანაში ხეთური წეროების მიხედვით ყოფილა ციანთიშქა, რაც ციანას შეშას ნიშნავს. არის ასეთიც-თათიშქა. დღევანდველ საქართველოში არის ხუმინის მსგავსი ტოპონიმები: ხუმენი, ხუმუშგარი, ხუმეშქური, ხუმენი საზოგადო სიტყვაა: “ხუმენი ფარონზე მაღალი და დაბურული ტყეა. ხუმუ სამეგრელოში გავრცელებული სახელიც ყოფილა.¹ აქედან გამომდინარე, ტოპონიმის სემანტიკა იქნება “ხუმუს შეშა” ან “დაბურულ ტყეში შეშა.” თუმცა ხუმ მეგრულად დალოცვას აღნიშნავს, ხოლო თიშქა II თეშქა შეშას. შესაძლებელია ტოპონიმის შინაარსი იყოს დალოცვილი (დვთაებრივი) შეშა ხე. თუმცა ხუმ ამავე ენაში გამხმარესაც აღნიშნავს (გამხმარი შეშა), ხოლო ხვამი მოტაცებულს. შესაძლებელია საკვლევი ტერმინი ნიშნავდეს – ხუმუს შეშა ან დახურული ტყე, შეშა და ა.შ.

ღუღუშკა (ღაღუსკა)

ეს ქალაქი მეზობელ ქალაქ ხალილასთან ერთად იყო ქაშქების ქვეყნის მთავარი რაიონი.² დუდუშკა, ანუ დადუშკა ერთი შეხედვით თითქოს ადვილად ამოსაცნობია. დუდი მეგრულში თავს ნიშნავს, სემანტიკურად მაღალ ადგილს, შქა-შუას, შქას-შუა ადგილს.³ ე.ი. დასახლება, რომელიც

¹ პ. ცხადათ, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 239, 313, 314.

² Я. А. Манандян. О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении, Ер., 1956, с. 118.

³ მ. ქაჯათა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 263.

რაღაცის მიმართ “შუა, მაღალ ადგილზე იმყოფება.” შეიძლება ტოპონიმი მეგრული დიდასკა-დან მომდინარეობდეს, რომელიც დადა ფუტკარს აღნიშნავს.¹ სხვათა შორის, იმავე სეთურ წყაროებში ადამიანის საკუთარ სახელად გახვდება dudushijla (დუდუშხიალა, დოდოსქიალა?), დუდუ.²

სვანეთის წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად, მითოებულია თუდუ, თუთალა, თუთარუჟი, თუთაი, თუთარუ, თუთი, თუთრუა.³ ტბეთის სულთა მატიანეში დადასტურებულია თუთა, თოთო (სხე).⁴ საკვლევ ტერმინში თუკი თოთო იგულისხმება; ასეთ შემთხვევაში თოთო ქართული სიტყვაა და ნიშნავს ახალნერგს, ნორჩს. საქართველოში ასევე გავრცელებულ პირსახელად ითვლება უთუ, დუტა, უთი. სოფელ კობალაურის სათეს ადგილას უთიყანა (უთის ყანა) ჰქვია.⁵

გვინდა შემოგთავაზოთ სიტყვის – დუდუშქა, თუთუშქას კიდევ ერთი ახსნა. ამ ვარიანტით სახელის პირველი ნაწილი ადამიანის საკუთარი სახელია, ხოლო მეორე კი მეგრულ სქუას-შვილს უნდა შეეფარდებოდეს. მეგრული გვარია პაპასკუა, ე.ი. პაპასშვილი. თუკი საკვლევ ტერმინს ამგვარად გავიაზრებთ, მაშინ მისი შინაარსი იქნება დუდუს თუ თუთუს შვილი, შთამომავლობა. თუთუს სემანტიკა შეიძლება დაკავშირებული იყოს თუთასთან, თოთოსთან, მთვარესთან.

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, I, გვ. 461.

² ГР. Гиоргадзе. Вопросы общественного строя хеттов, Тб., 1991, с. 89, 130.

³ ვ. ხელოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 512.

⁴ ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 146.

⁵ ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959, გვ. 59.

სხვათა აზრით, ტერმინი დუდუშკა თავისი დაბოლოებით სიახლოვეს ამჟღავნებს ხური-ურარტუს სამქაროსთან.¹ გრ. გიორგაძე და ს. ბადა მას მიიჩნევენ მეგრულ სახელწოდებად. მათი აზრით, იგი უნდა დაიყოს დუ, დუ და შქა-დ. დუ ქართულად იქნება იყო, რომელიც სიტყვაში ორჯერ მეორდება. შქა-ქართულად არის შუა. საბოლოოდ მივიღებთ: „იყო, იყო შუა” ამ სახელწოდების ახსნის მეორე ვარიანტიც არის. პირველი სიტყვა დუდუ ნიშნავს თავს, ხოლო მეორე – შქა – შუას. ამის მიხედვით მივიღებთ შემდეგ შინაარსს: “თავის შუა,” ე. ი. ეს ადგილი მდებარეობდა ქვეყნის შუა თავში. მათივე აზრით, ამ სახელის ორივე ახსნა ნათელყოფს, რომ ტერმინი ლაზ-მეგრული წარმოშობისაა.²

ამრიგად, ტოპონიმის სემანტიკა იქნება დუდუს თუ დადუს შვილები.

ქაციფინი (ქაციპინი)

საკვლევი ტერმინი შეიძლება ქართულ ენაში ნიშნავდეს ქაცის პირს, ე. ი. ქაცვის სანაპიროს, მის მოსაზღვრედ მდებარეს (შეადარეთ გურიის ტერიტორიაზე ქაციმერა, ქარციმელა, ქაცვიანი, ქეციმერი და ა.შ.).³ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში დასტურდება ხევი სახელით – ხაცაშრობუ, ქართლის ტერიტორიაზე სოფელი გაჩიანი.

¹ გ. მელიქიშვილი. ძიებანი... გვ. 91., შენ.

² ქურნ. აად, 1999, №7, გვ. 18-26; ს. ბადა. ლაზ-მეგრულთა ისტორია, 2006, გვ. 302.

³ ი. სიხარულიძე. მასალები გურიის ისტორიული გეორაფიისათვის. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, გვ. 91, 92, 93, 124.

სვანურში ქაცი არის გუდა,¹ ფირუ – ფური-ძროხა. სახელწოდება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ძროხასთან, გუდასთან. მსგავსი ტოპონიმები სემანტიკური მნიშვნელობით, რომლებიც შინაურ ცხოველებთანაა დაკავშირებული, ამავე მიდამოებში ხშირია. ასე მაგალითად, ტიგლათ-ფილესერ I ხრდილოეთ მესაპოტამიაში ლაშქრობს ფირულუმზის ქვეყანაში, რომლის სახელი იხსნება სვანური ენის გამოყენებით, ფირულუმ(ი)ჭი ნიშნავს “ძროხას რქიანს, ლამაზს.” ჭანების (სვანების) ტერიტორიაზე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (ახ. წ. VI ს.) ასახელებს პუნქტს, სხამალანის (ს-ხამა-ლანი-ხი), რაც ნიშნავს გაბრაზებულ დორს, კულხას სამეფო ქალაქი ილდამუსა – ალდამოწა-შიმშილისაგან მუცელჩავარდნილ, მშიერ ძროხას (აჭარული დიალექტის მიხედვით).

მეგრულში ქაცი – ეკლიან ბუჩქს აღნიშნავს.² ქაცი ამავე ენაში დაბალის, პატარას სინონიმია, ქაცუ-ქაცვია. პირიკოკორი, ყვავილია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელი თუ კაციფირია მაშინ უფრო მართებული იქნება აიხსნას შემდგნაირად. მისი პირველი ნაწილი კაცი, ადამიანია, ხოლო მეორე ნაწილი ფირი-ფირა მეგრულში ფართოს, განიერს აღნიშნავს, ე.ი. კაცი, რომელიც ფართო, განიერი, დიდი ზომისაა.

ტერმინის მეორე ნაწილში – ფირი – პირი, შეიძლება იმალებოდეს ხეთურ-მცირე აზიული ღვთაების სახელი პირვა-პირუა, ფირვა, რომელიც არის სეტყვის ღვთაება.³ სწორედ მეგრულმა შემოგვინახა ტერმინში გამოყოფილი ერთ-ერთი ელემენტის შესაბამისი სიტყვა მეგრულ გვარში

¹ ვ. ოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 780.

² თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, გვ. 123.

³ Дж. Маккуин. Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с.121.

ქაცარავა, ქაცხლია, ხაცავა, გაცარავა, ქაცაბაია, ქაციბაია, ქართულმა-ქაცანაშვილი,¹ ქაცო, ხაცა, ქაცი, ქაციკო.² ქაცი-ბაია-ში ბაია აღნიშნავს ვაჟიშვილს, პირმშოს, ნორჩის და უეჭველია, რომ ქაცი-ქაცა გამოდის ადამიანის საკუთარ სახელად.

ქაციფირის პირველი ნაწილი შესაძლებელია გამოხატავდეს გაცის, ხაცის, რომელიც ხეთურ სამყაროში დვთავბის სახელი იყო, მანამ, სანამ ქართველთა წინაპრები მას მოიგანდენ საქართველოში. ფირი შეიძლება პირი – სახის გამოხსატვა იყოს. მაშასადამე, ტოპონიმი შეიძლება აიხსნას როგორც დვთაება “ქაცის (გაცი) პირი, სახე” ე. ი. სადაც დადგმული იყო ამ დვთაების სახე, გამოხსახულება. უფრო სარწმუნო ჩანს, ადამიანის საკუთარი სახელი ქაციფირი წარმოდგებოდეს ორი მეგრული სიტყვისაგან: ქაცი-პატარა, დაბალი. ფირი (პირი) კოკორი, ყვავილი. პირი-პირვა-მცირე აზიული დვთაების სახელია. პირვა ადამიანის საკუთარ სახელად არის დადასტურებული სვანეთში.³ პატარა ქართული სახელია, პიტაური, პიტაშვილი, გვარი.⁴

ამრიგად, სახელი ქაციფირი სემანტიკურად აღნიშნავს პატარა ყვავილს; ან ტერმინის ორივე ნაწილი (ქაცი-ფირი) წარმოადგენს ხეთურ-ქაშქურ დვთაებებს.

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 772; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 549.

² ს. მაკალათია. თუშეთი, თბ., 1983, გვ. 172.

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 53.

⁴ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, გვ. 133.

ფ ი ბ ა ფ ი ღ უ

ამ სპეციალობის თუ თანამდებობის სახელს ქაშქური ანთროპონიმის ფიგანუს-სა და ტოპონიმის – ფიგაფაცუის ფორმებთან თუ შეგადარებთ, მაშინ ადვილად გასაგებია, რომ საკვლევი ტერმინი შეიძლება ორ ელემენტად დაიყოს-ფიგა და ფილუ.

ეს სახელწოდებაც თავისი წარმომავლობით ქართველური ჩანს. სვანური ენის მონაცემებიდან გამომდინარე, ფიგუ ნიშნავს ვაცს, ფილ – ფერფლს.¹ აქედან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ სახელი აიხსნება, როგორც “ვაცის ფერფლი”

სახელს ქართულ შიც მოეპოვება ახსნა. პირველი ელემენტი ფიგ ჯავახურში ცერცველა, მცენარეა, ხოლო მეორე ფილ (ფილა)-ას გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა 1: ქვევრის ქუსლის ჩასადგმელი (ხის); 2: თავფართო ქოთანი, 3: ღორის ქონი; 4: ფილთაქვა; 5: შეცდომა ბავშვთა თამაშის დროს; 6: ქვის, თიხის, ლითონის ბრტყელი ნაჭერი.² მე მგონია, რომ სახელწოდება ქოთანთან და შეიძლება მცენარესთან უფრო იყოს კავშირში.

საქართველოში გავრცელებულია ადამიანის საკუთარი სახელი: ფილა, ფილუ, ფილი.³ სამურზაფანოს (სამეცნიერო, აფხაზეთი) ისტორიის საბუთებში ადგილობრივი ადამიანის მეგრული სახელებია-ფილუ, პილა.⁴ სხვათა შორის ადამია-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 760.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის ქონა, მეორე გამოცემა, გვ. 542, 543; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 105.

³ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 172; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 547.

⁴ პ. ცხადათა, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 306, 314.

ნის საქუთარ სახელად ფილუ ძალიან ხშირია ზუგდიდის რაიონშიც.¹ გვაქვს ქართული გვარ-სახელებიც: ფილა, ფილია, ფილაური, ფილაშვილი, ფილიური.²

ქარიქუნისკა (ქარიქუნიშქა)

როგორც ჩანს, ამ პუნქტის ადგილმდებარეობა ქარიანი ადგილი იყო. რადგან კომპოზიტურ სახელში შეიძლება გამოიყოს ქარი, ხოლო მეორე ელემენტი იყოს ასევე ქართული ზმნა ქრის. ამის მიხედვით, იგი განიმარტება როგორც “ქარი ქრის.” ბოლოკიდური ქა (ხა) როგორც ეტყობა სვანური კუთვნილებითი სუფიქსია, ან მეგრული მიწის ტოლფარდი.

თავად სვანურში ქური ნიშნავს ალპობს, ქური-მინდორია.³ მეგრულში ქარა-სარია,⁴ მეგრულშივა ქარა-ეპალია, ქური-კავის ნაწილი, ან ქუსლი.⁵ მეგრულ ენაში მესამე ელემენტსაც შქა (სკა) მოეპოვება ახსნები: შქა=შუა, ოშ(ხ)კ – საღორე, ოშქა – შუაში, სქა – ფუტკარი, სქუა – შვილი.

ტოპონიმს ქართულშიც მოეპოვება ახსნა, ასე მაგალითად, პირველი ნაწილი შეიძლება დაუკავშირდეს ქარა-ს, მისი მნიშვნელობებია 1: დოლის ხის ნაწილი; 2: ზღმარტლის, ასკილის, ქაცვის ეკალი; 3: კეცის კიდე; ხოლო მეორე

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს... გვ. 55, 106, 110, 360.

² რ. თოფხიშვილი. ქართული გვარსახელების ისტორიიდან, I, თბ., 2003, გვ. 22; გ. იოონეშვილი. ტოპონიმიურ-ონომასტიკური... გვ. 40; ს. მაკალათია. თუშეო, გვ. 172.

³ გ. თოფურია, მ. ქლდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 788.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 316.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 127, 158.

ნაწილი-ქურო-ხელთათმანი, ქურ-ლოფა, ქურა-დაბადებით პა-
ტარა ყურებიანი თხა, ქურა-ჟოლო, მცენარეა.¹

ზოგიერთები ამ ტერმინს ყოფენ მეგრული სიტყვების
მიხედვით: ქარი, ქური და შქა. ქარი ქართულად ქარია,
ქური-ქუსლი, ხოლო შქა-შუა. საბოლოოდ იქნება, “ქარის
ნაქუსლის შუა”, ე. ი. ეს ადგილი მდებარეობდა ქარის ნა-
ქუსლის შუა ნაწილში.²

შუმერში, რომელიც სვანურ-მეგრული მოდგმის განსახ-
ლების არეალს წარმოადგენდა სიტყვა ქური მთას ნიშნავ-
და. შემდეგ ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა – “უცხო მხა-
რე,” ვინაიდან გარშემო მდებარე მთიანი ოლქები გამუდმე-
ბულ საფრთხეს უქმნიდნენ შუმერებს. შუმერული კოსმო-
ლოგიის მიხედვით, ქური იყო სივრცე დედამიწის ზემო
ქერქსა და პირველქმნილ ოკეანეს შორის.³ ამ ბოლო
მონაცემების თანახმად, ტერმინი თითქოს იძენს შინაარსს
– მთის შუაში ეკალია, რადგან შქა – ნიშნავს შუა, შუა
ადგილს.

უძველეს მცირეაზიულ ხეთურ-ხეთურ ტექსტებში და-
მოწმებულია ქალის საკუთარ სახელად ქარია.⁴ ქარ ფუძია-
ნი საკუთარი სახელები და გვარები საქართველოშიც
გვხვდება: ქარცხალია, ქარცივაძე, ქარდავა, ქართავა, ქარე-
ლი, ქარსელაძე, ქარელიძე, ქარცხია და მრავალი სხვა. სვა-
ნურ წერილობით ძეგლებში დასტურდება – ქარა, ქარდა,
ქარი, ქარზიანი, ქარევაზი, ცაცქურა, ცაცქურანი,⁵ სვანეთ-
შია სოფელი ქურაში, რომელშიც ფუძეა ქურა. სამეგრე-

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 561, 579.

² ქურნ. აია, 1999, №7, გვ. 18-26; ს. ბადა. ლაზ-მეგრულთა ისტორია, გვ. 302.

³ ს.ნ. კრამერი. ისტორია იწყება შუმერიდან, თბ., 1988, გვ. 191.

⁴ ძახიქ. გვ. 170.

⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548, 556.

ლოში ქარაია და ქურია გვარებია.¹ აქედან გამომდინარე, ქარა-ქარი და ქური ადამიანის საკუთარი სახელებია. ხოლო თავად საკვლევ ტერმინში ქარიქურიშქა, შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად ქარი (სახელი)+ქურიშ (ქურისძე თუ ქურისშვილი) ხოლო ქა – მიწა. შესაძლებელია ტოპონიმის შინაარსი ასეთიც იყოს: ქარი (სახელი) ქური (მამის სახელი), სქა-სქუა (შვილი) (შეადარეთ პაპასქუა, იგივე პაპასქირი, ე.ი. პაპასშვილი). მაშასადამე, ტერმინი შეიძლება გაიშიფროს, როგორც “ქარი, ქურისშვილი”.

ბ ა თ ე ფ ა

ხათეს ეძახდნენ პროტოეთურ მოსახლეობას, რომელ-საც არც თუ ისე უსაფუძვლოდ ქართულ სამყაროს უკავ-შირებენ. ხეთების სახელმწიფოს ამ მოსაზღვრე ქმაყანაში, ხეთის სახელთან, ტომთან, დასახლებასთან დაკავშირებული მსგავსი საკვლევი ტოპონიმების არსებობა არც ისე უსაფუძვლო უნდა იყოს. ხეთური სამყარო და მისი განაპირა მხარეები ქართველური სამყაროს შემადგენელი ნაწილი რომ უნდა იყოს, ამას ამტკიცებს ფა სუფიქსიც, რომელიც სვანურში აღნიშნავს მოდგმას, ჯილაგს, ოქსლს, ტომს. აქედან გამომდინარე, ხათეფა უნდა ნიშნავდეს ხათეს ტომს, მოდგმას, დასახლებას.

ქაშქების ტომის მოსაზღვრედ ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში არსებობდა ხეთების ზემო ქვეყანა, ხოლო მოგვიანებით ხათე-ხათენა. ამ ადგილას მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც მოგვიანებით დაიენი-

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 305, 327.

დიაოხი ჩამოყალიბდა ქართველური დინასტიით, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ხათეფა, რომელიც იხსნება, როგორც ხათეფა (ტომი ხათე+მოღვარი, ჯიში), ე. ი. ხათეს ტომი.

საქართველოში გავრცელებულია ხათი-ხატი-ქატი სატომო სახელთან დაკავშირებული გვარ-სახელები: ხათა, ხატია, ხათაშვილი, ხატიაშვილი, ხატისკაცი, ხატისაშვილი, ხატიძე, ხატოძე, ხეტე, ხატული და მრავალი სხვა.¹ გვაქვს ტოპონიმები: სოფელი ხეთა (სამეგრელოში) ხეტუშ-მუხური (სამურზაყანოში), ხატიალაგი (ჭახათში), ხატა (ბუჩქნარი, კეჭიეთში) და მრავალი სხვა.²

ფ ო ქ უ ნ ო ა ღ ო

ეს სახელწოდებაც სვანური წარმომავლობისა ჩანს. ფიქრალ ნიშნავს ფიქრს, დარღს, ფიქრიანს, დარღიანს.³ მაგრამ სხვა ქაშქურ სახელებთან-ქურიალი (შეადარეთ ფიქრიალი) ფიფარუვას-თან შედარება გვარწმუნებს, რომ ფიქრიალი უნდა დაიყოს ორ ელემენტად ფი და ქურიალ, ან უკიდურეს შემთხვევაში ქური და ალ. ალ გასაგებია, გასარკვევია ფი და ქური, ან ქურიალი. ქურიალი ქაშქურ ტექსტში ადამიანის საკუთარი სახელია. იგი შეიძლება დაუკავშირდეს სვანურ სიტყვას ქურილ=გრდემლი,⁴ მეგრულ ქურს=კავის ნაწილი,⁵ ქართულ ქურის=წაბლისფერი

¹ ი. მაისურაძე. ქართული გვარ-სახელები, თბ., 1981, გვ. 100; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 805, 878.

² ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II გვ. 58.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 763.

⁴ იქვე, გვ. 784.

⁵ ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 158.

ცხენი და ა.შ.¹ დასაშვებია, რომ ფი(თი) შეიძლება მეგრულად ოჯახს ნიშნავდეს და სახელის სემანტიკა იყოს ქურიალის ოჯახი. იქნებ ფიქურიალი ქართული სახელის ფიქრიას პროტოტიპი იყოს.

ერთი სიტყვით, სპეციალობის თუ თანამდებობის სახელი ქურიალის ოჯახი, ქაშქებში, რაღაცა საქმით იყო დაკავებული.

ბ ა მ ი ნ ა

ხაც სვანურად ნიშნავს მრუდეს, არასწორს, დახრილს.² არაა გამორიცხული, რომ ამ ტოპონიმის ტოპოგრაფია ამგვარი გარემოებით ხასიათდებოდა. იქნებ მთა, სერი, გორი, რომლზედაც განლაგებული იყო ხაცინა, დახრილი არასწორი ზედაპირის მქონე ტერიტორია იყო.

ხაცა სვანურში ასევე ნიშნავს დაღუპვას, დაქცევას³ (ოჯახის, ქალაქის, დასახლების). ასეთ შემთხვევაში საინტერესოა ინა სუფიქსის რაობაც. ინა ქართველურ სამეაროში (უფრო სვანურში) გავრცელებული სუფიქსია, მაგალითად სვანური სახელმწიფოს დაიავნი-დიაოხის ოლქები: ქადაინი, ზუაინი, ხუშაინი, აბნულუანი და სხვა.⁴

ხაცინა შეიძლება იგივე ხატინას გადმოცემა ან დამახინჯებული ფორმა იყოს.⁵ მასში შესაძლებელია ხატ ძირი ხატების-ხეთების ტომის აღმნიშვნელი იყოს. ხაცინა თავისი

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 458.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 881.

³ იქვე, გვ. 881.

⁴ ს. გოგიტიძე. დაიავნი-დიაოხი. ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის, 2006, იხ. შესაბამისი თავები.

⁵ შეადარეთ: ხორცევანი-ხორტევანი.

ფონეტიკური აგებულებით ახლოს დგას ქართლის სამეფოსა და საქართველოს ისტორიული ოლქის სახელთან ხოტენა (შეადარეთ ხორძენა, ოტენა). ხოტენა-ჭოტენა-ოტენა ტაონის-ტაოს გადმოცემა უნდა იყოს. ხორძენა იგივე მოგვიანო ხანის ხორცევანია. ქართლის სამეფოში ხორძენა მოიცავდა მტკვრის სათავეებსა და მიმდებარე ტერიტორიას.

საკვლევი ტერმინის წარმომავლობის სხვაგვარი ახსნაც მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში პირსახელი ხაცინა უნდა დაიყოს ხა და ცინა-დ. პირველი ნაწილი დამოუკიდებელი სახელი რომ უნდა იყოს, ამას მოწმობს ქართულ წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად დადასტურებული ქა, ხა-ინა, ქაი, ყასელა დი, ხა-ტოტა, ხაბა და ა.შ.¹ მეორე ნაწილი ცინა-ც არის პირსახელი, ციანა, ცილა, ცინდელიანი, ქაშქური ციან-თიშქა და სხვა. მაშასადამე, ხაცინა ისეთივე საკუთარი სახელია, როგორიც სხვა ქართული თურმანი, ასიბერი, ხალინელა, ხათუთა და ა.შ.

ასხარფაია (აშხარფაია)

აშხარფაია ბალას მეზობელი ოლქი იყო ქაშქების ქვეყნის სატომო გაერთიანებაში.² როგორც ჩანს, ტოპონიმი 3 ნაწილისაგან შედგება—ასხარ, ფა, ია. ია სუფიქსი ქართველური მოდგმის (მეგრული) გვარებსა და ტოპონიმებს აწარმოებს, მაგალითად: შენგელია, გვაძაბია, გამახარია, ბედია, შელია, ჭონია. ფა, როგორც აღინიშნა, ბა-ს ტოლფასოვანი შეიძლება იყოს. იგი სვანურ ენაში ტომს, მოდგმას აღიშნავს. ფუძეა ასხარ.

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548, 550, 559.

² Я. А. Манандян. О некоторых... с.85.

აქადის მეფის ნარამსინის (დაახ. 2594-2551წ.) ერთ-ერთ ელამურ წარწერაში გვხვდება სახელი Ashara. გარეგნულად ხეთურ იშხარას მიაგავს.¹ ჩვენი ვარაუდით, აშხარა საკვლევ ტერმინში ღვთაების და შესაბამისად ადამიანის საკუთარი სახელი შეიძლება იყოს. ამ გარემოების გათვალისწინებით ტერმინი ასხარფაია შეიძლება აიხსნას, როგორც “აშხარას მოდგმის, ტომის დასახლება,” ან ღვთაება აშხარას სახელზე წარმოშობილი სოფელი. თუმცა შესაძლებელია ფუძე აშხალ დაკავშირებული იყოს სვანურ სიტყვასთან—ხის ტოტი ან ოჯახის გამონაყოფი. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასხარფაია ოჯახის გამონაყოფის მოდგმას ნიშნავდეს.

საკვლევი ტერმინი შეიძლება აიხსნას მეგრული ენის მონაცემების გამოყენებით. აშხარ ნიშნავს არამზადას.² გამორიცხული არაა, რომ საკუთარი სახელის აშხარას სემანტიკა ზუსტად მეგრული სიტყვიდან მომდინარეობდეს და არამზადას ნიშნავდეს. მაშინ სახელის შინაარსი იქნება აშხარას (არამზადას) ფა (მოდგმა, ტომი) ია (შთამომავლობა), ე.ი. აშხარას ტომის შთამომავლობა. თუმცა არსებობს მეგრული ანთროპონიმი ფაია და თაია,³ რაც ზუსტი ანალოგიაა ტოპონიმში გამოყოფილი მეორე ნაწილის აშხარფაიას-ხი. იქნებ ასხარ ფაია იმ ადამიანის გვარი და სახელია (ან უბრალოდ კომპოზიტური სახელი), რომელმაც დააარსა აღნიშნული დასახლებული პუნქტი. სხავათა შორის ფაია, თაია, ხაფაია, ფაა, ფაიდი სშირად გვხვდება ხეთურ წარწერებში.⁴ ფაია შეიძლება ქართული ბაიას

¹ ივ. ჯავახიშვილი. თხ. ტ. I, გვ. 142.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 204.

³ თაია სოფელიცაა სამეგრელოში (პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 111).

⁴ ძახიქ, გვ. 225, 262, 532 და სხვ.

გადმოცება იყოს. ოუკი ეს ასეა, მაშინ ბაია ქართულ ენაში თვალის გუგას ნიშნავს. აქვს მეორე შინაარსიც – ჩვილი ბავშვი. პატარა ბავშვს ახლაც მიმართავენ, შენ ჩემი თვალის ჩინი ან თვალის გუგა ხარ ან კიდევ ჩემო ბაია, ჩემო პატარავ. აქედან გამომდინარე, ბაია (ფაია) შეიძლება იყოს ადამიანის საკუთარი სახელი.

იმ შემთხვევაში თუკი ფუძისეულ ა-ს ტოპონიმიკურ პრეფიქსად მივიჩნევთ, მაშინ ფუძე შხარ-ი შეიძლება ნიკორს აღნისნავდეს ან გაპობას.¹ სვანურ წერილობით ძეგლებში გვხვდება პირსახელი შხერა.

აშხარფაიას მსგავსი სახელები (საკუთარი თუ გეოგრაფიული) ხეთურ წყაროებში ქაშქების ტერიტორიაზე სხვაც გვხვდება, კერძოდ, ვაშხაია, ვაშხარია, ასხაფალა და ა.შ.

თ ა ხ ა ნ თ ა ნ ი ა

სვანური ენის გამოყენებით აღნიშნული ტოპონიმი (ქალაქის სახელი) შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: ხანთალ ნიშნავს წვეტიან საკიდს, ხოლო თა შეიძლება იყოს მთა-ს თავდაპირველი ფორმა, ე.ო. მისი უპრეფიქსო ფორმა. ქართულ დიალექტებში (მაგ. აჭარულში) ამჟამად შემონახულია მთის უძველესი ფორმა თა.

ტერმინის სემანტიკა სხვანაირადაც შეიძლება აიხსნას. მასში უნდა გამოიყოს თახა და თარია, ხოლო რაც შეეხება ნ ფორმატს, იგი შეიძლება შემდეგ შეზრდილი იყოს. პირველი კომპონენტი თახა, როგორც აღინიშნა, ქართველური (უფრო სვანური) დვთაებაა, ხოლო თარ ასევე ქართველუ-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 225.

რი, ურარტული დმერთი შეიძლება იყოს, თუმცა თარ მეგრულში მთავარს, რჩეულს, მთელს ნიშნავს. თარა, თარაში-მეგრულ წერილობით ძეგლებშიც დასტურდება.¹

თარ ფუძიდან არაერთი გეოგრაფიული სახელი წარმომდგარა, როგორც ძველ ქართველურ სამყაროში (მაგ. ურარტუ-დაიაენის ტერიტორიაზე) ისე თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე. მაგალითად, დაიაენი-დაოხის ოლქი თარიუნი, თორი ერქვა ბორჯომის მიმდებარე მხარეს. თორი პქვია საქართველოში რამდენიმე სოფელს. მთებია თარიანი. სამცხის მერე სომხურ გეოგრაფიაში დასახელებულია თარის ფორმით. სახელწოდება თრიალეთშიც გამოყოფილი თრ ფუძეც რედუცირებულია და მომდინარეობს თავდაპირველი თორ-თარ ფორმიდან. საქართველოში პლინიუსიც ასახელებს ერთ ამგვარ ოლქს-თრიარი. თარი ქართული ფორმაა, სვანურშიც ასეა, ხოლო თორ მეგრულია, ან დროთა განმავლობაში ა გადავიდა ო-ში. შეადარეთ კაცი-კოჩი, ქართა-ქორთუ, ქათამი-ქოთომი და ა.შ.

საკვლევი ტერმინი მეგრული ენის გამოყენებითაც შეიძლება აიხსნას. თახვანტი ნიშნავს თხმელის ან თხილის წკნელს.² ასეთ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ არ-ია ქართველური რთული სუფიქსია. საინტერესოა მეორე მეგრული სიტყვა თახანა-ც, რაც ხის ჯოხს ნიშნავს.³ ქართულში ფახან ნიშნავს შიში.

თახანთარიას მსგავსი როგორც მთლიანი სახელის, ისე მისი პირველი თუ მეორე ელემენტის მსგავსი ტოპონიმები და ანთროპონიმები სხვაც ბევრი გვხვდება ხეთურ წყაროებში: თახაშთურია, თათაშთურია, თახანტაპტიპა, თახა-

¹ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 282. პ. ცხადაია. სამეგრელოს... 275, 377.

² გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბ., 1997, გვ.171.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 20.

ნა, თასთარი, ცაქუთარია და სხვა. იმ შემთხვევაში, თუკი თა მეგრული ოჯახის ეკვივალენტია, მაშინ ხანთარია-ს ზუსტი პროტოტიპი იქნება დღეს საქართველოში გავრცელებული მეგრული გვარი ხანთარია ანუ ქანთარია. თახა შეიძლება იყოს ადამიანის საკუთარი სახელი, როგორიცაა ქართული გვარ-სახელები: თაქა, თაყა, თაყაი, თარხანი, თაყაიშვილი, თაყალაძე, თაყაძე. ქართული გვარსახელი თარხან მოურავი თითქმის ზუსტი ანალოგიაა ქაშქური თახანთარიასი, რადგან თარ-ია, როგორც აღინიშნა, ქართველურ ენებში მთავარს, რჩეულს, შეიძლება ითქვას, იგივე მოურავს, თავკაცს ნიშნავს. საქართველოში გვაქვს სახელები და გვარები თარი, თარია, თარიაშვილი, თორია. სამეგრელოში დასტურდება ტარა, თარა, თარია, ადამიანს სახელ-გვარებად, თარაშ ტომბა, თარაშ წყერგილი და სხვა მრავალი ტოპონიმის სახით.¹

სხვების მიხედვით, აღნიშნული ტერმინი შეიძლება დაგმარცვლოთ ლაზ-მეგრული სიტყვების მიხედვით: თა, ხა (ხ), თარ, ია-დ. თა ნიშნავს საშუალო ზომის დატვირთვას, ე. ი. ტვირთს, რომლის წალება ადამიანს შეუძლია თავისუფლად. ხა ნიშნავს მთელის ერთ მხარეს ე. ი ერთ კუთხეს, ბგერა ნ არის მთლიანი სიტყვის ლოკალიზაციისათვის საჭირო დანამატი, თარ-ჯანიერს, ჯანსაღს, ია-კი მეგრული სახელების სუფიქსია. ტერმინი აღნიშნავს საშუალო ზომის ჯანსაღ კუთხეს ან საშუალო ზომის ჯანსაღ მხარეს.²

ამრიგად, ტოპონიმის სახელი წარმოშობილი უნდა იყოს მეგრული თახან-ტახან ადამიანის საკუთარი სახელიდან, რაც ნიშნავს ხის მოკლე სასროლ ჯოხს. ასევე თარია-ც

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 275, 377.

² გრ. გოორგაძე, ჟურნ. აია, 1999, №7, გვ. 18-25; ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, გვ. 300.

საკუთარი ან დინასტიური სახელი უნდა იყოს, რაც ამავე ენაში მთავარს, რჩეულს ნიშნავს.

თ უ ღ მ ა ღ ი ა

თულმალია კომპოზიტური სახელი ჩანს. იგი უნდა შედგებოდეს ორი ელემენტისაგან – თულა ანუ თუელ, რაც სვანურში ტვინს, ჭკუას ნიშნავს¹ და მალ, რომელიც ამავე ენაში მელას აღნიშნავს.² აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი ტერმინი “ჭკვიან მელიას” აღნიშნავს.

შესაძლებელია, სახელწოდება მეგრული ენის გამოყენებითაც აიხსნას. ამ ენაში თუკი თულ-გოჭია და მალია ადამიანის საკუთარი სახელი, მაშინ მისი შინაარსი იქნება-მალიას გოჭი. მალა მეგრულ ენაში, აგრეთვე ნიშნავს წა-მოდი, მალა – მალე, ჩქარა.³

სახელწოდება შეიძლება აიხსნას ქართული ენის გამოყენებითაც. მისი პირველი ნაწილი თულ შეიძლება აღნიშნავდეს ყაჩაღს, შემოსეულ მძარცველს, მტერს ან მოდუნულ წნელს, რომელზეც აჯენენ მიმინოს გასაწაფავად.⁴ თოლ – თვალია, თოლი – საალერსო მიმართვა: თვალო, თვალის ჩინო. მალა კი – დიდ ძელს, რომელზედაც სახლის კოჭებს აწყობენ ან თხელ ქაფჩას ბათქაშის გასაკეთებელი, კალა-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 262.

² იქვე, გვ. 559.

³ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 206.

⁴ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 254.

ტოზის იარაღი.¹ მალ – ხწრაფი, ჩქარი, მარდის სინონი-მიცაა.²

თულმალიას მსგავსი ტოპონიმი ხეთურ წყაროებში სხვაც მოიხსენიება, კერძოდ, თალმალია. იქნებ ეს ერთი და იგივე ტოპონიმია. ერთ შემთხვევაში უ და მეორეში ა ბგა-რა მოწმობს იმას, რომ აქ ო ბგერის გადმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთივე ტოპონიმია ქალაქი მალანნი ხაიასა-აცის (ალზის) ქვეყანაში.³ ძველაღმოსავლურ წყა-როებში ქართველურ სამყაროში გვხვდება სახელი სულ-მალი.⁴ რომელიც შეიძლება შედგებოდეს სული და მალი-საგან.

მეგრულში გვაქვს გვარები, რომელიც შეიცავს ტოპო-ნიმის მეორე კომპონენტს, მაგალითად – მალაშეია, მალა-ზონია, მალია, მალანია, მალიმია, მალიავა, მალიჩავა და სხვა. ლაზეთის მეფეს, რომელიც მოღვაწეობდა ახ.წ. II საუკუნეები, ერქვა მალასა (ფლავიუს არიანე). გვაქვს ქართულშიც: მალიძე, მალახიძე, მალაყმაძე, მალატაიძე, მალაქშანაძე და სხვა.⁵ გვაქვს სახელები მალია, მალაქია, მალხაზი, მალხაზი, მალხინა, მალვა, მალედა.⁶ პირველი კომპონენტის მიხედვით, შეიძლება დავასახელოთ ქართული გვარ-სახე-ლები: თული, თულა, თულასძე, თულაშვილი,⁷ თულაძე. თუმცა გამორიცხული არაა, თულითოლი-დან (თვალი) წარმოდგებოდეს ან მისი იდენტური იყოს. ძველ ენებში ხომ ო ბგერის უქონლობის გამო უ-ს ხმარობდნენ. მეგრუ-

¹ ქართული კილო თქმათა... გვ. 340.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 281.

³ ВДИ, 1951, №2, с. 310.

⁴ Н.В. Арутюняն. Биайнили (Урарту), с. 313.

⁵ о. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 716.

⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 523.

⁷ о. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ. I, გვ. 688, 844.

ლი სახელებია: თოლმიხინა, თოლიმაფუ, თალაბერი, შური-
თოლი და ა.შ.¹

საქართველოში არის აგრეთვე მალ ძირიანი ტოპო-
ნიმები, ორონიმები და ჰიდრონიმები: მალთაყვა მდინარე და
სოფელი (გურიაში), მალყადიდი გორა (წყაროში, გურიაში),
მალიეთი. მკვლევართა მიხედვით, მალთაყვა ანთროპონიმუ-
ლი წარმოშობის უნდა იყოს, ისევე, როგორც ბობოყვათი.²
ჩვენი აზრით, სახელ მალის თუ მალის სემენტიკა უნდა
იყოს სწრაფი, მოქნილი, ჭავიანი. ასე, რომ თულ-მალია-ში
თული და მალიაც საკუთარი სახელებია. როგორც სხვა
შემთხვევაში, შეიძლება ერთი იყოს ადამიანის საკუთარი
სახელი (ვინც დააარსა ეს დასახლება), ხოლო მეორე –
საგვარეულო, დინასტიური. დაბოლოს, მალია შეიძლება
ასევე იყოს წარმოშობილი ხეთურ – მცირე აზიული ღვთაუ-
ბის სახელიდან – მალია.

თიშქა (ღიშქა)

მეგრულ ენაში დიშქა შეშას ნიშნავს.³ სხვათა შორის,
მსგავსი წარმომავლობის ქვეყანა შეშეთი (ქართულში შეშა)
დაიაენი-დიაოხის შემადგენლობაშიც იყო.⁴

თიშ მეგრულშივე “მისი”-ს სინონიმია, თიშა – იმასთან,
მაგრამ ნაკლებად სავარაუდებელია, რომ თიშქას ფუძე ამ
უკანასკნელზე იყოს აგებული, თუმცა გამორიცხული არა-

¹ ბ. ხორავა. ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების
აფხაზეთში. – ქურნ. არტანუჯი, №10, თბ., 2000, გვ. 41, 42.

² გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური
ლექსიკონი, I, თბ., 2002.

³ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 477.

⁴ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი... თავი შეშეთი.

ფერია. უფრო სარწმუნო ჩანს, რომ დიშქა სიტყვა-სიტყვით
მეგრულში, შემას პქია. ასე რომ, ტოპონიმის დიშქას სახე-
ლი შემას, ანუ მეგრულად დიშქას უკავშირდება.

ასევე სარწმუნოა, ტოპონიმის მომდინარეობა მეგრული
სიტყვიდან თიშქა, რაც „იმის შუა“-ს ნიშნავს. თუმცა არ
გამოვრიცხავდი დიშქა-თიშქა ორი ელემენტისაგან შემდგა-
რი სიტყვა რომ იყოს. მეგრულში თი ოჯახია, შქა-სკა –
ფუტკარი, შუა, შუაში.¹ ყოველიგე ამის გათვალისწინებით
ტოპონიმის შინაარსი იქნება – “ოჯახის ფუტკარი” ან
ოჯახის შუა, შუაში.

ტერმინის ახსნა ასევე შესაძლებელია ქართული ენის
მონაცემების ბაზაზე – თიშ-სხვილი სილაა,² ქა (ხა) მრავ-
ლობითობის ან კუთვნილებითი სუფიქსია. შინაარსი იქნება:
მსხვილი სილის სიმრავლე ან მსხვილი სილის ადგილი.

გ ა ზ ა პ ა

ქალაქის ამ სახელს კაგშირი აქვს მეგრულ სიტყვებთან,
მაგალითად, გაზე ნიშნავს ბარძაყს, გაზეპუ(ნ)-ასხია, აყრია
ბლომად, გაზება-გაზავება.³ სვანური სიტყვა გაცხაპ-იც
უახლოვდება საკვლევ ტერმინს იმ შემთხვევაში თუკი ც
როგორც უცხო აფრიკატი ხეთურს უნდა გადაეცა ზ-თი და
ხ ॥ ჰ მონაცელება დასაშვებია. გაცხაპ ნიშნავს სრული,
მთელია.⁴

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 275; II, გვ. 46.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 250.

³ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 40.

⁴ გ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 166.

გაზ ძირიანი სიტყვები და ტოპონიმები ქართულშიც გხევდება, ესენია ნა-გაზ-ებ-ი, გვევდება დარჩიძეებში ადგილთა სახელად, და-გაზ-ულ-ებ-ი – ჯუმუშაურში, ოლადაურში, მაწყვალთასა და კარაპეტში, ნა-გაზ-ი საღორეთში. ასურულ წყაროში (სარგონ II) ქუეს სამხრეთით მოხსენიებულია გაზა.¹ აჭარულ დიალექტში გაზ ხის შეგაზვალა დაგაზვა ნიშნავს შეკოდვა-დაკოდვას. ნაგაზი და ნაკოდი ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ფორმებია. ტერმინი დაგაზვა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებშიც გხევდება და ნიშნავს დაკაწვრას, დაფხაჭნას, დახაზვას.²

ქართულ დიალექტებში გაზება ნიშნავს ფრინველის კლანჭებს ან საქონლის ფეხებს, წვივებს, გაზეპვა – დატკეპნას, მაგრად გაძღომას, გაზვეპა – გატყეპას, მაგრად ცემას.³ უძველეს ქართველურში (შუმერულში) ვაზ, გაზა – დანგრევა, მოკვლა, წაქცევას ნიშნავს.⁴ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის მთიანეთში გვხვდება სახელი გაზა. სვანეთის წერილობით ძეგლებშია დადასტურებული გაზანიანი, გაჟანი, გაჟანიანი.⁵ თუკი საკვლევ ტერმინს უუძედ გაზა აქვს, მაშინ პა (ფა) სვანურში მოღვარის, დინასტიის აღნიშნავს და ამ გარემოებების გათვალისწინებით ტოპონიმის შინაარსი იქნება გაზას მოღვარი, ე. ი. ვინც ამ ქალაქს მისცა სახელი.

¹ ნ. საზარაძე. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური... გვ. 47.

² გ. ქამადაძე. ერთი მიკროტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის. – გ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნ. 5 კვლევითი ინსტიტუტის 17 რესპ. სამეცნ. სესიის მოხსენ. თეზისები, ბათ., 1985, გვ. 40-41.

³ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 115.

⁴ რ. გორდეზიანი. წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 42.

⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 526-527.

თითია D(ღითა)

მეგრულში თი აღნიშნავს სახლს, ოჯახს, ხოლო თია – წილს, კუთვნილ ნაწილს. აქედან გამომდინარე, თითია სიტყვასიტყვით ნიშნავს “სახლის, ოჯახის (ვისიმე) კუთვნილ ნაწილს.” არა მგონია, ამ სიტყვების შეხვედრა ხეთური წყაროების საკუთარ სახელებთან, შემთხვევითი იყოს.

სხვების მიხედვით, დითა დღესაც გავრცელებული სახელია სამეგრელოში.¹ მე დავამატებდი, რომ შეიძლება ტერმინი მეგრული გვარის დიდია-ს გადმოცემა იყოს, ისე-თივე, როგორიც ქაშქური თარია, თურია, შარია, ისინი დღესაც აგრძელებენ სიცოცხლეს თარიას, თურიას და შარიას სახით. სვანეთის წერილობით ძეგლებში არის სახელები – თითი, თითუ, დიდი, დითური, დიდხა,² თათია, დიდია და ა.შ.

ეღუნია (იღუნია)

მეგრულ ენაში ელუ ნიშნავს ელის, ელოდება, ელულა ამოსვლას.³ ამავე ენაში ელარინა ნიშნავს მხარში ამოდ-გომას.⁴

ქართველური ტომების განსახლების არეალში შეინიშნება მსგავსი ტოპონიმები. მაგალითად, ქვეყანა ულუანი, თანამედროვე ელარინას მიდამოებში (ერევნიდან აღმოსავლეთით) ეთიუნის ქვეყნის შემადგენლობაში.

¹ ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, გვ. 304.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 505, 512.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 551.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 150.

ურია – როგორი სუფიქსია, რომელიც უძველესი დროიდან დღემდე აწარმოებს ქართველურ გვარებსა და ტოპონიმებს. სხვათაშორის მსგავსი ძირით ელუ-ელი მოგვეპოვება მეგრულში გვარი-ელიავა, სადაც ვა (ვარიანტი ბა) მეგრული გვარების ერთი ნაწილის დაბოლოებაა: კანკავა, პაპავა, აფხაზავა, ხურცილავა და ა.შ.

საქართველოში გავრცელებულია სახელ-გვარები მსგავსი ფუძით ნაწარმოები, კერძოდ: ელუაძე, ელუაშვილი, ელოური, ალურიძე, ილარიონი, ილურიძე, ილო, ილა, ელუ. ქართველურ სამყაროში (მაგალითად ტროა-ვილუშა) გავრცელებული იყო პირსახელი ილა, იყო ქალაქი ილიონი.¹

ურარტუს ხანაში მდინარე ტიგრის ერთ-ერთ შენაკადს ერქვა ელამუნია.² მისი შეპირისპირება მეორე დიდი მდინარის არაქსის სახელთან მუნა, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ პირველი შედგება ორი ნაწილისაგან ელა და მუნია. მუნი – მონას, ცუდს უნდა ნიშნავდეს; ასევე შესაძლებელია მეგრული ტოპონიმის მაწარმოებლის ია-ს გამოყოფა. პირველი ნაწილი ელა უნდა ენათესავებოდეს საკვლევი ტერმინის ფუძეს ილ თუ ელუ-ს, რომელიც პროტოტიპია ქართული გვარში, ილაური – არსებული ძირისა.

ფ ი ფ ი ა

აღნიშნული ტოპონიმური სახელი მეგრული ენის გამოყენებით აიხსნება. ფიფია ამ ენაში ნიშნავს ფინოს, ცუდს.³

¹ Страбон. География, Л., 1964, с. 559; Карл Блеген. Троя и троянцы, М., 2004, с.10-11.

² Н.В. Арутюнян. Земледелие и скотоводство Урарту, Еր., 1964, с. 117.

³ თ. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., III, გვ. 102.

აქვს სხვა მნიშვნელობაც “ფართოდ გაშლილი”, წერგაშლილი. აღნიშნული სიტყვა თითქმის ამასვე ნიშნავს საკუთრივ ქართულში. ლექსიკონის მიხედვით, ფიფია ცუდის, გლახას სინონიმია. ოუმცა ამ სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობაც: წვნიანი საჭმელი, ლობიო.¹ მეგრულ ენაში არის სხვა სიტყვებიც, რომელთაგან შეიძლება მომდინარეობდეს, აი ისინიც: ფიფა-დიდწვერებიანი; ფიფ-ფითრი (სოკოვანი ამონაზარდი მსხლის ტოტზე).²

საქართველოში გავრცელებულია მეგრული გვარი ფიფია, რომელიც პროტოტიპი, ზუსტი ანალოგიაა უძველესი ქართველური სატომო გაერთიანების ქაშქას ერთ-ერთი ოლქის სახელისა – ფიფია-სი.

მკვლევარი ს. ბადაც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტოპონიმი თიფია (ფიფია) მეგრული წარმოშობისაა.³

ფიფია პირწმინდად მეგრული ტოპონიმია და ამაში სხვა აზრი არც შეიძლება იყოს, რადგან საქართველოში გვაქვს მისი ზუსტი ანალოგიები: გვარი ფიფია, ფაფია, ტოპონიმები: ფიფიაშ წყარი, ფიფიაშ წისქვილი და სხვა მრავალი.⁴

თათიშქა (დაღიშქა)

აღნიშნულ ტოპონიმსაც ქართველური ენებში მოეპოვება პარალელები. იგი თავისი შემადგენლობით აშკარად მეგრული წარმომავლობისაა. ამ ენაში დადი-მდადეა, პატარძლის ხელისმომკიდე; ასეთივე დატვირთვა გააჩნია ამ

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 544.

² ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., III, გვ. 102.

³ ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, გვ. 277.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 293, 318, 364.

სიტყვას საკუთრივ ქართულ შიც.¹ მეგრულ შივე დადი დიდე-დაა, დიდი – პაპა.²

იმ შემთხვევაში, თუკი ტოპონიმი შეიძლება დაიშალოს თა-თიშქა, მაშინ თა – მეგრულად ოჯახს, სახლ-კარს უნდა დავუკავშიროთ, ხოლო თიშქა, როგორც ცნობილია, აღნიშნავს შეშას ან კიდევ იმის შუას. ასეთ შემთხვევაში ტოპონიმი იძენს შინაარსს: ოჯახის შეშა ან კიდევ იმის შუა ოჯახი, ანუ მის შუა მდებარეობს ოჯახი. ქართველურ ენებში სკა-შქა= ფუტკარის სახლია, სქა – ფუტკარია.³ შესაძლებელია დადიშქა – დადის შთამომავლობის, ხალხის საცხოვრებელი ობიექტის შინაარსი გააჩნდეს.

დად და თათ ძირიანი სახელ-გვარები საქართველოში, როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვედ, ძალიან გავრცელებულია: თათაულ, დადისძე, დადიში, დადაუ, დადა-შილი, დათი, დადვანი, დათია, დადი, დადა, თათა, თათი, თათარი, თათარყან, თათარსაუ, თათული თათე, დადი-შქელიანი, დადიანი დადილიანი, დათიში, დადვანი, დათანი, დათეშ, დათიელი, დათუ და სხვა მრავალი.⁴

საკვლევი ტოპონიმის მსგავსი სახელები სხვაც მოიპოვება ქაშქების ტერიტორიაზე, კერძოდ: თითია (დითა), დათა (დადა), დადილი, დათილი და ა.შ.

ამრიგად, დადიშქა (დათიშქა) თავად ტოპონიმი ყოველნაირად გვარწმუნებს, რომ იგი წარმომავლობით მეგრულია. ამასვე ადასტურებს სამეგრელოში გავრცელებული -შქა სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც.

¹ ქართულ კილო-თქმათა... გვ. 354.

² გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 109.

³ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ, I, გვ. 261; ქართულ კილო-თქმათა... გვ. 496.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 502, 510; ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 834, 842.

ამრიგად, სახელწოდება დათიშქა უნდა ნიშნავდეს და-
დის შვილებს.

ციანთიშქა (ციანთისქა)

აღნიშნული ტოპონიმი, როგორც ჩანს, კომპოზიტური სახელია, რადგან აშკარაა, რომ მასში ერთ-ერთ ელე-
მენტად თიშქა უნდა მივიჩნიოთ. იგი მეგრულია და შეშას აღნიშნავს. რაც შეეხება ციან-ას იგი საკუთარი სახელი უნდა იყოს, როგორიც ციალა, ციანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტოპონიმი სრულად წარმოითქმება “ციანას შეშა,” ანუ “ციანას შეშის ადგილი.” ეტყობა, აღნიშნულ პიროვნებას ერთ დროს ამ ადგილას შეშა პქონოდა მომზადებული. ტოპონიმის სახელი ამავე ენაში შეიძლება მეორენაირად აიხსნას: ციან (სახელი), თი (ოჯახი), შქა (ფუტკარი), მაშასადამე “ციანას ოჯახის სკები, ფუტკარი.” შეიძლება ასეც იყოს: ციანას ოჯახის (საგვარეულოს?) შთამომავლობა. შეადარეთ ძველი ქართული ტომის მესხე-
ბის, მუშქების სახელწოდებები: მუსხი, მუშქი, მუშკაია, მოსოხი, მუშკინი, მოსხი და ა.შ. სადაც ქი-ხი მესის (მოსის, მუსის) ტერიტორიას, ხალხს, კუთვნილებას აღნიშნავს, ერთი სიტყვით, „მესის ქვეყანას.”

ადამიანის აღნიშნული საკუთარი სახელიდან ნაწარმოე-
ბი ტოპონიმები ამჟამადაც გვხვდება საქართველოში,
მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ დიდვაკეში დას-
ტურდება ციანა-სახლევი, ამავე რაიონის სოფელ გვარაში
ცანაური.¹

¹ ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ.
61.

ადამიანის სახელად საქართველოში ციალასა და ციანას გარდა, დასტურდება აგრეთვე ცინცა (აქედანაა ნაწარმოები ცინცაძე, ცინცაბაძე, ცილაი, ცინდელანი, ცინცი და ა.შ.).

ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ანთროპონიმიდან ნაწარმოები ტოპონიმები დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს, კერძოდ შავშეთ-იმერხევში: ციალეთი, ციალზითი, ციალი.¹

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის რაჭულ დიალექტში “ციანი” ნიშნავს “მზიან ამინდს,”² ხოლო მეგრულში ”ცი“ – ოელას.³ თუ მეორე მონაცემებით ვიმსჯელებთ, ტოპონიმი შეიძლება განიმარტოს, როგორც ცი (თელა) ანთარ (ანთა-კოლხური დვოაების სახელი), სქა (შუა ან ფუტკარი), ან კიდვე ცი (თელა) + ან (დვოაება) + თიშქა (შეშა), ე. ი. “დვოაება ანის კუთვნილი შეშა“. პირველის მიხედვით, ციანთიშქა იშიფრება, როგორც ციან (მზიანი ამინდი) + თიშქა (შეშა), ე. ი. შეშა მზიან ამინდში. ყველაზე სარწმუნო ჩანს სახელწოდება დაიყოს სამ ელფენტად ციან-თი-შქა, ე. ი. ციანას-ოჯახი-შვილები, ანუ ციანას ოჯახის (გვარის, სახლის) შვილები (შთამომავლობა).

¹ ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2001, გვ. 232.

² რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987, გვ. 123.

³ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 347.

ვ ა ფ ა ნ ა

აღნიშნულ ტოპონიმს ქართველურ (სვანურ) ენაში მოეპოვება ახსნა. ფატან-პერანგია, ფატუ-ფეტვი.¹ იმ შემთხვევაში, თუ საკვლევ ტერმინს ამ უკანასკნელს დავუკავშირებთ, მაშინ “ან” სვანური მაწარმოებელი უნდა იყოს, ისეთივე, როგორიც სვანური წარმომავლობის ტოპონიმებში. იმავე ტერიტორიაზე, რომელზეც ქაშქები მოსახლეობნენ, როგორც მომდევნო პერიოდში (ანტიკურ ხანაში), ისე ამჟამადაც მოსახლეობენ ქართველები, მათ შორის სვანებიც. მათ აქ ძველაღმოსავლური ხანიდან მოყოლებული, პქონდათ ქვეყნები: ხუშანი, ტიბარენია, ბიანი, მუშანი, ხალდია, ჭანეთი და მრავალი სხვა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდა ამ სახელის ტომი ა-მ-ფიტაი, ამ-ფიტანი² თუ ამპრევიტი, რომელსაც პლინიუსი (23-79წ.) მოიხსენიებს ლაზებსა და პენიონებს შორის.³ ფიტან-ამფიტაი სვანურ ენაში გახვრეტილს ნიშნავს, იქნებ ხეობასაც.

მეგრულ ენაში ფატ – ფეტვია, ფატანა – მატყლის ფთილა, ფატალა – დაჩქილი მატყლი,⁴ ქართულ ენაშიც მოპოვება მსგავსი სიტყვები: ფატალა, რაც სუროს ნიშნავს, ფატენ – ნაკვეთში დატოვებული გამოუყენებელი ადგილი, ფათა – ყაიმი.⁵

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 751, 755.

² Дж. Гамахария, Б. Гогиа. Абхазия-историческая область Грузии, Тб., 1997, с. 171, 527.

³ პლინიუსი. ბერძნების ისტორია, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 31.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, გვ. 89.

⁵ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 532.

სახელ ფატანასთან ახლო მდგომი ადამიანის საკუთარი სახელები გავრცელებულია საქართველოში: ფატი, ფათმა, ფატიმა, ფატმანი, ფატანა და სხვა. სვანურ წერილობით ძეგლებშია: ფათანი, ფადვიანი, ფაშტანი.¹

ფატანა, როგორც ჩანს, ისეთივე ქაშქური სახელების მსგავსია თავისი წარმოებით როგორიცაა: ფათალია, ფითალახესი და სხვა. ერგეში გვხვდება მიკროტოპონიმი ფათულა დელუ.

უფრო სარწმუნო ჩანს აღნიშნული ტოპონიმის წარმოება ფატან (პერანგი)-დან. შეიძლება მისი მოსახლეობა აღნიშნული შიდასაცვლის დამზადებაში დახელოვნებული იყო.

საქართველოში ასევე გავრცელებულია ტერმინ ფატალასთან ახლოს მდგომი მიკროტოპონიმები: ფატარი წყარო ზენობანში, ფატარი შუხუთში, ფატარი გვიმბალაურში, ქვაფათა კლდე, გამოქვაბული ლაშეში, გურიაში და ა.შ.² რაჭაში ხშირია ტოპონიმები და მიკროტოპონიმები სახელებით: ფატანი (მთა), ფათაროთა (დაფერდება), ფატაროსერი, ფატართა (ვაკე) და სხვა.³ ტოპონიმები სახელით ფატარი ხშირია აგრეთვე სამეგრელოშიც.⁴

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 514, 546.

² ი. სიხარულიძე. მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 96, 141, 144.

³ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 2003, გვ. 53, 134, 135.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 33, 283.

զազա (զատա)

დადა (დათა) სახელი და მისგან ნაწარმოები გვარები ძველი დროიდანაა ცნობილი საქართველოში. დღეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახელსა და მათგან ნაწარმოები გვარებს წარმოადგენენ საქართველოში: დადუა, დადაუ, დადავი, დადაში,¹ დადაშილ, დადვანი, დადი, და-დიანი, დადილიანი, დადისდილი, დადისშვილი, დადისშუი, დადისძე, დადიშქელიანი, დადიშგელიანი და სხვა.² ქარ-თულ სინამდვილეში გვხვდება არა მხოლოდ აღნიშნული სახელ-გვარები, არის აგრეთვე: დადა, დათა, დათადო, დათო, დათან, დათეშ, დათუა, დათია, დათიელი, დათიკია, დათიკო, დათილი, დათინა, დათო, დათუ, დათუანა, დათუ-ლია, დათუკი და სხვა მრავალი.³

სიტყვა დად – დადა მეგრულში ბებერის სინონიმია.⁴ დადე – ძღვანე ქართველურ ენებში ნეფე-დედოფლის მხლე-ბელს, ხელის მომკიდეს ჰქვია. დათა ძველ ქართულ სამყაროში (ხეთურში) ღვთაების სახელი იყო.⁵ დადა – ერთ-ერთი ქართული ლექსიკონის მიხედვით ჭკვიანს ნიშნავს,⁶ დად – ბებიას, დადა – დაია, დაიკოს.⁷ დადუ – შუმერულში სიყვარულს, ხოლო დადილ სვანურში საყვარელს ნიშნავს.⁸

¹ გ. გასევიანი. ნარკოეპები შეა საუკუნეების სეანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 13.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 502.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, 833-834.

⁴ თ. ქაჯია. მგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 425.

⁵ В. Хачатрян. Восточные провинции хетской империи, Ер., 1971, с. 7.

ე. ვაკელია. ცის მარტო კრისტიანული, ლპ, 1997, გ. 77.
 6. ი. გრიგაშვილი. ქალაქები დაქსიკონი (ხაარქვით მასალა), თბ., 1997,
 გვ. 73.

⁷ მ. ქაჯაიძ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001, გვ. 425, 426.

⁸ ზ. ქაფიანიძე, თ. მიბუჯანი. კაცობრიობის პირველი ანბანი. მეოცე საშუალების უდიდესი აღმოჩენა, თბ., 1997, გვ. 91.

დადა (დათა)-ას მსგავსი ფუძიანი სახელები ქაშქებში სხვაც მოიპოვება, კერძოდ; დადა (თათა, დათა), დადილუ, თათილი (დათილი) და ა.შ.¹

საქართველოში ქაშქების ტომის საცხოვრისის სიახლოვეს ჭანეთში დასტურდება მსგავსი ფუძით ნაწარმოები ტოპონიმი-დადივათი.²

მაშასადამე, ადამიანის საკუთარი სახელი დადა წარმოდგება მსგავსი ქართული სიტყვისაგან, რომელიც ჭკვიანს, საყვარელს ნიშნავს.

საფალი (სათაღი)

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეხვედრა ქართულ ლექსიკასთან გვქონდეს. მიკროტოპონიმების სახით საქართველოში რამდენიმე მსგავსი სახელწოდება გვაქვს დადას-ტურებული. ასე ჰქვია (სათაღი) აჭარის სოფლებს ერგესა და აჭარისწყალს შორის მოქცეულ ტყიან ზოლს, სადაც ადრე ხეებსა და ძელებს ამუშავებდნენ, უბრალო ენით, რომ ვთქვათ, თვლიდნენ, აქედან უნდა იყოს სა-თლელი ანუ სათაღი. სათლელი სოფელია შათირემერეში შავშეთ-იმერებეგში.³ ვახუშტი ბატონიშვილი მას სათლის ფორმით გადმოგვცემს.⁴ ძველი ბერძენი მწერალი სტრაბონი, თავის გეოგრაფიაში ასახელებს სათაღკას (ქალაქს გორდიაში). ავტორს არ ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ გორდიენებს ძველები კარდუხებს უწოდებდნენ.⁵ კარდუხები (ქართმუხე-

¹ გრ. გიორგაძე. ხეოური და ასურული... გვ. 16.

² ი. სიხარულიძე. ჭანეთი, II, გვ. 7.

³ ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერებევი, ბათ., 2000, გვ. 20.

⁴ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 679.

⁵ Страбон. География, с. 692.

ბი) ცნობილ სპეციალისტთა მიერ დაკავშირებულია ქართულ ტომთან ქართებთან. კარდი-ქართი ერთი და იგივე ტომია. კიდევ ერთ ასეთი სახელის მქონე ქალაქს ასახელებს რომაელი მწერალი დიონ კასიუსი¹ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, იქ, სადაც ქართული ტომი ჭანები და სხვები მოსახლეობდნენ. ამასვე მოიხსენიებს სპარსული წყაროც – ზოროასტრის ქააბა² (თარიღდება 261 წ.). ეგ იგივე ძველი ქაშქების ტერიტორიაა და სრულიად შესაძლებელია, რომ საკვლევი ტერმინი სათალი თუ საფალი იგივე ანტიკური ქალაქი სათალა თუ სატალა იყოს. საფალა მოიხსენიება ხათების ტერიტორიაზეც.³

მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმავე წყაროებში მოიხსენიება ქვეყანა საფა-ს სახელით,⁴ რაც იმაზე მიუთითებს, რომ საფა და საფალა ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს (შეადარეთ დათა – დათილი, ბაბა – ბაბალა, ბეგა – ბეგალა, ქაჩა – ქაჩალა და ა.შ. ადამიანის საკუთარი სახელი საფალი კავშირშია ქართულ სახელ-გვარებთან: საფარა, საფარიძე, საფარაშვილი, საბა, საბადა, საბანი და ა.შ.

იმ გაგებით რომ საფალი უახლოვდება ქართულ სიტყვას საფარს (ლ და რ-ს მონაცვლეობა დასაშვებია ქართული გრამატიკული ნორმების მიხედვით), შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკვლევ ტერმინში სიტყვა საფარი-ა შესაცნობელი. ტოპონიმების სახით საფარი საქართველოს ტერიტორიაზე ხშირია და უმეტესად ტყეებისა და ხეების ჯგუფს ეწოდება, რომელიც იცავს სოფელს თუ მის ნაწილს ქარის ან ზვავის საშიშროებისაგან.

¹ ნ. ლომთური. დიონ კასიონის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.

² სინ, I, გვ. 560.

³ ძახიქ, გვ. 170.

⁴ ძახიქ, გვ. 205.

ქართული ლექსიკონის მიხედვით სათალი იგივეა, რაც სათლელი, “ამ ადგილას ახლომახლო არ აქვს სათლელი გზა”.¹ ჩვენი აზრით, ერგეს დაუსახლებელ ადგილს სათალი იმის გამო პქვია, რომ აქ ძველად თლიდნენ ხეებს, ძელებს და იგი მომდინარეობს სიტყვიდან თლა, ასევე ქართული პრეფიქსის სა-ს დართვით. საფარი კი იმავე ლექსიკონის განმარტებით ფარავს, მალავს, იცავს ვისმე ან რასმე ან თხრილია, საგანგებო ადგილი.²

მაშასადამე, თავისი წარმოშობით საფალი თუ სათალი შეიძლება დაგუკავშიროთ ქართულ სიტყვებს სათალსა თუ საფარს.

თ უ თ უ

ადამიანის საბუთარი სახელი შესაძლებელია დაპაგშირებული იყოს ფლორონიმის სახელთან – თუთუბო. ასე ეწოდება ბუჩქს ან დაბალ ხეს, რომლის ნაყოფის მჟავე ქერქი იხმარება საჭმლის შესაკაზმად, ნორჩი ტოტები და ფოთლები კი – ტყავის სათხიმლავად.³

საკვლევ ტერმინს ახსნა ქართველურ ენებშიც მოეპოვება, რაც, ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა, ვინემ ზემოთ მოგანილი დაკავშირება. სვანურში თოთ – თოთოს, ჩვილს ნიშნავს, მეგრულში თუთა – მთვარეს, ხოლო თოთო – ნორჩს, ნედლს, რბილს.⁴ ო-სა და უ-ს მონაცვლეობა ქართველურ ენებში დაბრკოლებას არ ქმნის. ძველი ენები ო-ს

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 602.

² იქვე, გვ. 841.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 242.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 55.

ნაცვლად უ-ს იყენებდნენ. ასე იყო ძველაღმოსავლურ ხანაში, მაგალითად, კოლხა – კულხა, ორახე – უიტერუხე, ოლთისი – ულთუზა და მრავალი სხვა.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ქართულში მთვარისა და თვის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა თუთე უნდა გვქონოდა, მთვარე კი საზოგადოდ მნათობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, შეადარეთ: თუთუ – თუარე, მეგრულში – თუთა, სვანურში – დოშთ.¹

პ. კეკელიძის გადმოცემით, მეგრულ-ჭანურში მთვარეს თუთა ეწოდებოდა, ქართულში კი თუთე. ქართველური ტომები (ჭანები, მეგრელები, ქართები) თუთა-თუთეს სახელით აღნიშნავდნენ მნათობსაც და თვესაც.²

სახელი თუთუ და მისგან ნაწარმოები გვარი თუთაშია დღესაც გავრცელებულია სამეგრელოში. საქართველოს სხვა ნაწილებში ხშირია თუთუ, თოთი, თუთაი, თუთაბერ, თუთაშ, თუთალა, თუთი.³ სვანეთის წერილობით ძეგლებში დასტურდება: თუდუ, თუთალა, თუთაი, თუთაილა, თუთარუ, თუთარუყ, თუთი, თუთორუა.⁴ ტბეთის სულთა მატიანეში გვხვდება თუთა, თოთო (სქე)⁵

საქართველოში გავრცელებულია ამ სახელიდან ნაწარმოები გვარები და შემდეგ ტოპონიმებად ქცეული სახელები, კერძოდ, თოთიური და სხვა.

¹ ივ. ჯავახიშვილი. თხე. ტ. I, გვ. 171-172.

² პ. კეკელიძე. ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 85-86.

³ ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ, გვ. 844.

⁴ სვანეთის წერილობით ძეგლები, II, გვ. 512.

⁵ ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 146.

Օ Թ Օ Ղ Օ

Տշանչուր յենամո օտլցյ նո՛մենաշե – ոչյերև, ոյաշեծե, օտո – օմյուս, օտորո – օշբռծա. Եյծումոյերո առնո՛մենյլո Տոթյզուգան տյ մոմքունարյոծե Տաճալլացո Ծյրմոնո, յե քածրյուղյոծես զյր յմնուս, Ռաջգան լու ու Ռ-ւ մոնացալլյոծա Քարտզյըլյուր յնյեծո մուզըլյուլուս ու օլլ-յլ Տյովոյիշտու Եմորագ յուրմայյ ծա Քարտյլո ցարյեծո ու Ծոպոնոմյեծո. օլլ-յլ Տաճայրոծուս առնո՛մենյլո Տյովոյիշտու. Ցակյշ Քարտյլո ցարյո օտոյրոյիյ. Ամ Ծյրմոնշո Մյմռնաեյլուս որո աճամունուս Տայյուտարո Տաելու օտո ու յրո. օտո Մյմռոյլյեյլո յուրմա յնդա ոյտս օտոլուս, ան օլլ Տյովոյիշտու.

Ժ Ա Շ Ա Ր Ջ Յ Յ Ա

Ժյելո Տայյարտզյլուս մովա-Ծյալնյյ մեցաշես Ծոպոնոմյեծո քածլոյյետո Քամալյացաւ Տայարայուր աճցուլաս քածա-Ծյրյեյլյուլուս. Այյ մացալուտագ, Քամալումո.¹ Քյմալա ցաեցա-ծա Տայյարտզյլուս տանամյեժրույ Տանցըրյեմշուց, մացալուտագ, Տոյյել մարագուում աճցուլու,² Քամանո – ցացոնոմյեյլյու, Քո-Տալարո – Տոյյելու յամուս Եյոծամու.³ Քյմանաստու – լանյյու-

¹ Ումալյարո գոյշյմենԾյրո Ծյարոյեծո Տայյարտզյլուսա ու ամոյրյացյաստուս Մյեսաեյծ (XVII-XVIII ևս.), տձ., 1989, զՅ. 134, 139, 140.

² Օ. Տօխարյուլումյ, Բոցալու, զՅ. 16.

³ Հյուրն. Ժյալուս մյցոծարո, տձ., 1979, զՅ. 50.

ჭანეთში,¹ მდინარე ქველდი – ქართლის მთიანეთში,² კოშალაური და კოჩალია – აჭარაში.³

მინდა შევნიშნო, რომ აღნიშნული ტერიტორია შედიოდა უძველეს ქართულ-სვანურ სამეფოში დაიაენი-დიაოხეში. აქ ანტიკურ ხანაშიც ქართველური ტომები სვანები და მეგრული წარმომავლობის გვარტომობის მოსახლეობა ბინადრობდა. ასე იყო ფეოდალურ ხანაშიც. ამ პერიოდის განმავლობაში ეს ოლქი შედიოდა ქართლის სამეფოში, საქართველოს სახელმწიფოში, სამცხე-საათაბაგოში და ა.შ. დაიაენი-დაიოხის შემადგენლობაში იმყოფებოდა ტომი და ქვეყანა მსგავსი სახელწოდებით ხუშანი-ხოშანი-ქოშალ (ხი), ხოლო დიაოხის განადგურების შემდეგ ეს მხარე მეორე უძველეს ქართულ სამეფოში კულხა-კოლხაში გადავიდა.⁴

ქაშან სვანურ ენაში ნიშნავს საცალფეხო ბილიქს,⁵ ის გარემოება, რომ საკვლევ ტერმინსა და ამ სიტყვას შორის სხვაობა ბოლოკიდურ თანხმოვნებშია (ნ, ლ), დაბრკოლებას ვერ ქმნის. ქართული გრამატიკული ნორმების მიხედვით, ასეთი მონაცვლეობა დასაშვებია და ისინი ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს. მეგრულში ქაცალ ნიშნავს რჩევას, რწევას.⁶ რაც შეეხბა ვა სუფიქსს იგი მეგრულის კუთვნილებაა, რომელიც შეიძლება იყოს ბა-ს მნიშვნე-

¹ ი. სიხარულიძე. ჭანეთი, I, გვ. 65.

² გ. გასვანი. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX ს.), თბ., 1988, გვ. 15.

³ ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 56, 57.

⁴ ს. გოგიტიძე. უძველესი ქართული ქვეყანა ხუშანი, გაზ. აჭარა, 31 ოქტომბერი; მიხივე: დიაოხის შემადგენელი ოლქების ლოკალიზაციისათვის. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათ., 2002.

⁵ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 173.

⁶ ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 130.

ლობით, მაგალითად, საიათნოვა, წუწუნავა, ტოტოჩავა და სხვა მეგრული გვარები. შესაძლებელია ქაშალუვა მეგრული წარმომავლობის გვარიც იყოს, რადგან ვა (ბა, უა) სუფიქსი აწარმოებს მეგრულ გვარებს. ქართულ ენაში ქეშელ-ს აქვს განმარტებანი: 1: ქოშინი, ქლოშინი, 2: მოუკუპრავი ტიკი; ქეშელა – თუშური გუდაა, ქაშანი – შამბებში და თოვლში გაქექილი გზა, ქაჩალი – ქვის დასამუშავებელი იარაღია.¹ ხაშალ – გამხდარი, ხაშლი – ბოროტება, სიტყვა ხაშილი აგრეთვე მეგრულში ნიშნავს მოხარშულს.

ზოგიერთების აზრით, ქაშალუვა-ში ძირი ქაშალე ნიშნავს გამოელიე, რაც იმის დასტურია, რომ თითქოს ეს ტერმინი ლაზ-მეგრული წარმოშობისაა.²

თ ი ქ უ ქ ა ვ ა

მეგრულ ენაში “თი” ოჯახს აღნიშნავს, ქუქავა, როგორც ჩანს, გვარია, რადგან იგი ახლოს დგას საქართველოში გავრცელებულ მეგრული წარმომავლობის გვარებთან – ქიქავა, კუკავა. აქედან გამომდინარე, ძველადმოსავლურ წყაროში დადასტურებული ტოპონიმის სახელი თიქუქავა შეიძლება ნიშნავდეს “ქუქავას ოჯახს.” როგორც ჩანს, იქ, სადაც ეს ქალაქი გაშენდა, ქუქავის ოჯახი ცხოვრობდა. თუმცა არაა გამორიცხული, რომ ქუქავას დინასტია ედგა სათავეში აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს ან საერთოდ მათ მიერ იყოს დაარსებული აღნიშნული ტოპონიმი.

ჩვენ გვაქვს ტოპონიმის წარმომავლობის ახსნის მეორე ვერსიაც. თიქუქავა უნდა დაიყოს თიქუ (თიქუ) და ქავა.

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 564, 567.

² ს. ბადა. დასახ. ნაშორმი, გვ. 303.

თიკურთიკა ძველი ქართული სახელია ან თიქ-თიკ, შეიძლება აიხსნას სვანური ენის გამოყენებით, თიკ – წილია.¹ რაც შეეხება მეორე ნაწილს, მასში ქა ადამიანის საქუთარი სახელია, ხოლო მეგრული ვა (ბა, უა, ყუა) იგივე ქართულ ძეს, შვილს შეესატყვისება. ასეთ შემთხვევაში ტერმინის სახელწოდება იქნება: თიკა ქა-სძე, შვილი.

სხვების აზრით, ტერმინი მეგრული წარმომავლობისაა და შეიძლება დაიყოს: თი, ქუ, ქუვა-დ. თი ქართულად იქნება ის, ქუ – დაფქვა, ქუვა – დაფქვაო. მივიღებთ შემდეგი სახის წინადადებას: “ის დაფქვილი დაფქვაო,” ე. ი. ძველი დაფქული დაუფქვავსო.²

ამრიგად, ტოპონიმის სახელი თიქუქავა უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან თი და ქუქავა. თი მეგრულ ენაში სახლს, ოჯახს ნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილი კი წარმოადგენს მეგრულ გვარს ქუქავა (დგევანდელი იგივე ქუქავა ან ქიქავა). სახელწოდების შინაარსი იქნება ქუქავის ოჯახი.

ასხაფაღა (აშხაფაღა)

ადამიანის საქუთარი სახელი კომპოზიტური სახელი ჩანს. იგი უნდა შედგებოდეს ამავე მიდამოებში კარგად ცნობილი ფალა (ბალა) –სა და ასხასაგან. აღნიშნული ელემენტების სვანური სიტყვებთან შეიძლება დაკავშირება. ერთი მათგანი აშხა სვანურში ნიშნავს “ჰქვია.” ხოლო პირველი ფალა უახლოვდება ფალუანს (ფალავანს). აქედან

¹ ვ. თოფურია ... ვ. 261.

² იხ. გრ. გიორგაძის ნაშრომი უკრნ. აიაში, 1999, №7, გვ. 16-28; ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

გამომდინარე, საკვლევი ტერმინი თითქოს უნდა ნიშნავდეს “ფალავანი ჰქიია.” თუმცა არაა გამორიცხული აშხა-ში, რომ აშხათი დავინახოთ, რომელიც იმავე ენაში ნიშნავს “ახერხებს”.

რას უნდა ნიშნავდეს ფალა-ბალა?

დაიავნი-დიაოხის შემადგენლობაში მყოფ ოლქს ურარტულად ბალა-ბალთულნი ეწოდებოდა, ხოლო ხეთურად – ფალა. ეს ქვეყნა ქასქების ქვეყნის გვერდით, ერზინჯანის დაბლობზე მდებარეობდა.¹ ხეთურ წყაროებში მოიხსენიება ქართველური ქვეყნის (სვანურ-მეგრული) ხაისას (ჰაიაშა) ერთ-ერთი ღვთაება ბალთა (იკ).² შესაძლებელია ღვთაების სახელთან იყოს დაკავშირებული ბალა-ფალა, ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც გამოიყოფა საკვლევ ტერმინში. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ “ბალ” ფუძიანი სიტყვები ქართველურ ენებში მრავალია. გვაქვს შესაბამისი სახელ-გვარებიც.³

უძველეს მცირეაზიულ ღვთაებათა პანთეონში მოხსენიებულია ღმერთი აშხარ. იგი არის არა მხოლოდ ხეთური ქალღმერთი, არამედ შუამდინარულიც; ძვ. წ. III ათას-წლეულის შუა ხანების ელამურ წარწერაში გვხვდება სახელით აშპარა თუ ასხარა.⁴ შესაძლებელია ასხაფალაში გამოყოფილი პირველი ელემენტი ასხა დაკავშირებული იყოს ღვთაება ასხართან. თუმცა არაა გამორიცხული საერთოდ ტერმინი მომდინარეობდეს ღვთაების თუ ადამიანის საქუთარი სახელიდან ასხა; ფა – სვანური სიტყვა შეიძლე-

¹ ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002, გვ. 107.

² ს. გოგიტიძე. უძველესი ქართული ქვეყნა ხაისას (ჰაიაშა), გამ. აჭარა, 2002, 6 სექტემბერი.

³ ს. გოგიტიძე, დაიავნი-დიაოხი, იხ. თავი: ქვეყნა ბალთულნი.

⁴ ძვ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I, თბ., 1979, გვ. 142.

ბა იყოს, აღნიშნავს მოდგმას, გვარს, ხოლო ლა-ალ-ა ჩვეულებრივი ქართული სუფიქსი-მაწარმოებელია. თუმცა, იქნებს საკვლევი ტერმინი შედგებოდეს ქართველური სამყაროს ორი დვოთაების აშხა (ასქა) და ფალა (ბალა) სახელებისაგან.

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ მეგრული ენის მონაცემებიც, სადაც აშხარა პქვია მაკიდოს მსგავს ბალას, რომელსაც საკვებად იყენებენ. ამავე ენაში აშხარა ნიშნავს არამზადას.¹ იქნებს საკვლევი სახელი აღნიშნავს “არამზადა ბალა”-ს.

გ ა გ ი ღ ი უ

აღნიშნული პირსახელის წარმომავლობასთან დაკავშირებით გვახსენდება ამავე ქვეყნის სატომო გაერთიანების ერთ-ერთი მეფის სახელი დადილუ. აღნიშნული ადამიანის საკუთარ სახელებს, როგორც ჩანს, ერთი და იმავე წარმომავლობა გააჩნია. დ-სა და ლ-ს მონაცვლეობა ამ შემთხვევაში დაბრკოლებას ვერ ქმნის, რადგან ზოგიერთ ენაში ლ-ს მაგიერ ლ-ც იხმარება, მაგალითად სომხურში. ასე, რომ ორივე ეს სახელი ფაქტიურად ერთი და იგივეა.

მისი კავშირი ქართველურ სამყაროსთან. პირველ რიგში გადაკხედოთ საქართველოში გავრცელებულ მეგრულ და სვანურ გვარ-სახელებს ისტორიულ და თანამედროვე ტერიტორიაზე: დადა, დადი, დადარში, დადაუ, დადაში, დადაძე, დადაშვილი, დადაშილ, დადამ, დადგანი, დადიანი, დადი-

¹ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., I, გვ. 204, 208.

ლიანი, დადისდილი, დადისშვილი, დადისშვი, დადისძე, დადიში, დადიშქელიანი და ა. გ.¹

აღნიშნული გვარის ვარიანტული ფორმები და მისი ძირი, რომელთანაცაა იგი კავშირში საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა მოფენილი, მაგალითად: დათილი, დათინა, დათუ, დათუა, დათულია, დათუშ, დათადო, დათიელი, დათუნა და სხვა მრავალი.²

გვარი დადილიანი ნაწარმოებია სახელიდან დადილი, რომელიც პროტოტიპია საკვლევი ტერმინისა, რომელთაც საერთო წარმომავლობა უნდა ჰქონდეთ. მათ ახსნას სვანურ ენაში კორულობთ. დადილ ნიშნავს ლამაზს, მშვენიერს.³ ასეთივე სახელებია: ლამაზა, ლამაზო, მშვენიერო, კოხტა, ტურფა, უტურფეხი (უტუფურსი ერქვა ქართული სამეფოს დიარხის მმართველს) და სხვა.

დად ძირიანი ტოპონიმი ქართველურ სამყაროში (მცირე აზიასა და კავკასიის სამხერეთში) გავრცელებული იყო უძველეს პერიოდში.

აღნიშნული საკუთარი სახელი შეიძლება აიხსნას მეგრული ენის გამოყენებით. დადდალ ჯაჯლანს, ხოლო დადულია პატარა ქათამს, ვარიას ჰქვია.⁴ დედას შვილისთვის შეეძლო სიყვარულით ეთქვა შენ ხარ ჩემი ვარია, კ. ი. დადულია და ეს მოფერებითი-საალერსო მიმართვა ბავშვს შერჩენოდა, როგორც საკუთარი სახელი. ასევე ზედმეტი დაჯერებულობისა და ჯაჯლანის თვისების გამო ბავშვის-თვის, ახალგაზრდისათვის მოფერებით თუ ზედმეტ სახე-ლად შეერქვათ დადდალ ანუ დადილუ თუ დადიდიუ.

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 50.

² ი. ახევაშვილი. ქართული გვარ-სახელები, 2, გვ. 833-834.

³ გ. ოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 189.

⁴ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., I, გვ. 426.

ფ ა ა თ ა

როგორც ეტყობა, აღნიშნულ პირსახელში ისეთივე ფუძეა, როგორიც ქაშქების ადამიანის საკუთარ სახელ ფა-
თალია-ში. ისინი ერთიმეორისაგან ალ სუფიქსით განსხვავ-
დებიან. ამიტომ ჩვენ ფაათა-ფათა-ში ვხედავთ სვანური
წარმომავლობის სიტყვას, რაც ქართულად ნიშნავს, “განიე-
რი ქუდისა და ტანისამოსის მოყვარულო.” ოუმცა არაა გა-
მორიცხული, რომ საკვლევ ტერმინში ათ-ათა სუფიქსად
მივიჩნიოთ, ისეთივე, როგორც ქართულ ტოპონიმებშია
დამოწმებული, მაგალითად, კალოთა, ბიჭვინთა, კოლხეთი,
გუდაუთა, მაწყვალთა და სხვა მრავალი.

თუ უკანასკნელი ნააზრევი მართებულია, მაშინ ფუძედ
გვრჩება ფა. ფა-ს მნიშვნელობა მეგრულში რამდენიმეა: 1
ძაფის ცალი წვერი; 2 მოღვაწა; 3 წყება, ზოგი.¹ ამ შემთხ-
ვებიაში აქმდან გამოვყოფდი “მოღვაწს.” მოღვაწა, ე. ი. ჯიში,
ჯილაგი, თესლი, ტომი. ან იქნებ ფა დაუკავშიროთ მეგ-
რულ სიტყვას ფა-ს, რომელიც რკოს ჯამისმაგვარ ბუდეს
ჰქვია.²

ქართული ენის მონაცემებიც გვაძლევს საშუალებას
თითქოსდა გავიგოთ საკვლევი ტერმინის სემანტიკა. ფაათა
შეიძლება დავუკავშიროთ ფათა-ს, იგივეა, რაც მცენა-
რული ორნამენტით ნაქარგი,³ “ფათა-ს” ე.ი. გასწორებას,
ანგარიშის გათანაბრებას, ფათა-ყაიმია.⁴ ქართული ენის

¹ გ. ელიავა. მეგრული ლექსიკონი, გვ. 748.

² ო. ქაჯაიძ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 80.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 4.

⁴ ქართულ კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 532.

დიალექტებში ფთა-მთა, სააგარაკო ადგილია. ამავე ენაში კიდევ რამდენიმე “ფთა”-ს შინაარსი.¹

საქართველოში მრავლად გვაქვს სახელ-გვარები, რომლებიც ახლოს დგანან საკვლევ ტერმინთან: ფათანი, პატა, პატაი, პაატა (ფაათა), ფუთა, ფატე, სვანეთის ძველ წყაროებში დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელად ფაო, ქართული გრამატიკული ნორმების მიხედვით, იგივე ფაა. ასეთ შემთხვევაში თა ბოლოკიდური, როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივი ქართული ტოპონიმებისა და ძველი გვარების მაწარმოებელია.

ფათალიასა და ფათას ფონეტიკური აგებულებით ძალიან წააგავენ ქაშქური სახელები: ფიფელუ, ფითალალა, ფატანა, ფათალია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მცირეაზიულ-ხურიტულ სამყაროში ასევე მრავლად გვხვდება პირსახელი - თაია, ფაია, აფა.² შეადარეთ აგრეთვე თავად ქაშქური სახელი აშხარ-ფაია და სხვა.

ვ ი ფ ე ტ ე

ეს სახელი შეიძლება აიხსნას სვანური და მეგრული ენების გამოყენებით. მასში უნდა გამოიყოს ფუძე ფიფ თუ ფიფე და ელ თუ ლუ მაწარმოებელი. სვანურში ფიფა აჩრდილს, ჩრდილს, ლანდს აღინიშნავს.³ ამ სიტყვას აქვს მეორე მნიშვნელობაც – დევი.⁴ ფიფა მეგრულში განიმარტება, როგორც ამონაზარდი სოკოები მსხლის ან ვაშლის

¹ ოქვე, გვ. 542.

² ძახიქ, გვ. 255, 256.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 763.

⁴ ოქვე, 765.

ხეებზე.¹ ფიფას ამავე ენაში გააჩნია სხვა დატვირთვაც: “პიროვნება გაშლილი, წვერიანი” და ფიფია-ცუდი.²

როგორც აღინიშნა ტერმინში გამოიყოფა ელ თუ ლუ სუფიქსი. მსგავსი სუფიქსებით გაფორმებულია სხვა მრავალი ქართველური წარმომავლობის სახელები, გვარები და ტოპონიმები. ელ-ლუ ქართული სამყაროსათვის კარგად ცნობილი მაწარმოებელია. ძელადმოსავლურ და ანტიკურ ხანაში ქართველური მოდგმის ტოპონიმებსაც აწარმოებდა, მაგალითად: შაშილუ, ქაშალუ, ბალთალუ, კაბილუ. ყველა ესენი უძველესი ქართული სამყაროს ქაშქების მეზობლად არსებული დაიაენი-დიაოხის შემადგენელი ოლქებისა და ქალაქების სახელწოდებებია.³

საქართველოში გვხვდება ადამიანის საკუთარ სახელად: ფეფელა, ფეფენა, ფუფალა, და სხვა. ქართულში არის ტოპონიმის მსგავსი სიტყვა ფიფინ ნიშნავს ქლურტულს, შრიალს,⁴ მეგრულში გვაქვს ფათალა, ფაფალა, ფიფა, ფუფა, ფი(ფე)ლუ და ა.შ.⁵

ამრიგად, მეგრული წარმომავლობის ადამიანის საკუთარი სახელი ფიფა (ფიფე, ფიფი) უნდა გაფორმებულიყო ქართველური სუფიქსით ელ (ლუ) და წარმომდგარიყო ფიფელუ.

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დაქსიკონი, III, გვ. 102.

² იქვე, გვ. 102.

³ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხის ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის, ბათ., 2006.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 446.

⁵ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 106, 110, 178.

ფ ა ფ ა ტ ი ტ ა

შესაძლებელია ეს იგივე ქალაქი იყოს, რაც ფიფელუ, ოღონდ ორმაგი სუფიქსით. თუმცა არაა გამორიცხული, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი სხვა წარმომავლობისა და სემანტიკის მატარებელი იყოს. თუკი საკვლევ ტერმინში ილ ჩვეულებრივი ქართველური სუფიქსია, მაშინ, ფუძე ფიფალ უნდა იყოს. მეგრულ ენაში ფაფალ ნიშნავს ხრამს, ფლატეს, უფრსკულს.¹ მსგავსი ტოპონიმები საქართველოში მოიპოვება, მაგალითად: ნა-ფლატა, მოხეთქილი, ხენდეკი, ნაშვავები, ხრამი, ფლატიბოლი, ფლატე და სხვა მრავალი. ამავე ენაში ფიფა – დიდი წვერიანი კაცია.²

საქართველოში ფუფალილას მსგავსი საკუთარი სახელები ხშირად გვხვდება: ფუფა, ფუფალა, ფუფელა, ფეფენა და ძველი ხეთური წყაროების ფიფელუ. ქართულ ენაში ფიფინა (იგივე ფიფილა) ნიშნავს ხრიალს, შრიალს.³

საქართველოში მოგვეპოვება ისეთი გვარები (ფიფია, ფიფიაშვილი, ფიფაიშვილი), რომ შესაძლებლობას გვაძლევს ფიფი, ფიფა, ფიფალა, ფიფალი მივიჩნიოთ ქართულ სახელებად.

ფ ი ბ ა ფ ა ტ ი ტ ი

სვანურში ფიგა უახლოვდება ვაცის აღმნიშვნელ სიტყვას – ფიგუ. ფაცუი – ფაცია ადამიანის საკუთარი სახელი და გვარია. თუ ეს ასეა, მაშინ ტერმინი წარმოდგება ორი

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 89.

² იქვე, გვ. 102.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 446.

სიტყვისაგან და ითარგმნება, როგორც ფაციას ვაცი. ამავე ენაში ფაცხებაში ნიშნავს ნამსხვრევს, ნაფშვენს.¹

ფაჩუა მეგრულად გა-შლა, არევა-ს ნიშნავს.² ქართულ ენაში ფიგ-ცერცეველას, მცენარეს აღნიშნავს, ფაცია – ძლივს, ცოტას, ან პატარას (ფაზუა).³ საქართველოში მრავალი გვარ-სახელი გვხვდება ტოპონიმის ერთი ნაწილის მიმართ: ფაცა, ფაციკო, ფაცაცო, ფაცია, ფაცუნა, ფაცუცა, ფაცურია, ფაცხალია და სხვა.⁴ ძველ ქართულ (სვანურ) წერილობით ძეგლებში გვხვდება ფაცა, ფაცია, ფაცი, ფაციანი.⁵

ფიგაფაცუი, რომ ორი ელემენტისაგან შედგება, ამაზე მიუთითებს თავად ქაშური ტოპონიმები: თალი-ფაცია, ფიგა-ნუსა, ფიგა-ფილუ. შესაძლებელია ტერმინის ზუსტი ფორმა იყოს – ფიგა-ფაცუა, ან ფიგა-ფაცია.

ქ ა თ ა ღ ა ღ უ ვ ა

სვანურ ენაში ქათალ ქათამია.⁶ ამავე ენაში ქათა ფუქეს სხვანაირი ახსნაც მოეძებნება, მაგალითად, ქადა აღნიშნავს გამცდენს, ლადი – დღეს,⁷ ე.ი. ტოპონიმის სახელწოდება გამოდის დღის გამცდენი (ალბათ ზარმაცი)?

ქართული ენის რაჭულ დიალექტში ქათილა ტრაბახას სინონიმია.⁸

¹ ვ. ორფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 756.

² ო. ქაჯაიძ. დასახ. ნაშრ. III, გვ. 91.

³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 537, 538.

⁴ ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., II, გვ. 767, 869.

⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 546.

⁶ ვ. ორფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 776.

⁷ იქვე, გვ. 379, 776.

⁸ რაჭული დიალექტის ლექსიკონი, გვ. 109.

სხვების მიხედვით ტერმინი ლაზ-მეგრულია და შეიძლება დაიშალოს ქა, თა, ლა, დუვა. ქა არის რქა, თა ზომიერი წონის ტკირთი, ლა – ვარდნა, დუვა – იყოო. ამრიგად, მივიღებთ შინაარს: “რქიანის ზომა ვარდნა იყო,” ე. ი. სახელი ქათალადუვა სამეფო სახელი ყოფილა.¹

ქათალადუვას მსგავსი ტოპონიმები სხვაც მოგვეპოვება ქათხაიდუვა, ქათ ძირიანია – ქათითიმუვა, ქათხაიდუვა, ხათიფთა, ფია-ხათა-ხილა. სამურზაყანოში გვაქვს გვარი ქათალანძე,² ე. ი. ქათალას შვილი, ძე. ძველ მეგრულ საბუთებში დასტურდება ადამიანის საკუთარ სახელად – დივა.³

მაშასადამე, ქათალა და დივა მეგრული ადამიანის საკუთარი სახელები ყოფილა. პირველი მათგანი აღნიშნავს ტრაბახას, ხოლო მეორე იყოო. ასე, რომ ქათალადუვას შინაარსი იქნება – ტრაბახა იყოო. უფრო ზუსტი იქნება ქათალა (ტრაბახა ან ქათამა), ხოლო დუვა (დვთაება ძალის, ძალდონის). აქედან გამომდინარე, ტოპონიმის სახელის შინაარსი იქნება ადამიანის საკუთარი სახელებიდან – ქათალა და დუვა – გამომდინარე.

ქიფუნჯვა

სვანურში დიფუ ნიშნავს დაღრეჯილს, ქიპ – ძაფს.⁴ ქართულში ქვიფორ – ნაცრისფერს. კიპირობა – ხალხური თამაშობაა. თუმცა ამ სიტყვებიდან რომელიმეზე პრიორიტეტის მინიჭება მიძნელდება, თანაც არ ვიცით, ტოპონიმის

¹ ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 303-304.

² პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 304.

³ იქვე, გვ. 314.

⁴ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 783, 796.

სახელი რამდენადაა ზუსტი. თავად ხეთურ წყაროებში ქაშ-ქურ ტერიტორიაზე აღინიშნება მსგავსი ტოპონიმი თავკი-დური აფრიკატის სხვაობით – ფიფურუვა. ამასთან ერთად, ფონეტიკური აგებულობით ძალიან ახლოს დგანან სხვა ქაშქური სახელწოდებები – ქაფირუხი და ქათიფურუცი. ცნობილია, რომ ერთ შემთხვევაში ვა და მეორე შემთხვე-ვაში ხი, დაახლოებით ერთი და იგივე მეგრული სუფიქსე-ბია და აღნიშნავენ ხალხს, წარმომავლობას, კუთვნილებას.

სხვების მიხედვით ქიფურუვა იყოფა ორ მეგრულ სიტყ-ვად. პირველი მათგანი ქიფურაუ ნიშნავს დროებით რომ წამოხურდება და შემდეგ ისევ რომ გაცივდება, ისეთ ად-გილს ან ადამიანს. ვა არის მეგრული სახელის სუფიქსი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული ძირის შინაარსს.¹ საინ-ტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულში ქაფურუვა პქვია მცენარე სუსამბარს. თუკი საკვლევი ტერმინი ორ ნაწი-ლიანია, ე.ი. ქაფი და რუვა, მაშინ აშკარად შეინიშნება მეორე ელემენტის მცირეაზიულ ღვთაება რუვა-სთან კავშირი.² ადამიანის საკუთარ სახელად როა სვანეთის წერილობით ძეგლებშიც დასტურდება. მიუხედავად ამისა, მეგრულ ენაში მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც საკვ-ლევ ტერმინთან ძალიან ახლოს დგას, კერძოდ, ქაფირუა, რაც მაგრად აღესვას ნიშნავს.³

¹ ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 303.

² საისტორიო ვერტიკალები, 11, თბ., 2007, გვ. 30.

³ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 129.

ხ ა თ ე ნ ტ უ კ ა

ხათე-ხათენა ქართველური (უფრო მეგრული) ტომის შემკრებლობითი სახელი იყო მცირე აზიის ცენტრალურ და მისგან აღმოსავლეთით მოსახლე ერთობისათვის. ხათე-ხათენასა და მსგავსი ტოპონიმები – ხათე, ხათუსასი ხათების – ხეთების სახელს უკავშირდება. ასევე არაა გამორიცხული საქართველოში ხათე (სამეგრელოში), ხატილა (ნიგალში) არსებული ტოპონიმები აღნიშნულ ტომთა სახელს უკავშირდებოდეს. ხათე-ხათენი შეიძლება იყოს ადამიანის საკუთარი სახელი. საქართველოში გავრცელებულ სახელთაგან რამდენიმე შეიძლება კიდევ ხათი-ხეთი სატომო სახელს უკავშირდებოდეს: ხატია, ხატული, ხეტე, ხეტულა, ქეთო, ხათა, ქეთათო, ქეთინო; ხათიძე, ხეთაგაშლილი, ხეთაგათი, ხეთაგიძე, ხეთაგური, ხეთერელი, ხეთეშვილი, ხატელიშვილი, ხატიაშვილი, ხატისაშვილი, ხატიძე და სხვა. ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა – ხათუთაი, ხათუთელა, ქათვანი, ქეთევანი, ქეთავა, ქათუ, ქეთია და სხვა.¹ მეგრული ხათეცი ახალი რძლის, პატარძალის სინონიმია. ქართულში ხატი ჰქვია სამლოცველო ადგილს, ვის სახელზედაც ლოცულობენ, მაგ. კოპალა, იახსარი, ლაშარი. ხატა – კნინობითი პატარა ხატი, ხატაველ-თეთრი პირსახიანი ცხენი, ხატინა-ნაქარხის ერთ-ერთი სახე, ხეტ – გრძელი, ბოლომოხრილი რკინა, ხეტერ – სულელი, ჩერჩეტი, ხათა – არყის გამონახადი, ქათანაცარა – ნაცარქათამა, ქათანა – საგანგებოდ გამომგბარი დარაია.²

¹ ი. ახევაშვილი. ქართული გვარ-სახელები, III, გვ. 805, 878.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 747, 771, 776; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 241.

აღნიშნული ტოპონიმი შეიძლება ანტიგური ხანის ხატენა-ხოტენას ტერიტორიაზე იყოს საძებარი, მით უფრო, რომ ხატენა-ხოტენა ქაშქების განსახლების არეში მოდის, კერძოდ ჭოროხის სათავეების რაიონში.

ტოპონიმში გამოყოფილი მეორე კომპონენტი ცუგა უკავ-შირდება სვანურ სიტყვას ცუბე, რომელიც აღნიშნავს ჭრის.¹ აქედან გამომდინარე, ტერმინი განიმარტება, როგორც “ხათენი ჭრის.”

ქ ა ნ ა ს უ ვ ა

ტერმინი შეიძლება ორი (ქარა-სუგა) ან (ქარასუ-გა) ან სამი ნაწილისაგან (ქარა-სუ-გა) იყოს წარმომდგარი. ქარა მეგრულში “წარმოსახულ სარს აღნიშნავს. ამავე ენაში ქარა – ეკალია, კიდევ ქარა – პატარა მარგილია.²

საკვლევ ტერმინთან ასევე ახლოს დგას სვანური სიტყვა ქარახს, რომელიც ყანწის სინონიმია.³

აღნიშნულ ტოპონიმს ქართულშიც მოეძებნება ახსნა, ქარა – ქარი, ჰაერის ძლიერი მოძრაობა, ქარა (ქარისა) – ნაკაფი ტყისა (საბა), ქარა (ქარისა) – უყურო ცხვარი (საბა), ქარა (ქარისა) – უსახო, სადა ოქრო-ქსოვილი (საბა), ქარახსა – დიდი ყანწი, ხოლო სუ – სიო იგივეა, რაც ნიავი, ხოლო სუ – შორისდებული ნიშნავს გაჩუმდი, ხმა გაიკმინდე.⁴

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 840.

² გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 316; ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 127.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 780.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 406, 413.

რაც შეეხება ვა – იგივეა, რაც ძველი ქართველური ბა-ა, რაც წარმომავლობას მშობელს, ბაბას, მამას ნიშნავს. ვა სუფიქსი და მისი ვარიანტული ყვა, ყა (ხა) უძველესი დროიდან დღემდე აწარმოებენ მეგრულ ტოპონიმებსა და გვარებს. თავად ხეთურ წყაროებში ქაშქური გაერთიანების ტერიტორიაზე დასტურდება: ხიმუვა, ფიდუმუვა, თიქუქავა, ქაშალუვა, ქათალადუვა, ციმუმუვა, თაფასავა, ფიფურუვა, თაფალუვა და სხვა. ვანის ტბისა და მეზობელ ქართულ სამყაროში შეინიშნება ბა-სა და ვას მონაცვლეობა, მაგალითად ულიბა-ულივა-ულუბა და სხვა. სვანურში მას შეესაბამება ფა, რაც მოდგმას, გვარს, დინასტიას ნიშნავს. უნდა ადინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქართულ ენებში ერთმანეთს ხშირად ენაცვლებიან ბ-ვ-ფ ბგერები. აწინდელი მეგრული გვარებია: ქიქავა, კუკავა, შარტავა, კოხტავა, ხურცილავა, სიჭინავა, ჯეჯელავა და სხვა მრავალი.

მეგრულში ქარა, ქარი, კარა, ყარა ადამიანის საკუთარ სახელებად დასტურდება, ქარაია გვარია.¹ ასევე იყო ხათურ სამყაროშიც: ქარია, ქარუვა (ხიზინდართა მთავარი).²

ქ ა ს ქ ა მ უ ვ ა

ადამიანის საკუთარი სახელი ერთი შეხედვითაც შეინიშნება, რომ იგი კომპოზიტია და შედგება ორი სიტყვისაგან – ქასქა-მუვა. პირველი მათგანი ქასქა, როგორც ჩანს, სატომო სახელია, რომელიც ქართველური წარმომავლობის სიტყვაა. მისი აქ განხილვა შორს წაგვიყვანდა. საკუთრივ ქასქას (ქაშქაშ) ეტიმოლოგიას ზემოთ შევვხეთ.

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 294, 305, 344.

² ძახიქ, გვ. 170, 180.

ტერმინში დარჩენილი მეორე ნახევარი მუგა შესაძლებელია იყოს ერთი ელემენტი და შესაძლებელია ორიც. ამას გვაფიქრებინებს თავად ხეთურ წყაროებში ქაშქას ტერიტორიაზე დამოწმებული მუგა ელემენტებიანი სახელები: ფიდუმუგა, ფისდუმუგა, ციმუმუგა, ქათითიმუგა. აჭარის რეგიონში ქობულეთის რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილია სიტყვა მუგა, იგივე მოვა. ამის გათვალისწინებით სახელის მთლიანი შინაარსი იქნება ქასქამოდის თუ ქასქამოდი.

იმ შემთხვევაში თუკი ტერმინის მეორე ნაწილი მუგა ორი ელემენტისგან შედგება მუ-ვა, მაშინ მუ სვანურ ენაში მამას ნიშნავს, ხოლო ვა (|| ბა) მეგრული სუფიქსია და იგი აწარმოებს მეგრულ გვარებს. მსგავსი სუფიქსით წარმოებულია რამდენიმე ათეული გვარი. ვა დაბოლოება შვილს, წარმომავლობას ნიშნავს. ამ ბოლო ვარიანტის გათვალისწინებით ტოპონიმის შინაარსი იქნება ქასქა-მამა-შთა-მომავლობის, ე.ო. ტომის – მამამთავარი ყოფილა ქასქა.

მეგრულში მუ ნიშნავს რა, აქვს მეორე მნიშვნელობაც-თვითონ.¹

სხვათა შორის ა. გოეცეს მიხედვით, კაბადოკიურ ფირფიტებში, ისევე როგორც ხეთურ ტექსტებში, უგარითისა და ალალახის მასალებში ხშირად გვხვდება სახელები, რომლებიც შეიცავენ mywa ელემენტებს.² ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მუგა დამოუკიდებელი პირსახელი უნდა იყოს და შესაძლებელია ის უკავშირდებოდეს მცირეაზიული (ხათურ, ხეთურ) ღვთაების სახელს – მუგას, რომელიც არის სულის, ძალის ღმერთი. მცირეაზიულ უძველეს

¹ ბ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 240.

² იხ. გ. მელიქიშვილი. ძიებანი... გვ. 207.

ტექსტებში ხშირია ადამიანის საკუთარი სახელები: მუგა, მუგასა, მუგალანი, მუგათი, მუგათალი.¹

საფიღუვა (სიფიღუვა?)

შესაძლებელია საკულევი ტერმინი ერთი და იგივე ობიექტი იყოს. მკლევერები მას გადმოსცემენ ორი ფორმით: საფიღუვა და სიფიღუვა. ამ უკანასკნელი ფორმის შესახებ გავიგე ი. ტატიშვილის ნაშრომიდან.²

ტერმინის ეტიმოლოგია შეიძლება მეგრულ სიტყვასთან იყოს დაკავშირებული სიპა (¶ სიფა) – ტანწვრილი, უმნოდ მაღალი კაცია.³ ასევე იგი შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ სიტყვას სიპი, რაც მაგარს, გლუვი ზედაპირის მქონეს (ქაბ, კლდე) ნიშნავს.⁴ ასევე საინტერესოა ქართული სიტყვა საფაიდო, რაც სახეიროს, სარგებლიანს აღნიშნავს.⁵ აჭარაში ძალიან ჩასუქებულ, გასივებულ კაცზე იტყვიან სიპა-ს. ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე დასტურდება კაცის მეტსახელი საფია.⁶

ვა სუფიქსი მეგრულში ბა-ს შესადარი სიტყვა უნდა იყოს და ნიშნავდეს ბაბა – მამას. მეგრულში დღესაც მამას ბა-ს და ბაბა-ს ეძახიან. აღნიშნული სუფიქსი დღესაც აწარმოებს მეგრულ გვარებს – კანკავა, კაჭარავა, პაპავა, ცავა, კეშელავა, გვაზავა და მრავალი სხვა. მამასთან ერთად ბაბას ხმარობენ აგრეთვე აჭარაშიც.

¹ ძახიქ, გვ. 130, 131, 153.

² ი. ტატიშვილი. ხეთები ქაშქების შესახებ, გვ. 21.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 600.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 408.

⁵ ქართულ კილო-თქმათა ხიტების კონა, გვ. 478.

⁶ ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000, გვ. 99.

ქაშქურ-ქართველურ სამყაროში სიფი-სიფა ძირით კიდევ იხსენიება ადამიანის საკუთარ სახელად სიფაცითი,¹ რადგან არ მგონია, რომ ტერმინში აფიქსები სი და ით (თი) გამოიყოს, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხვდებით ქაშქურ სახელებში.

ქვეყნის სახელში სიფიდუვა შესაძლებელია სიფი-დუ ადამიანის საკუთარი სახელი იყოს, ხოლო ვა – მეგრული გვარსახელების მაწარმოებელი. მაგრამ, რაღგანაც სხვა ქაშქურ სახელში – ქათალადუვა – გვაქვს დუვა, ამიტომ შესაძლებელია დუვა ისეთივე სახელი იყოს, როგორც საქართველოში გავრცელებული დუია, დოა ადამიანის (ქალის) საკუთარი სახელები, თუკი ისინი, რა თქმა უნდა, თურქულიდან შემოსული არაა. სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ადამიანის საკუთარ სახელად დივა.²

ხეთურ წყაროებში ერზინჯან-დუმანის მიღამოებში ქაშქებისა თუ მეზობელ ტერიტორიაზე აღირიცხება ქვეყანა საფა-ს სახელით,³ რაც იმის მოწმობაა, რომ საფა-საფი ცალკე დამოუკიდებელი სახელია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის საკუთარ სახელებში გვხვდება ისეთი სახელებიც (საბა, საფადა, საბადა, შაფა, შაფიკო), რომლებიც აღნიშნული ფაქტის ურთიერთგამომრიცხავია.

¹ ძახიქ, გვ. 206.

² პ. ცხადათ, გ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 314.

³ ძახიქ, გვ. 205.

თ ა ფ ა ს ა ვ ა

თავად ქაშქური ტოპონიმების ურთიერთშედარება და ანალიზი იძლევა იმის საფუძველს, რომ საკვლევი ტერმინი კომპოზიტური სახელია და შედგება ორი ნაწილისაგან – თაფა და საფა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ მრავალჯერ აღნიშნულ ვა სუფიქსის არსებობას, მაშინ შესაძლებლად მიგვაჩნია თაფასას მირის გამოყოფა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი დაბრკოლება. ტერმინში იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ფასავა – დღევანდელ ფალავას ან ფაცავას შეიძლება უდრიდეს, მაშინ სახელწოდება შეიძლება დაიშალოს თა-ფასავა. ასეთ შემთხვევაში თა სახლ-კარს, ოჯახს უნდა აღნიშნავდეს მეგრული ენის გათვალისწინებით. თა-შესაძლებელია მთის უპრეფიქსო ფორმა იყოს (ასეა დღესაც აჭარაში) და შესაბამისად პირსახელი.

ქაშქების ტერიტორიაზე თაფასავას მსგავსი სახელები სხვაც არაერთი გვხვდება, მაგალითად, თაფაფანუვა, თეფიხინა, თაფურანიფი, თაფალუვა, თახფასარა და ა.შ.

საკვლევი ტერმინი თუკი ორ ნაწილად შესაძლებელია დაიყოს, მაშინ თაფა, თაფას მაგვარი ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. ძველ საქართველოში, სვანეთში გავრცელებული იყო ადამიანის საქუთარი სახელი თაბა, თაფუ.¹ თაფუ გვხვდება კომპოზიტურ სახელში აკაკა-თაფუშიც; ასე ჰქვია წყალშესართვს სოფელ განარჯიის მუხურში.² გვაქს ქართული გვარი თაბაგარი. ძველქართულში თაფა – მიწის ყრილი, ბორცვი, გორაკია ველზე.³ ტერმინის მეორე კომპონენტი სავა (საბა) ცავას მაგვარია. აქედან გამომდი-

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 510, 511.

² პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 101.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 238.

ნარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თაფასავა ყოველ შემთხვევაში კაცის საკუთარი სახელიდან გამომდინარე ქვეყნის სახელია. თავდაპირებელად ქალაქის თაფასავას დამაარსებელი ან ტომის მამამთავარი უნდა ყოფილიყო.

ც ი მ უ მ უ ვ ა

აღნიშნული ტერმინი, მკვლევართა მიხედვით, შედგენილია მეგრული სიტყვების მიხედვით: ციმუ, მუ, ვა-დ. ციმუ ქართულად ნიშნავს ცხიმს, იგივე ზეთს. უ იქნება რა, ვაკი მეგრულში გვარსახელის სუფიქსი, საბოლოოდ ტერმინი აღნიშნავს – რა ცხიმიანი ან ზეთიანი არისო.¹

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფუძე ციმუ შეიძლება წარმომდგარი იყოს მეგრული ციმუადან (მარწყვი).² გვაქვს სხვა გარიანტიც: ციმუმუ შეიძლება იყოს საკუთარი სახელი, ხოლო ვა (ბა) ჩვეულებრივი მეგრული გვარის მაწარმოებელი, რომელიც მამას, წინაპარს შთამომავლობას უნდა აღნიშნავდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ტოპონიმის სემანტიკა იყოს შემდეგი “ციმუმუს შთამომავლობა”, ციმუმუს წინაპარი, მამა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქაშქური ტოპონიმები ხშირ შემთხვევაში მსგავსი სემანტიკის მატარებლები არიან.

პატრონიმული წარმოშობის, მაგრამ შედარებით ნაკლებად გავრცელებული და ამავე დროს არის საკმაოდ რთულად წარმოქმნილი გვართა ტიპები, რომლებიც მიანიშნებენ საცხოვრებელ ადგილსა თუ ოჯახურ მდგომარეო-

¹ იხ. გრ გიორგაძის ნაშრომი ქურნ. აია-ში, 1999, №7; ს. ბადა. დასახ. ნაშრ. გვ. 303.

² ი. ქაჯაია. დასახ. ნაშრ. III, გვ. 349.

ბას. ერთ-ერთ ასეთ ტიპს წარმოადგენს ელ-ზე დაბოლოებული გვარები. შედარებით იშვიათია ქართული გვარი, რომელიც ალ სუფიქსით ბოლოვდება, მაგალითად ციმუთალი.¹ ეს გვარსახელი თითქმის ისეთივე წარმოშობისაა, მათ შორის განსხვავება სუფიქსებშია. ოდონდ ერთი მეგრულია, ხოლო მეორე ქართული.

საკვლევ ტერმინს ციმუ-მუვა-ს თუ შევადარებთ ქართულ ციმუ-თალი-ს და ხეთურ მუვა-თალი-ს, მუვა-ლანი-ს, სრულიად შესაძლებელია ციმუ ადამიანის საკუთარ სახელად მივიღოთ, მაშინ მუვას რაობა გვრჩება დასადგენი. მუვა იგივე მოვას ნიშნავს, ასეა ქობულეთურ დიალექტში, და საერთოდ ქართველურ ენებში უ და ო ერთმანეთს ენაცვლებიან. მუვა-ხეთურ, ალბათ ხათურშიც აღნიშნავდა სულის დვოაებას² და შესაბამისად ადამიანის საკუთარ სახელსაც.

ეს უკანასკნელი როგორც ცალკე (მუვა, მუვასა) ისე კომპოზიტურ სახელებში ხეთურ წყაროებში ხშირია.³ მუვა თანამედროვე მეგრულში დასტურდება მუა-ს ფორმით (შეადარეთ ცირამუა). მეგრულ გვარებს აწარმოებენ ერთნაირი დანიშნულების ორივე სუფიქსი უავა, ასე რომ მუვას და მუას იდენტურობა გაურკვეველი არ რჩება.

ამრიგად, ტოპონიმის სახელი ციმუმუვა არის კომპოზიტი და შედგება ორი ადამიანის საკუთარი სახელისაგან ციმუ და მუვა. ეს უკანასკნელი მცირეაზიული დვთაების მუვას სახელთან არის დაკავშირებული. სამეგრელოში, ხო-

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 479.

² ა. გოგბეცეს აზრით, მუვა-მუვათი მცირეაზიული სახელია და ნიშნავს სულს, სულისკვეთებას, ძალას. (Гр. Капанцян. Историко-лингвистические работы... с. 74-75).

³ ძახიქ, გვ. 130, 131, 153.

ფელ თიქოსში არის მიკროტოპონიმი ნა-ციმუა-რი (ნა-მარწყვნარი), ამჟამად ტყეა.¹

გ ა ხ ა ნ ი ა

ტოპონიმი სუფთა მეგრული სიტყვაა. გახარია მოფერებითი მიმართვაა.² გახარია ნიშნავს გამხარებელი.³ მეგრული გვარიცაა გახარია, რომლის მრავალი წარმომადგენელი ცხოვრობს საქართველოში. გვაქვს აგრეთვე გვახარია, მახარია, რომლებიც სემანტიკურად თითქმის იმავე მნიშვნელობისაა. საქართველოში გავრცელებულია ამ რიგის სახელები და გვარები: გახა, მახარა, მახარე, გახარე, გამახარე, გამიხარდი, მახარობელი, მახარაძე, მახარაშვილი, გაიხარაშვილი, გამიხარდაშვილი, მახარობლიძე, მახარებლიშვილი და სხვა.⁴

სამეგრელოში აღნიშნულ ანთროპონიმთან დაკავშირებული ტოპონიმები მრავლადაა. ზუგდიდის რაიონშია: გახა ჯიჯიშ ტყა (ტყე ახალსოფელში), გახარიაშ ხოდიხუ (სახნავი, კიროვში), საგახარიო (უბანი ჩხოუში) და სხვა.⁵

ერთი ასეთი რიგის სახელს, მახარეს ატარებდა ძველი ქართული სამეფოს პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის შვილიც. უნდა აღინიშნოს, რომ მითრიდატეს სამფლობელო თითქმის ფარავდა, და, დაახლოებით იმავე ტერიტორიას მოიცავდა, რასაც ქაშქების გაერთიანება. პონტოს სამეფოში იგივე ხალხი (მეგრული და სვანური)

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 67.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 296.

³ იქვე, II, გვ. 234.

⁴ ო. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 652, 828, 853.

⁵ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 84, 120, 342.

მოსახლეობდა, რაც დაახლოებით 1500 წლით მათზე უწინ ქაშქების ქვეყანაში. ამას მოწმობს მეგრული და სვანური სახელები, მაგალითად: გიმნიასი (გიმ-მიწა, ნიას-ნისლი) სვანურია და ნიშნავს ნისლიანი მიწა, სტამენია-ც სვანურია და ნიშნავს სტამან-კოკა, ბარხონიც სვანურია და ბარხი ნიშნავს ხილი, ხარტონიც (დართონი) სვანურია და ნიშნავს ნაბადს, ქადა-ც სვანურია და ნიშნავს ნაჯახს, ოუმცა კადა-კათა მეგრულში ხალხს აღნიშნავს!¹

ქათხანია

ქათხარია ფონეტიკურად ახლოს დგას გახარიასთან. ოუმცა შესაძლებელია ამ ქალაქის სახელში ქათ და ხარია გამოიყოს. ქათ-ხარ ხათების სატომო სახელს უნდა უკავ-სირდებოდეს. მსგავსი ტოპონიმები ქასქების ტერიტორიაზე სხვებიც აღინიშნება: ხათეფა ქათალადუვა, ფია-ხათა-ხილა და ა.შ. რაც შეეხება მეორე ელემენტს ხარია-ს ციხარია, ცითახარია, ვაშხარია და ა.შ. მეზობელი ქაშქური ტოპონი-მების გათვალისწინებით საკვლევი სახელწოდება მართ-ლაც ორ ნაწილად უნდა დაიყოს.

მეგრული ქნის გამოყენების საფუძველზე ქა – რქაა,
ხოლო თხა – თხა, არ სუფიქსია. ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ არსებობს მეგრული გვარი ქაცხალია, რომელიც
აღნიშნულ ტოპონიმთან თავისი ფონეტიკური აგებულებით
ახლოს დგას. ოუმცა არაა გამორიცხული სახელწოდების
სემანტიკა იყოს “ხალხი ხარის კულტის თაყვანისმცემელი.”²

¹ ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002, გვ. 188-194.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 123.

ქათ-კათა – ხალხი,¹ ხარ – ხარი ია მეგრული სუფიქსია, რომელიც ამჟამადაც აწარმოებს მეგრულ გვარებსა და ტოპონიმებს.

მაკლევართა მიხედვით, სახელწოდება მეგრული წარმოშობისაა და შედგება სამი ელემენტისაგან: ქა, თხა, რია. ქა ნიშნავს რქას, თხა – თხაა, რია – უწესრიგო მოძრაობა. საბოლოოდ ტერმინი იძენს შემდეგ შინაარსს: “რქიანი თხების უწესრიგო მოძრაობა.” აქედან გამომდინარე აღნიშნული ადგილი ყოფილა რქიან თხასავით მოძრავი ადამიანის სამყოფელი. ეს სახელი შეიძლება გამოეყენებინათ ხასიათით თხის მსგავსი ადამიანების მეტსახელად. მსგავსი ტრადიცია დღესაც არსებობს, მაგალითად, ისეთ ადამიანს, რომელიც თავის თავს ცონტროლს ვერ უწევს და საზოგადოებისათვის ზიანის მომტანია, თხისრქიანს უწოდენენ.²

ამრიგად, ქაშქური ქალაქების სახელი ქათხარია უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: ქათ და ხარია. პირველი მათგანი საკუთარი სახელია, ხოლო ხარია თანამედროვე მეგრული გვარის მსგავსად დინასტიური სახელი, იმ ადამიანისა რომელმაც დაარსა აღნიშნული ქალაქი.

შ უ ხ უ ნ ი ა

აღნიშნული ტოპონიმი შეიძლება სვანური ენის გამოყენებით აიხსნას. ამ ენაში შეა ნიშნავს დარდს, ზრუნვას, ფიქრს, ხუირ – ხვადია, ხორუა – უმცროსი, პატარა.³ აქე-

¹ იქვე, II, გვ. 98.

² ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 301.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 822, 876, 878.

დან გამომდინარე, თითქოს შუხურია ნიშნავს პატარაზე ზრუნვას, დარდს, ფიქრს.

საკვლევი ტოპონიმი მეგრული ენის გამოყენებითაც აიხსნება. შუხის მნიშვნელობებია: 1. დახურული ჰაერი, 2. ცხელი ქარი, ჰაერი, შუ – ნოტიო, სველი, შუქ – სხივი, სინათლე, ქარიშხალი.¹ თუკი მასში ჩვენ ძირად შუხ-ს მივიჩნევთ, და არ სუფიქსად, ია-ს კი მეგრულ დაბოლოებად, რომელიც გვარსახელებსა და ტოპონიმებს აწარმოებს, მაშინ შუხურიას შინაარსი იქნება “ადგილი, სადაც დახურული, ცხელი, ქარი, ჰაერია.”

საკუთრივ ქართულში შუქურ-შუქური-ს ხმარობდნენ შუქის მნიშვნელობით, შუქურა-სასიგნალო შუქის (ცეცხლის) მიმცემი, შუქი-მანათობელი სხეული, სხივი.² ქართული ენის მონაცემებიდან გამომდინარე შუხურია შეიძლება სხვანაირადაც აიხსნას: შუ (ა) ხურ-ია, ე.ი. შუა მხარე, შუ(ქ)ხურია, ე.ი. სინათლიანი, ნათელი მხარე და ა.შ.

შუხ ძირიანი ტოპონიმები საქართველოში გვხვდება, მაგალითად შუხ-უთი სოფლის სახელია გურიაში. მსგავსია იქვე მეზობლად ქაშქურ სამყაროსთან არსებული სვანთა ქვექნის სახელისა სუხმა (სოხნი), რომელიც თავისი წარმომავლობით მეგრულ-სვანურს მიეკუთვნება.³ თუშური ქალის სახელია შუქრუნა, აჭარაში გავრცელებულია შუქრი, ქართული სახელია შუქრია, სვანურია-უშუხიანი, უშუხვანი. უნ-ს თუკი ჩვეულებრივ ქართულ სუფიქსად მივიჩნევთ (შეადარეთ: გლახო-გლახუნი, უშუშ-უშუნა, ტიტ-ტიტუნა) და იანს სვანური გვარის მაწარმოებლად, მაშინ ფუქ-ძი-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 268, 274, 275.

² ქართული ენის ვანმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 1465, 1468.

³ ს. გოგიტიძე. ქვეყანა სუხმა (სოხნი), ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 2003, №1.

რად შუქრუ, შუქრის, ალბათ შუქრი-ს მივიღებთ. შესაძლებელია შუხ-შუხი ადამიანის საკუთარი სახელიც იყოს.

მ უ ხ უ ნ ი ა

მუხურია მეგრული წარმომავლობის ტოპონიმი ჩანს. მუხური მეგრულად კუთხეს, მხარეს ნიშნავს.¹ მაშასადამე, ტოპონიმის ფუძე მუხურ კუთხეს, მხარეს აღნიშნავს ხოლო ია მეგრული გვარებისა და ტოპონიმების მაწარმოებელი სუფიქსია. მუხურია თუ მისი მსგავსი ტოპონიმები სამეგრელოსა და აფხაზეთში მრავლად მოიპოვება, მათგან რამდენიმე ანტიკურ წყაროებშიცაა დადასტურებული.

მუხურის მეხლეს ფორმით ასახელებს კლავდიოს პტოლემაიოსი, ოდონდ შიდა კოლხეთში.² ერთი ასეთივე გეოგრაფიული პუნქტი დასახელებულია “ნოტაცია დიგნაბატუმში,” რომელშიც რომაელთა გარნიზონი იდგა. მკვლევარები ნ. ადონცი და ნ. ლომოური სამხრეთ კოლხეთში-ჭანეთში ახდენენ მის ლოკალიზაციას³ და სრულებით არაა გამორიცხული იგივე ქაშქური პუნქტი იყოს. ერთ კიდევ ასეთ მხარესა და ქალაქს შიდა კოლხეთში მოხირისს-მუხურისს პროკოპი კვარიელიც (VI ს.) ასახელებს.⁴

დღევანდელ საქართველოში შემორჩენილია მსგავსი სახელის მქონე ორ ათეულზე მეტი ტოპონიმი: მუხურა (ტყიბულის რაიონი), მუხური (ცხაკაიას რაიონი), მუხური (ჩხო-

¹ ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, II, გვ. 343.

² Клавдий Птоломей. Географическое руководство. – ВДИ, 1948, №2, с. 251.

³ Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с. 97, 100.

⁴ ს. გაუხსიშვილი. გეორგია, II, ობ., 1965, გვ. 208-209. ამ პუნქტის ლოკალიზაციის შესახებ-იხ. ს. ჯანაშია. შრომები, I, გვ. 97-98.

როწყეს რაიონი), მუხური (გალის რაიონი), მთა მუხური (ბზიფის ქედზე), მუხურჩა (აბაშის ჩრდილოეთი) და ა.შ.¹

გ. უორდანიას აზრით, მუხურსს არაფერი აქვს საერთო მუხასთან, ე.ი. ხის სახელთან. ქართული მუხური და ბერძნული მოხირისი დაკავშირებულია ხური ხალხთან, ე.ი. ხურიტებთან.²

მკვლევართა მიერ მუხურია შეიძლება დაიყოს მუ, ხუ და რია ელგმენტებად. მუ ქართულად არის რა, ხუ – შობა, რია აღნიშნავს ადანიანების უწესრიგო მოძრაობას, ხალხმრავლობას. მივიღებთ შემდეგ შინაარსს: “რა ხალხმა შობაო,” ე. ი. რა დიდი რაოდენობის ადამიანების მოძრაობა შობაო. აქ ნაგულისხმევია ახალი ადგილმდებარეობის, ე.ი. დასახლების წარმომშობი ადამიანის მიერ მრავალი ადამიანის შეყრის ადგილის შექმნა. შემდეგ ეს სახელი დასახლების აღმნიშვნელად დამკვიდრებული. დასახლებები მუხურიას სახელით დღესაც არის აფხაზეთისა და სამეგრელოში.³

ამრიგად, მუხურია მეგრული სიტყვაა და ნიშნავს მხარეს, კუთხეს, ქალაქეს.

ც ი ხ ა ნ ი ა

ქაშქების ოლქი ციხარია მდებარეობდა ტარიკარიმუს მთების რაიონში.⁴ ზოგიერთი მკვლევარი ამ ტოპონიმის

¹ გ. უორდანია. მუხურელთა და არამ ხუტუს ვინაობის შესახებ, თბ., 1956, გვ. 56.

² გ. უორდანია. მუხურელთა და არამ ხუტუს ვინაობის შესახებ, გვ. 51.

³ გრ. გოორგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 18-26; ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 300.

⁴ В. Хачатрян. Восточные провинции Хетской империи, Ер., 1971, с.88.

სახელს ზიხარია-ს ფორმით კითხულობს.¹ ქართველურ ენებში არის სიტყვები, რომლებიც ახლოს დგანან განსახილველ ტოპონიმთან, მაგალითად, ქართული ჩიხარი-ი აბრეშუმის ჭიის ცუდი პარკი.² იმ შემთხვევაში თუკი საკულტური ტერმინი ორი ნაწილისაგან, მაგალითად, ცი და ხარია შედგება, მაშინ იგი შეიძლება მეგრულ სიტყვებს დავუკავშიროთ: ცი (თელა), ხარ (ხარი), ხარ (ნაბიჯი), ხარა (ჩაფი), და ა.შ.³ მაგრამ, როგორც ჩანს, ციხარიას სემანტიკა სხვაგვარად უნდა აიხსნას. კერძოდ იგი დაკავშირებული უნდა იყოს ტერმინ ციხე-ციხარ-თან.

6. ბერძენიშვილის აზრით, ტერმინი ციხე თითქოს ძორული ქართული სიტყვაა და ნიშნავს იმ პირველ ნაგებობას გორაზე, ადამიანმა რომ თავშესაფრად გაიკეთა. ციხე შეიძლება თიხას უკავშირდებოდეს და თავდაპირველად მიწის (თიხის) ნაკეთობას წარმოადგენდა (შეადარეთ: თიკანი-ციკანი, თიკი-ციკი, თოხნა-ცოხნა, ციხე, ციხერი, თიხარი, ჩიხორი). ციხე ჩიხესთან კავშირში უნდა იყოს. ციხის შინაარსი სახლი, ქორი-ც იყო. თუხარისი შეიძლება გადმონაშთი იყოს იმ ვითარების, როცა კედელს, ზღუდეს თუხარი-ი, თიხარ ეწოდებოდა.⁴ აღნიშნული ტერმინები ქართველურ ენებსა და ტოპონიმებში შეიძლება შემონახული იყოს – ციხე, ჯიხა, ჩიხი, ჯიხაიში, ციხისძირი, ჯიხათი, ჯიხანჯური, ჯიხანჯირი, ქვაციხე, ვარდციხე, ციხურა და ა.შ.⁵

¹ Я. А. Мананян. О некоторых... с.86.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 660.

³ ო. ქაჯაა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 347, 515.

⁴ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 58-60.

⁵ იქვე, გვ. 354, 350.

სრულიად დასაშვებია, რომ ტოპონიმში ციხარია იყოს გადმოცემა ჯიხარია, რადგან ხეთური მისთვის უცხო აფრიკატებს, მაგალითად, ჯ-ს ც-თი გადმოსცემდა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ციხარიაში თავკიდური ც-ს მაგიერ ქართულ ც-ს თუ მეგრულ ჯ-ს ვიგულისხმებთ. საერთოდ ქართულ ციხეს მეგრულში ჯიხა შეესაბამება. თანაც ტოპონიმი გაფორმებულია მეგრული ია სუფიქსით, რომელიც ახლაც აწარმოებს მეგრულ გვარსახელებსა და ტოპონიმებს. არ-სუფიქსი კი როგორც ცნობილია, არა მხოლოდ მეგრულ, არამედ ქართულ ტოპონიმებსაც ერთვის.

მაშასადამე, ციხარია უნდა დაიყოს ციხა (ჯიხა)-არ-ია. გვაქვს ტოპონიმი ციხურა, შეიძლება ყოფილიყო ჯიხურა. აქედან გამომდინარე ტოპონიმები ციხარია შეიძლება წავიკითხოთ როგორც ციხარია, ჯიხარია და ნიშნავს სოფელს, რომელიც ციხე-ჯიხა დგას, ე.ი. სოფელი ციხით, ან ციხიანი (ჯიხიანი) სოფელი. ჯიხადან ნაწარმოები ადგილები საქართველოში მრავლად გვხვდება, კერძოდ, ჯიხანჯური, ჯიხანჯირი, ჯიხაშკარი, ჯიხაიში.

ქალაქის სახელი შეიძლება წარმომდგარი იყოს ხეთური დვთაების ცითხარიას¹ სახელისაგან. სამეგრელოში ადამიანის საკუთარ სახელად გავრცელებულია ციხია. შესაძლებელია გვარიც იყოს ციხარია, საკუთარ სახელზე ციხა (ციხი) არ და ია სუფიქსების დართვით.

ოლქის სახელის წარმომავლობის სხვა ვერსიაც შეგვიძლია შემოგთავაზოთ. ხარია მეგრული გვარია, ამის გათვალისწინებით გვრჩება ცი-თელა ან ცია-პატარა, პაწია ან შესაძლებელია ცი, ცი-ანა, ცი-რა ადამიანის საკუთარი სა-

¹ ი. ტატიშვილი. ხეთური პანოვნის სტრუქტურა. – ანალები, თბ. 2000, გვ. 16, 19.

ხელი უნდა იყოს, ხოლო ხარია გვარი, დინასტიური სახელი. ამ ბოლო მსჯელობის საფუძველზე ციხარია (ცი-ა) ხარია ადამიანის საკუთარი სახელია (და შესაძლებელია დინასტიური სახელიც).

ც ი ხ ა ნ ც ი ა

საკვლევი ტერმინი ისეთივედაა ნაწარმოები, როგორც ხეთურ წყაროებში დადასტურებული სხვა ქაშქური ტოპონიმები ციხარია და აგრეთვე მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი ცითახარია.

როგორც აღინიშნა, ციხარია შეიძლება სხვადასხვანაირად აიხსნას, მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ იგი შედგებოდეს ციხარ (ციხიანი) და ია მეგრული სუფიქსისაგან. ასევე არაა გამორიცხული თავად ძირი ციხა, ციხარ-ის მეგრულ შესაბამის სიტყვასთან ჯიხა, ჯიხარ-თან დაკავშირებისა. სწორედ ამგვარადვეა ნაწარმოები საკვლევი ტოპონიმი, იმ განსხვავებით, რომ ამ უგანასკნელში დაბოლოება ცია კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს. მაგალითად: ღორი-ცია=დედალი ღორი. დათვი-ცია=პატარა დათვი და ა.შ. ტერმინში ციხარ-ცია ცია ასეთივე მეგრული სუფიქსი უნდა იყოს და აღნიშნავდეს პატარა ციხეს. მაშასადამე, ქალაქის სახელში ციხარცია უნდა გამოიყოს ციხა – შესაძლებელია მეგრული ჯიხა. ქაშქებში სახელწოდება რომ ჯიხა ყოფილიყო, მას ხეთური ციხად გადმოიტანდა, ჯ აფრიკატის მათ ენაში არარსებობის გამო. გვაქვს ტოპონიმები ჯიხარ-ციხარ, რაც ციხიანს, ჯიხიანს ნიშნავს. ჩვენ შემთხვევაშიც ციხარ-ჯიხარ ციხიანს, ციხიან სოფელს ნიშნავს. ცია კი, როგორც აღინიშნა, მეგრულში კნინობითის მაწარ-

მოქმედი სუფიქსია. ოურჯოლას გვერდით არის ციხურა, ე. ი. ნაციხარი, გვაქვს ნაციხარი, ჯიხაია, ე. ი. ციხარია, ჯიხაიში და ა.შ.¹

ამრიგად, სახელი ციხარცია (ჯიხარცია) პატარა ციხეს, ჯიხას აღნიშნავს, საერთოდ ტოპონიმი განიმარტება როგორც სოფელი პატარა ციხით, ანუ პატარა ციხის ადგილი, სამოსახლო.

უძველეს მცირეაზიულ დვთაებათა სამყაროში იხსენიება დვთაება ცითახარია. შესაძლებელია ეს ქალაქი ამ დვთაების სახელზე იყოს აგებული.

ცითახარია

ცითახარია თავისი ფონეტიკური აგებულებით ძალიან მიაგავს სხვა ქაშქურ ტოპონიმებს, მაგალითად: ციხარია, ციხარცია, მაგრამ მათ შორის სემანტიკური კავშირის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, უფრო სწორად არ მგონია მათ შორის რაიმე ამდაგვარი კავშირის არსებობა. როგორც ჩანს, ცითახარია სხვა რიგის ტოპონიმია.

ტერმინი ცითახარია უნდა შედგებოდეს ორი ან სამი ნაწილისაგან: ცითა-ხარ-ია. პირველი ნაწილი ცითა შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ სიტყვას წითა, საქონელის სენს (ფალარათობა) ნიშნავს. მეორე – ხარ, იგივე ხარია, ხოლო ია მეგრული გვარსახელებისა და ტოპონიმების მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც უძველესი დროიდან დღემდე აწარმოებს მსგავს სახელებს. ასეთი გააზრებით გამოდის, რომ ცითახარია ნიშნავს “ფალარათით დაავადებულ ხარს”

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 468-469, 501.

ანუ “ადგილი, სადაც ფალარათით დაავადებული ხარი იყო,” თუ მკურნალობდნენ.

გვაქვს მეორე ვერსიაც ტერმინის წარმომავლობისა. ამ შემთხვევაში ცითა უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელი, ისეთები როგორიცაა: ციცა, ცილა, ჭითა, ჭითი, წიფი (წითი), რომლებიც ძველი სვანეთის წერილობით საბუთებული დასტურდება.¹ საქართველოში გავრცელებულია ჩიტა, ციათა, წითა, ციტა, ციტაი და მათგან ნაწარმოები გვარები.² ცითა შეიძლება იყოს იგივე ჩიტა, ციტა და ა.შ. მათი სემანტიკა ქართულ ენაში ასეთია: ჭითა – 1 ბაგშვის გასართობი სიტყვა, 2 მოკიაფე (ვარსკვლავის ეპითეტია). ჩითი – ბამბის თხელი ქსოვილი, ჩიტა – ლაზლის წინდა, წიტა – ახლად ამოვლებული ჩურჩხელის ჩამონადვენთი თათარა, ჩიტი-ჩიტა – პაწია გარეული ფრინველია. ხარ იგივე ხარია, თუმცა შეიძლება იყოს იგივე ადამიანის საკუთარი სახელი, ია-კი მეგრული სუფიქსი, რომელიც აწარმოებს სახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს. ასეთ შემთხვევაში ტოპონიმის შინაარსი იქნება “ცითას ხარი”, ან იმ შემთხვევაში თუკი ხარი-ხარია ადამიანის საკუთარი სახელია, მაშინ იგი რთული სახელის ცითახარიას შემადგენელი ნაწილი იქნება და ტოპონიმი განიმარტება “ცითახარიას მოღგმა, შთამომავლობა”. ხარია ძველ ქართულ სამყაროში, ე.ი. კავკასია – მცირე აზიულ სამყაროში დვთაების სახელიცაა და ადამიანის საკუთარი სახელიც. საქართველოში გავრცელებულია: ხარია, ხარება, ხარაიძე, ხარაული, ხარაშვილი, ხარაძე, ხარბეგია, ხარებავა და მრავალი სხვა. გვაქვს ტოპონიმებიც: ხარაულა, ხარხევი,

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 556, 557, 558.

² ი. ახეუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 795, 876.

ხარხეთი,¹ ხარიგზა, ხართა, ხარიათადი, ხარისაკიდა, ხარისთავა, ხარუჩა და მრავალი სხვა.² შესაძლებელია ტოპონიმის სახელი მცირეაზიული ღვთაების სახელიდან ცითხარცია მომდინარეობდეს.³ მეგრული ხარა შეიძლება იგივე ხალანს (პირფართო ქოთანი) ნიშნავდეს.

3 ა შ ხ ა ნ ი ა

მსგავსი ტოპონიმი ვაშხარია ქაშქურ ქვეყანათა რიცხვში სხვაც გახვდება, მაგალითად ვაშხაია, აშხარფაია. თავად ამ სახელწოდების მეორე ნაწილი ხარია კი რამდენიმე: ქათხარია, გახარია, ცითხარია, ციხარცია, ციხარია და ა.შ.⁴ ვაშხარია იგივე აშხარია, უშხარია, ოშხარია-ს გადმოცემა უნდა იყოს, ქართული ენის გრამატიკული ნორმებისა და უძველესი მცირეაზიული სახელწოდებების ურთიერთშეფარდების გათვალისწინების საფუძველზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თითქოს ახლოს დგანან უძველესი მცირეაზიული, ვანის ტბის სამხრეთში მდებარე ტოპონიმები, მაგალითად: უშკაია=აშკაია, უშკია (ნი), უშხა-უშხუ⁵ უშხანია იგივე ვაშხანია, რომელიც კაისერის ახლოს იყო განლაგებული.

ჩვენი აზრით, ქვეყნის სახელი ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს, პირველია ვაშ-ვაშა, ხოლო მეორე ხარია.

¹ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის ადწერა, თბ., 1986, გვ. 112.

² ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 118.

³ ი. ტატიშვილი. ხათური პანთეონის სტრუქტურა, გვ. 16, 19.

⁴ გრ. გიორგაძე. ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 15.

⁵ H.B. Արդյունան. Բιայնիլի (Սրբություն), с. 78, 86, 236.

ორივე, აღნიშნული ელემენტები ამ შემთხვევაში შესაძლებელია დგოაების სახელები იყოს. ისინი შემონახულია ოანამედროვე ქართულ სიმღერებში. შემონახულია ოანამედროვე ქართულ გვარ-სახელებშიც, მაგალითად, ვაშა გვხვდება როგორც ადამიანის საკუთარ სახელებში (ვაშა, ვაჩა, ვაშანა, ვაჟა), ისე გვარებში (ვაშაძე, ვაშანიძე, ვაშაბერიძე, ვაშალომიძე, ვაშაყაძე) და ა.შ.¹ სახელი ხარია გვხვდება ადამიანის როგორც საკუთარ სახელებში, ისე გვარებში: ხარია, ხარება, ხარზიანი, ხარკა, ხარიტონ, ხარაძე, ხარაშვილი, ხარებავა და მრავალი სხვა.² საქართველოში ასევე გავრცელებულია საკუთარი სახელი აშხარ და მისგან წარმოებული გვარი აშხარბეგიშვილი, აშხახაშახიანი, აშხიანი და ა.შ.

თუმცა გამორიცხული არაა იგი ქართული სიტყვებისაგან რომ იყოს წარმომდგარი, მაგალითად: ვაზ=ლევგის დროს გულთბოძზე გამობმული რკინის ჯაჭვი ხარების დასაბმელად (ე.ი. ვაზ (ვაშ), ხარია-ბოძი და ხარი), ოშხარ=შესაწირავი ცხვრის მოგროვება, ოჩხარ=ლხინი, ქეიფი, პურობა.³

ამრიგად, ქვეყნის სახელი ვაშხარია წარმომდგარი უნდა იყოს ორი დგოაების და შესაბამისად, ერთი ადამიანის საკუთარი სახელისაგან ვაშ-ვაშა და ხარ-ხარი და ია მეგრული სუფიქსისაგან. თუმცა გამორიცხული არაა ჩვენს შემთხვევაში ხარია დინასტიური გვარი იყოს.

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, გვ. 675 და სხვა.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 559; ი. ახუაშვილი. დახახნაშრ., გვ. 804, 878.

³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 223, 438.

ფ ი ხ უ ნ ი ა

ფიხუნია ქაშქების მთლიანი თუ ერთი ნაწილის ტომთა ბელადია. ასე რომ, ქაშქების ქვეყანაში ტერმინი ფიხუნია გვევლინება, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი.

ტერმინი ფიხუნია შეიძლება მომდინარეობდეს სვანური სიტყვებიდან: ფიხი – ამაყი, ფიხ – მეჩხერი, განიერი.¹ ამ სახელის ახსნა შეიძლება ქართული ენის მონაცემებითაც, კერძოდ: ფიხონ-ლაყბობა, ლაზდანდარობა, ფიხნობა-თავ-შეერა, ფიხვინ-გაფუნჩულება, ფახუნი-ქუთუთოების ჩქარი მოძრაობა, ფახუნი.² ამათგან პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სიტყვებს: ფიხონ-ლაყბობა, ლაზდანდარობა და ფიხი-ამაყი. ფიხუნია მართლაც ამაყი, თავმოყვარე მმართველი იყო. მის შესახებ ხეთების მეფე მურსილი II დასძენს, რომ იგი “ქაშქურად კი არ მართავდა, არამედ მეფურადო.” როგორც ცნობილია, “ქაშქებთან ერთი კაცის ბატონობა წესად არ იყო მიღებული.”³ თუმცა ფახუნი-ფახუნიაც ძალიან ახლოს დგას საკვლევ სახელთან.

ქართული სახელებიდან, რომლებიც ფონეტიკურად ახლოს დგას საკვლევ ტერმინთან შემდეგია: ბიხი, ბიყა, ფახა, ფოხელანი, ფიქუი, ფოხელა (ფოხენა)⁴ და სხვა. ტოპონიმებიდან აღსანიშნავია სა-ფიხვნო-ს მთა.

¹ მ. ქალდანი, ვ. თოფურია. სვანური ლექსიკონი, გვ. 764.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 52, 131.

³ Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии, с.169.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 546, 547.

თ ი მ ი ა

თიმია — ხეთურ წყაროებში ადამიანის საკუთარ სახე-ლად გვევლინება. ერთ ასეთსავე სახელს, მაგრამ არა ადა-მიანის საკუთარ, არამედ ციხე-ქალაქისას გვაწვდის ქველი ქართული საისტორიო მწერლობა. “ცხოვრება ფარნავაზი-სი”-ს თანახმად, პირველ ქართლოსიან მეფეს ფარნავაზს მარგუს (არგვეთი) ტერიტორიაზე აუშენებია ორი ციხე შო-რაპანი და დიმნა.¹ ვახუშტი ბაგრატიონი ამ უკანასკნელს დიმი-ს უწოდებს.² ნ. ბერძენიშვილის აზრით, საინტერესოა თვით სახელი დიმნი-მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილი (იბერიული ფორმა? დმანისი, დუმანი, ტბა ჯავახეთში, დუ-მალა არგვეთში, ჯავახეთში...?).³ გ. მელიქიშვილის თანახ-მად, დიმნას სახელი ხშირად ჩანს ხეთების ხანაში მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე. იგი აქ გვხვდე-ბა: ხეთური Timnia, Tamnia, Tumana; ასურული Tumme, ანტიკური დომანა.⁴ იგი მდებარეობდა ჭოროხის სათავეების დასავლეთით, სატალას (სათალა) ჩრდილოეთით.⁵ ერთი ასეთივე ფონეტიკურად მსგავსი დუმათი — სოფელ სუბადა-რას (შავშეთი) უბანია.⁶ მაშასადამე, ქართული ციხე-ქა-ლაქის სახელი დიმი (დიმნა), ხეთური წყაროების თიმია (თუმანა), ასურული-თიმე და ანტიკური დომანა ფონეტიკუ-რად ახლოს დგანან ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ადამიანის საძუთარი სახელის თიმია-ს ფორმასთან. დიმი-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

² ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 752.

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 469.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 396.

⁵ Я.А. Манандян. О некоторых... с.112, 117, იხ. რუქები.

⁶ ი. ხიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი, ბათ., 1988, გვ. 40.

თიმი – ტიმია ფაქტიურად ერთიდაიგივე სახელწოდებებია¹ და საერთო ქართველური სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. ან შესაძლებელია ქართველ ტომთა თუ ცალკეულ პირთა მიგრაციამ გამოიწვია მსგავსი სახელის გაჩენა შიდა ეგრისში. სახელში თიმია, უეჭველია, ფუძეა თიმ-დიმ, ხოლო ია ჩვეულებრივი მეგრული სუფიქსია, რომელიც აწარმოებს მეგრულ სახელებს, გვარებს და ტოპონიმებს. ქართულ დიმნში ნ მრავლობითობის ფორმანტი, ან როგორც, უცხოურ წყაროებშია, იგი (ან) ჩვეულებრივი სუფიქსია, ქართველური სამყაროსათვის დამახასიათებელი და კარგად ცნობილი.

ძველ ქართულ წყაროებში და თანამედროვე საქართველოში გავრცელებულია თიმია სახელთან ახლოს მდგომი ადამიანის საკუთარი სახელები: დიმი, თინია, თამი, თინა, ტიმოთე, თომა, თამუსი. თიმ მეგრულში იმ-ას ნიშნავს.² სულხან-საბას განმარტებით დიმი-ლიანსა ჰგავს, ლარია, დიმოსი-ვერცხლია სახარკო, დიმნოსი-მედიმნოსე.³ იქნებ ძვ. წ. IV-III სს-ში ფარნავაზმა ეს ციხე-სიმაგრე იმიტომ ააგო, რომ აქ მდგარიყო მეხარკე (ხარჯის ამკრეფი) და მას განეგო ეგრისში ხარჯის აკრეფის პროცესი.

ვ ა ც ი ც ი

ფაციცი ადამიანის საკუთარი სახელია. ის იმდენად ახლოს დგას ქართულ სამყაროსთან, რომ შეუძლებელია

¹ ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 47, 48, 121.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 48.

³ ს-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 219.

ქართულ ანთროპონიმად არ გამოაცხადო. საქართველოში, როგორც ძველ წერილობით ძეგლებში, ისე თანამედროვედ, ფართოდაა გავრცელებული ფაცი, ფაცია, ციცი, ციცია და მათი ნაირსახეობანი. თავისი სემანტიკითაც ქართველურ ენებს უკავშირდება და რაც მთავარია, გვაქვს შესატყვისი სახელ-გვარებიც.

ქართული სახელებიდან აღსანიშნავია ფაცი, ფაცია, ფაცი, ციცი, ციცო, ცაცო, ფაცა, ციცაი, ციცია, ციცინო, ციცხა, ციცქა.¹ საქართველოში გავრცელებულია მეგრული გვარები – ფაცაცია, ბაცაცია, რომლებიც ზუსტი გამოძახილია ხეთური წყაროების ფაციცისა. აქვეა პირსახელი სიფაცითი.² ჩვენთან ასევე გვხვდება: ბაცაცაძე, ბაცაცაშვილი, ფაცურია, ფაცხალია, ციცარია, ციცილაშვილი, ციციშვილი და მრავალი სხვა.³ ხეთური სამყაროდან ცნობილია: ტახაციცი, ციცი-ლიფა და სხვა.

როგორც აღინიშნა, ტერმინს კავშირი აქვს ქართველურ ენებთან. სვანურ ენაში ფაციცი ითარგმნება, როგორც ფრთხილი, გაფაციცებული.⁴ აქედან გამომდინარე, ადამიანს, ბავშვს ეს სახელი შეიძლება დარქმეოდა მისი სიფრთხილის, დაკვირვებულობის გამო. ფაციცი მეგრულ ენაში განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ნიშანავს.⁵ საკუთრივ ქართულში ფაც – თათია, ფაცა – ფანდურის ჯორა, ფაცია – ძლიგს, ცოტა, ფაცაცათ – სწრაფად, ფაცი-ფუცით, ფაციცი – ყურადღების დაბაძვა, დიდი მოწადინება; მთიულურში არის გამოთქმა: ფაციცის დადგომა, რაც შე-

1 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 546, 556; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, გვ. 876.

2 ბახიქ, გვ. 206.

3 ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 767, 795.

4 ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 753.

5 ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 92.

ცილებას ნიშნავს.¹ ფაციცის სამეგრელოში ისეთ ადამიანს ეტყვიან, რომელიც ჭიანჭველასაც არ დააღგამს ფეხს და სიკოხტავის მოყვარულია.² თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ სამყაროში ფა და ციცი ორივე ადამიანის საკუთარი სახელებია და მათვე ქართველურ ენებში ეტყბნება ასესნები. ფა (შეადარეთ ფა-ია) – ადამიანის საკუთარი სახელია და ნიშნავს მოდგმას, გვარს, დინასტიას, ხოლო ციცი, ციცა – გოგო, ახალგაზრდა ქალია. ციცო-ციცო-ციცა-სევე კატა.

ამრიგად, საკულტური ტერმინი ფაციცი თავისი წარმომავლობით ქართველურია. მას პარალელები ეძებნება ყველა ქართველურ ენებსა და დიალექტებში. საკუთრივ ქართულ-ში ფაციცი ნიშნავს ყურადღების დაძაბვას, დიდ მოწადინებას, სვანურში – ფრთხილ, გაფაციცებულს, სამეგრელო-ში – ფაციცი ჰქვია სიკოხტავის მოყვარულ ადამიანს.

ფიციცი და იციცი

ფიციცი და იციცი ქაშქური ადამიანის საკუთარი სახელებია ხეთური წყაროების მიხედვით. ეს ანთროპონიმები იქნებ ფაციცის ვარიანტებია. შეიძლება ფაციცი იგივე ფაციციდან მომდინარეობდეს, მაგრამ იციცი მაინც განსხვავებული ჩანს. ფიციცი შეიძლება ქართული სიტყვა ფიციდან მომდინარეობდეს. ფიცი-აღთქმას, სიტყვის მიცემას ნიშნავს.³ რაც შეეხება იციცის, იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ სიტყვებს იცი – ცოდნა აქვს რაიმეს შესა-

1 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის გონა, გვ. 538; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 50.

2 ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 304.

3 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 127.

ხებ, გაეგება, ციცა – გოგო, ახალგაზრდა ქალი, ციცა – ფისო, კატა.¹ იცირი სვანურში ნიშნავს იფცქვნის (მაგალითად, ბოსტნეულს ან ხილეულს)² მეგრულში ციც-ი-სახლის ნაწილია, შეა ადგილას შვეულად დამაგრებული ხე.³ ციც – შორისდებულია, საალერსო.⁴ საკვლევ ტერმინში ბოლოკიდური ცი, შესაძლებელია ცია (მეგრულში პატარა, კოპწია, პაწია)-ს ნაშთი იყოს.

იციცი, ასევე არაა გამორიცხული მომდინარეობდეს ციცელი-ციციურიდან, რაც აჭარულში ზეციურს, მეხს ნიშნავს.⁵ საქართველოში გავრცელებულია მსგავსი სახელგვარები: ციციშვილი, ციცაძე, ციცარია, ფაცაცია, ფაცია, ბაცაცია, ციცი, იცი, ციცო, ციცა, ციცია, ციცინო და მრავალი სხვა.⁶ შევადაროთ ფი-ციცი, ი-ციცი, ციცი-ნო, ციცი, ციცია, და ა.შ.

ხათურ-ხეთური სამყაროდან ცნობილია პუნქტები ტახა-ციცია, ციცი-ლიფა და სხვა.⁷

ხ ი მ უ ვ ა

ხიმუვას ქვეყანა მოიხსენიება არნუვანდასა და აშნუნის ლოცვაში.¹ ეს ქვეყანა მდებარეობდა დღევანდელი

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 539.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. დასახ. ნაშრ., გვ. 320.

³ ო. ქაჯააძ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 352.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 355.

⁵ შ. ნიუარაძე. ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, ბათ., 1982, გვ. 26.

⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 546, 556; ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 767, 795, 876.

⁷ ძახიქ, გვ. 180; Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.124.

ქუშაქლის (ამასიასთან) ახლომდებარე ტერიტორიაზე, ხე-
თებისა და ქაშქების სასაზღვრო ზონაში. ასურული წე-
როებიც (სალმანასარ I) იხსენიებენ ქვეყანას მსგავსი სა-
ხლით (ხიმე, ხიმუა), ურუატრის სატომო კავშირის ტომებს
შორის. მას აიგივებენ ტიგლათფილესერის (I) ანალებში
დასახელებულ ხიმესთან და აშურბელკალის ანალებში
მოხსენიებულ ხიმუ-სთან. როგორც ირკვევა, საქმე გვაქვს
ორ ურთიერთდაშორებულ ქვეყანასთან.² თავად ხეთურ
ტექსტებშიც გვხვდება მეორე ქვეყანა ხიმუვას მსგავსი ხი-
მუილის ფორმით.³ აღნიშნულ ხეთურ და ასურულ ტოპო-
ნიმებში ერთი და იგივე ფუძე ხიმ-ხიმე-ხიმუ გამოიყოფა.
მათ განასხვავებს მხოლოდ სუფიქსები ვა-უა, ილ-ი. პირ-
ველი ორი მათგანი ერთმანეთის ტოლფასოვანია და აღ-
ნიშნავს შობას, მემკვიდრეობას. ისინი დღესაც აწარმოებენ
მეგრულ სახელ-გვარებსა და ტოპონიმებს: ქარდავა, კაჭა-
რავა, კოსტავა, ჯაბავა, აბრალავა, ხუჭუა, კოდუა, ჩიკაშუა
და მრავალი სხვა. ილ-სუფიქსი თავისი წარმომავლობით
საკუთრივ ქართულია და იგი ითვლება სადაურობის მაწარ-
მოებელ სუფიქსად, შეეფარდება დღევანდელ ქართულ ელ-
ს. თუმცა არც აქ ვხედავთ რაიმე დაბრკოლებას, რადგან
მკვლევრები აღნიშნულ სუფიქსებს ელ-ფორმითაც კითხუ-
ლობენ. მსგავსი სუფიქსებითაა გაფორმებული ქართული
გვარ-სახელები, ტოპონიმები: ჯანდაილა, უნდილა, ტექშე-

¹ ი. ტატიშვილი. ხეთები ქაშქების შესახებ. – სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 20.

² მათი ლოკალიზაციის შესახებ იხილეთ ბ. არუთინიანის წიგნი –
Бианили (Урарту), с.13-14, შეადარეთ: Г.А. Меликившвили. К истории.... с. 179;
შილვა, ჰაირი-ურატუ, с. 150-151.

³ გრ. გიორგაძე. ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების... გვ. 16.

ლა, ხიდაშელი, აბულელი, ქარელი, ოშპელი, ავთანდილი, ბოგილი, გაჭრილი და სხვა.¹

ტოპონიმ ხიმუგას ძირი ხიმუ-ხიმ-ხიმე უნდა იყოს, რადგან მასში აშპარად გამოიყოფა ვა სუფიქსი. რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა ხიმ? ქართულ ენაში ხიმ – მორებით შემოღობვას, ჯებირს მორებისას ნიშნავს, ხიმე – გარდვეულ ადგილს ხის ტოტების ჩაწყობაა, ხიმანი – შაირი, ხრიკია. ქიმ – ლერწმისა და ჩალის ღობეა, ხიმე – ძელის ღობეა.² მეგრულში ხი ხალხს, ხოლო სვანურში – კუთვნილებას აღნიშნავს. თუკი ეს უკანასკნელი მსჯელობა სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გასარკვევი გვრჩება მეორე ხაწილი მუგა, რომელიც ადამიანის საკუთარ სახელად შეიძლება ვიგულისხმოთ. მუგა მცირეაზიული ღვთაებაა – ძალის, სიმყარის, სულისა და სულისკვეთებისა. ამ უკანასკნელი გამოთვლის მიხედვით, ხი-მუგა ნიშნავს – მუგას ხალხი ან მუგას ქვეყანა, ე.ო. ის, რაც ეპუთვნის მუგას შთამომავლობას.

საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხეთ-იბერიაში) სხვა არაერთი მსგავსი ტოპონიმი გვხვდება. მათ შესახებ გამცნობთ მეორე ქაშქური ტოპონიმის ხიმუილის (ხიმუელი) განხილვისას. ეს ყველაფერი იმის მოწმობაა, რომ, სადაც აღნიშნული სახელწოდებები გგხვდება (დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი საქართველო, ურარტუ, ქაშქა, ჩრდილოეთი მესოპოტამია), აღნიშნული უზარმაზარი არემარე წინათ ეკავა ერთი მოდგმის ხალხს, რომლებსაც ხალდ-ხალიბ-ხალხი ეწოდებოდა.

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II.

² ქართულ კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 753; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 1455; ხ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 468, 473.

ს ი მ უ ი ღ ი

მკვლევარი გრ. გორგაძე მას ორი ფორმით კითხულობს – ხიმუილი და ხიმუელი. დასაშვებად მიგვაჩნია ქიმიელიც, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ურარტულ ეპოქაში დამოწმებულია უ-ქიმე-აშ-უ (=ოქიმეაში)¹ და ას. წ. VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი ლაზიკაში მოიხსენიებს უქიმერიონს² (უ-ქიმე-რიონი, ო-ქიმ-ერ-ონ-ი). დღეს საქართველოს ტერიტორიაზე აღირიცხება ტოპონიმები – იქ, სადაც უქიმე (აშუ) იყო, დადასტურებულია ოკამი, ხამაშ და გურჯის-ტანის ვილაეთის მიხედვით ხუმა,³ იქ სადაც უქიმერიონი იყო-ხომული, ოხომირა.⁴ ძველი საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება აგრეთვე სოფელი ოხმიკ, ლენინაკანის ჩრდილოეთით.

როგორც უკვე აღინიშნა, ძველი ისტორიული საქართველოს ფარგლებში თუ მის გარეთ, მოსაზღვრე რაიონებში, სადაც უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართული ტომები (ქართები, ჭან-სვანები, ლაზ-მეგრელები) მოსახლეობდნენ, აღირიცხება არა ერთი ტოპონიმი ხიმ-ხიმე ძირით: ხიმუა, ხიმე, ხიმუვა, ხიმუილი და ა.შ. რა კავშირი აქვს აღნიშნულ ტოპონიმებს ქართველურ სამყაროსთან, ტერიტორიულის გარდა, ვგულისხმობთ სემანტიკურ კავშირზე.

სვანურში ქიმ ნიშნავს ცრემლს, აშშუე [აშ] აშრობს.⁵ ლაზურში ქიუმე ჩურჩულს აღნიშნავს. ძველქართულში ქიმ ერქვა ლერწმისა და ჩალის ლობეს, ხიმე კი-ძელის ლობეს,

¹ იხ. ჩვენი: ქვეყანა უხიმეაშუ, გამოსაქვეყნებლად მზად გვაქვს.

² ს. ყაუხეიშვილი. გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 196, 204.

³ გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, გამოხცა ს. ჯიქიამ, II, გვ. 7.

⁴ ს. ბერძნიშვილი. საქართველოს ისტორიის საკონხები, გვ. 454, 520.

⁵ კ. ოოფურია, მ. ქალდანი. დასახ. ნაშრ., გვ. 80, 783.

ხუმილი-დამის დარაჯობაა.¹ ივ. ჯავახიშვილის აზრით, უქიმეონი მეგრული ოხვამერი-დანაა წარმომდგარი, რაც სალოცავს ნიშნავს.² ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, სოფლის სახელი ხომულის (ხვამული) ძირი ხვამ ზანური ჩანს.³ იგი ნიშნავს – დალოცა.

ვ ა შ ხ ა ნ ი ა

მკვლევართა ვარაუდით, ვაშხანია, იგივე უშხანია განლაგებული იყო კაისერის სიახლოეს,⁴ მაგრამ ტერიტორიული კავშირი თუ პქონდა საკვლევ ტერმინთან უცნობია, მაგრამ სემანტიკურად, როგორც ჩანს, უეჭველი კავშირი უნდა პქონოდა.

ს. ბადას აზრით, სახელწოდება შედგება ორი მეგრული სიტყვისაგან გაშ და ხაია. პირველი მათგანი ქართულად იქნება “არ ახსოვს,” ხაია არის ქვეყნის სახელწოდება და აღნიშნავს “უვავილ იას მხარეს.” ამავე დროს ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ლაზ-მეგრულების ღვთაება ენქის (ეა) მესამე სახელწოდებაც არის. მისივე აზრით, ქვეყანა ხაია ხეთების შემდგომ ასურულ წყაროებში მოიხსენებულია დაიაენად,⁵ რასაც არც ჩვენ გამოვრიცხავთ.⁶

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, გვ. 1455; 6. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 473.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 428.

³ ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 454.

⁴ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 173, შენ. 40.

⁵ ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 300-301.

⁶ ამ საკითხობრივი დაგავშირებით იხ. ჩვენი მონოგრაფია: დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006.

ჩვენ კი გვგონია, რომ ტოპონიმის პირველ ნაწილს ვაშ კავშირი უნდა ჰქონდეს ქართულ გვარ-სახელებში მრავალ-ჯერ აღნიშნულ ვაშ-თან, კერძოდ ვაშალომიძე, ვაშაყმაძე, ვაშაძე, ვაშანიძე, ვაშაკიძე, ვაშაბერიძე და სხვა.¹ გვაქვს საკუთარი სახელი ვაშაც. რა თქმა უნდა თავდაპირველად ვაშა იყო დვოთაების სახელი, ხოლო შემდეგ იგი ადამიანის საკუთარ სახელად იქცა, ბოლოს კი გვარიც გაფორმდა. ხოლო, რაც შეეხება ხაიას, იგი სავალდებულო არაა, რომ ქვეყანა ქართველურ ქვეყანას ხაია-ხაიასას აღნიშნავდეს, მაგრამ სემანტიკური კავშირი მათ შორის აუცილებლად არსებობს. სამეგრელოს ტერიტორიაზე ხშირია ხაია სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები: ბიგვაშ ოხაიე (ს. თიქორი), ხაიოში (დიდი ნები), ხაიონა, ხაია, ხაიაშვილი (ერგეთა) და აშ.² შეიძლება ხაია ერთი სიტყვაც კი არ იყოს, არამედ ხა-ია, ხა (ხი-ქი) როგორც ვიცით, მეგრულში ხალხს, ქვეყანას აღნიშნავს.³ ხოლო ია ჩვეულებრივი მეგრული სუფიქსია, რომელიც აწარმოებს როგორც სახელგვარებს, ისე ტოპონიმებს. აქედან გამომდინარე ვაშხაიას სემანტიკა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც დვოთაება ვაშას კუთვნილი (ან სახელის) ხალხი, ქვეყანა, ან ვაშას თაყვანისმცემელი ხალხი.

გვაქვს მეორე ვარიანტიც: ვაშხა-აშხა, ქაშქური ტოპონიმის აშხარფაია და ადამიანის საკუთარი სახელის აშხაფალას მსგავსად, ვაშხაიას სახელში დვოთაების სახელი აშხა-აშხარი იმალებოდეს. აშხარა ხეთას ტომებს ჰქონდათ დვოთაების სახით.⁴

¹ ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 675.

² პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 66, 127, 141 და სხვა.

³ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., III, გვ. 123, 551.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I, გვ. 142.

გ ა თ ი ღ ი

მსგავსი ადამიანის საკუთარი სახელი ქაშქების მცხოვრებთა შორის ხშირია, კერძოდ თითია (თითა, დათა), დათიში, დადა (დათა), თუთუ, დადუ, თათილი და ა. შ.

საქართველოში მრავალჯერ გვხვდება ადამიანის საკუთარ სახელად დათა-დათილი და მისი ნაირსახეობანი: სვანურ წერილობით ძეგლებში-დადაუ, დადაში, დადაშილ, დადაშ, დადვანი, დადი; გვარები-დადიანი, დადილიანი, დადისდილი, დადისშვილი, დადისძე, დადიშკელიანი და სხვა.¹ თანამედროვე საქართველოში ძალზედ გავრცელებულია: დადა, დადაშ, დათა, დათალო, დათი, დათან, დათეშ, დათია, დათიელა, დათილი, დათინა, დათუ, დათულია, დოდილი და მრავალი სხვა.² საქართველოში გავრცელებულია აგრეთვე აღნიშნული საკუთარი სახელებიდან ნაწარმოები გვარები: დადაძე, დადეშელი, დადეშქელიანი, დადიანი, დათუნაშვილი, დათაშვილი, დათიბერიძე, დათულიშვილი, დათუნაიძე და ა.შ.³

რა სემანტიკის მატარებელია სიტყვა დათილი?

ადამიანის საკუთარი სახელი დადილი, დათილი სვანურ ენაში ნიშნავს ლამაზს, მშვენიერს.⁴ ასეთივე შინაარსის სახელებიდან საქართველოში გავრცელებულია – ლამაზა, ლამაზო, მშვენიერი, მშვენება და ა.შ. ამავე სახელს შეიძლება მოეძებნოს ახსნა სხვა ქართველურ ენაშიც. მეგრულში დადღალ-ჯაჯღანს, დადულია-პატარა ქათამს, ვარიას

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 502-503.

² ი. ახეუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 853-854.

³ იქვე, გვ. 663 და შემდეგ.

⁴ გ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 189.

პქვია.¹ დათა ხეთურ სამყაროში დვთაების სახელიცაა. ასე, რომ ქაშქურ სამყაროში ადამიანის საკუთარ სახელად მიღებული დათილი, დადილუ ქართველური წარმომავლობისაა და უძველესი დროიდან მოყოლებული არაერთ ქართველ ადამიანს რქმევია.

მკვლევართა შეხედულებით, აღნიშნული სახელი შედგება ორი მეგრული სიტყვისაგან – დადი და ლუ. დადი ნიშნავს ბებიას, ლუ ქართულად იქნება ვარდება. აქ ლუ-ს სხვა მნიშვნელობაც შეიძლება პქონდეს: დადი შემკულია დვთის ნაბოქები მადლით. სიტყვა ლუ ამ შემთხვევაში აღნიშნავს დადის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.²

თ ა თ ა შ თ უ ნ ი ა

მკვლევართა აზრით, სახელი შედგება თათა, შ, თურ და ია ელემენტებისაგან. სიტყვა თათა არის ადამიანის საკუთარი სახელი, ბგერა შ ლაზ-მეგრულად კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია და გვეუბნება ეკუთვნის თათასო. სიტყვა თურ არის გვარი, ხოლო ია მეგრულში გვარ-სახელების სუფიქსია. ამრიგად, მივიღებთ: “თათას გვარისა არისო.”³

მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანის საკუთარ სახელად თათა (თათაშ, თუთაშ, თათარ, თათა, თათე, თათია) და მათგან ნაწარმოები გვარები თათარაძე (თათარაშვილი, თათეიშვილი, თათიკაშვილი და ა.შ.) ძველი დროიდან მოყოლებუ-

¹ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრ., I, გვ. 426.

² ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 304.

³ ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 299.

ლი, დღემდე ფართოდაა გავრცელებული საქართველოში.¹ მეორე ტოპონიმი თურია დამოუკიდებლად განაგრძნობს არსებობას საქართველოში. არის საკუთარი სახელი თურია და გვარი თურია, აგრეთვე თურინავა, თურმანი, თურმანიძე, თურმაგიანი, ტურავა, თურავა, ბაღათურია, ბაღვათურ, თურმანაშვილი და სხვა.

თათაშთურია შეიძლება ნიშნავდეს თათაშ+თურია, მისი ორივე ნაწილი, თითოეული სახელს აღნიშნავს ან თათას მოგვარეს, სისხლით ნათესავს.

ქ ა თ ხ ა ი ღ უ ვ ა

ქათხაიდუვა ქაშქების ქვექნის ერთ-ერთი ოლქის – ტიბიას ქალაქი იყო. ტოპონიმი აიხსნება იმგვარადვე, როგორც ქათხარია. მათ შორის სხვაობა არის ის, რომ, თუ ტოპონიმ გათხარიას დაბოლოება არის მეგრული სიტყვა რია, რომელიც ქართულად ნიშნავს უწესრიგო მოძრაობას, ქათხაიდუვა მთავრდება მეგრული სიტყვით-დუვა, რომელიც ქართულად იქნება – იყო. მივიღებთ შემდეგ სახის შინაარსს: “თხის რქიანი – იყო.” ეს სიტყვა დღესაც მიღებული გამოთქმაა სამეგრელოში.²

სახელწოდების პირველი ნაწილი შეიძლება იყოს იმგვარად ნაწარმოები, როგორიცაა თანამედროვე შეგრული გვარი კართხია. ამ უკანასკნელში რ ბგერა შეიძლება გვიანდელი შეზრდილი იყოს, კათხია-კართხია ხომ ერთი და იგივეა და სრულებით დასაშვებია, რომ ისინი ადამია-

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 510; ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., II, გვ. 683, 844.

² ს. ბადა. დასახ. ნაშრ., გვ. 301-302.

ნის საკუთარი სახელები იყოს, იმ განსხვავებით, რომ პირ-ველ მათგანში ია სუფიქსი გვარის აღმნიშვნელია. რაც შეეხება დაბოლოება ვა (უგ-ა) იგი მეგრულ გვარებს აწარ-მოებს ძველი დროიდან მოყოლებული (შეადარეთ: ქართავა, ქარცავა, ხაფავა, ხურცილავა და სხვა).

აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს წერილობით ძეგლებში გვხვდება პირ-სახელი დივა.¹

სიმეთიღი (ციმეთიღი)

სიმეთიღი ადამიანის საკუთარი სახელია. შეიძლება იგი მომდინარეობდეს მეგრული სიტყვიდან სიმაფა, რაც სმენას, გაგონებას, გავრცელებას ნიშნავს.² თუმცა არაა გამორიცხული, იგი დაუკავშირდეს მეგრულ მარწყვს (ცი-მუა), ან ცვენას, დაცემას (ციმა).³

საქართველოში გავრცელებულ გვარებს შორის საკვლევ სახელწოდებასთან ყველაზე ახლოს დგას ქართული გვარი ციმეთალი,⁴ ციმეთავა, ციმუა და სოფლის სახელი ძიმითი.

¹ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 314.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 597.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 349.

⁴ ო. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 479.

ს უ ნ ა ი ღ ი

აღნიშნული ადამიანის საკუთარი სახელის სემანტიკა, ჩვენი აზრით, უნდა უკავშირდებოდეს სვანურ სუინას (ნათლია)¹ ან მეგრულ სიტყვებს: სუნელ (სულელი)² ან ცუნა-ცუნაფა-ს (დაცობა, ჩამოცმა).³

წერილობითი წყაროებიდან და ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მსგავსი სახელები ყოფილა საქართველოში გავრცელებული: სინელი, სომაილი, სუმაილი, შუნაი, სულა (სულა-კაური).⁴

საუსიღი (შაუშიღი)

ეს ადამიანის საკუთარი სახელიც სვანური საუ – მარხილს ან შაუა – სასარგებლოს, მარგებელს შეიძლება დაუკავშირდეს.⁵

საქართველოში გავრცელებული სახელებიდან ახლოს დგას შაუში, სიოაში, საულოხი, სესილია, შავშელი, ცეცილია, სოსელია. ამ სახელთან ყველაზე ახლოს დგას ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიებული სახელ-გვარი შაუხურიძე. აქედან, უეჭველია, რომ შაუს-ი ადამიანის სახელია, ხოლო უერიძე გვარი. ძეგლში მოხსენიებულ სახელს შუასის თუ ილ ქართული მაწარმოებლით გავაფორმებთ, რო-

¹ ვ. ოთფურია, მ. ქალდანი. დასახ. ნაშრ., გვ. 712.

² ო. ქაჯაიძ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 617.

³ იქვე, III, გვ. 357.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 542, 543; ხ. მაკალათია. თუშეთი, გვ. 91.

⁵ ვ. ოთფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 700, 818.

გორც სხვა ქართულ სახელებშია (გაგილა, ბაბილა, დუდილა, დათილი) მივიღებთ შაუსილი, სწორედ იმ ფორმას, რაც ხეთურ წყაროებშია დადასტურებული. მცირეაზიულ სამყაროდან იმავე პერიოდში ცნობილია, შაუშკა-ციტი (მონა ქალი) სახელის პირველი ნაწილი შედგება ორი ელემენტისაგან: შაუ-შკა (ე. ი. შაუ-ს შვილი), მეგრულში შკა-შკა=შვილს, ხოლო რაც შეეხება შუა-ს შაო-ს (შავი?) იგივეა, რაც საკვლევ სახელში გამოყოფილი პირველი ნაწილისა შაუ-სილი.

თ ი მ ი თ ი

ადამიანის საკუთარი სახელი თიმითი ფონეტიკურად ახლოს დგას გურიის სოფლის სახელთან ძიმითი, ოუმცარა სემანტიკა უდევს საფუძვლად, ამ ეტაპზე ჩემთვის გაურკვეველია. იგი აგებულებით ასევე ქართულ თინა, თამთას-სა და თინათინ-ს მიაგავს. ქაშქური სახელებიდან საკვლევ ტერმინთან ახლოს დგას თიმია, თემია და თემეთი, მათ შორის სხვაობა ით (ეთ) და ია სუფიქსებშია.

აღნიშნულ სახელებში ფუძე თიმ-თემ უნდა იყოს და შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ იგი უკავშირდებოდეს ქართულ ისტორიულ გეოგრაფიულ ცნებას თემ-ი. თემი აღნიშნავს ქვეყნის ნაწილს, მხარეს, კუთხეს, სოფელთა კრებულს. წინარე ისტორიულ ხანაში ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოო საშუალებებს, ძველ საქართველოში განსაკუთრებით მთიანეთში, ერთი გვარის მოსახლეობა.¹ ზუგდიდის რაიონის

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 239.

ტოპონიმიაში სშირია თემ ფუძიანი სახელით გაფორმებული, კერძოდ: თემყვაშ ცხიმური (რცხილა) სოფელ ჭაქვინჯში, თემრაზიშ ნადიხე, სოფელ ტყაიაში, თემრაზიშ სუკი (ფერდობი), თემრაზიშ მუხური და ა.შ.¹

ფ ა ღ ღ უ

ანთროპონიმი შეიძლება მომდინარეობდეს სვანური სიტყვიდან ფალდა, რაც თმაგაჩეჩილს, ბანჯგლიანს შეეფარდება.²

ძველ საქართველოში გავრცელებული იყო ბალ-ფალ ფუძიანი სახელები და გვარები: ბალთა, ფალგოზი, ფალგარიანი, ფალგოზისძე, ფალიანი.³

ქ ა ნ უ

ადამიანის საკუთარი სახელი ქანუ შეიძლება დავუკავშიროთ სვანურ სიტყვას ქან (კანაფს).⁴ ოუმცა არაა გამორიცხული, იგი დაკავშირებული იყოს ქვეშნის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვასთან ქანა.⁵

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 321, 346, 354 და სხვა.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 749.

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 546.

⁴ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 777.

⁵ ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 125.

ძველ საქართველოში გავრცელებული იყო მსგავსი წარმოების სახელ-გვარები: ქონქი, ქონჩალაძე, ხანი, ქანუ, ხანი, ქანცხელიანი, ხანსარი და სხვა.¹

ქ ს ს უ

ეს სახელიც შეიძლება უკავშირდებოდეს სვანურ სიტყვას დაზუ (ბზიკი)² ან მეგრულ სიტყვას ქასლა (ტიკჭორას).³

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელები: ქაზუ, ქასიანი, ქაუზა, ყაზი, ხასი, ქასილა და ა.შ.⁴ თუშეთში დასტურდება ქასივაძე, ქასილაძე, ქაჩუ, ქაციკო,⁵ მაგრამ, მაინც ხეთური ქასუ-ს შესაბამისი ქართული სახელი ქაცო-ქაჩოა. თუშეთის შემოსაზღვრულ ერთ-ერთ მთას ქაჩუ ეწოდება.⁶ ხეთურში ქაჩუ-ქაცუდ ან ქასუდ გადაიცემოდა.

ვ ი ფ უ ნ უ ვ ა

ამ ანთროპონიმის სახელწოდება შეიძლება დაკავშირებულ იქნას სვანურ-ფიფუ-სთან (თოვლის ფთილა),⁷ ან მეგ-

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548, 549; ტბეთის სელთა მატიანე, გვ. 157.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 793.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 129.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548, 549, 559.

⁵ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 9, 172.

⁶ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 9, 41.

⁷ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 760.

რულ ფიჩორუა-სთან (ფართო, ფართოდ დაყრა)¹ ფიჩორუა-ფიჩორი ასე ეწოდება გურიის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეს, რომელიც, როგორც ჩანს, ამავე მეგრულ სიტყვა-სთანაა კავშირში და სემანტიკურად “ფართოს” ნიშნავს. ფიჩორი არის ასევე სოფლის სახელწოდება (გალის რაიონი).

ადამიანის საკუთარი სახელი ფიფურუვა ახლოს დგას იმავე ხეთური წყაროების ქაშქურ ტოპონიმთან ქიფურუვა-სთან. ქაფურუვა პქვია მცენარე სუსამბარს.² სამეგრელოში გავრცელებულია პირსახელი ფუფა, ფიფა, ფიფა და უნდა იყოს ფიფუც.

ქ უ ნ ი ა ღ ი

ადამიანის საკუთარი სახელი ქურიალი შეიძლება დაუკავშირდეს სვანურ სიტყვებს ქურილ (გრდემლი) ან ქორ-ს (სახლი, ოჯახი).³

მეგრულ ენაშიც მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელთაც შეიძლება კავშირი პქონდეს ანთროპონიმთან-ქურიალი: ქურ= 1 კავის ნაწილი, 2 ქუსლი.⁴ ქართულ ენაში წაბლის-ფერ ცხენს პქვია ქურანი.⁵

შუმერულად (უძეველესი ქართველური სამყარო) ქური მთას ნიშნავდა. იქაური კოსმოლოგიის მიხედვით, ქური

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 542.

² ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 563.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 784, 787.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 158.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 458.

დედამიანის ქერქსა და პირველქმნილ ოკეანეს შორის
მოქცეულ სივრცეს ერქვა.¹

ქ უ ნ ა ღ ი

ადამიანის საკუთარი სახელი ქუნალი შეიძლება უკავ-
შირდებოდეს სვანურ სიტყვებს: ქუნ (სული), ლუნ (ხბო)² ან
მეგრულ ქუნას, რაც [და]ხურვას, ჩატმას ნიშნავს.³ ქართ-
ლის მთიანეთში გავრცელებულია ადამიანის საკუთარი
სახელი ხუნა და გვარი ქუნაისძე,⁴ რაც იგივეა ქუნალი, ალ
სუფიქსით გაფორმებული.

ხ ა თ ი ფ თ ა

ხათიფთა ადამიანის საკუთარი სახელია. იგი იყოფა ორ
ნაწილად ხათი და ფთა.

ხათი სატომო სახელია. გვაქვს საკუთარი სახელი ხათი,
ხათა, ხატა, ხატი. ისინი იყენები პროტოქართველები. ფრთა
ქართულ ენაში ფთა-ფრთა ჰქვია ფრინველის საფრენი
ორგანოს გაშლილ ფრთებს.⁵ სახელწოდებაში გამოყოფილი
პირველი კომპონენტი ხათი იდენტურია ადამიანის საკუთარ
სახელში, ხათეფაში გამოყოფილი პირველი ნაწილისა და

¹ ს. კრამერი. ისტორია იწყება შუმერიდან, თბ., 1988, გვ. 191.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 789, 797.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 157.

⁴ რ. თოფხიშვილი. ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I, თბ., 2003, გვ. 109-110.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 448.

ფიახათახილში არსებული ერთ-ერთი ელემენტისა ხათ-ხათა-სი. ხათიფთას შეიძლება სხვანაირი ინტერპრეტაციას მივცეთ: ხათი (სატომო სახელი)+ფ (დინასტია)+ თა (ქარ-თული სუფიქსი).

ქ ა ს ქ ა ი ღ ი

ქასქაილი ადამიანის საკუთარი სახელია. იგი მომდინარეობს სატომო სახელ ქაშქადან. ქასქა იგივე ქაშქა ძირია, ხოლო ილ-ი სუფიქსი. ილ-ი მოგვიანო და თანამედროვე ქართული სუფიქსის ელ-ულ-ალ-ილ-ის იდენტურია და აღნიშნავს კუთვნილებას, წარმომავლობას. იგი აწარმოებს როგორც ქართულ გვარებსა და სახელებს, ისე ტოპონიმებსაც, მაგალითად: არდაშელი, ხიდაშელი, ბიბილა, გიგილი, დადაშილი, დადიშილი, დედილი, დედელი, დუდაილა, დუ-დილი, თანალილი, ენისელი და სხვა მრავალი.¹

თ ა თ ი ღ ი

თავისი წარმომავლობით ადამიანის საკუთარი სახელი თათილი ქართველურია. ეს სახელი და მისგან ნაწარმოები გვარები საქართველოში დღესაც ფართოდაა გავრცელებული. თათილში გამოიყოფა ფუძე თათ, ილ კი, როგორც აღინიშნა, ქართული სუფიქსია, რომელიც აწარმოებდა უძველესი ხანიდან დღემდე ქართულ სახელ-გვარებსა და

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II.

გეოგრაფიულ სახელწოდებებს. თათ ფუძის დაკავშირება შეიძლება ქართულ სიტყვებთან: თათ-ხელით ნაქსოვი ფეხ-საცმელი, თათ-წინდის ნაწილი წვივიდან მუხლამდე, თათ (თათნ) კაცის ტალავარია, თათაულ-თხრილი, დელე და სხვა.¹

საქართველოს ძველ წერილობით ძეგლებში გავრცელებულია ადამიანის საკუთარი სახელი თათი და მისი ნაირსახეობანი: თათა, თათარი, თათარსაუ, თათარყანი, თათაული, თათე, თათია, თამთა და სხვა მრავალი.² დღეს გხევდება: თათი, თათუა, თათილი, თათული, თამთა, ტატო, ტატუ, თადელიშვილი, თათარაიძე, თათარაშვილი, თათეიშვილი და ა.შ.³

თათილის მსგავსი სახელები სხვაც გვხვდება იმავე ქაშქურ სამყაროში, თათი (შქა), დადილუ, დადუ, დათილი და ა.შ.

ტ ი ფ ი ტ ი

ამ ადამიანის საკუთარი სახელის სემანტიკა შეიძლება გაგებულ იქნას ქართული ენის გამოყენებით. ციბალა-უქონელი, ამპარტავანი კაცის მეტსახელია, ციბია-უსახლკარო, დარიბლატაქს აღნიშნავს.⁴

სვანურ ენაშიც მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლის განაც დასაშვებად მიღვაჩნია აღნიშნული ანთროპონიმის

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 242.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 510.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 684, 617.

⁴ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 674.

წარმომავლობა, მაგ. ჩიბ (მაღალი დობე, გალავანი).¹ ანთროპონიმის წარმომავლობა შეიძლება აიხსნას მეგრული ენის საშუალებითაც. ამ შემთხვევაში იგი უნდა დაიყოს ორ ნაწილად ცი (ცია) და ფილი (ფილუ). ფილი (ფილა) ადამიანის საკუთარი სახელია, ხოლო ცია-პატარას სინონიმი. ტერმინის სემანტიკა იქნება პატარა ფილი ანუ პაწია ფილი.

თ ა ფ ა ფ ა ხ ს უ ვ ა

ქაშქურ ტოპონიმებში თაფა (თუ თაფაფა) ელემენტიანი ტოპონიმები სხვაც გვხვდება, კერძოდ: თაფასავა, თაფაფანუვა, თაფალუვა, თახფასარა, თაფურანიფი. მეორე კომპონენტი სხუვა (თუ სუვა) წააგავს ტოპონიმ თავასავა-ში არსებულ ბოლოკიდურ სავას.

ქართულ ენაში თაფ-ტაფობი ადგილია, ე.ო. ვაკე ადგილები ტყეში, თაფთაფანა-ჩსუბი, აურზაურია, ტაფ-ჩაღრმავებული ადგილია, ტაფა-ყურძნის საწნეხი ადგილია და ა.შ.²

თავად ტოპონიმის ფონეტიკური აგებულება ისეთ შთაბეჭდილებას პოვებს, რომ, იგი ადამიანის ორმაგი სახელისაგან უნდა შედგებოდეს თაფა და ფახსუ ან ტაფაფა და სხუვა. თაფა ელემენტი ზუგდიდის რაიონის სოფელ განარჯიის მუხურში დასტურდება წყალშესართავის (აკართაფუ) სახით. სვანეთის წერილობით ძეგლებშიც დასტურდება თაფა, თაბა, როგორც ადამიანის საკუთარი სახელები. მეორე ელემენტი ფახ იგივეა, რაც ხეთურ სამყაროში ცნო-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 837.

² ქართულ კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 244, 508.

ბილი კარტა-ფახ-ას¹ მეორე ნაწილი. მეგრულში ბახა (ფახა) ადამიანის საქუთარი სახელია.²

თ ა ფ ა ფ ა ნ უ ვ ა

ქაშქების ტერიტორიაზე განლაგებულ ტოპონიმებს შორის ხშირია თაფა (ფა) ელემენტიანი სახელწოდებები, კერძოდ: თაფაფასხუვა, თაფურანიფი, თაფასავა, თახფასარა, თაფასფა და სხვა.

თაფაფანუვა შეიძლება შედგება ადამიანის ორი საკუთარი სახელისაგან თაფა (ან თაფაფა) და ფანუვა (ან ნუვა). ვა, როგორც ცნობილია, მეგრული სახელებისა და გვარების მაწარმოებელია. საერთოდ ტოპონიმის სახელი შეიძლება მომდინარეობდეს თაფთაფანა-სგან, რომელიც ალიაქოთს, აურზაურს ნიშნავს. ტაფ-ჩაღრმავებული ადგილია, თაფ-ტაფობი-ვაპე ადგილი ტყეში.³ თაფა, როგორც, ზემოთ აღინიშნა, საკუთარი სახელია.

ქ ა თ ი თ ი მ უ ვ ა

ტოპონიმში, როგორც ჩანს, უნდა გამოიყოს ქათითი და მუვა. ეს უკანასკნელი სხვა სახელწოდებებშიც გამოიყოფა, კერძოდ: ქასქამუვა, ციმუმუვა, ფიდუმუვა, ფისდუმუვა და ა.შ. ხეთურ ტექსტებში მუვა და მუვასა ადამიანის საკუთარ

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 126, 127.

² ვ. ცხადია. სამეგრელოს... გვ. 225.

³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 244, 245.

სახელებად დასტურდებიან.¹ სემანტიკის მხრივ იგი ქართულია, მუვა ქობულეთურ დიალექტში ნიშნავს მოდის. ძველ ენებში ოს არარსებობით მას უ-თი ცვლიდნენ. თუმცა ქართველურ ენებში ოსა და უ-ს მონაცვლეობა გრამატიკული ნორმების მიხედვით დასაშვებია. ასეთ შემთხვევაში მუვა, მოვას გამოხატულება უნდა იყოს. მოვი – საპერანგე აბრეშუმის ქსოვილია. მოვა – აღნიშნავს იქიდან აქეთ გადმოსვლას, გადმონაცვლებას.² მუვა მცირეაზიული დვთაების სახელიც იყო და შეესაბამებოდა ძალას, სულს.³ რაც შეეხება პირველ კომპონენტს ქათი(თი) შეიძლება იგივე ხათის დიალექტური სახესხვაობა იყოს. მცირეაზიულ სამყაროში ქათითი ქალდვთაების სახელია. თავად ქაშქური ტოპონიმები ასეთ ელემენტს შეიცავენ და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ხათები მათ მეზობლად მოსახლეობდნენ ან იქნებ თავად იყვნენ მათი შთამომავლები. ხათ-ქათ ძირიანი ტოპონიმებია: ქათალადუვა, ქათხარია, ქათხაიდუვა, ხათიფთა, ხათენცუვა და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ქათ-ხათ ძირიანი ტოპონიმები ხეთების ტომს კი არა, არამედ ადამიანის საკუთარი სახელს გამოხატავს. ხათ-ქათ ძირიანი ქართული გვარ-სახელებია: ქათვანი, ხათუთა, ხათუთელა, ქიტა, ქეთო, ხატია. ხატული, ხატიძე, ხატონიძე და ა.შ.⁴

ხათ-ქათ ძირიანი ტოპონიმები დღესაც მრავლად გვხვდება საქართველოში. ხათ-ქათ-ხეთ-ქეთ სიტყვებიც ქარ-

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 130.

² ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი, ტ, VI, გვ. 667.

³ Гр. Капанян. историко-лингвистические работы... с. 74-75.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II; о. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II.

თული ენის დექსიკური კუთვნილებაა. მაგალითად: ქათანა-საგანგებოდ გამომგბარი დარაია, ხათა-არყის გამოსახადი.¹

ასღებენა (აშღებენა)

ამ ტოპონიმის სახელი შეიძლება აიხსნას სვანური ენის გამოყენებით. სახელწოდება შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად აშდ და უხერა. პირველი ნაწილი ახლოს დგას – აშდ = ერთი, აშდ = რამდენიმე; აშდ-ფუძით სვანურში 20-ზე მეტი სიტყვა მოიპოვება. მეორე ნაწილი უხერა შეიძლება დაკავშირებულ იქნას უოხარ (ობოლი), უხუირი (დაუნგრუველი),² იმ შემთხვევაში თუკი სახელწოდება წარმოშობილია ერთი სიტყვისაგან, მაშინ იგი შეიძლება დაკავშირებულ იქნას იმავე ენებში არსებულ სიტყვებთან-აშდეუ (მარხავს), აშთხრიაშთხარ, რაც ნიშნავს თხრას.³

ხეთურ წყაროებში მოიხსენიება ვიდაც მონა ქალი სახელად ასდუ [] თუ აშთუ [].⁴ ამ პირსახელის პირველი ნაწილი აშდუ იდენტურია საკვლევ ტერმინში გამოყოფილი პირველი ნაწილისა.

¹ ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი, ტ. 7, გვ. 241-242; ტ.8, გვ. 1316.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 738, 747.

³ იქვე, გვ. 77.

⁴ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 132.

ა ნ ქ უ ნ უ ვ ა

ტოპონიმის სახელი შეიძლება წარმომდგარიყოს სვანური სიტყვისაგან ანკრ (ეჭვი)¹ ან მეგრული ანგარია (შესახედაობა, სახე, ფორმა), ანგარო (ეზოს მწვანე შემოგარენი), ანგურა (აგური, ქვის დიდი კეცი).²

შესაძლებელია, სახელი შედგებოდეს ადამიანის საკუთარი და დინასტიური სახელებისაგან ანქუ (ენქი) და რუვა. თუმცა გამორიცხული არაა, რომ იგი დაიყოს შემდეგნაირად: ან-ქურუვა. ან-ი (ზეცა) და მეგრული გვარი ქურუვა (ყურუვა). მეგრული გვარი ქურია ია სუფიქსითაა წარმოებული, პირსახელია ქური-ქურუ. ამავე მიზეა აგებული ქართული გვარი ქურ-ხული-ი-ც.

ე ნ ხ ი თ ა

აღნიშნული ტოპონიმის წარმომავლობა ქართული ენის მონაცემებით შეიძლება მარტივად აიხსნას და ნიშნავდეს: ერ (ერი, ხალხი, ჯარი) და ხითა (ხათი, ხეთი). სახელწოდების შინაარსი შეიძლება იყოს-ხათის ერის დასახლება. მით უმეტეს, რომ მცირე აზიის ცენტრალური ადგილებიდან ქართველური ტომი ხათი გამოძევებულ იქნა მის განაპირა მხარეებში, როგორც ფიქრობენ ქაშქები შეიძლება ყოფილიყვნენ ხათების შთამომავლები. ეს ტოპონიმი ხომ წარმოშობილია ქაშქების განსახლების არეალში, შეიძლება ლტოლვილი ხათების მიერ. ძველადმოსავლურ პერიოდში, უძველესი ქართული სიტყვისაგან “ერი” არაერთი ტოპონი-

¹ იქვე, გვ. 52.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 186-187.

მის (ქალაქის თუ ქვეყნის) სახელწოდება წარმომდგარა: ერევანი, ერიკյახი, ერიახი, ერიანი, ერიდიანი, ერუხი და სხვა. ხი-შეიძლება ქართველური კუთვნილებით სუფიქსის ფუნქციას ასრულებდეს, თა-ჯი ქართული ტოპონიმების მარტარმოებელია. ასეთ შემთხვევაში ტერმინი ერ-ხი-თა განიმარტება, როგორც “ერის, ხალხის ქვეყანა”, როგორც ერუვანი ქართველური წარმოშობის ტოპონიმი ერ-ევანი II ებანი (შეადარეთ ურარტული ერ-ებუნი) ნიშნავს “ერის ხალხის დასახლებას, უბანს”. უბანი II ებანი II ობანი II ბანი II განი ხომ ქართველურ ენებში უბანს, ადგილს, მხარეს აღნიშნავს.

ურარტულ წყაროებში მოიხსენიება ქვეყანა არხი და ქვეყანა არხუ. პირველი მათგანი მდებარეობდა ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო მეორე ურმიისპირეთში. პირველი მათგანი ერხითას სიახლოებეს მდებარეობდა.¹ მათ შორის სხვაობა მხოლოდ თა სუფიქსია, რომელიც თავისი წარმომავლობით ალბათ ქართველურ სუფიქს თა-ს იდენტურია, მაგალითად: აბუქეთა, მცხეთა, მაწყვალთა, აფხაზეთი და მრავალი სხვა.

რაც შეეხება თავკიდურ ხმოვნებში განსხვავებას (გვაქვს ერთ შემთხვევაში ე, ხოლო მეორეში ა), აქაც დაბრკოლება არ არსებობს, მაგალითისათვის შეადარეთ: მდინარე არაქსის სახელები – არეზი-ერასხი-არაქსი. არხი ძევლქართულში საზღვარს ნიშნავდა. არხი ე.ო. თხრილით შემოსაზღვრული ტერიტორია. არხა-ირხა საზღვარია,² თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სვანურ ენას მოეპოვება მსგავსი სიტყვა ხ-ერხი, რაც ნიშნავს ეხეთქება,

¹ Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 169-172, 219-221.

² Дж. Маккуин. Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с. 170.

ეხლება¹ (შეადარეთ ხ-ერხი II პ-ერხი, ერხი, ერხი-თა). და ბოლოს, მინდა შემოგთავაზოთ ტერმინის სხვანაირი ასხნაც. სამეგრელოში ერა საქმაოდ გავრცელებული ადამიანის (კაცის) საკუთარი სახელია. გვაქვს ტოპონიმები და პიდრონიმები ერაშ ნაწისქვილ, ერაწყარი და ა.შ.² მეორე კომპონენტი ხითა შეიძლება დაუკავშირდეს მეგრულ პირსახლებ-ხითა (ხიტა). აქედანაა მეგრული გვარი თუ სახელი ხიტუა. ერხი ვერხვია, ერხითა-სავერხვე, სადაც გავრცელებულია ვერხვი. თა ჩვეულებრივი ქართული სუფიქსია.

კასულა (კაშულა)

კასულა მდებარეობდა ფალას ქვეყნის მეზობლად, აღმოსავლეთ პონტოს მოებში.³ ტერმინი კასულა შეიძლება აიხსნას მეგრული ენის მონაცემების გამოყენებით. კასილ-კასუა ნიშნავს და-ტენა, და-ტენილი.⁴

ქართულ ენაშიც მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი საკვლევ ტერმინთან დაკავშირებისა, მაგალითად: კაცური (ადამიანური, მამაკაცური),⁵ კოსალა (მელედვია) და ა.შ.

ქართული სახელ-გვარებია: კასიანი, კასანა, კასაბილაი, კასელაძე, კაშია, კასაგიანი, ქასილაძე, ქასივაძე.

¹ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ 217.

² პ. ცხადია. სამეგრელოს... გვ. 111, 393.

³ В. Хачатрян. Восточные провинции хетской империи, Ер., 1971, с.71.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 111.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ 261.

ხათურ-ხეთურ სამყაროში დასახლებული პუნქტების სიაში არის კასაია, რომელშიც იყო მომდევრალი.¹ ხეთურ წყაროებში მოიხსენიება აგრეთვე ქალაქი ქასანა.²

ისფალუპა (იშთალუფა)

ქვეყნის სახელი ისტალუპა (იშთალუფა) შეიძლება წარმომდგარი იყოს მეგრული სიტყვა-ისთაფულა-დან, რაც უარს ნიშნავს.³ წინააღმდეგ შემთხვევაში ტერმინი უნდა დაიყოს ორ ნაწილად იშთა და ლუპა. პირველი ნაწილი უნდა იყოს დვთაების, ამ შემთხვევაში ადამიანის საკუთარი სახელი, იშთაია-ხეთურ-მცირეაზიული დვთაების სახელია⁴ ან იმავე სამყაროში მზის დვთაების სახელი იშთანუ.⁵ რაც შეეხება საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილს ლუპა (ლუბა?) ესეც მეორე დამოუკიდებელი სახელი იყო, როგორიც ლიუბა, ლუბა.

სახელწოდების იშთალუპა-ს წარმომავლობის ახსნის გვაქეს სხვა გარიანტებიც. როგორც, ზემოთ აღინიშნა, მცირეაზიული დვთაების სახელი იშთანუ იგივე უნდა იყოს, რაც იშთალუ(პა). როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში ნ და ლ ერთმანეთს ენაცვლებიან. აქედან გამომდინარე იშთალუ (პა)-ში იშთალუ ან იგივე იშთანუ ფუძედ უნდა გავიაზროთ. ასეთ შემთხვევაში ბოლოკიდური პა-ფა-ს ან ბა-ს შესატყვისი უნდა იყოს. ფა სვანურ და მეგრულ ენაში დინასტიას, ჯილაგს, მოდგმას აღნიშნავს, ხოლო ბა –

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 123.

² ძახიქ, გვ. 170.

³ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 92.

⁴ ძახიქ, გვ. 231.

⁵ იქვე, გვ. 232.

ბაბას, მამას. აქედან გამომდინარე ტერმინის შინაარსი იქნება მზის ლვთაების იშთანუს მოდგმა, დინასტია თუ იშთანუს შვილები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ ენაში იშდუ-წიხლია.

მაშასადამე, ტერმინი იშთალუპა ქართველური ენებიდან გამომდინარე უნდა აღნიშნავდეს, რომ ქალაქი და შესაბა-მისად ოლქის სახელი წარმომდგარი უნდა იყოს ლვთაების იშთაია ან იშთანუს სახელისაგან.

გ ა პ უ პ უ ვ ა

ამ ქვეყნის სახელის სემანტიკა შეიძლება გაგებულ იქნას ქართველური ენების გამოყენებით. ტერმინი უნდა უკავშირდებოდეს სვანურ გაბუ-ს (ხის კარი), გაბუ (ურქო თხა)¹ ან მეგრულ გაფუ-ს, რაც ქონებას, სურვილს ნიშნავს.²

სახელწოდების შინაარსის გამოცნობის გვაქვს სხვა ვარიანტიც. ამ შემთხვევაში იგი უნდა დაიყოს გა და პუპუგა. პირველი ნაწილი შეიძლება ნიშნავდეს გაი-ს. ესაა ქართული ლვთაების სახელი. იგი სამეგრელოში გვხვდება, აგრეთვე როგორც პირსახელი (გაი), ისე ქართლში გვარი უთურ-გაი-ძე. სამეგრელოშივეა ტოპონიმები: გაიშ ფერდი, გაიშ წყურგილი და სხვა.³ რაც შეეხება ტერმინის მეორე ნაწილს პუპუგა იგივე უნდა იყოს, რაც მეგრულში გვარი პაპავა (ქართულია პაპაძე).

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 167, 170.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, გვ. 294.

³ ვ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 307.

ც ა კ უ ვ ა ხ ი ნ ა

ტოპონიმის (ქვეყნის) პირველი ნაწილი ტაქუ შეიძლება წარმომდგარი იყოს სვანური თაკუ-დან, რაც თოვს ნიშნავს.¹ სახელწოდება ქართული ოლქის თაკუერის ფუძის მსგავსად არის ნაწარმოები. ქართული სახელიცაა ტაგუ, თაყა, თაკო, ცაკუ. მეორე კომპონენტი ვახინა, ასევე ქართული სახელია. შეადარეთ: ვახო-ვახინა, დათო-დათანი, ვაშა-ვაშანა და ა.შ.

ც ა ხ ა ნ ც ა პ ი პ ა

მეგრულში ტახანა ხის მოკლე სასროლ ჯოხს ნიშნავს.² თუმცა იგივე სიტყვა ტერმინში ადამიანის საკუთარ სახელს თახან (შეადარეთ ქართული თარხან-ი) შეიძლება ნიშნავდეს. თუკი მეორე ნაწილი ტაპტიპა ქართულ ტიპტიპს (ტიტინს) შეეფარდება, მაშინ ტერმინის შინაარსი იქნება “ტახანიტიპტიპა,” ე.ი. ტახანი ტიტინა (ტიტინი – უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა).³

ქვეყნის სახელის პირველი ნაწილი შეიძლება დაუკავშირდეს სხვა ქაშქურ ტოპონიმებს თახაშთურიას, რომელიც ადამიანის ორი საკუთარი ან ღვთაების სახელისაგან შედგება თახაშ და თურია, და, თახანთარიას, რომელიც შედგება ორი სახელისაგან – თახან და თარია. საკვლევი ტერმინის ფუძე ასევე ზუსტი ანალოგიაა კიდევ ერთ-ერთი

¹ ვ. თოფურია... გვ. 257.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 20.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 420.

ქაშქური ტოპონიმისა – თახანა, რომელიც უმშეველად “თახანას კუთვნილს” უნდა აღნიშნავდეს.

კ უ მ ე ს მ ა ხ ა

მე მგონია, რომ საკვლევი ტერმინი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მათგანი კუმეს იგივე კუმს-ია. იგი ხშირ და მჭიდროდ განლაგებული მარცვლების მქონეს აღნიშნავს, ხოლო მეორე მათგანი მახა, იგივე ენდემური ჯიშის ხორბალია. ტოპონიმის სრული შინაარსი იქნება კუმს(ი)მახა, ანუ ხშირი და მჭიდრო მარცვლების მქონე მახა, თავთავი. შეადარეთ ქართულ ლექსიკონში კუმს, თავთავს.¹

სყანურსა და მეგრულშიც მოგვეპოვება ისეთი სიტყვები, რომლებისგან შეიძლება აგვეგო ტერმინის შინაარსი, მაგალითად: კუმა-ოჯახი, კომლი, კუმა-კვამლი, კომლი.²

საქართველოში გვაქვს კუმესა და მახასთან დაკავშირებული ტოპონიმები: კუმისის ტბა, კუმიშა (სათესი), სოფელი მახო, მახარიაშ დალი, მახარიაშ უბანი, მახაის ფონი, მახას ტბა, მახაროული და სხვა მრავალი.³

გვაქვს საკუთარი სახელებიდან მახა და კუმე ელემენტებიდან წარმოებული გვარები, კერძოდ: მახა-მახაძე, მახარა-მახარია, მახო, მახათაძე, კომახიძე, კომსიძე, ქუმსიშვილი და ა.შ.

სხვათა შორის თავად ქაშქურ სამყაროში მახა სახელი ხშირად მეორდება, მაგალითად: მახა-უშა(უჩა), ისქა-მახასა

¹ იქვე, 272

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. დასახ. ნაშრ., 352; ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 165.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 309; ო. სიხარულიძე. მახალები გურიის... გვ. 77, 95, 112, 127.

და ა.შ. ურარტულ სამყაროში კი გუმე ელემენტი, კერძოდ კუმე, უკუმენი, კუმუხი.¹ ჭანეთში, რომელიც საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა და ლაზ-მეგრელები ამჟამადაც მოსახლეობენ, გვაქვს ტოპონიმი-კუმ-ხალა. ორივე ელემენტს პარალელები ეძებნება როგორც ქაშქურ-აბეშლურ სამყაროში, ისე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე.

ისხუფითა (იშხუპიცა)

იშხუფითა ქაშქების ქვეყნის ერთ-ერთი ოლქი იყო. მისი ადგილმდებარეობა უცნობია.

ტოპონიმი იშხუპიტა ხეთურ წყაროებში ჩნდება ტარახნას (დარახნა) მარიშტას, კატაფას, ხანხანას, ხატენას, თურმიტას, ფალას, ტუმანასა და სხვა გეოგრაფიული ერთეულების დასახელების გვერდით.² შესაძლებელია ეს ქვეყანა მდებარეობდა ერზინჯანის დაბლობზე. აქ ხალდის დაბლობზე მდებარეობდა ქვეყანა ბალა, ეს იგივე მოგვიანო წყაროების დაიაგნის ოლქი ბალთუა³ და კარგად ცნობილი ტუმანა-დომანას რაიონებთან ახლოს.

ტოპონიმის სახელწოდება შესაძლებელია მომდინარეობდეს სვანური სიტყვებიდან: იშხეფი (იკერავს), იშხბი (იკერება), იშთხუ (წიხლი), იშხი (იწვის).⁴ თუმცა გამორიცხული არაა სხვა ქაშქური ტოპონიმების მსგავსად საკვლევი ტერმინი დაიყოს იშხუ და ფითა ნაწილებად. ფითა-ფითაია მეგრული გვარსახელია. სოფელ კორცხელში

¹ ВДИ, 1951, №2, с. 313, 349.

² Н.В. Арутюнян. Бианини (Урарту), с. 412.

³ ს. გოგიტიძე. დაიავნი-დაოთხი, ბათ., 2006, თავი ბალთული.

⁴ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 317, 743.

(ზუგდიდის რაიონი) გვაქვს ტოპონიმი ფითაიაშ წყარი (წყარო). ფათანი მთაა ჩხოჭურის სათავესთან (ზოვი).¹ ურარტულ სამყაროში არსებობდა ქალაქი ფითურე.² პიტა-ადამიანის საკუთარი სახელია, მისგანაა წარმოებული ქართული გვარები პიტაური, პიტაშვილი, გვაქვს ფითურია.³ ფითათი გვაქვს, როგორც პირსახელი მცირე აზიული სამყაროდანაც.⁴

იშხუს სემანტიკა ძნელი გასარკვევია. იგი შეიძლება გამომდინარეობდეს მეგრული უშხუ ან სვანური იშხი-დან, რაც ნიშნავს იწვის. სხვათაშორის ისტორიულ საქართველოს მხარეში ტაო-კლარჯეთში აღინიშნება სოფლის სახელად იშხიბალი,⁵ რომელშიც აშკარად იშხი გამოიყოფა, ბალა ან ლვთაების სახელია ან ბა-შვილია, ალ ქართული სუფიქსი. ტოპონიმს აშკარად ქაშქურ-ხაიასური ელფერი დაჰკრავს.

ბ უ ფ უ პ ა

ქალაქის სახელი შეიძლება მომდინარეობდეს სვანური ან მეგრული სიტყვებისაგან. მეგრული ხუტუაფა თითქმის ზუსტი პროტოტიპია საკვლევი ტერმინისა, რომელიც [ჩა] ხუტებას ნიშნავს.⁶ იქნებ ტოპონიმის სახელწოდება მომდი-

¹ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 2003, გვ. 134; პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 184.

² ВДИ, 1951, №2, с. 292.

³ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 133, 166.

⁴ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.125.

⁵ ო. თურმანიძე. საადგილმატულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წწ.), ბათ., 2009, გვ. 176.

⁶ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 587.

ნარეობდეს ქართული სიტყვისაგან ხუტება-ჩახუტება, გულში ჩაკვრას, ჩაკონებას, ჩახვევას აღნიშნავს.¹ რაც შეეხება სვანურ სიტყვას ხუიტე-ხუტე (წყვეტს, ხოცავს, უდლებს),² იგი ნახმარი აქვთ ურარტუს მეფეს არგიშტი I-სა და სარდური II-ს თავიანთ წარწერებში, რომლებიც თანამედროვე მკვლევარებს უთარგმნელად აქვთ დატოვებული.³ ურარტული hututuhi და სვანური ხუტე-ხუიტე ერთი და იგივე ძირის მატარებელი სიტყვებია.

სამეგრელოში გავრცელებულია პირსახელები: ხუტა, ხუტუ, ხუტუშა, ქუთუ, გუთუ, ხიტუა.⁴

კასიპა (ქაშიბა)

აღნიშნული ტოპონიმის სახელწოდება შეიძლება წარმომდგარი იყოს სვანური სიტყვისაგან კას (ქვა, კერია).⁵ იმ შემთხვევაში თუკი ბოლოკიდური პა, ფა-ს შეეფარდება, მაშინ შეიძლება ქალაქის სახელის შინაარსი წარმოვადგინოთ როგორც კას-ების (ქაშების, კასკების) ტომის, ქალაქის დინასტია, შთამომავლობა.

ფუძით მსგავსი ტოპონიმი ხეთურ წყაროებში სხვაც მოიპოვება, მაგალითად კასაია.⁶ ამ შემთხვევაში ფა სუფიქსს ცვლის მეგრული სუფიქსი ია, რომელიც ძველი დროიდან მოყოლებული აწარმოებს მეგრულ გვარებსა და

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 480.

² ვ. ოთვურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 878

³ ძახიქ, გვ. 281, 283, 286.

⁴ პ.ცხადაია. ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 281, 296; პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 275, 352, 353.

⁵ ვ. ოთვურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 341.

⁶ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.122.

სახელებს. ხეთური წყაროების ტერმინი კასიპა-ქაშიპა შეიძლება ქართული ქაშიბას (შეადარეთ ქაშიბაძე) ან მეგრული ქაციბას (შეადარეთ ქაციბაია) გადმოცემა იყოს.

ტ ა გ ა პ უ ნ ა

საკვლევი ტერმინი შეიძლება ორი ნაწილისაგან შედგებოდეს – ცა და გაბურა. ქართველურ ენებში ცა – იგივეა, რაც ცა, ზეცა. მეგრულში ცა – თხაა. ტოპონიმის მეორე ნაწილი შეიძლება სვანური ენის გამოყენებით აიხსნას, მაგალითად: გაბუ-გაბორ (გადაბერებული ხარი), გაბურ (ქურდი).¹ თუკი მისი პირველი ნაწილი წარმომდგარია სვანური წაი-დან (მჭლე),² მაშინ ტოპონიმის სემანტიკა წარმოდგება: „მჭლე, გადაბერებული ხარი“. იმ შემთხვევაში თუ სახელწოდება ერთი სიტყვაა და ურ-ი სუფიქსია, მაშინ იგი უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვისაგან წაგაბ, რაც წაგებას ნიშნავს.³ საერთოდ ტოპონიმის სახელი შეიძლება ახლოს იდგეს მეგრულ გვართან – ცაგურია.

თ ა ღ მ ა ღ ი ა

ტოპონიმის სახელი შეიძლება იყოფოდეს ორ ნაწილად – თალ და მალ; ია კი მეგრული გვარების მაწარმოებელი სუფიქსია. თალ შეიძლება უკავშირდებოდეს მეგრულ თარ-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 163.

² იქვე, გვ. 851.

³ იქვე, გვ. 850.

ს (მთავარი, საღი)¹ ან სვანურ თაღ (სოლი)²-ს; მაღ - მელა-ს. ქართულ ენაში მაღ-სწრაფი, მარდია, მაღ-ხიდის ბურჯებს შორის მოქცეული არეა, მაღა - ხერხემლის შე-მაღგენელი ცალკე ძვალია.³

საკაოდ სარწმუნო, ჩანს, ქვეყნის სახელში თაღმაღია-ში მაღია ხეთური ღვთაების სახელი მაღია იმაღებოდეს. მაღიას მსგავსი სახელით ტოპონიმები მიმოფენილი იყო ურარტუ-მანას მსარე: მაღია, მაღი, მაღაუ, მაღანუ, უმაღია. მაღა ერქვა მდინარე ევფრატსაც, ალბათ თავისი სისწრაფის გამო. მელიდის მფლობელსაც სულუ-მაღი ერქ-ვა და ა.შ.⁴ მაღი ქართულ ენაში ნიშნავს ჩქარს, სწრაფს (შეადარეთ “მაღხაზო მაღი ფრთიანო”). მაღი (მაღითა-მაღთაყვა) ასე ჰქვია მდინარესა და სოფელს გურიაში, მა-ღიმია (მაღამია) ღელეა ზუგდიდის რაიონში. საქართვე-ლოს ისტორიულ მხარეში ჭანეთშია: მაღმინა, მაღპეტი, მაღთაფა.⁵ ენგურის ტოტს ჰქვია მაღე, მაღი წეარი-სწრაფი მდინარე. მეგრულად მაღე - მავაღია, მიმდინარე, დაერქვა სწრაფი დინების გამო.⁶

ხეთურ წყაროებში დადასტურებულია ისეთი ტოპონიმე-ბი, რომელთა შემადგენლობაში მაღ ელემენტი გამოიყოფა, კერძოდ: მაღატია, მაღითა, მაღიტას-ჭურია.⁷ მაღ ფუძიანი სახელ-გვარები დასტურდება, აგრეთვე ძველქართულ წერი-ლობით ძეგლებსა და თანამედროვედ: მაღა, ამაღია, მაღ-ე-

1 ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, II, გვ. 37.

2 ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 257.

3 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 281; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 572.

4 И.М. Дьяконов. АВИИУ. – ВДИ, 1951, №2, с.310, 317, 322, 388.

5 ი. სიხარულიძე. ჭანეთი, II, გვ. 18, 35, 60; მიხივე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), გვ. 154.

6 ვ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს... გვ. 91.

7 Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.166; ძახიქ, გვ. 168.

და, მალატეში, მალვა, მალხინა, მალაია, მალაზონია, მალაკელიძე, მალაჭმაძე, მალია, მალიავა, მალიძე, მალთავა, მალაშხია, მალახიძე, მალქაშანიზე, მალაღურიძე, მალანია, მალაქია, მალიჩავა და სხვა.¹ ლაზეთის მეფის სახელი მალასა თუ მალაცა (მალაცია), რომელიც მოღვაწეობდა ას. წ. 130-იანი წლების ახლო ხანებში.² შეადარეთ ქართული სახელები მალასი, მალაცი და გვარები მალასიძე, მალაციძე,³

რაც შეეხება ტოპონიმის პირველ ნაწილს თაღ-ს ესეც ქართველური წარმომავლობისაა. საქართველოში ძველი დროიდან გვხვდება ანთროპონიმები: თაღი, თაღიკო, თანი, თაღაყვაძე და სხვა.

ქართულ ენაში თაღ-ი ნიშნავს რგინის სალტეს, თაღანალია, თაღია-ერთხანს, ერთ წამს.

ქაშქური ტერმინის თაღ-მალია-ს იდენტური სახელ-გვარი საქართველოში რამდენიმე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს: თაღი მალიძ.

თ ა ფ ა ღ უ ვ ა

აღნიშნული ტოპონიმის სახელი შეიძლება მომდინარეობდეს ქართული ფათალო, რაც სუროს აღნიშნავს, ფათარი – ოროვანდს, ფათარო – შეუსვენებლად მუშაობას.⁴ ფათალი-ფათალა ადამიანის საკუთარი სახელია, ფათალია

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 523; ი. ახუაშვილი. დასახ. ნაშრ., II, გვ. 716.

² თ. ყაუხხიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, გვ. 158.

³ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 100.

⁴ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 532.

მეგრული გვარი. ოუმცა არაა გამორიცხული აქ თა-იგივე მეგრული თი (ოჯახი, სახლ-კარი) იყოს, ფალუგა კი გვარი (შეადარეთ ფადავა). ასე, რომ ტრპონიმის შინაარსი იქნება “ფალუგას ოჯახი.” ოუმცა ფალუგაში არსებული ფალუ-ფილუ ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება საქართველოში, უფრო მეტად სამეგრელოში, აქვე გვაქვს ამ პირ-სახელიდან ნაწარმოები მიკროტრპონიმები: ფილუშ დიხა, ფილუშ ნოხორი, ფილუშ ტყა, ფილუშ დალი და სხვა მრავალი. ოუმცა ფალუ-ფილუს სემანტიკა ისეთივე იყოს, როგორიც იქნა გვერდით მდებარე ქავენის სახელი ფალაბალა.¹ ბალთა სვანურში ნაჯახს აღნიშნავს და შესაბამისად იგი ადამიანის საკუთარი სახელიცაა. ხეთურ წყაროებში მოხსენიებულია უძველესი ქართული ქვეყნის საიასას (ჰაიაშა) დათაქბა ბალტიკი.)²

თაფა თუ თაფალა ძირიანი ტოპონიმები საქართველოში დღესაც გვხვდება, მაგალითად, თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე, ნიგალში – თაფალარი, ჭანეთში – თაფა, მალ-თაფა და სხვა. ქართულში თაფ – ტაფობი ადგილია, ტაფ – ჩაღრმავეული ადგილი, ტაფა – ბუხრისხირა ქა, ტაფა – ყურძნის საწნევის ნაწილი, ტაფა – მარხილის ნაწილი. გვაძვს ქართული სახელი თაფა, თაფუ და სხვა.

o s b s b s

ტოპონიმის სახელი შეიძლება მეგრული სიტყვიდან ტა-
ხანა (ხის მოკლე სასროლი ჯოხი) მომდინარეობდეს.³ ასევე

¹ ს. გოგიტიძე. დაიაქნი-დიაოხი, იხ. თავი: ქვეყანა ბალთულის, გვ. 109-120.

² Я.А. Манандян. О некоторых... с. 102.

³ օ. յաջաօձ. մյցրով-յարովով լցվելու օրինակությունը, III, զ. 20.

დასაშვებად მიგვაჩნია თახანა (იგივე თარხანა), თაყა (თაყანა) ადამიანის საკუთარი სახელთან იყოს დაკავშირებული.

თაყანა-თახანასთან დაკავშირებული ქართული გვარებიც მოგვეპოვება. თახაშვილი, თაყანაშვილი, თაყნიაშვილი, თაყალძე, თაყაშვილი და ა.შ.¹

თ ა ხ ფ ა ს ა ნ ა

ტოპონიმის სახელწოდება თახფასარა იმგვარად არის ნაწარმოები, როგორც სხვა ქაშქური ტოპონიმები: თაფაფახესუვა, თაფაფანუვა, თაფასავა, თაფალუვა და სხვა.

თახფას (თაპბა, თაბა) მსგავსი სახელები და გვარები ძველი დროიდან მოყოლებული ფიგურირებს წერილობით ძეგლებში: თაბა, თაბაი, თაფუ, თახუ, თაჯუ, თაქა და ა.შ.² თანამედროვე ქართულ გვარ-სახელებშიც გვაქს მსგავსი ანთროპონიმები: თაბაგარი, თაკა, თაკალა, თაყა, თაკაშვილი, თაქთაქიშვილი, თაყალძე, თაყაძე და ა.შ.³

თაფა ქართულ ენაში მიწის ქრილი, ბორცვი, გორაკია ველზე.⁴ იქნებ თახ-თაღია, რაც შეეხება მეორე კომპონენტს სარა-ს, მასაც მოექებნება ქართულ ენაში ახსნა. სარა-სარი-სარ ნიშნავს წვრილ ხეს ვაზის, ლობიოს და სხვათა შესამარტებელს.⁵ გვაქს საკუთარი სახელი სარა, სარაი, სარდალა და ა.შ. გვარები: სარავა, სარალიშვილი, სარალიძე, სარაძე, სარაული და ა.შ.⁶

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 685.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 510-511.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 682-685.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 238.

⁵ იქვე, გვ. 394.

⁶ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 750.

თ ე ბ ი ა

სახელწოდება თემიაში თემ-ძირისა და ია-სუფიქსის გამოყოფა შესაძლებლად მიგვაჩნია. თემ (ტომ-თომ) ქართველურ ენებში ოღქს, კუთხეს, მხარეს აღნიშნავს.¹ ია-სუფიქსი კი მეგრულ გვარ-სახელებს აწარმოებს. ქართულ წერილობით ძეგლებში თემ ფუძიანი სახელები და გვარები მოგვეპოვება: თემო, თემნა, თემური, თემირყანი, თემირი, ტემრაზი, თემოროზი.² თავად ქაშქურშიც გვაქვს თიმია, რომელიც შესაძლებელია იგივე იყოს, რაც თემია. იხილეთ თიმია. თემი, რომ საკუთარი სახელია ამას ადასტურებს თემ-რაზის აგებულება, სადაც რაზი პირსახელია (შეადარეთ რაზიკაშვილი). 6. ჩუბინიშვილის ლექსიკონის მიხედვით, თერმია არის ხანდური (ცერცვი).³ ლ. ისარლიშვილის გადმოცემით, პაფლაგონიაში აქამდეა შემონახული ქართული ტოპონიმები, მათ შორის თემი.⁴ ამ უკანასკნელსა და თემიას შორის განსხვავება მეგრულ სუფიქსში ია-ში გამოიხატება, რომელიც აწარმოებს ტოპონიმებსა და გვარებს.

სამეგრელოში თემ ფუძიანი ტოპონიმები მრავლადაა: თემრაზიშ ნადირე, თემყვაშ ცხიმური, თემრაზიშ მუხური და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ თემრაზი რთული სახელია და იგი უნდა დაიყოს თემ და რაზი. თემ ელემენტს სამეგრელოში უნდა ეპოვებოდეს შესაბამისი სახელი თემია, თემრაზი, ხოლო გვარი უნდა იყოს თემყვა, თემრაზია) შეადარეთ გელეყვა, როყვა, კარტოზია, შეროზია და ა.შ.).

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 260; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 239.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 511.

³ 6. ჩუბინიშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 232.

⁴ Л.С. Исацлов. Письмо о Грузии, Тиф., 1899, с. 246.

ამრიგად, თემია არის მეგრული წარმომავლობის გვარ-სახელი, სახელიდან თემ, თემო, თემურ და ასევე მეგრული ია სუფიქსით გაფორმებული.

თ ა ფ უ ნ ა ნ ი ფ ი

ტერმინი შეიძლება წარმოდგება სვანური სიტყვებიდან თაბუ, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1 ბოდიში; 2 თანხმობა.¹ ქართულ ენაში თაფა არის მიწის ქრილი, ბორცვი კელზე.² ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ სახელწოდება განიმარტება, როგორც “თავაზიანი მოსახლეობა,” ან გორაკზე, ბორცვზე მცხოვრები.

გვაქს მეორე ვარიანტიც: თაფურა შესაძლებელია ქართული სიტყვაა და იგი მომდინარეობს თაფხურა-დან (შეადარეთ: თაფხურა-თაფჟურა-თაფურა), რაც შეესაბამება თასმას, რომლითაც ურმის ხელნებია მიმაგრებული ცხენის, სახედრის ზურგზე დადგმულ თაფხუნზე.³

მესამე ვარიანტის მიხედვით, თაფურანი შეიძლება იყოს ადამიანის საჯუთარი სახელი, ხოლო ფი(ფა) მოდგმა, დინასტია, შთამომავლობა. აქედან გამომდინარე სახელწოდების შინაარსი იქნება: თაფურანის მოდგმა, შთამომავლობა, ე.ი. ქალაქში ცხოვრობდა თაფურანის მოდგმა, შთამომავლობა. როგორც ჩანს, თაფურანიფი ორი ნაწილისაგან შედგება, თაფუ-ადამიანის საჯუთარ სახელადაა დადასტურებული სვანეთის წერილობით ძეგლებში.⁴ აქვეა დადასტუ-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 258.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 238.

³ იქვე.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 511.

რებული გვარი რანდლიანი რომელიც რან-რანდ-რანდელი-დან მომდინარეობს.

ტოპონიმის შინაარსი მეგრული ენის გამოყენებითაც აიხსნება. ამ ენაში თოფურ-თაფლია.¹ ან-ი ქართველური საკუთარი სახელებისა და ტოპონიმების მაწარმოებელი, ხოლო ფი (ფა) მრავლობითობის ნიშანი ან გვარი, მოდგმა, დინასტია. ტერმინი განიმარტება, როგორც “თაფლის მწარმოებელი გვარი.” შეადარეთ მეგრული გვარი თოფურია.

ი ა ბ რ ე ს ა

როგორც ჩანს, ტოპონიმის სახელი მომდინარეობს ბოტანიკური ბირკავადან, რომელსაც მეგრულში იახსარ-ი ეწოდება.² ს. მაკალათია თუშეთში, დართლოში აღნიშნავს იახსარის ძლიერი ხატის არსებობას, რომელიც ჯიხვის რქებით იყო შემკული.³ ქართული გვარია იაქაშვილი, ალ-ბათ იაქა-იახა პირსახელიდან.

ი ს ქ ა მ ა ბ ა ს ა

სახელწოდება შეიძლება დაიყოს რამდენიმე ელემენტად ი-სქა(ჰქა)-მახა-სა. თუმცა მახა-სა ერთი სიტყვა უნდა იყოს, როგორც მისი მეზობელი ქალაქის სახელი მახაუსა, თუკი, რა თქმა უნდა, იგი მახა-უს-ა-დ არ იყოფა. ამ შემთხვევაში ი-არის პრეფიქსი, სქა-სკა მეგრული შუა, ხოლო მახა-

¹ ი. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 63.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 82.

³ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 221.

ენდემური ჯიშის ხორბალი, სა(შა) კი ჩვეულებრივი სუფიქსი, რომელიც არაერთ მეგრულ-სვანურ ტოპონიმს აწარმოებს. მაშასადამე, აღნიშნული ტოპონიმის სახელწოდების შინაარსი იქნება ის, რაც ხორბლის ”მახას შუა” (ადგილზე მდებარეობს).

შეიძლება საკვლევი ტერმინი აიხსნას შემდეგნაირადაც. მისი პირველი ნაწილი ისქა უახლოვდება ასქა (სეფა)-ს, ხეოურ ლვთაების სახელს და იყოს შესაბამისად ადამიანის საკუთარი სახელი. რაც შეეხება მეორე ნაწილს მახა-სა(შა) ესეც საკუთარი სახელი უნდა იყოს მახა-მახო ქართულის მსგავსად, ხოლო სა(შა) კუთვნილებითი სუფიქსი. ამ კვლევის თანახმად სახელწოდების შინაარსი იქნება: ისქა-მახა-შვილი, ე.ო. ისქა მახასას შვილი.

მ ა ხ ა უ ს ა

როგორც ჩანს, მახაუსას ძირი სვანურ სიტყვას მაყაუ-ს უქავშირდება, რაც შიშს ნიშნავს.¹ ოუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მახა მეგრულში გამხარებელს, მახარობელს აღნიშნავს. ამავე ენაში მახა-ზოოლოგიური ბოსტანაა.² საერთოდ მახა-ხორბლის უძველესი ჯიშია ქართველურ ენებში. შეადარეთ ქართული სოფლის სახელი მახო, ტომის სახელი მახორონები, სახელ-გვარები მახარე, მახო, მახა, მახაური, მახარაძე, მახაძე, მახარია და ა.შ.

რაც შეეხება საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილს (უსაუშა), ისიც ადამიანის საკუთარი სახელის იდენტური უნდა

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 552.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 234.

იყოს. უჩა მეგრულში შავს ნიშნავს. აქედანაა პირსახელი უშა, უჩა და მათგან ნაწარმოები ქართული გვარსახელები.

კ ი თ ა

მეგრულ ენაში ლიტე უგემურს ნიშნავს.¹ ლითა-ლითანი ძველქართულში ადამიანის საკუთარი სახელიც უნდა ყოფილიყო; ამის დასტურია ქართული გვარი ლითანიშვილი. შესაძლებელია ლითადან მომდინარეობდეს საქართველოს ურარტული ხანის ქალაქის სახელი უ-ლთ-უზ-ა-ო-ლთ-ის-ი.² შეადარეთ ასევე კოდორის ხეობაში ქართული სოფლის სახელი – ლათა. ადამიანის საკუთარი სახელიცაა ლატა სამეგრელოში.

მ უ თ ხ ა რ ი

ტოპონიმის სახელწოდება შეიძლება სვანური მუთხუა-რი-დან (ბოტანიკური მეაუნა) მომდინარეობდეს. ოუმცა შესაძლებელია იგი წარმოშობილი იყოს ორი ადამიანის საკუთარი სახელის შერწყმის შედეგად: მუთი და ხალი. მეგრულში ხალა – შობის, გაჩქინის სინონომია, ღალა-წაღების.³ შესაძლებელია საკუთარი სახელი მუთხალი მეტაოუზისის გზით იყოს წარმოშობილი ქართული სიტყისაგან-მუხთალი, რაც გაუტანელ, ცრუ, ვერაგ მოღალატეს ნიშ-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 195.

² ს. გოგიტიძე. დაიავნი-დიაოხი, იხ. ქვეყანა ულოუზა.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 323, 383.

ნავს.¹ ოუმცა გამორიცხული არაა, იგივე სიტყვების თავ-დაპირველი მნიშვნელობა იყოს უძველესი ტერმინი მუთხალი. ოუთხალია ერქვა ხეთების მეცეს. მუთი დაფიქსირებულია ხეთურ წარწერებში როგორც ქართველური ქვეყნის ხაიასა-აცის დიდებული კაცი.² მითა ერქვა აგრეთვე მუშქებისა და ფრიგის მეფეებს, რომელთა მოსახლეობაც ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი იყო.

დღეს საქართველოში გავრცელებული სახელ-გვარებია: მუთა, მუჩა, მურთა, მუთიძე, მურთაზი და ა.შ. მეორე ნაწილის ხალის დაკავშირება შეიძლება მეგრულ პირსახელ ხალისთან, ხალიბი-სთან, სატომო სახელ ხალიტუ, ხალიბი-სთან და ა.შ.

ს ა ღ უ ფ ა

ქალაქის სახელი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სვანურ სიტყვასთან სადუ-სადენი მიწის ქვეშ.³

ქართულ ენაში სადო (სადუ) სასისხლო გადასახადია.⁴ რადგან ფა (ბა) ქართველურ ენებში დინასტიას, მოდგმას აღნიშნავს, ამიტომ ტოპონიმი უნდა განიმარტოს: სასისხლო გადასახადის ამკრეფის მოდგმა ან რადაც ამდაგვარს უნდა ნიშნავდეს.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 344.

² Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы к начальной истории армян, Еր., с. 74-75.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 698.

⁴ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 461.

ს ა ღ ა

ტოპონიმის სახელი შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ (რაჭულ) სიტყვას სალდა-ს (ბალახოვანი მცენარეა),¹ მეგრულ ცალ-ს (ცელი), სალ (სოლი).²

ქველქართულ წარილობით ქეგლებში დასტურდება ადამიანის საკუთარ სახელად სალი და საილა, მათგან ნაწარმოებია გვარები: სალგაძე, სალითაძე,³ დღეს საქართველოში გავრცელებულია სახელი სალა და გვარი სალაძე, სალამაისძე, სალარიძე, სალიქვაძე, სალიდაისძე, სალია, გვასალია, სალუა, სალვარიძე და სხვა.⁴

იმ შემთხვევაში თუკი ტოპონიმის თავიდური ბგერა ს-შ-გადმოცემაა, მაშინ შალა შეიძლება მომდინარეობდეს ქართული შალისაგან (მატყლის ქსოვილი) და სხვა.⁵ გვაქვს საკუთარი სახელები შალა, სალა, შალია, შალაბერი, შალგა, შალიბა, შალიკო, შალო და ა.შ. მათგან ნაწარმოებია გვარები: სალია, შალაისძე, შალამბერიძე, შალაური, შალაშვილი, შალალაშვილი, შალიკაძე და სხვა.⁶

საქართველოში გავრცელებულია სალა ძირიანი ტოპონიმები: სალანქრია, სალიბაური და ა.შ.⁷

¹ რაჭული დიალექტის ლექსიკონი, გვ. 92.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 572; III, 341.

³ სვანეთის წერილობითი ქეგლები, II, გვ. 540.

⁴ ი. ახვაშვილი. ქართული გვარ-სახელები, გვ. 749.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 619.

⁶ ი. ახვაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 783, 873.

⁷ ი. სიხარულიძე. მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 178.

ს უ ნ უ ფ ა ს ი

სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს მეგრულ ცუნაფას, რაც შესობა, შერჭობას აღნიშნავს, ან იმავე ენაში ცუნაფა – დაცობა, ჩამოცმა.¹ ოუკი ტერმინი წაიკითხება ამგვარად, სუნუფაში შეიძლება დაიყოს სუნუ-ფა-ში, სადაც სუნუ საკუთარი სახელი, ფა-მოდგმა, დინასტია, ში – კი კუთვნილებითი სუფიქსი უნდა იყოს. მაშასადამე, სახელის სრული შინაარსი იქნება სუნუს გვარისშვილი, სუნუს მოდგმისა.

უ ფ ა ს ი დ ა

ქალაქის სახელი შეიძლება დაკავშირებულ იქნას სვანურ სიტყვასთან „უფშიდა-უფშდა=გაუკრეპელი, გაუპარსავი,² ან მეგრულ სიტყვასთან პქონდეს კავშირი უფასე=უფასო. იმ შემთხვევაში ოუ ტერმინში უ II ო პრეფიქსს წარმოადგენს, მაშინ ფუძე ფასიდა შეიძლება ქართულ სიტყვებს ფასტაო-ს სააგურე მიწის გასაშლელი ადგილი, ან ფასტა-დაღერდილ ფეტვს, ლომივით მოხარშულს აღნიშნავს.³

უფასიდა, რომ ქართველურია, ისიც მოწმობს, რომ მდინარე ფასისს (რიონი) სათავე ფასის მთაში⁴ აქვს, და, რაც მთავარია მდინარესაც და ქალაქ-ფოთისაც ფასისი-ფასიდი ერქვა. ასე უწოდებს მას არაერთი ბერძნული, რომაული და

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, გვ. 357.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 733.

³ ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი, VII, გვ. 40.

⁴ ო. ფაუხენიშვილი. საქართველოს ისტორიის ძეველი ბერძნული წყაროები, გვ. 24.

ბიზანტიური წეარო.¹ ფასიდ დამოკიდებულია სახელწოდების სვანურ ფორმაზე ფაშდ.² ფასიდი II ფასიდა იგივეა, რაც პრეფიქსიანი ფორმა უ II ო – ფასიდა, უფასიდა, ოფასიდა. იმ შემთხვევაში თუპი ფუძედ ფასის მივიღებთ, მაშინ ფასიპიროვთორი ცხვარია.³ აქედან გამომდინარე, ტოპონიმის შინაარსი იქნება, როგორც პიროვთორი ცხვრის სამყოფელი მხარე.

თ ე მ ე თ

ადამიანის საკუთარი სახელი, შეიძლება იყოს სვანური წარმომავლობის, რადგან იგი უახლოვდება ამავე ენაში შემონახულ სიტყვას თემერ-მკითხავი.⁴ აქედან გამომდინარე ტერმინი თემეთი თითქოს აიხსნებოდეს, როგორც მკითხავი.

ქართულ ენაში თემი ნიშნავს თემს, ოლქს, მხარეს.⁵ მსგავსი ფუძით ნაწარმოები სახელები სხვაც მოიპოვება ქაშქების ტერიტორიაზე, კერძოდ: თიმია, თემია, თიმითი და შესაძლებია სხვაც. სამეგრელოში, ზანთა მოდგმის ერთ ნაწილში გვაქვს ტოპონიმები: თემრაზიშ ნადიხე, სოფელი ტყაია; თემრაზიშ სუკი, სოფელი ცაცხვი; თემრაზიშ მუხუ-

¹ Страбон. География, с. 53, 60, 94 და სხვ.; Публи Насон, Помпониус Мела, იხ. ВДИ, 1941, №1, с.225, 273; Солин, Секвестр, Амиан Марцелин, იხ. ВДИ, 1949, №3, с. 243, 250, 273, 286.

² გ. მელიქიშვილი. საქართველოს, ქავკასიისა და მახლობელი აღმოსავალეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 60-61.

³ შ. ფუტბარაძე. მეცხვარეობის ლექსიკისათვის აჭარულში. – აჭარის დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბ., 1990, გვ. 35.

⁴ გ. ოოფურია, გ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 259, 563.

⁵ ო. ქაჯაა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 43; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 239.

რი, თემრაზს აქ ედგა მწყემსის ბინა; თემყვაშ ცხიძური, სოფელი ჭაქვინჯი და ა.შ.¹

სამეგრელოს ტოპონიმებში ნახმარი თემრაზი, უკველია, პირსახელია. ხოლო თემყვა – გვარი. ასევე უნდა ყოფილიყო თემრაზია, მეგრული გვარი, ისეთივე როგორიცაა შეროზია, კარტოზია და სხვა. გვარი თემყვა ნაწარმოებია ინგოროვას, ღელეყვას, როყვას მსგავსად. კვა იგივე მეგრული ვა-ს თავდაპირველი ფორმაა. ეს გვარი აგებულია საკუთარ სახელ თემ-იდან. რადგანაც იმავე ენაში ყვა-ვა-ბა-ია ერთმანეთის იდენტურნი არიან, ამიტომ თემქა, თემყვა, თემბა და თემია გვარებიც, ერთი და იმავე სემანტიკისანი არიან.

მეგრულ ტოპონიმში იგივე თემ ელემენტი, რომ გამოიყოფა, ამას ადასტურებს თემ-რაზის დაკავშირებები ქართულ გვარ-სახელებთან: თემ-როზა-ული, ღემ-ნა, თემ-ირ, თემ-ირ-ყან, თემო, თემ-რაზ, მეორე მხრივ რაზი-კა-შვილი, რაზ-მა-ძე, რაზი-კა და ა.შ.²

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც უძველესი დროიდან ქართველური ტომები მოსახლეობდნენ, მათ შორის მეგრული, შემორჩენილი და გავრცელებულია პირსახელები, უფრო ქალისა: ღემეთ, ღერმათ და ა.შ. ლ. ისარლიშვილის თქმით, პაფლაგონიაში აქამდეა შემორჩენილი ქართული სახელწოდებები ენგური, ქიზიყი, მათ შორის თემი.³ მე მგონია, რომ ამ თემს აუცილებლად სემანტიკური კავშირი გააჩნია საკვლევ ტერმინთან, მათ შორის განსხვავება ქართულ სუფიქსს ეთ-შია მხოლოდ.

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 321, 346, 354.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 510, 511. ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, 685, 744, 862.

³ Л.С. Исаулов. Письмо о Грузии, Тиф., 1899, с. 246.

ამრიგად, თემეთ-ი იყო ქაშქებში გავრცელებული ადამიანის საკუთარი სახელი, იგი თავისი წარმომავლობით, უფრო მეგრულ-ლაზურია.

ნ ე ნ ი ქ ი

ქვეყნის სახელწოდება იხსნება მეგრული ენის გამოყენებით. მეგრულად ნერე ნიშნავს ნელს, წყნარს, აქვს მეორე მნიშვნელობაც მდორე (წყალი). ნერი ნირს, ზნეს, ხასიათს აღნიშნავს.¹

ტოპონიმში ბოლოკიდური “ქი” სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ, ისეთივე როგორიცაა ქი, კი, ხი, გი. სუფიქსებს აქვთ კუთვნილების, ქვეყნის, ხალხის, შთამომავლობის, მრავლობის და ა.შ. მნიშვნელობა ქართველურ ენებში. ისეთივე რომლებიც გახვდება ქართველური ტომების სახელწოდებაში: მუშქი, მოსოხი, სანიგი, მუსკი, კოლხი, კაშკი, დიაოხი, მოსინიკი და ა.შ.

იქნებ ტოპონიმის სახელი ნირიდან (ნელი) მომდინარეობს, ხოლო ქი ქვეყანას, მიწას აღნიშნავს, ე.ი. ნერის მიწა, ქვეყანა. სამეგრელოში კაცის სახელად გვხვდება ნარიქი.

ხურსამა (ხანშამა)

ხურსამა – ქვეყანაა. ხურ ძირიანი სახელები, როგორც ადამიანის საკუთარი, ისე ქალაქებისა, ამავე წყაროებში

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 383.

ხშირად გვხვდება, მაგალითად: ადამიანის საკუთარი სახელი ხურმა, ქალაქის სახელები ხურმა, ხარსამა, ხურამა.¹

ქვეყნის სახელი ხურსამა, როგორც ჩანს, ორი ნაწილი-საგან შედგება – ხურს და (ა)მა. ქართულ ენაში ხურს – ძლიერ არის გახურებული,² სვანურში ხურე ნიშნავს ანგრევს.³ მეგრულში ხურუ ქალაქს, კუთხეს, ალაგს აღნიშნავს. ხოლო (ა) მა ისეთივე სუფიქსია, როგორც უძველესი ქართული ქვეყნების სახელწოდებებში: ხურმა, სუხმა, ქასთამა, არმე, უხიმე, ტეგარიმუ, ხახუმი და სხვა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანა ხურსამა შესაძლებელია იყო თბილი, ძალიან ცხელი (გახურებული) ჰავის მქონე და ეტიმოლოგიურად ნიშნავს “ცხელი, გახურებული ადგილი.”

საქართველოში როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვედ დასტურდება ადამიანის საკუთარ სახელად და გვარად ხორსი, ხურსი, ხურსილა, ხურცი, ხურსიქე, ხურციქე, ხურცილავა.⁴

ხაისეხბა (ჰაიშეხბა)

ხაისეხბა ქალაქია. მეგრულ ენაში ხაია-ბოტანიკური ისლია,⁵ საიდანაც შეიძლება მომდინარეობდეს უძველესი ქართული ქვეყნის ხაიასას სახელი, ხოლო ებ-ხი იმავე

¹ ძახიქ, გვ. 164, 169, 170, 195.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 584.

³ ვ. ოთფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 878.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 560; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 809.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 509.

ენაში – ხალხს კუთვნილებას აღნიშნავს,¹ რაც შეეხება ელ-ლა-ს, იგი სადაურობის მაწარმოებელია. აქედან გამომდინარე ტოპონიმის შინაარსი იქნება: ხაიასადან გამოსული ხალხი ან ხალხი ხაიასადან.

ამ ტოპონიმის ახენის გვაქვს მეორე ვარიანტიც; ხაისებაიასა შესაძლებელია ადამიანის საკუთარი სახელი იყოს, ხოლო ხლა, იგივე ხალა – შობას, გაჩენას აღნიშნავს.² აქედან გამომდინარე, ქალაქის სახელწოდება წარმოდგება ხაიას შობილი, გაჩენილი, ე. ი. ხაიას შთამომავლობა.³

ხაია ტოპონიმები სამეგრელოში მრავალი და მრავალ-ფეროვანია, მაგალითად: ოხაიე, ხაიონი, ხაია, ხაიაწყარი, ხაიონა, ხაიონაღალ, ხვაიში, საჩახაიო, საჩახაიოშ, ჩახაიფიშ ნაჩიხა, ჩახაიეფიშ ნაწისქვილ და მრავალი სხვა.⁴ ხაია-ისლის სახეობას იელს პქვია. ჩა-ხაია გვარადაც დასტურდება სამეგრელოში.⁵

ც ა ს ფ ი ა

სვანურში ცას – ხუთშაბათია. მეგრულსაც გააჩნია რამდენიმე შესაბამისი სიტყვა ცას=თხა, ცას=ცა, ზეცა.⁶ ტოპონიმის მეორე ნაწილი ფია ქართულში ბავშვის საჭმელ თხელ ფაფას პქვია. ფ (ა) წარმომავლობას, შთამომავლობას, მოდგმას გულისხმობს, ია კი ჩვეულებრივი მეგრული

¹ იქვე, გვ. 551.

² იქვე, გვ. 510.

³ ტერმინ ხაიას წარმომავლობის სხვა ვერსიები ნახეთ: ს. გოგიტიძე, უძველესი ქართული ქვეყანა ხაიაშა (ჰაიაშა), გაზ. აჭარა, 2002, 6 სექტემბერი.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 66, 127, 141, 193, 215 და სხვა.

⁵ იქვე, გვ. 156, 207.

⁶ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 81.

სუფიქსია, რომელიც აწარმოებს სახელ-გვარებსა და ტო-პონიმებს. აქედან გამომდინარე ტოპონიმის სახელწოდება იქნება “ცის შვილები,” ან “ცის მოდგმა, შთამომავლობა.”

სრულიად შესაძლებელია საკვლევ ტერმინში გამოყოფილი ცა (ცა-იში) წარმართული ხანის ცის ღვთაების სახელი იყოს. ცა თუ ცაა პირსახელიცაა.

ხანუფთენი, ფაციმ[...]ი, ქუთუფურუცი

ხეთებსა და ქაშქებს შორის დადებულ ხელშეკრულებაშია მოხსენებული ტაროსის ღვთაება ხანუფთენი, ტაროსის ღვთაება ქუთუფურუცი, ტაროსის ღვთაება ფაციმ[...]ი.¹

მსგავსი ღვთაებათა სახელები მცირეაზიულ თუ ურარტულ ცნობილ ღვთაებათა პანთეონებში ვერ აღმოვაჩინე, რის გამოც რაიმეს თქმა მათ შესახებ ამ ეტაპზე მიჰირს.

ღვთაება ხანუფთენის სახელი შეიძლება კავშირში იყოს ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ ადამიანის საკუთარ სახელებთან ხანუ, ხანიქეია, ხანიუ, ხანათუ და სხვა.² შეადარეთ ძველი ქართული სახელები - ყანი, ყანგი, ყანსაუ, ხანა, ხანთუ, ხანუ, ხანანა, ხანა (შვილი), ხანარ (ელი), ხანია (შვილი) ხანი (შვილი) და ა.შ.³

ღვთაება ქუთუფურუცი, როგორც ჩანს, იყოფა 2 ნაწილად – ქუთუ და უურუცი. ეს უკანასკნელი ახლოს დგას მეგრულ სიტყვასთან ფურცუ, რაც მწირს (მაგ. მიწას) ნიშ-

¹ გრ. გიორგაძე. ხათური და ასურული... გვ. 86.

² ძახიქ, გვ. 170, 257, 258.

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 551, 559; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 803.

ნავს.¹ ხოლო ქუთუ, ქუთ ქართველურში ხაჭაპურს აღნიშნავს,² იგი სემანტიკურად დაკავშირებულია საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქის ქუთაისის ხახელის ფუძესთან ქუთ-რაც გამოქუნთულს ნიშნავს.

სერისა (სანიშა, შანიშა)

ქალაქი შარიშა დღევანდელი დასახლებული პუნქტი ქუშაქლია. მსგავსი სახელის მქონე ტოპონიმები საბეჭდევი ტოპონიმის მეზობელ რაიონებშიც გვხვდება, კერძოდ, შერიში (შერეშშე) ქათმუხის ქვეყანაში, აიგივებენ ანტიკურ სარეისასთან და თანამედროვე შერიშთან,³ დაიაქი-დიაონის ოლქი შერიაზი (შერიაძი)⁴ და სხვა.

მცირეაზიულ ქართველურ სამყაროში შერიშა ადამიანის საგუთარი სახელია.⁵ ვიდაც შურიშასძე მუქია არის მოხსენიებული მითანურ წყაროებში.⁶ მუქია მეგრული გვარია და იქნებ შურიშა-ც ქართველურია. შური ან შორი ხომ ქართული სიტყვებია.

საგვლევი ტოპონიმის სახელი შეიძლება აიხსნას მეგრული და სვანური ენების გამოყენებით. მეგრულად შერ არის შტერი, გიჟი, შერში-ჭუჭყი. აქვს მეორე მნიშვნელობაც –

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 117.

² ვ. თოვლურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 786.

³ Н.В. Арутюнян. Биайнили (Урарту), с. 23; Я.А. Манандян. О некоторых спорных проблемах... с.9.

⁴ ს. გოგიტიძე. დაიაქი-დიაონი, ქვეთავი: ქვეყანა შერიაზი.

⁵ ძახიქ, გვ. 257.

⁶ იქვე, გვ. 256.

საღებავი.¹ სერ – დამე, სეირი – სანახაობაა.² სვანური შერ – დაღლას, დაქანცვას აღნიშნავს, ში – ხელია.³

სერ-შერ ძირიანი სახელები და გვარები საქართველოში ისტორიულად და თანამედროვედაც დასტურდება, კერძოდ: შერო, შერე, შერიანი, შერგილა, შერვაშიძე, შეროზია. სვანურ ძეგლში მოხსენიებული გვარი აშარეშელი⁴ ა-პრეფიქსისა და ელ-სუფიქსის გარეშე, ზუსტად იგივეა, რაც შარე-შა-სარიშა.

იმ შემთხვევაში თუკი ტოპონიმის ფუძე შარ-ია, მაშინ ში-შა სუფიქსი იგივე უნდა იყოს, რაც ლაზურ გვარებში დართული ბოლოკიდური ში-მაწარმოებელი. რაც შეეხება შარ-ს იგი მეგრულში ნიშნავს წარმომავალს. შარ ძირით ადამიანის საკუთარი სახელი აღირიცხება თავად ქაშქურ სამყაროში, მაგალითად: შარია, მეგრული სუფიქსით ია. შარია მეგრული გვარია. იგი არსებობას განაგრძობს როგორც დამოუკიდაბლად (შარია), ისე კომპოზიტური სახელებითა და გვარებით: ოდი-შარია, ბაბუ-შარია და ა.შ. ქართულში არის შარაძე, შარაბიძე, შარაშენიძე და სხვა.

თაგასთა (თაგაშთა)

აღნიშნული ქვეყნის სახელწოდება თაგასთა, როგორც ეტყობა, სვანური წარმომავლობისაა. თაგ სვანურში აქა-იქ მეჩხრად ნიშნავს,⁵ ხოლო აშთ-აშდ ერთია. ტოპონიმის ში-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 248, 249.

² იქვე, II, გვ. 590.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 817.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 531, 553.

⁵ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 256.

ნაარსი იქნება: აქა-იქ, თითო-თროლა, კ. ი. მეტხრად დასახლებული.

თაგათა ერქვა მდინარე ალასიას (ჰალისი), რომლის სათავეები ნაწილობრივ იდო ქაშქების ქვეყანაში.¹

ც ა ღ ფ უ ვ ა

ქართველურ ენებში სავარაუდო ძირს ცალ-ს აქვს სხვა-დასხვა მნიშვნელობა: სვანურში – ტოლი, ცალი;² მეგრულ-ში – ცელი,³ ქართულში ორისაგან, წყვილისაგან ერთი.⁴ ცალფა – ცალმაგი, ცალპირი, ცალწვერია.⁵

სვანურ წერილობით ძეგლებში მოგვეპოვება ამ ქვეყნის სახელის პირველი ნაწილის შესატყვისი ქართული (სვანური) სახელები და გვარები: ცალანი, ცალანიანი, ცალაფხე.⁶

ქ ა ფ ი ნ უ ხ ა

სვანურ ენაში ქაფ-ი ტვირთია.⁷ ქართულში ქეიბური – პირდიდი და ფრთამადალი ისარია.⁸ ქვაბური – ტაფობი, ქაფურა – მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ვარდისებ-

¹ ძახიქ, გვ. 223.

² კ. თოფურია... გვ. 833.

³ ო. ქაჯაია. დასახ. ნაშრომი., III, გვ. 341.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 536.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, VIII, გვ. 576.

⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 556.

⁷ კ. თოფურია... გვ. 778.

⁸ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 284.

თა ოჯახისა,¹ ქაფურუვა-სუსამბარი. როგორც ჩანს, ქვეყნის სახელში ხა მაწარმოებელი, ხა – ხის ტოლფასოვანი უნდა იყოს. იგი მეგრულში ხალხს აღნიშნავს.² აქედან გამომდინარე ტოპონიმი განიმარტება როგორც ქაფირუს ხალხი, ტომი. ეს ხალხი ხშირად იხსენიება ძველაღმოსავლურ წყაროებში. ხაბირუ ტერმინს თარგმნიან, როგორც “ტყვეს, მოყვანილს უცხო ქვეყნიდან,” ”თემიდან განდევნილს.”³ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჯ. შარაშენიძის სპეციალური ნაშრომი, “ხაბირუ” ხალხი ძველ შუამდინარეთში.⁴ თავად ქაფირუ შეიძლება წარმოშობილიყო ნებისმიერი ჩვენს მიერ ჩამონათვალი ქართველური წარმომავლობის სიტყვათაგან. იმ შემთხვევაში თუკი საკვლევი ტერმინი ორი ელემენტისაგან შედგება ქაფი და რუხა, მაშინ საძებარია რუხას რაობა. ამ შემთხვევაში რუხა შეიძლება იყოს პირსახელი (შეადარეთ რუხა-ძე). თავისი სემანტიკის მხრივ რუხი უნდა იყოს “თეთრნარევი შავი ფერი, მუქი ნაცრისფერი.”⁵ ქართულ ონომასტიკაში გგაქებს რამდენიმე გვარი, ამ სიტყვიდან წარმოებული: რუხაია, რუხაძე, რუხვა, რუხვაძე, რუხია, რუხიშვილი, რუხიაშვილი და ა.შ.⁶

შეიძლება შემოგთავაზოთ სხვა ვარიანტიც, იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება პირსახელი ქა-ქაი. ასეთ შემთხვევაში საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილი ფირუხა (შეადარეთ ფირულუმზი=ფირულამაზი) ფირუს ძეს, შთამომავალს, უნდა აღნიშნავდეს.

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 563.

² შეადარეთ: ქულხა, ქუმახა, ქარტაფახა, სანიხი, მოსოხი და ა.შ.

³ ძახიქ, გვ. 169, 173 შენ. 48; გ. გ. გიორგაძე. Вопросы... с. 116.

⁴ ქურნ. საქართველო, №1-2, 1999, გვ. 3-11.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 467.

⁶ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 747, ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, გვ. 139.

ხ უ ნ ა

ხურნა-ხურმა ხეთურ წყაროებში ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება.¹ ამავე წყაროებში ხურამა, ხარსამა და ოვად ხურმაც ქალაქების სახელებადაც გვხვდება.² თავად საკვლევი სახელწოდება ხურნა წარმოადგენს ქაშქური ქვეყნის სახელს. როგორც ცნობილია, ძველადმოსავლური ქვეყნები იმავე სახელს ატარებენ, რასაც მათი ცენტრები, სატახტო ქალაქები. ამ გარემოების გათვალისწინებით გამორიცხული არაა, რომ ქალაქი ხურმა და ქვეყანა ხურნა ერთი და იგივე, ერთიმეორეზე დაფუძნებული სახელწოდებებია.

ქართულ ენაში რამდენიმე სიტყვა მოგვეპოვება ისეთი, რომლისგან შესაძლებელია მომდინარეობდეს ქვეყნის სახელი ხურნა, კერძოდ: ხურ-ძლიერ არის გახურებული, ხური – ახურია, ხურავს, ხურმა – ხეხილი და სხვა.³ საინტერესოა მეგრული ხურუ, რომელიც ქალაქს, მხარეს, კუთხეს, ალაგს აღნიშნავს.

საქართველოში გავრცელებულია ხურ ძირიანი ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები: ხურცი, ხურსი, ხურსილა, ხურსიძე, ხურცილავი.⁴

სამეგრელოში მოგვეპოვება ტოპონიმები, რომლებიც თავიანთი წარმომავლობით დაპავშირებული უნდა იყვნენ საკვლევ ტერმინთან, ესენია: ზუგდიდის რაიონში სოფლის სახელი ხურჩა; ხვარაშ წყურგილი, წყარო ჭითაწყაროში; ხურჩა სახნავი სოფელ ორსანტიაში და ა.შ.

¹ ძახიქ, გვ. 170.

² იქვე, გვ. 164, 169, 195.

³ ქართული ენის განმარტებითი დაქსიკონი, ტ. VIII, გვ. 1528, 1530.

⁴ სვანური წერილობითი ძეგლები, II, გვ. 560.

ც ი ხ ა ნ ა

საკვლევი ტოპონიმის წარმომავლობა შეიძლება უკავ-შირდებოდეს ქართველურ ენებს, სვანურ ცინაყა-ს (მოცვი), მეგრულ ცირქინი-ს (უდგილო, უშნო სიცილი) ან ცუხი-ს (გაიძვერა, ცუღლუტი).¹ თუმცა გამორიცხული არაა, იგი ქართულ ციხეს, ციხიონს (ციხე, მეციხოვნენი, ციხის მცვე-ლები)² უკავშირდებოდეს.

უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ტერმინი კომპოზიტი უნდა იყოს ცია+ხანა, ამგვარად ცია (პატარა) და ხანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ ტერმინში შეიძლება ციხა, ციხია ადამიანის საკუთარი სახელი იყოს, ან სუ-ფიქსი კი ქართული მაწარმოებელი.

ორივე ადამიანის საკუთარი სახელია. მსგავსი შემთხვევები ქაშქურ სამყაროში ხშირია, ე.ი. როცა საკუთარი სახელი შედგება ორი სახელისაგან. ასეთიგებ შემთხვევები გვხვდება თანამედროვე საქართველოშიც, მაგალითად, თურ-მანი, ელა-შარი, არდა-შელი და ა.შ.

თ ა ნ უ გ ა

სვანურ ენაში თარ – ჩირქია,³ მეგრულში თარ-ი აღნიშნავს მთავარს, დიდებულს, რჩეულს, საღს.⁴

ქართულ ენაშიც მოიპოვება შესაბამისი ლექსიკური ნიმუშები: თარგ – ნიმუში, რის მიხედვითაც ამზადებენ

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 359.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 677.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 258.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 37.

რაიმე დეტალებს, ტანსაცმელებს, თარო – კედელზე მიმაგრებული ფიცარი რისამე დასაწყობად.¹

საქართველოში მოიპოვება შესაბამისი ანთროპონიმული მასალები გვარ-სახელების სახით: ოურ(უ)გა, თარგაძე, თარია, თარა, თარიაშვილი.² მაშასადამე, ტარუგა ყოფილა ადამიანის საკუთარი სახელი, რომელიც სემანტიკურად ნიშნავს – საღს, რჩეულს, დიდებულს.

ო ღ ა ღ უ ხ ა

მეგრულ ენაში იღა რთული ზმნისწინია, იღა აღნიშნავს გვერდით.³ როგორც ცნობილია, ძველაღმოსავლურ ხანაში ამ სახელით (ე.ი. ლუხა) რამდენიმე ქვეყანა თუ ქალაქი იყო ცნობილი. პირველი მათგანი ლუხა ასურეთის მეფის ტიგლათფილესევრ I-ის წარწერებშია მოხსენიერებული,⁴ ლუხიუნი-ძველი იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორიაზე, არაქსისპირეთში ურარტუს მეფის მენუას მიერ დატოვებულ წარწერაში და ლუხსუ-სარგონ II-ის ანალებში კამანუს ქვეყნის მიდამოებში.

მაშასადამე, იღალუხას ქვეყნის სახელი წარმოდგება, ქვეყანა თუ ქალაქის “ლუხას გვერდით” ანუ ლუხას მეხობელი ქვეყანა. გვაქვს სხვანაირი ახსნაც. სამეგრელოში არის ტოპონიმები იღაშ ტომბა, იღაშ წყურგილი⁵ (სოფელი რუხი), საღაც იღა ადამიანის საკუთარი სახელია. მეორე

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომებული, გვ. 238.

² ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 684.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 85.

⁴ И.М. Дьяконов. АВИИУ. – ВДИ, 1951, №2, с. 273.

⁵ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 286.

ქომპონენტი ლუხა, ჩანს, ქართულ გვარში ლუხაშვილი, ალბათ მეგრულშიც რუხია (თუ ლუხია). სვანეთის წერილობით ძეგლებში დასტურდება ადამიანის საკუთარი სახელი მუხულუხაი, რომელშიც ლუხა ელემენტი აშკარაა. ქართული სახელ-გვარებია: ლუხუმი, ლუხუმა, ლუხუტი, ლუხუმაიძე და ა.შ.¹

მაშასადამე, საკვლევი ტერმინის ორივე ნაწილი, იდა და ლუხა, ადამიანის საკუთარი სახელებია.

თასთარეშა (ფაშთარეშა)

ქვეყნის სახელი შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად – თას (ან თაშ), თარ და შა. თაშ უნდა დავუკავშიროთ სვანურ სიტყვას, რაც ყველს ნიშნავს,² მეგრულში თას თესლს აღნიშნავს,³ თაშ-ასე⁴ ტოპონიმის მეორე ნაწილი თარ მეგრულში მთავარს, დიდებულს, საღს, რჩეულს ნიშნავს.⁵ ხოლო თარუ ხათებში (შესაძლებელია ქაშქებშიც) ამინდის დვთაება იყო. რაც შეეხება ბოლოკიდურ ე(შა) იგი კარგად ცნობილია და ხშირად აწარმოებს მეგრულ-ჭანურ (ლაზურ-სვანურ) ტოპონიმებს.

თასთარეშა ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს სხვა ქაშქურ ტოპონიმს – თასთარს. რამდენადაა შესაძლებელი ამ ორი ტოპონიმის ტერიტორიული დაკავშირება ერთმანეთთან, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია. იქნებ ესენი ერთი და იგივე გეოგრაფიული ერთეულებია.

¹ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, გვ. 99.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 258.

³ ო. ქაჯაად. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 39.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 171.

⁵ ო. ქაჯაად. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 37.

ქალაქი ტასა თუ თაშა მოიხსენიება ასურულ წყაროებზე კატეუნის ქვეყნის მეზობლად. ამავე წყაროებზია (სარგონ II) ქალაქი ტაშტამი თუ თასთამი (ზიქირთუში), ურარტუს ტერიტორიაზე ტაშუხა (თაშუხა) და ა.შ.¹ კლავდიოს პტოლემაიოსის რუკაზეცაა დატანილი ამავე ფუძის მქონე დასახლებული პუნქტი ქართლის სამეფოს სამხრეთ ნაწილში ტასტინა თუ თაშთინა, ქართლისა და საქართველოს ისტორიული მხარე ტაშირი და სხვა.

თ ა ქ უ ფ ს ა

სვანურ ენაში თაკუ – თოკია. მეგრულში ტახუა – ტეხა, ნგრევა, მტვრევას აღნიშნავს.² ქვეყნის სახელი შესაძლებელია მომდინარეობდეს თა (მთა)-ქუფ-სა (ქუფსა), ე.ი. ქუფსის მთის სახელიდან. სვანეთის წერილობით მასალებში დასტურდება ადამიანის სახელი და გვარი: ქუფა, ქუფიძე. ამავე ენაში ქუფ ნიშნავს დაწულ კიდობანს.³

ქუფსა შესაძლებელია იყოს იგივე, რაც ქართულ ენაში ქუფრა, რაც შავს, ბეჭდს ნიშნავს. მთას კი ამგვარი სახელი ეწოდებოდა ხშირი ლრუბლიანობის, ნისლიანობის ან კიდევ ხშირი ხეების, გაუვლელობის გამო. მსგავსი გარემოებების მქონე მთის რაიონში ქვეყანას შესაძლებლად მიგვაჩნია ასე წოდებოდა – თაქუფსა. თაქუფსა ისეთივე ქაშქური ტოპონიმია, როგორიც ხახარვუას (ხახარვა) მთის დასახლება.⁴ თუმცა გამორიცხული არაა მსგავსად სხვა

¹ ВДИ, 1951, №2. с.312, 313, 323; Н.В. Арутюнян. Бийанили (Урарту), с. 279, 299.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 20.

³ ვ. თოფურია, მ. ქლდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 787.

⁴ ძახიქ, გვ. 206.

ქაშქური ტოპონიმებისა, ესეც შედგებოდეს ორი ნაწილი-საგან თაქუ და ფსა (ფშა). ამ შემთხვევაში მისი პირველი ნაწილი თაქუ (თაკუ) წარმოადგენდეს ქართული ქალის საკუთარი სახელის თაკო II თაკუ-ს, ან თაქას, თაყას იდენტურს.

რაც შეეხება საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილს – ფსა-ფშა, იგი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ სიტყვა ფშა-ს, მდინარეს, მდინარისაგან გამოღენილ წყაროს, ფშანი – იგი-ვეა, რაც ფშა, ფშატალა – (ძველი) წყალი თოვლნარევი გაზაფხულზე. ფსორი – მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, ფსკა – დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოვანი მასა, ფსკერი – წყლის ძირი, და ა.შ.¹ იგივე ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელად დასტურდება, კერძოდ, მეგრულ წერილობით ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება ქუფაჩა.² ეს სახელი, აშკარად საკვლევი ტერმინის თა-ქუფსა, ე.ი. ქუფსა ელემენტს უტოლდება ქუფ (ა) სა-ქუფაჩა. შესაძლებელია ჩ-ს უქონლობით აიხსნას ძველ ენებში, ერთ შემთხვევაში ჩ, ხოლო მეორე შემთხვევაში ს არსებობა.

ხ ა ქ მ ი ს ა

ტოპონიმში გამოყოფილი ფუძე ხაქ-ხაკ შეიძლება ნიშნავდეს სქელ, უხეშ ქსოვილს, ან ერთგვარ გოგრას. ასე, რომ სრულიად შესაძლებელია ქალაქის სახელი, მოსახლეობის დასაქმებისა და მეურნეობის ტიპის მიხედვით წარმომდგარიყო.

¹ ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი, VII, გვ. 190, 191, 219, 220.

² ქურ. არტანუჯი, №10. თბ., 2000.

რაც შეეხება მეორე ელემენტს, იგი დასტურდება ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ სხვა კომპოზიტურ ტოპონიმში-ლაპი-მისა.¹ მისი შედარება საკვლევ ტერმინთან, გვაძლევს საფუძველს, რომ ხაკმისა ორი ნაწილისაგან შედგება.

ბ უ ბ [. . .]

როცა არ გვაქვს სხვა წყაროებით მსგავსი ფონეტიკური აგებულების ტოპონიმი, ძნელია ქალაქის სრული სახელის გარკვევა. თუმცა ის კი მაინც შეიძლება, რომ მიახლოებით განვსაზღვროთ ამ ქალაქის წარმომავლობა, რადგან, ცნობილია მისი საწყისი ნაწილი. ხუმ ელემენტი შეიძლება იყოს სრული ან არასრული ძირეული ნაწილისა. იგი შეიძლება დაუკავშირდეს ქართულ ხუმ-არას ან ხომლს, ან კიდევ სვანურ ხუამ-ს რომელიც ბუჩქი, ჩირგვია.²

თ უ ბ ა ს უ ნ ა

მე მგონია, რომ ამ ქალაქის სახელი შედგება ორი ნაწილისაგან – თუხა და სუნა. ეს ორივე უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ადამიანის საკუთარი სახელები. მსგავსად სხვა ქართული სახელებისა: თურ-მანი (გვარიცაა თურმანიძე), არდა-შერ, გურან-დუხტი, მზე-ქალა, პირი-მზე და ა.შ.

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 122.

² ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 885.

თუხა იგივე ქართული ტუხა-ტუხაშვილია; გვაქვს თუხა-რელი, რომელიც ნაწარმოებია ქართლისა და საქართველოს ისტორიული პროვინციის კლარჯეთის ცენტრის თუხარისის მიხედვით. ესაა უძველესი ქართული სამეფოს დაიაგნი-დიაოზის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქი უტუხაი (ოთუხაია). სვანეთის წერილობით ძეგლებში ხშირია თუხელემენტიანი პირსახელები: ფურთუხი, ფურთუხვი, ფურდუხი, ფურთხი და ა.შ.¹ არაა გამორიცხული, რომ თუხათოხას გადმოცემა იყოს. ძველ ენებში და თანამედროვე ქართველურ ენებში ასეთი შენაცვლებები ხშირია. ქართულ ენაში თოხი – მიწის დასამუშავებელი რკინის იარაღია.²

თუხასუნა იქნებ ძველი ქართული სახელის თხესუ-ს ნასუფიქსიანი ფორმა, რომელიც დასტურდება სვანეთის წერილობით ძეგლებში.³ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმი დაიყოს შემდეგნაირად: თუ-ხასუნა. თუ, სიტყვა შუმერულსა და სვანურში შობას, დაბადებას აღნიშნავს.⁴ თუკი სახელწოდების მეორე ნაწილი ხასუნა-ქართული სახელის ხასო-ხასანი-ს შესატყვიასია, მაშინ მისი მნიშვნელობა იქნება-ხასუნას (მიერ) ნაშობი, ე.ი. ხასუნას შთამომავლობა. მეგრულსა და სვანურშიც მოიპოვება საკვლევ ტერმინთან ახლოს მდგომი სიტყვები, კერძოდ: თხუას-ი (წელის ხავსი), თუხუა (რთვა ძაფისა).⁵

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 547.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 242.

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 513.

⁴ ზ. ქაფიანიძე, თ. მიბჩუანი. დასახ. ნაშრ., გვ. 90.

⁵ ვ. ორფურია, მ. ქალაქანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 265.; თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 68.

ფ ი ს უ ნ უ ფ ა ს ი - ს

ფისუნუფასი-ს თუ შევადარებო ქაშქურ ადამიანის საკუ-
თარ სახელებთან – ფისდუმუვა, სუნუფასი, სუნაილი, აშკა-
რად დავინახავთ, რომ სუნუფასი (დაიყოფა ორ ნაწილად
სუნუ და ფასი). სუნა(ილ-ი), ფისუ(ნუ), ფის(დუ) ადამიანის
საკუთარ სახელებს წარმოადგენენ. მაგრამ ქალაქის
სახელს ფისუნუფასს თუ დავუკავშირებო მეგრულ სიტყვას
ფიცვინაფას-ს (1 მნიშვნელობა: გაბრაზება, 2: გატრუნვა),
მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ტოპონიმი ერთი სიტყვიდანაა
წარმომდგარი. ფიცვინაფასში ცნობილია, ვი-ს, ო || უ-სთან
მონაცვლეობა, რაც ქართული გრამატიკული ნორმების
მიხედვით დასაშვებია.

შემოგთავაზებო სხვა ვარიანტსაც. ფისუ და ნუფა ადა-
მიანის საკუთარი სახელებია, ხოლო სი (ძე, შვილი). გასა-
გბ ენაზე, რომ ვთქათ მე ვარ “ფისუ ნუფასი.” ჩვენთან
აჭარაში დღესაც ასე იტყვიან ხოლმე: ამირანი მურმანისი,
ე.ი. მე ვარ ამირანი, მურმანის ძე, შვილი.

ქ ა ნ უ ნ უ

ადამიანის საკუთარი სახელი ქანუნუ შეიძლება მომდი-
ნარეობდეს სვანური სიტყვიდან ქან, რაც ბოტანიკური
კანაფია.¹ ქართულშიც მოიპოვება მსგავსი სიტყვა ხანულ-ი,
რაც რძისა და კარაქის კეთებაში მოზიარის აღმნიშვნელი
ტერმინია.² თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ

¹ ვ. ოთვეურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 777.

² ქართული კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 738.

საქართველოში ასევე გავრცელებულია ნუნუ – ადამიანის (ქალის) საკუთარ სახელად. მსგავსი წარმოების სახელები ჩვენთან გვხვდება შემდეგი სახით: ხანანა (ქანანა), ხანანია (ქანანია), ქაბატო, ქამუშა და სხვა.¹

ქანუ – ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება ძველ-ქართულ წერილობით ძეგლებში.² სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მცხოვრებთა შორის უძველეს ეპოქაში, სადაც ძირითადად მეგრელები და სვანები ბინადრობდნენ, როგორც ანტიკურ და ფეოდალურ, ისე წინაანტიკურ ხანა-შიც, ხშირია ადამიანის საკუთარ სახელად ხანუ, ხანიუ, ხანიქურია, ხანათუ-ს მოხსენიება.³ პირსახელი ხანია დაფიქ-სირებულია ტბეთის სულთა მატიანე შიც.⁴

თავად ქაშქურ სამყაროში ოუ მის მეზობლად დაფიქ-სირებულია მსგავსი წარმომავლობის სახელები: ქალაქი ქაბუბა, ქვეყანა ქამამა, დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე კამახო, ქალაქი ოურქეთში, ახლანდელი დოსტალის გვერ-დით, სოფელი ქამარზა ფოცხოვის ლიგაში. აღნიშნული სახელწოდებების ურთიერთშედარება და ანალიზი გვაძლევს საფუძველს, რომ საკვლევი ტერმინი დავყოთ ორ ნაწილად ქანუნუ, ისევე როგორც ქა-ბუბა, ქა-მამა, კა-მახო, ქა-მარზა. ქართულ მითოლოგიაში კამარი ადამიანის საკუ-თარი სახელია. მეორე ნაწილი ყველგან საკუთარ სახელს უნდა აღნიშნავდეს, შეადარეთ ნუნუ, ბუბა, მამა, მახო, მარზა. ეს ოუ ასეა, მაშინ საკვლევი რჩება ქა (კა)-ს რაობა. ქა (კა) მცირეაზიულ (ხეთურ-ქაშურ) სამყაროში ადამიანის

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 870, 878.

² სვანური წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548.

³ ძახიქ, გვ. 170, 258.

⁴ ტბეთის სულთა მატიანე, ო. ენუქიძის გამოცემა, გვ. 157.

და დვთაების საკუთარი სახელი იყო.¹ იგი გაგრცელებულია საქართველოშიც ქა, ქაო ფორმით.

ვ ი ღ უ მ უ ვ ა

აღნიშნული ანთროპონიმი შეიძლება ეკუთვნოდეს სვანურ ან მეგრულ ლექსიკურ ერთეულს. როგორც ეტყობა, აქ, ორი სახელის შერწყმასთან გვაქვს საქმე ფილუ და მუგა. სხვა ქაშქურ ტოპონიმებსა და ადამიანის საკუთარ სახელებში “მუგა” ხშირად ჩნდება: მუგა, მუგასა, ციმუმუგა, მუგათალი, ქასქამუგა, ფისდუმუგა და ა.შ.² ძველქართულ სამყაროში მუგა იყო სულის, ძალის და შესაძლებელია სულისკვეთების დვთაება. მუგა-მუგა, ჩანს, აგრეთვე თანამედროვე მეგრულ გვარებშიც: ცირამუგა. მეორე ქაშქურ სახელთან ფისდუმუგასთან თუ შევადარებთ საკვლევ ტერმინს, აშკარად დავინახავთ, რომ მათ შორის სხვაობა ერთი ბერით ს-თი განისაზღვრება. აქედან გამომდინარე შეიძლება ადამიანის საკუთარ სახელად მივიღოთ სახელის პირველი ნაწილიც: ფიდუ-ფისდუ-ც. სვანურში ფიორუ თოვლის ფოლა, ნამცეცი, ღერია.³ მეგრულ ენაში ფიტ-ის მნიშვნელობაა ელვა და ქოჩორი.⁴

¹ ძახიქ, გვ. 135.

² ძახიქ, 205; გრ. გიორგაძე. Вопросы... с. 130, 153.

³ ვ. ოთვეურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 760.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 102.

ფ ი ქ ა ს ტ ე რ ი ტ ი

ფიქასდუილი ადამიანის საკუთარი სახელია.

ბ ი ნ ბ ი ნ ი ს ა

სვანურ ენაში სავარაუდო ძირი ხირებ – რიგი, ჯერია.¹ ქართულ და მეგრულ ენებსაც მოეპოვებათ საკვლევი ტერმინის შესაბამისი, ფონეტიკურად ახლოს მდგომი სიტყვები: ხირხ=ძნელად სავალი ადგილი მთაში.² ქართულ ენაში ხირხალი მწირი მიწიანი ყანაა, რომელიც ცუდ მოსავალს იძლევა. ხირხილი II ხირხირი ხითხითი, უწესო სიცილია და ა.შ.³ იმ შემთხვევაში თუკი საკუთარი სახელი კომპოზიტური სიტყვაა და იგი იყოფა ხირ-ხირი-სა-დ, მაშინ ხირ ქართულ დიალექტებში ხირა-ი უჯიშო საქონელია, ხირა-ხირაული, გამხდარი მაგრამ ჯანმრთელი ადამიანია, პირუტყვია.⁴ ქირქალი იმერულში გრილი, თავისუფალი, ქირქილ-გურულში ქარის ნიავის ნელი ქროლაა, ქირქირი თუშურში-ფრუტუნი, სიცილია.⁵ ხირხირისა-ში შესაძლებელია ლირლალი დავინახოთ, რადგან ხეთური ღ-ასოს ვერ გადმოსცემდა. ლირდალი კი, საბას განმარტებით, ნაპრალი, ლელუ-ღულე ადგილია. ხირხალი – მსხვილი ძელებით სამოთხ რიგად სიგრძეზე შემოვლებულ ადგილს ჰქვია.⁶ აჭა-

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 878.

² ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 561.

³ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 754-755.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 571.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 626.

რულ დიალექტში ხირხილი უწესრიგოდ დაყრილ ტანსაც-მელზე, ავეჯზე და უშნო, გაუთავებელ, ხმამაღალ ხიცილ-ზეც იტყვიან; კერძოდ, რას ხირხილებ, რაა ეს ახირხლული და ა.შ.¹

მხგავსი ქალაქი დასავლურ ქართული (სვანური) ლა პრეფიქსით შემოსილი, ხაიახა-აცის (ჰაიაშა-აჭი) სამეფოს ფარგლებშიც დასტურდება, ესაა ლა-ხირხილა (ლახირხილა).²

უფრო სარწმუნოა საკვლევი ტერმინის წარმომავლობა მეგრული სიტყვიდან ხირხ, რაც მნელად სავალ ადგილს მთაში აღნიშნავს. ზუგდიდის რაიონში სოფელ ახალ-სოფელში არის ტოპონიმი ხირხუ-კლდე-ფერდობები ჩხაის ნაპირას, აქვე, განმარტებულია: ხირხუ-ხირხატი: ქვიან-კლდოვანი ადგილი.³ თუშეთში დასტურდება მამაკაცის სა-კუთარ სახელად დირდი, იგივე ხირხი.⁴ სვანეთის წერილობით მასალებში არის გვარი ქირქიშლიანი, რომელიც ნაწარმოები ჩანს ქირქიშლი-ქირქილიში-დან, რაც იგივე ხირხილიშაა.

ფ ო ხ ა თ ა ხ ი

სვანურ ენაში ფიხა ნიშნავს ამაყს, ფიხ – 1: მეჩერს, 2: ფართო ნაბიჯებიანს.⁵ სრულებით დასაშვებია, რომ ამ სიტყვებიდან წარმომდგარიყო ადამიანის საკუთარი სახელი.

¹ ი. ბექირიშვილი. აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001, გვ.330-332.

² Я.А. Манандян. О некоторых спорных проблемах... с. 102.

³ ჟხადაია. სამეგრელოს... გვ. 36.

⁴ ს. მაკელათია. თუშეთი, გვ. 172.

⁵ გ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 764.

თუმცა ისიც დასაშვებია, რომ სახელი ფიხათახი, რომელიც ძალიან წააგავს თავისი ფონეტიკური აგებულებით და შესაძლებელია ეტიმოლოგიურადაც მეორე ქაშქურ სახელს – ფიახათახილას, რომელიც, შესაძლებელია მისი ბოლოკი-დურშეკვეცილი ფორმა იყოს.

ამ ანთროპონიმის პირველი ნაწილი ფიხა უახლოვდება ქართულ წერილობით ძეგლებში დაცულ ადამიანის საკუთარ სახელს ფახა, ხოლო მეორე – თახა.¹ თანაც თანამედროვე საქართველოში სახელი ფიქა, ფიქვი, თაყა, თაქა და მისგან ნაწარმოები გვარები მრავლად გვხვდება: თაყაძე, თაყალაძე, თაყინაშვილი, თაყაიშვილი, თაქარაძე, თაქთაქიძე და ა.შ.²

ფ ი ს ბ ა თ ა ბ ი ღ ა

ეს ადამიანის საკუთარი სახელი შეიძლება სამი კომპონენტისაგან შემდგარი სახელი იყოს: ფია-ხათა-ხილა. ქართველურ ენებში ფია რძის ფაფაა, ფია-ცუდი, გლახას სინონიმია.³ მეორე ნაწილი ხათა სატომო და ამავე დროს ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. რაც შეეხება ხილას, თუ იგი მეგრული სიტყვის – ხილას გადმოცემაა, მაშინ შობას, გაჩენას აღნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა დაიყოს ხი-ილა. ხი ამავე ენაში ხალხს ნიშნავს. ხოსვანურ ენაში კუთვნილებითი სუფიქსია, ხოლო ილ-სუფიქსი ჩვეულებრივი ქართული მაწარმოებელია, რომელიც სახელ-გვარებსა და ტოპონიმებს ერთვის.

¹ ხვანური წერილობითი ძეგლები, II, გვ. 547, 511.

² ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 176, 379, 685.

³ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კოხა, გვ. 542, 544.

ფია შესაძლებელია თანამედროვე ქართული სახელისა თუ გვარის ფია-ს ფორმიდან მომდინარეობდეს. აღნიშნული ანთროპონიმის შინაარსი კი იქნება ფია ხათის ხალხის კუთვნილი ან შვილი. თუმცა ფიახათა შეიძლება საბუთარი სახელიც იყოს. ფია-სახელი, ხათა-სახელი.

ფ ი ს ღ უ მ უ ვ ა

ფისდუმუგა ადამიანის საკუთარი სახელია. იგი ფონეტიკური აგებულებით ძალიან ახლოს დგას მეორე ქაშქურ სახელთან ფიდუმუგა-სთან. საკვლევი სახელი, როგორც ჩანს, ორი ნაწილისაგან შედგება: ფისდუ და მუგა, რადგან ეს უკანასკნელი პირველისაგან დამოუკიდებლად არაერთხელ იხსენიება იმავე სამყაროში. კერძოდ, მუგა, მუგასა.¹ კომპოზიტურ სახელებში მუგა-თალი ციმუმუგა, ქათითიმუგა ფიდუმუგა და ა.შ.² მუა (იგივე მუგა) დაბოლოებით გვაქვს მეგრული გვარებიც, მაგალითად: ცირამუა, არის ციმუთალი, რაც იმას მოწმობს, რომ გვაქვს თალი როგორც კომპოზიტურ სახელებში, ისე დამოუკიდებლად (მაგ. თალი). ასე რომ მუგა (მოგა) დამოუკიდებელი სახელი იყო ქართველურ სამყაროში და განაგრძობს არსებობას დღუსაც ქართულ (მეგრულ) სახელ-გვარებში.

რა კავშირი აქვს კიდევ ქართულ სამყაროსთან ადამიანის საკუთარ სახელს ფისდუმუგას?

მისი პირველი ნაწილი შეიძლება დაუკავშირდეს ქართულ სიტყვებს: ფის – სპეციფიკური სუნის მქონე წებოვანი წვენი, რომელსაც გამოყოფენ წიწოვანი მცენარეები, ფისო

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 130, 131.

² ძახიქ, გვ. 205, 237; ი. ტატიშვილი. ხეთები ქაშქების შესახებ, გვ. 24.

– მოფერებით კატა, ფიც – მტკიცე პირობა, აღთქმა.¹ მეორე ნაწილი მუგა შესაძლებელია ქართული დიალექტებში (მაგ ქობულეთში) შემონახული მუგა (მნიშვნელობით მოგა)-სთან იყოს კავშირში.

მუგა – ძველ ხეთურ სამყაროში სულის, ძალის და შესაძლებელია სულისკვეთების დვთაება იყო.

ფიგანუსა (ფიგანუშა)

ფიგანუსა ადამიანის საკუთარი სახელია. მისი შედარება სხვა ქაშქურ სახელებთან-ფიგაფილუ, ფიგაფაცუი-სთან, ხოლო მეორე მხრივ თალიფაციასთან, აშკარად შეიმჩნევა, რომ საკვლევი ტერმინი კომპოზიტური სახელია და უნდა დაიყოს ორ მიკროსახელად – ფიგა და ნუსა. მგონი, ნუსა უნდა იყოს შემონახული არტანუჯის ბერძნულ ფორმაში არტანუსსა-ში² (შეადარეთ ურარტული ილდამუშა), არტანი-არდინი ძველი ქართული (ურარტული) მზის დვთაება იყო.³ არტ-ართ ქართველურ ენებში საკუთრივ ქართულსა და მეგრულში ძველადაც და ამჟამადაც ართ-ერთს აღნიშნავდა. შესაძლებელია პირველსაც და მზესაც.

სვანურში ფიგა-ფიკუ იგივე ვაცია, შესაძლებელია, საკუთარ სახელსაც აღნიშნავდა. ნისანუსა მეგრულ-ლაზურ-ში რძალია.⁴ იქნებ სახელი ფიგანუსა ფიგარძალს შეესაბამებოდეს.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 446.

² Клавдий Птоломей. Географическое руководство. – ВДИ, 1951, №2, с. 252.

³ ძახიქ, გვ. 271; Г.А. Меликишвили. УКН, с. 147.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, X, გვ. 183.

ქ ა ს თ ა მ ა

ქასთამა ქაშქურ სამყაროში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანაა. შისი შედარება თავად ქაშქურ ტოპონიმთან ქასულა-კასულასთან და ადამიანის საკუთარ სახელთან ქასუ, გვაძლევს საფუძველს, რომ საკვლევი ტერმინი უნდა დაიყოს ორ ნაწილად ქას და თამა. ქასთამა შესაძლებელია რთული სახელია, მაგრამ, უეჭველია, მის შემადგენელ ნაწილებს ქაშქურ სახელებთან ქასულა და ქასუსთან სემანტიკური კავშირი აქვს. ქასუ და ქასულა-ს შედარება გვიჩვენებს, რომ ტოპონიმი ლა (თუ ელ) სუფიქსითაა წარმოებული. თავად, როგორც ჩანს, ქასთამა მომდინარეობს ქას(უ) და თამა-დან. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიებული პირსახელი თამი, გვაქვს თამაზი-ც. თამი-თამა ზუსტად შეესატყვისება საკელევი ტერმინის მეორე ნაწილს. ასე, რომ ექვს გარეშეა ქასთამა ორი საკუთარი, დამოუკიდებელი სახელებისაგან შედგება-ქას (ქაშ) და თამი (თამა).

რა კავშირი აქვს ქართულ სამყაროსთან?

საქართველოში როგორც ძველად ისე ამჟამადაც დასტურდება ის ფაქტი, რომ ქას და თამ ძირიანი სახელები და გვარები ფართოდ იყო გავრცელებული, კერძოდ: ქაზუ, ქასი, ქასილა, თამაზი, თამანდი, თამარ, თამთა, თამზუეა, თამუსი, თამუნა, თამილა, თამსი, ქასივაძე, ქასილაძე და სხვა მრავალი.¹

ქას (ქაშ) და თამა შესაძლებელია წარმომდგარიყო ქართული სიტყვებიდან: ქაშა (მაგ. ვაშლი), ქასრ-ქვის დანაკი (საბა), ქასურ-ერთგვარი სალესავი ქვა (საბა),² თამასა-

¹ სვანეთის წერილობითი ძველები, II, გვ. 510, 548.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 270.

ვიწრო და თხელი ფიცარი, ფირფიტა, ლითონის თამასა.¹ დამ-(საქმეს) ბოლომდე მიიყვანს, მოაგვარებს.² თუკი, რა თქმა უნდა, “თამა”-ში თ-ს მაგიერ და-ს ვიგულისხმებთ (შეადარეთ: დიმნა-დომანა-თუმანა-ტუმნია).

უ ნ ღ ა [. . .]

ტოპონიმი უნდა[...] სრული სახით არაა შემონახული. მსგავსი სახელი, მე მგონია, რომ ურარტულ-ხეთურ-ქაშქურ სამყაროში არ შემონახულა. აქ შესაძლებელია ტერმინი გაფორმებული იყო, როგორც ჩვეულებრივ ქაშქურ სამყაროში სუფიქსით ან კიდევ სხვა რთული, კომპოზიტური სახელის მეორე ნაწილით. უნდა ნიშნავს სურვილს, ნდომა აქვს, სურს, სწადია. უნდო – არასანდო, უნდო – ურგები. ამავე ძირებიდან გვაქვს წარმოებული ქართული სიტყვებიც: უნდავი, უნდაური, უნდება, უნდილი, უნდო, უნდობი და ა.შ.³

ხ ა ღ მ ა თ ი

ხალ ფუძიანი სიტყვები ქართულ ლექსიკონში მრავალია, დაახლ. 100-მდე. განსაკუთრებით გამოვლოვდით: ხალი ქუმელია (მოხალული მარცვლის ფქვილი),⁴ ხალ-ი=კალა-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 237.

² იქვე, გვ. 180.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, გვ. 1548-1550; 6. ჩუბინიშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 386.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 372.

ტოზის საზომი ხე (საბა), ხალა=კაკლის დასაბერტყი ჯონი,-ხალხა, ჭოკი, ხალა=მოხარშული მარცვლებისაგან შეზელილი ცომი, ხალავ=შუშავს, ცეცხლზე ოდნავ წვავს და ა.შ.¹

საქართველოში ასევე გავრცელებული იყო ხალ-ხალდ ძირიანი სახელ-გვარები, ისინი ვრცელია ამჟამადაც: ხალინა, ხალინელა, ხალამპრი,² ხალვაში, ხალიფაშილი, ხალკისძე, ხალიბაშვილი, ხალვარი, ხალაძე, ხალაური, ხალა, ხალი, ხალიბი, ხალიბაური და სხვა.³

საქართველოში ასევე გავრცელებულია ისეთი ტოპონიმები, რომლებიც კავშირში იმყოფებიან ხალ-ხალდ-ხალიბ სატომო სახელებთან, თუ მათთან სემანტიკურ კავშირში მყოფ ქართულ სიტყვებთან: აჭარის სოფლები – სა-ხალ-ვაშო, ხალა, სოფელ კუჭულას (ქედა) უბანი ხალაური, ჭანეთში: ხალვა, ხალდისი, ხალას სახელით მდინარე, ხეობა და სოფელი,⁴ სოფელი ხალდე (სვანეთში), ი. ბაგრატიონი ხალფალუს ასახელებს, როგორც ტოპონიმის სახელს ქართლ-კახეთის აღწერაში და სხვა მრავალი.

ტომები, ქვეყნები, ოლქები, დასახლებული პუნქტები, მდინარეები ხალდ-ხალიბის სახელწოდებით ქართველურ სამყაროში ურმია-ვანის ტბების მიდამოებიდან მდინარე პალისის (ყიზილ-ირმაკის) შესართავის რაიონამდე ძველაღმოსვლურ და ანტიკურ ხანაში მრავლად დასტურდება.⁵

¹ იქვე, ტ. VIII, გვ. 1319-1326.

² სვანეთის წერილობითი ქეგლები, II, გვ. 558, 559.

³ ი. ბექირიშვილი. ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, ბათ., 1995, გვ. 244, 246, 250.

⁴ ი. სიხარულიძე. ჭანეთი, I, ბათ., 1977, გვ. 108, 110; ი. სიხარულიძე, ჭანეთი, II, გვ. 37.

⁵ ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002, გვ. 107, 133, 143; მისვე, დაივენიდაოთხი, ბათ., 2006, გვ. 103 და შემდ.

საკვლევი ტერმინის მეორე შემადგენელი ნაწილი მათიც ქართულია. მათ-მათა მრავლობითია მან ნაცვალსახელის; ენაცვლება იგინი ნაცვალსახელს. მათი-კუთვნილობითი ნაცვალსახელი, იგინი ჩვენებ. ნაცვალსახელის შესაბამისი.

ხეთურ-მითანურ წყაროებში, ოომელიც ქართველური სამყაროს შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია, მოიხსენიებიან ვინმე მათი, ენამათი, ქაშინმათი. აღნიშნულ სახელებში, ოოგორც ვხედავთ, ერთ-ერთი კომპონენტი მათია. საქართველოში გავრცელებულია ძველი დროიდან მოყოლებული ადამიანის საკუთარ სახელად მათი-მათე-მატი-მათა-მატვალა.¹

კოლხეთის ტერიტორიაზე ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენიება ქალაქების სახელად: მათიუმი, მადია, ოომლებიც სავარაუდოთ ბათუმის სახელის ნაირსახეობად ითვლებიან.² ჰეროდოტეს ცნობის სპარსულ 18 სატრაპიაში დასახელებული ტომი მატიენა³ (იგივე ტაონი, ტაო) და ა.შ.

მათი დაბოლოებით ქართული ტომების განსახლებისა და ქაშქების ტერიტორიაზე თუ მათ მეზობლად, სადაც უძველესი დროიდან დღემდე ჭანურ (სვანურ)-ლაზურ (მეგრულ) მოსახლეობა ბინადრობდა (ჭანეთში), დღესაც გვხვდება ტოპონიმები დურმათი, სალამათი, ხოლო შავშეთში – მათიგილი და დუმათი.⁴ თუკი ამ უკანასკნელში

¹ გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს.), თბ., 1988, გვ. 30; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 523.

² ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), გვ. 215-219; მიხივვ, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათ., 2002, გვ. 77.

³ ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, თ. თაუქეჩიშვილის გამოცემა, თბ., 1975, გვ. 226.

⁴ ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2001, გვ. 177, 193.

ქართული სუფიქსი ათ- არ გამოყოფა. შეადარეთ გურიის სოფლის სახელი ჯუმათი.

ვ ი ვ ა ნ ა

ფივარა ქალაქის სახელია. იგი მოიხსენიება ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისის ხეთურ ძეგლში – არნუვანდასა და აშმუნიქალის ლოცვა-ში.¹

სახელწოდებაში აშკარად გამოყოფა ძველი ქართული ადამიანის საკუთარი სახელი ვარა. ვარა ცნობილი სახელი იყო თუშეთში, გავრცელებულია აჭარაშიც. ვარა გამოიყოფა ქართულ სახელ-გვარებში: ვარშანიძე, ვარისამაშვილი, ვარშალომიძე, ვარემაშვილი, ვარძელაშვილი და სხვა.² ვარ ელემენტი დასტურდება ქართულ სახელებშიც: ვარაზა, ვარამი, ვარდანი, ვართანი, ვარინე, ვარლამი, ვარსიმე, ვარქესენი, ვარძუკა და სხვა.³

ვარ ძირი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქართულ სიტყვებს ვარგა-ვარგი-ვარგისი, რაც კარგს, გამოსაღებარს ნიშნავს.⁴ იქნებ იგი ზრდადასრულებული, პატარა ქათმის (ჰუჭულის) სახელიდან – ვარია – მომდინარეობს.

ასეთ შემთხვევაში გასარკვევია ფი-ს რაობა. თი-მეგრულში ოჯახს, სახლს ნიშნავს.⁵ ფა- მეგრულსა და სვანურში მოღვაწს, გვარს აღნიშნავს.⁶ ზემოთ აღნიშნულიდან

¹ ი. ტატიშვილი. ხეთები ქაშქების შესახებ-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ, 2007, გვ. 24.

² ი. ახეუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, გვ. 675.

³ იქვე, გვ. 838-839.

⁴ ქართული ენის ვანმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 748.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 46.

⁶ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 748.

გამომდინარე ფივარა ნიშნავს “ვარას მოდგმას, გვარს,” ე.ი. ქალაქი დაარსა თუ ქალაქს ხელმძღვანელობს ვარას გვარი, საგვარეულო, მოდგმა.

ცნობილია, რომ მსგავსი ტოპონიმები ფივა და ფივანა პამფილიასა და ტროაში არის დაბლობები და ქალაქები.¹ ვფიქრობ შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს გარემოება. ზოგიერთი მეცნიერი სამართლიანად ტროასა და მის შემოგარენს ქართველურ სამყაროს (უფრო სვანურს) უკავშირებს. ერთი და იგივე ტოპონიმები ქაშქასა და ტროას, აგრეთვე კილიკია-პამფილიაში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამიტომ გვაქვს საფუძველი საკვლევ ტერმინში ფუძედ ფივა გამოვყოთ და არ სუფიქსად მივიჩნიოთ, ისეთივე როგორიცაა: ტიბარი(ენი), ქართველური ტომი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოტიორას (ორდუ) მიდამოებში, აჭარა, მტკვარი, კანდარა სოფელ ალერტკარში ადგილი, კუჭუშ ნაჭვარა ადგილი სოფელ დარჩელში და მრავალი სხვა.

ი შ თ უ მ ი ს თ ა

იშთუმისთა ისეთი წარმოების გეოგრაფიული სახელია, როგორიც ზოგიერთი ქაშქური ტოპონიმი: იშთალუპა, იშტანარა, დაიშტიფა და სხვა. ურარტულ სამყაროში ცნობილი იყო დასახლებული პუნქტები – იშტაიაუნი, იშტამნია, იშტაფა, მდინარე იშტარაურა და სხვა.² ვიდაც ქალის სახელია იშტაფარია.³ ამ სახელს, რომ თანამედროვე და ისტორიულ, შესაბამისი სახის სახელებთან აქვთ კავშირი

¹ Страбон. География, с. 547-549, 624, 631.

² И.М. Дьяконов. АВИИУ. – ВДИ, 1951, №2, с. 282, 323.

³ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.17.

მოწმობს ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებული სოფლის სახელი ეშტიო, რომელსაც ურარტულ ხანაში იშტელუანი ერქვა.

რა სემანტიკის მატარებელია ტერმინი იშთუმისთა?

პირველ რიგში არსებული სახელწოდებების გათვალისწინებით, იგი უნდა დაიყოს ორ ნაწილად – იშთუ და მისთა. პირველი, როგორც ჩანს, უკავშირდება ხეთურმცირეაზიული მზის ღვთაების სახელს იშთანუ ან მეორე ღვთაების სახელს იშთაია-ს.¹ თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სვანურ ენაში იშდუ წიხლია,² აშდ-აშტ – ერთი, პირველი, მზე და ა.შ. იშთ-იშტა-იშტაგი ადამიანის საკუთარ სახელებად გვევლინება ძველქართულ სამყაროში, აღმოჩენილ ძეგლებში. ყოველივე ამას პარალელები ეძებნება ხერი-ურარტულ სივრცეში.³ შესაძლებელია იშთუმისთაში გამოყოფილი ელემენტი იშთუ პირის სახელი იყოს, რომელიც სემანტიკურად მოდიოდეს მზის ან სხვა რომელიმე ღვთაების (მაგ. იშთაია) სახელიდან და ნიშნავდეს მზეს, პირველს და ა.შ.

საკვლევ ტერმინში გამოყოფილი მეორე ელემენტი – მისთა, შეიძლება ამოვიცნოთ ქართული სახელი მისი და თა ქართულ გვართა და გეოგრაფიულ ტერმინთა მაწარმოებელი. შევადაროთ თავად ქაშქურ სახელთან მათი (ხალ-მათი), დაიაენი-დიაოხის მეფის სახელთან – სენი (შენი) და ა.შ. შენი, მათი და მისი ერთი რიგის სახელებია. თა-სუფიქსით საქართველოში წარმოებულია ტოპონიმები: მცხეთა, არგვეთა, ბიჭვინთა, ბალანთა, გუმისთა, გურიანთა, ერგეთა, მოგვთა და მრავალი სხვა.

¹ ძახიქ, გვ. 231, 232.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური დექსიკონი, გვ. 313, 743.

³ გ. მელიქიშვილი. ძიებანი... გვ. 55-56.

განკუშნა (განკუსნა)

ამ ქვენის სახელიც, როგორც ჩანს, ქართველური წარმომავლობისაა. იგი შესაძლებელია მომდინარეობდეს იმერულ დიალექტში დაცული სიტყვიდან დანქულ-ი, რაც დაფქულს, ფქვილს ნიშნავს.¹ თუმცა არაა გამორიცხული, რომ ტოპონიმი დაიყოს დან-ქულ-ნა, სადაც ნა ჩვეულებრივი ქართველური სუფიქსია, ხოლო დან და ქულ საძებარია. მით უმეტეს, რომ ორივე ამ ელემენტებს ქართველურ ლექსიკაში ეძებნება პარალელური.

დან ფუძიანი ქვეყნები ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროში სხვაც არაერთი გვხვდება, კერძოდ, დანუნა, დანქუვა, დანია, დანზიუნი.² გვაქვს ქალის საკუთარი სახელი დანქუია. იგივე ძირია ქართულ გვარ-სახელებში: დანდალაშვილი, დანელია, დანიბეგაშვილი, დანდურაშვილი,³ აქედან გამომდინარე დან-ი საკუთარი სახელიც ყოფილა. საქართველოში (თუშეთში) გვაქვს სოფ. დანო და მდინარე დანოს წყალი. ქართულ ენაში დანა ჰქვია მოგრძო ტარიან საჭრელ იარაღს.⁴ დან, ასევე რთული დაბოლოებაა. იგი უპასუხებს კითხვაზე საიდან? მაგალითად, წერილი მივიღე სოფლიდან.

ქუმ-ქოშ-ხუშ ძირიანი ტოპონიმები ქართველურ სამყაროში ძველადმოსავლური ხანიდან მოყოლებული საისტორიო წყაროებში არაერთი აღინიშნება, მაგალითად: ხუშანი-

¹ ქართული კილო-ტქმათა სიტყვის კონა, გვ. 182.

² дօбоլ, ձՅ: 204, 243; Н.В. Арутюнян. Ук. соч., с. 267, 278.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 665.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 184.

უძველესი ქართველი სამეფოს დაიაქნი-დიაოხის ოლქი.¹ ქუშანა ქუში, რომელიც მოხსენებულია ბიბლიაში.² მსგავსი ტოპონიმები, რომლებიც დაკავშირებულია ქუშ-ძირთან გახვდება, როგორც საქართველოს, ისე მის საზღვრებს გარეთ, იმ ოლქებში, რომლებიც საქართველოსაგან მიიტაცეს: ხოშორა (ფშავი), ხოშურეთი (არტაანის მიდამოები), ხოსორი (ოლთისის რაიონი) ხოსტა (ართვინის ოლქი)³ და სხვები, რომლებიც მოხსენებული აქვთ ევროპელ მოგზაურ-მკლევარებს.⁴

საქართველოში ისტორიულადაც და დღესაც დასტურდება ხოშ-ქოშ-ქუშ ძირიანი სახელები და გვარები: ხოშა, ქოშაქი, ხუშაქი, ხუშაი, ქოჩა, ხოშატი, ქოჩაკი, ხოშტარია, ხოშარელი, ქუშხეველი და სხვა.⁵

აღნიშნული ტოპონიმები ქართველურ ჯგუფს, რომ უნდა განეკუთვნებოდნენ, გარდა იმისა, რომ აღნიშნულ მხარეებში ქართველური მოსახლეობა ბინადრობდა, მათი სემანტიკა გაიგება ამავე ენების გამოყენებით: ხოშა=დიდი⁶

¹ ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ... გვ. 101-102; მისივე, დაიაქნ-დიაოხის ზოგიერთი „ქვეყნის“ ლოკალიზაციისათვის, ს. ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 2000, გვ. 63-65.

² ზ. კოსიდოვგვარი. ბიბლიური თქმულებები, თბ., 1976, გვ. 12; А. Таксиль. Забавная Библия, М., 1976.с. 15.

³ ს. გოგიტიძე. დიაოხის შემაღებელი ოლქების ლოკალიზაციისათვის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მრომები, II, ბათ., 2002, გვ. 16-17; С.Д. Гогитидзе. Локализация «стран» Данаен-Диаоха, гаражесионლогииს საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგად. ინსტიტუტის მოამბე, VI, მონება-ლი-თბ., 2000, გვ. 54-55.

⁴ პ. ინგოროვა. გოორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 162; ს. გოგიტიძე. ქვეყნა ხუშანი, ხ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მრომები, V, ბათ., 2007, გვ. 108.

⁵ ტბეთის სულთა მატიანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 15-16; ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 343, 560; ჟურნ. მნაობი, 1957, №6.

⁶ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 874.

ქოშ=კუთხევ,¹ ქუშ=მოღუშული, პირქუში, ქუში=ძველი ხველა, ქუშ=თვალელამი, მარღი² და ა.შ.³

ამრიგად, ქაშქური ტოპონიმი წარმოშობილი უნდა იყოს, მისი დამაარსებლის დან-ქუშნას სახელიდან. ქართველურ სამყაროში დასტურდება სახელი და ტოპონიმი დან-დანო და ა.შ. ქუშ-ქუშნაც ქათულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება. როგორც ჩანს, ერთია ამ დასახლებული პუნქტის დამაარსებელის დინასტიური (ან მისი მამის, წინაპარის), ხოლო მეორე საკუთარი სახელი. მაშასადამე, დან და ქუშ(ნა) – ორივე ადამიანის საკუთარი სახელია.

ი ს ქ უ ნ უ ხ ა

ისქურუხა ქაშქური ქალაქის სახელია. მისი სემანტიკის გარკვევა დიდ ძალასა და ენერგიას არ მოითხოვს, რაღაც, მისივე ეტიმოლოგია პირდაპირაა გადმოცემული. ტოპონიმის სახელი შედგება ორი ნაწილისაგან ის და ქურუხა, ერთიცა და მეორეც ქართულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება.

ქართული ლექსიკონის მიხედვით, ის ჩვენებითი ნაცვალსახელია და აღნიშნავს ის, იგი,⁴ მეორე ნაწილი ქურუხა კი ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს პირქუში, კუშტი, წარბშეკრული, გულმძიმე (ადამიანი).⁵ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისქურუხა განიმარტება, რო-

¹ ქართული (აჭარული) ზდაპრები, ბათ., 1973, გვ. 151.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 380.

³ ყველა ეს მასალა თავმოყრილია ჩვენს მონოგრაფიაში: დაიავნიდიანი, ბათ. 2006, თავი: ხუშანი-ხუშალხხ.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 250.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 376.

გორც “ის ქუშიდანაა” ან (ადამიანი თუ ადამიანები) პირ-ქუშის, გულმძიმე თვისებებით ხასიათდებიან, თუმცა ქურუ-ხა ადამიანის სახელიც შეიძლება იყოს.

იგი ასოცირდება ხეთურ წყაროებში დურმითას მეზო-ბელ ქვეყანასთან, ქაშქების ტერიტორიაზე თუ მის სიახ-ლოვეს მდებარე ქურუსთამას ქვეყნის სახელთან, ასევე ხურიტების ქალაქ ქურუსანის სახელთან.¹ აქ, ან-სუფიქსია. თუ ჩვენი დაკვირვება მართებულია, მაშინ ამ უკანასკნელის პირველი ნაწილი ქურუს (თამა) იქნებ საკვლევ ტერმინს ქურუს დაუკავშირდეს. მაგრამ, ისიც გასათვალისწინე-ბელია, რომ ქურუ-ქურუსის მსგავსი სიტყვები ქართულ ლექსიგაში რამდენიმეა: ქურ=ღოყა, ქურა=პატარა ყურებია-ნი თხა, ქურა=ქოლო, მცენარეა, ქურო=ხელთაომანი, ქურს=დაბალი ტახტი სათბობი მოწყობილობით და ა.შ.²

გვაქვს ტოპონიმის წარმომავლობის სხვა ვარიანტიც. ის (იშ)-ას – (აშ) საკუთარი სახელი უნდა იყოს, ხოლო ქურუხა, ისეთივე წარმოების გვარი-დინასტიური სახელი, როგორიცაა ქურხი (ული), ზაბახა, ჯავახი, კომახი და ა.შ. ის (იშ)-ის ნაირსახეობანია-ისო, ისა, ისი და ა.შ. ქართული სახელები. ვფიქრობთ, სვანური ენაც ამ მხრივ საინტერესო სიტყვებს შეიცავს, კერძოდ: ქურმუხური იყის ქვა, ქურუ-ხურ=ქური.³ ასე რომ, შესაძლებელია საკვლევი ტოპონიმის მეორე ნაწილი ქუხურა სწორედ სვანური სიტყვიდან რუხი (ქურუ) მომდინარეობდეს.

მეგრული გვარია ქურია, ქურუვა, სახელია ქური.

საქართველოში გავრცელებულია გვარი ქურხული (გვაქვს ქუხული-ც), რომელიც თითქოს ზუსტი ანალოგიაა

¹ ძახიქ, გვ. 205, 261.

² ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 579.

³ ვ. ოთვურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 787.

ქაშქური ქურუხეას, იმ განსხვავებით, რომ ქართულ გვარს ერთვის ულ (ელ) სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი. ქურხი II ქურუხა ადამიანის საკუთარი სახელი და ტოპონიმი (სოფლის სახელი) უნდა იყოს. ბორჯომის რაიონში გვარქს ტოპონიმი ქურუხ-ეთი (ჭობისხვი),¹ რომელიც ზუსტი ანალოგია უნდა იყოს საკვლევი ტერმინისა, იმ განსხვავებით, რომ ქართულ სახელწოდებაში გამოიყოფა ეთ-სუფიქსი.

მაშასადამე, ქალაქის სახელის შინაარსი იქნება შემდეგი: ისქურუხა დასახლებულია “პირქუში, გულმძმიქ” ადამიანებით. ან კიდევ იქნებ სახელწოდებაში ქალაქის დამარსებლის სახელი იმალებოდეს; ისქურუხა-ში ის-იშ და ქურუხა-ც ორივე საკუთარი სახელი უნდა იყოს.

ფ ი თ ა უ ნ ი ა

აღნიშნული სახელი სპეციალობის თუ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია.² ქართული ლექსიკური მარაგის განხილვის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ფითაფითა-ურა ქართველური ტერმინი უნდა იყოს. ქართულში ფიტ – უთაფლო ფიჭაა, ფიტა – ერთგვარი თევზი, ფიტავ – ფიტივით ხდის, აშრობს, ახმობს, ფითხ – ნაკვერჩხლის ასაღები რეინის ნიჩაბი, ფიჩხა – სოკოა ერთგვარი და ა.შ.³ მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მართებული იქნებოდა ხეთურ წყაროებში დადასტურებული ფითაურია ქართულ ფიჩხაური-ფიჩხაურას უნდა შეესაბამებოდეს, რაც მოზრ-

¹ კრებ. იბერია-კოლხეთი, თბ., 2009, №5, გვ. 32.

² გრ. გიორგაძე. ხეთური და ასურული... გვ. 87.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 105, 119, 126.

დილ საღვინე დოქს (პირველი) ან მოზრდილ საღვინე (მეორე, საბა) ჭურჭელს შეესაბამება, ფიტ – ბარაქა, პიტა – თიკანი.¹ თუმცა შესაძლებელია ტერმინი იყოფოდეს ფითა-ურ-ია. ფითა ქართულ ენაში ნებისმიერ ზემოთხსენებულს უნდა შეეფარდებოდეს. ურ-ქართული სუფიქსია, ხოლო ია მეგრული გვარებისა და სახელების მაწარმოებელი.

მსგავსი ტოპონიმები გავრცელებული იყო ქართველური ტომების განსახლების არეალში: ფითარ მარდინიდან 46 კმ-ზე, ასურული და ურარტული წყაროების ფითეირა, ფითურა,² თავად ქაშქური ტოპონიმი ფათალახესი. ქიცუვათნის ქვეყანაში ტოპონიმი პიტურა (ფითურა), ხათა-ხეთას ტერიტორიაზე ფიტათი.³ პიტიუსა (ასახელებს კლავდიოს პტოლემაიოსი), ფითურა (ამიანე მარცელინი), ფითია (ნოტაცია დიგნატატუმი). ეს უკანასკნელი, სამივე პუნქტი პ. ინგოროვას ერთი და იმავე პუნქტად მიაჩნია და მათ ოფისთან, მოგიანო ხანის სოტირიოპოლისთან (ტრაპიზონის აღმოსავლეთით) აიგივებს.⁴ ს. ყაუხეჩიშვილის მიხედვით, ნოტაციის ფითია-პითიე – ბიჭვინთაა. მსგავსი ფონეტიკური აგებულების ტოპონიმები დღვენდელ საქართველოშიც მოიძებნება: ფიჩორი – მდინარე გურიაში, პატაური – გორა გაღმა ქაქუთში, ფეტოურა – გვარაში, ფატარი – ჩიბათში,⁵

¹ ქართული კილო-თქმათა ხიტყვის ქონა, გვ. 540, 544.

² ძახიქ, გვ. 277; ВДИ, 1951, №2, с. 292; Н.В. Арутунян. Ук. соч., с. 84-85, 96, 204-207.

³ გრ. γοιωργαδε. ხეთური და ასურული... გვ. 8; მიხივე. Вопросы... с. 125; B. Хачатрян. Восточные провинции Хетской империи, Ер., 1971, с.91.

⁴ პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 252-253.

⁵ ი. სიხარულიძე. მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკ). –საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 82, 95, 145.

ფიტარეთი, პიტარეთი ქვემო ქართლში, პიტაური სოფელი აფხაზეთში.¹

ტოპონიმი ფატარი გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ხშირია სამეგრელოსა და აჭარაში² ფატართა (ვაკე), ფათანი (მთა), ფათაროთა (დაფერდება), ფატაროთა (საძოვარი), ფატარი (ტყე) და მრავალი სხვა.

წვენში გავრცელებულია, აგრეთვე, ისეთი სახელ-გვარები, რომელთა დაკავშირება შეიძლება საკვლევ ტერმინთან: ფითათი, ფატი (ფატიმა), ფითურია, ფითაურია, პიტიური, ფათურია.³

ფ ი ა

აშკარად ჩანს, რომ ფია ქართველური ენების ლექსიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. იგი ხეთურ წყაროებში დადასტურებული ქაშქური ადამიანის საკუთარი სახელია. მას, უქმედია, კავშირი უნდა ჰქონდეს მეგრულ სახელთან ფაია. ქართველური ენების გამოყენებით აიხსნება ერთიცა და მეორეც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფაია კავშირში, ჩანს, ქაშქური ტოპონიმის აშხარ-ფაია-ს სახელთან, ხოლო ფია იმავე სამყაროში არსებულ საკუთარ სახელთან ფიახათახილა, რის გამოც მიზეზი გვაქვს, რომ წარმოვადგინოთ ორიგეს განხილვა.

¹ პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულეგ, გვ. 168, 169.

² პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 33, 283; პ. ცხადაია, პ. ჯოჯუა. რაჭის... გვ. 134, 135.

³ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, გვ. 133, 166.

მეგრულ ენაში ფია განმარტებულია, როგორც ცუდი, გლახა. ¹ მსგავსი სემანტიკური ოვისება გააჩნია მას ქართულ ენაშიც. ფია ნიშნავს ცუდს, გლახას, ფინთს.² ამავე ენაში ფია რძის ფაფას.³

ფაია-ქართულ ენაში კედლის ის ნაწილია, რაზედაც კამარის ფეხებია დაყრდნობილი.⁴ რამდენადაც ფაია მეგრული სახელია და მასში შეინიშნება მეგრული ია სუფიქსი, რომელიც ამავე ენაში აწარმოებს გვარებსა და სახელებს, ამიტომ საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს მეგრულში. ფა მეგრულში და სვანურში აღნიშნავს მოდგმას, ჯიშს, შთამომავლობას და ა.შ.⁵ მაშასადამე, ფაია შეიძლება ნიშნავდეს (ჩემს) სისხლს, ჯიშს, შთამომავლობას (გამგრძელებელს).

ფია-ფაიას ვარიანტს მეგრულში წარმოადგენს ბაია. ბა და ფა-ს თითქმის ერთიდაიგივე დანიშნულება გააჩნია მეგრულში, საერთოდ ქართველურ ენებში. ფა-მოდგმა, ჯიში, დინასტია, ბა-მამა, რომელიც ასევე მოდგმასა და ჯიშზე მიუთითებს. ია-კი მეგრული სუფიქსია, რომელიც აწარმოებს მეგრულ ტოპონიმებს, გვარებსა და სახელებს, აღნიშნავს წარმომავლობას, წინაპრებს, მოდგმას. თავად ბაია ამავე ენაში ნიშნავს პატარას.

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 98.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 544.

³ იქვე, გვ. 542.

⁴ იქვე, გვ. 532.

⁵ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 748.

ხ ა ნ ა ი

ხარაი – სპეციალობის თუ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია. აღნიშნული ტერმინი ქართული ენის ლექსიკური ფონდის პოზიციიდან გამომდინარე შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქართულ ხარო-ს, რასაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1 – საპატიმრო, ღრმა ბნელი ორმო, 2 – მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი.¹ აქედან გამომდინარე, ტერმინი ხარაი შეიძლება უკავშირდებოდეს ხაროს (საპატიმრო) ან მარცვლეულის შესანახს. საკვლევი ტერმინი იმდენად პოპულარულია საქართველოში, რომ იგი ფართოდაა გავრცელებული ჩვენს ონომასტიკაში: ხარა, ხარია, ხარიტონი, ხარება, ხარანა, ხარანი, ხარანაული, ხარაიშვილი, ხარაზი, ხარაზია, ხარაული, ხარაშვილი, ხარაძე, ხარებავა, ხარაბაძე, ხარიტაშვილი და ა.შ.

გვაქვს კიდევ სხვაგარი ახსნაც. ქართულში ხარ-ხარიმამალი შინაური რქიანი ცხოველია, რომელსაც აბამენ უღელში.² ხარი მველ-ქართულ სამყაროში გამოიყენებოდა როგორც მიწის მოსახნელად, ისე ტვირთის გადასაზიდად. ამისათვის გზები ძირითადად ხარის გასახვლელად (უღლითურთ, ურმითა) გაჰყავდათ. ხშირად ასეთ გზებს ხარიგზას ან უბრალოდ ხარას ეძახდნენ. ასეთია ერთ-ერთი მიკრო-ტოპონიმი (ხარიგზა) ქვედა ჯოჭოში (ერგეში). საერთოდ ხართან დაკავშირებული ტოპონიმები უამრავია საქართველოში, მაგალითად: ხარაულა – სოფელი აჭარაში, ხარაული – მიკრო-ტოპონიმი ასკანაში (გურია), ხარაგოული – სოფელი იმერეთში და ა.შ. ურარტულ ხანაში ხარია ქვეყნა იყო, ხარდია ურარტუს ქალაქი იყო. აქედან გამომდინა-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 576.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 1337.

რე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხარაი შეიძლება დაპავში-
რებული იყოს ხარასთან ანუ გზასთან თუ გზის მეურნეო-
ბასთან, მით უმეტეს, რომ ურარტულ-ქართველურ სამყარო-
ში ხარა იყო გზების ღვთაება.¹ *hare* ურარტუში გზას,
ლაშქრობას შეესაბამება²

შემოგთავაზებთ მეორე ვარიანტსაც. ხეთურში ხარა
ნიშნავს მდინარეს, დინებას,³ ამიტომ საინტერესოა ეს ტერ-
მინი, ხომ არ შეესაბამება წყლით მომარაგების სისტემის
უფროსს, ან მოხელეს. სახელწოდების ახსნის სხვა ვარიან-
ტიც გვაქვს. მეგრულში ხარა ნიშნავს პირფართო ქოთანს,
ქართულ ხალანს.⁴ ამიტომ საკვლევი ტერმინი ხომ არ
ნიშნავს ხარას, ხალას (პირფართო ქოთნების) ოსტატს.

ტერმინი ხარა მარცვლეულის საზომი უნდა ყოფილიყო,
როგორც ძველ ეგვიპტეში. შესაძლებელია, მარცვლეულის
საწყობის უფროსი. შევადართო ქართული სიტყვები: ხორა-
გი, ხრა, ხრავს და ა.შ.

ფ ი შ ხ უ ნ უ

ქაშქების ქვეყნის ქალაქია. მისი ლოკალიზაცია ჯერ-
ჯერობით უცნობია. ხეთურ წყაროებში იგივე ტოპონიმი
მოიხსენიება როგორც ქვეყნის სახელი.

¹ Б.Б. Пиотровский. История и культура Урарту, Ер., 1944, с. 280.

² Г.А. Меликишвили. УКН, с. 396.

³ Т.Б. Гамкрелидзе, В.В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, I, Тб., 1984, с. 670.

⁴ ქ. სამუშია. ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები, თბ., 1990, გვ. 104.

ტერმინთან ახლოს მდგომი სიტყვებიდან მეგრულ ენაში შევნიშნეთ რამდენიმე, აი ისინიც: ფიჩა-ლია, ფართო, განიერი, გადაშლილი; ფიჩხი-ცახი, ბალახეულის კონა ან ფოთლებიანი ფიჩხი.¹

შესაძლებელია ტოპონიმის სახელი ორი ნაწილისაგან შედგება-ფიშ და ხურუ გვგონია, რომ ფიშ საკუთარი სახელია, ხოლო ხურუ მეგრული სიტყვაა და ნიშნავს მხარეს, კუთხეს. მეგრულ სიტყვას კავშირი აქვს ქართულ ჰური (არტაანი) – ხური -ვურისთან; ეს იგივეა, რაც ურარტული ური-ქალაქი, კუთხე.

სიტყვა ხური შეინიშნება მეგრულ ტოპონიმებში ხურჩა (ხურუ უჩა)=ბნელი კუთხე, მხარე. ამ სახელით ზუგდიდის რაიონში სოფელი და მის გვერდით მდებარე კუნძული აღინიშნება.² გამორიცხული არ უნდა იყოს ამ სიტყვის კავშირი ჩრდილო მესოპოტამიაში განლაგებული ქვეყნის ხურის (ხურიტი) სახელთან, ურარტული წყაროების ქალაქ ხური [] სთან.³

ბ ა ღ ი ღ ა

ხალილა და ქალაქი ღუდუშქა ქაშქების სატომო გაერთიანების მთავარი რაიონები იყვო.⁴ ერთი ასეთივე სახელის ოლქი ხალილა იყო ურუატრის (ურუ-ართი, მზის ქალაქი) შემადგენლობაში. საერთოდ ხალ (ხალდ) ფუძიანი სახელები ვანის ტბის მიდამოებიდან მდინარე ჰალისამდე (ყიზილ-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, გვ. 103, 104.

² პ. ცხადია. სამეგრელოს... გვ. 173, 232.

³ ძახიქ, გვ. 287.

⁴ ბ. მელიქიშვილი. ძიგბანი... გვ. 90-91-ის სქოლით; - ი. ა. მანაძენ. ი ნекоторых... с. 118.

ირმაკი) და სვანეთამდე მრავლად გვხვდება. ღვთაება ხალ-დი, ტომი ხალიბი, ხალდი, ქვეყანა ხალიტუ, ხალდი (ქალ-დია), ოლქი ხალდირი, ხეობა ხალდი, ქალაქი ხალდია, მდინარე ხალდი, ჰალისი, სოფელი ხალდე, მთა ხალდი, დაბლობი ხალდი, ჭალა ხალდი და მრავალი სხვა.¹ სა-ქართველოში გავრცელებულია შესაბამისი ფორმის სახელ-გვარები; ხალი, ხალა, ხალიბაშვილი, ხალდიშვილი, ხა-ლაური, ხალიბაური, ხალვაში, ხალაძე, ხალფაშვილი, ქა-ლდანი, ქალდია, ქალდიანი და სხვა.²

ტერმინში ხალილა, როგორც ჩანს, ფუძეა ხალ. ხალ სვანურში ნიშნავს – ალი, ბოროტი სული.³ მეგრულში ხა-ლა - შობაა, ღალა - წაღება,⁴ ღალ - ღელე, ღალა - ქონე-ბა, სიმდიდრე, ღალუ - საბრალო, საწყალი.⁵ საკუთრივ ქართულში ხალი წერტილივით ლაქად კანზე, ხალი იგივეა, რაც ქუმელი (მოხალული მარცვლის ფქვილი ცივ წყალში ასერემილი)⁶ ხალანი - პირფართო ქოთანია, ყალანი-ღალა-ნი - იგივე ღალა, ბეგარაძე.⁷

¹ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნი-ლებისათვის, ბათ., 2006, თავი “ქვეყანა ხალდირი (ხალდირიული).”

² ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, თბ., 1999, გვ. 803; ვ. სილო-გავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548 და სხვა. ი. მაისურაძე. ქართული გვარ-სახელები, გვ. 224.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 893.

⁴ გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტივილი-თბ., 1997, გვ. 323, 382, 383.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 163, 165.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 574.

⁷ ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 413.

იშვახანა და გაიშვიფა

ესენი ქაშქური ქალაქებია, ხეთების ზემო ქვეყნისა და ხაიასას მოსაზღვრედ. იშტა-იშტი ელემენტი გამოიყოფა იმავე ხეთების ზემო ქვეყნის ქალაქის სახელებში იშტი-ტინა, იშტუმისთა, იშტალუპა. ურარტულ სამყაროში ცნობილი იყო იშტა ძირიანი ტოპონიმები და პიდრონიმები: იშტაიაუნი, იშტამნია, იშტაიფა, იშტარაურა, საქართველოს, ჯავახეთის ტერიტორიაზე სოფ. ეშტიოს მიდამოებში ურარტულ ხანაში განლაგებული ქალაქი და ქვეყანა იშტელუანი.¹ ამ სახელებში რომ იშტი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, ამაზე მეტყველებს იშტულუანის ადგილას დღვანდველი სოფლის სახელი ეშტიო-იშტია. იშტ-იშტა ადამიანის საკუთარ სახელებად გვხვდება ძველქართულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ თიხის ფირფიტაზე² კარმირ-ბლურის (დღვანდველ სომხეთის) ტერიტორიაზე ნაპოვნ ძველში იხსენიება ვინმე იშტაგი.³ ამავე სახელს პარალელები ეძებნება ხური-ურარტულ ანუ ქართველურ მოსახლეობაშიც, აქ სშირია სახელები იშტა-ვიშტა (უიშტა) ფუძით.

რა სემანტიკის მატარებელია საკვლევ ტერმინში გამოყოფილი იშტ-იშტა-იშტი ელემენტი?

იშტ-იშტა შეიძლება სვანური ერთის, პირველის გადმოცემა იყოს. თანაც პირველი ხომ მზეა. ხათურ-ქართველურ სამყაროში ეშტ-ეშტი მზის ღვთაება იყო. ასევე იყო

¹ ВДИ, 1951, №2, с. 282, 323; იშტელუანი იხსენიება სარდური II-ის მატიანეში (YKH.C. 305), ხოლო, რაც შეეხება მის კავშირს ჯავახეთის სოფელ ეშტიოს მიდამოებთან, აგრეთვე ამ სიტყვის წარმომავლობასთან გვაქვს ცალკე ნაშრომი, რომელიც შევა ურარტულსთან დაკავშირებულ პრობლემში.

² გ. მელიქიშვილი. ძირიანი... გვ. 55-56.

³ იქვე-

იშთაია, ხეთური მზის ღმერთი-იშთანუ¹ მაგალითად, ურარტულ სამყაროში მზის ღვთაება იყო არდ-ართი, ისევე როგორც მეგრულში ართი აღნიშნავს ერთს, პირველს. ასე უნდა ყოფილიყო ქართულშიც, შეადარეთ არდი-მზე, არდა-დეგი და ა.შ. მაშასადამე, იშტა ელემენტი მიმობნეულია, როგორც ადამიანის საკუთარ სახელებში, ისე ტოპონიმებში მთელს ქართველურ სამყაროში, მათ შორის დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, სოფელ ეშტიოს სახით, სადაც განლაგებული იყო ურარტული წყაროების იშტელუანი. მეგრულში გვაქვს სიტყვა იშტა, რომელიც აღნიშნავს ნდომა, მომეცა.² სვანურში იშდუ – წიხლია, იშტხუერე – ამოიღებს, ამოითხრის (მიცვალებულებს).³ სიტყვა იშტხუერე ძალიან ახლოს დგას ქალაქ იშტახარას სახელთან.

ფარიკანიმა (ფარკუმა, თარკუმა)

ამ სახელით მოიხსენიება წყაროებში ქალაქი და ოლქი ქაშქების ტერიტორიაზე. მსგავსი ფუძით რამდენიმე ტოპონიმი მოიხსენიება ამავე ქვეყანაში: თას-თარი (თასთარეშა), თახან-თარია, თარ-უგა და სხვა. ურარტულ და მის მეზობლად განლაგებულ სამყაროში (მაგ. მელიდი, მანა) დასტურდება ისეთი სახელები, როგორიცაა: ტარხულარა ერქვა გურგუმის მფლობელს, ტარსიხა მაცირაუშაელს, თარუა,

¹ ძახიქ, გვ. 231, 232; ზ. ბატიაშვილი. კაპადოკია, გვ.9.

² ზ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 190.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 313, 743.

თარმაკისა, თარიუნი და სხვა.¹ ხათებს პქონდათ ტაროსის დაფაება თარხუნთა, „ურარტუელებს – თარაინი და ა.შ.²

ძველი ქართული ტოპონიმებია: დიაოხის ოლქი თარიუნი, სამცხის მერე სომხურ გეოგრაფიაში თარის ფორმითაა მოხსენიებული. შავარაუდოა, რომ ძველი ქართული ოლქის სახელი თრიარი (პლინიუსი) აღდგეს როგორც თარიარი, მთებია თარიანი, ქედია თრიალეთი და სხვა.³

უძველეს ქართულ მხარეში სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობდნენ მეგრელები მკვლევართა (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა) მიერ აღრიცხულია ტოპონიმები, კერძოდ: ტარაშ ოისერე (საისლე), თარაშ ტომბა (ღრმა წყალი), ტარაშ გინაცვილა (გზის პირი), თარაშ წყურგილი (წყარო) და მრავალი სხვა.⁴ თარა, ტარა, თარაში მეგრულ სამყაროში გავრცელებული ადამიანების საკუთარი სახელებია,⁵ თარია, ტარია კი გვარი.⁶

რა სემანტიკის მატარებელია სიტყვა თარ-ტარ?

რ. გორდეზიანის გამოკვლევით, საერთო ქართველური თარ II თრ ეტიმოლოგიურად უკავშირდება ქართულ სიტყვას თრ-ევ-ა, გამო-თრ-ევ-ა... ლაზურში თორ-თურ-თირ, სვანურში თარ.⁷ ს-ს. ორბელიანის მიხედვით, თარ ფუძე დაკავშირებულია გა-თარ-ვ-ა ძალით გაყვანასთან ანუ ძალით გათრევასთან. სა-თარ-ი გვხვდება მთელ რიგ ქართულ დია-

¹ ВДИ, 1951, №2, с. 302, 311, 317.

² ძახიქ, გვ. 176-177, 270, 279.

³ ს. გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი, გვ. 56-61; ნ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 17, 38.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 32, 275, 371, 377.

⁵ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს... გვ. 282.

⁶ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 684: თარია-შვილი, თარგაძე და ა.შ.

⁷ რ. გორდეზიანი. წინაპერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 80.

ლექტებში.¹ სვანურ ენაში ტარ მიზეზებს, ბრალს აღნიშნავს. მეგრულში თარ – მთავარი, დიდი, ძლიერი, მთელი, რჩეულია.²

საკვლევ ტერმინში გამოყოფილი მეორე ნაწილი კუმაშებიძება დაკავშირებულ იქნას ასურულ და ურარტულ წყაროებში კავკასიის სამხრეთით მოხსენიებულ ტოპონიმებთან, ესენია: უკუმანი, კუმუხი (კუმახახალი), კუმე, კუმუნი და ა.შ.³ ჩვენთან, თბილისის მახლობლად, გვაქვს კუმისის ტბა, გვაქვს ქართული გვარი კომახიძე, თავდაპირველი კომახი-დან. კომახი იგივე კუმახი-ა (შეადარეთ ჩრდილო-შუამდინარული ქვეყნის სახელი კუმახა). აქ ო-სა და უ-ს განსხვავება დაბრკოლებას ვერ ქმნის, რადგან ქართველურ ენებში ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს. ასევე უძველეს უ-ს მოგვიანო ო შეესატყვისება.

რა სემანტიკის მატარებელია კუმე-კუმი?

მეგრულში კუამ ქაბაძ.⁴ ქართულში კუმავ – მოკუმავს, კუმეტ – ძალიან ბნელი (ღამე), ძალიან შავი, კუმკუმა – ლითონის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის, კუმს – ხშირი და მჭიდროდ განლაგებული მარცვლების მქონე.⁵ ყუმი იმერულში და ხშირად ხმარობენ აჭარულში აღნიშნავს ჩუმი და ბაიკუში.⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია საკვლევი ტერმინის ორ ნაწილად დაყოფა – თარ და კუმ (ყუმა). შესაძლებელია, მსგავსი შინაარსი ჰქონდეს

¹ ჸ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 143.

² გ. ელიაგა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 171.

³ ВДИ, 1951, №2, с. 268, 311, 313, 349; ძახიქ, გვ. 271, 291.

⁴ ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 156.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 272.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.7, გვ. 580.

ადამიანის სახელებს, რასაც მოწმობს საქართველოში (უფრო სამეგრელოში), ურარტულ სამყაროში როგორც ადამიანის საკუთარი, ისე გეოგრაფიული სახელების სახით გავრცელებული თარ-ტარ ფუძიანი სახელები. ეს სიტყვა ნიშნავს დიდს, მთავარს, რჩეულს, გამორჩეულს, განსაკუთრებულს და ა.შ. საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილი, რომ მეგრულია (ლაზური) ამას მოწმობს ასურულ და ურარტულ წყაროებში ერთი და იგივე ტოპონიმის ორი ფორმით მოხსენიება: კუმახა, კუმახა-ხალი (შეადარეთ კულხა-კულხახალი). ხალი ნიშნავს შობას, გაჩენას, ალბათ ხალხსაც, შთამომავლობასაც. კულხახალი-კულხას, კოლხას შთამომავლობას, გაჩენილებს აღნიშნავს. ასე, რომ ერთი მხრივ ასურულში კუმახას ფორმით მოხსენიება და მეორე მხრივ ურარტულში კუმახა-ხალის, მოწმობაა იმისა, რომ ამ უკანასკნელში ბოლოკიდური ელემენტი ხალი მეგრულ-ლაზურია.

ადამიანის საკუთარ სახელად საქართველოს მთიანეთში დადასტურებულია ტარკოშა,¹ თითქმის იგივეა, რაც ტარკუმა. ამ ორ სახელს შორის განსხვავება ისაა, რომ ქაშქურ ტერმინში გამოყენებულია მა სუფიქსი (შეადარეთ სუხმა, მატიუმი, ბათუმი), ხოლო ქართულ პირსახელში შა-ქუთვნილებითი სუფიქსი (მემიშა, მეიშა, მეხეში). აქ დაბრკოლებას ვერ ქმნის უ-სა და ო-ს მონაცელება, რადგან ქართული ენის გრამატიკული ნორმების მიხედვით დასაშვებია, თანაც უძველესია უ, შედარებით მოგვიანო ო, ან კიდევ ძველ ენებში ო-მარცვლის არარსებობით აიხსნება, მაგალითად: ოძრხე-უნძრხე, კოლხა-კულხა.

¹ ვ. იოონეშვილი. ტოპონიმიურ-ონომასტიკური და ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტის მონაცემები, თბ., 2006, გვ. 41-42.

ს. ასადოვი მიიჩნევს, რომ ურარტულ სამყაროში, ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ერევნის სიახლოვეს ძველაღმოსავლურ ხანაში არსებული კუმ ძირიანი სატომო სახელები, ქვეყნები და ქალაქები თურქული წარმომავლობისაა. ასე მაგალითად, კამანუ უდური ეთიუნის ქვეყანაში, XIII-VIII საუკუნეებში ლურსმნულ წარწერებში მოხსენიებული კუმან II კუმენ-თან, რომელიც მოხახლეობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, სუბართუს ტერიტორიაზე. მისი აზრით, კუმანის სემანტიკაა: თურქულში სიტყვა კუ ნიშნავს ნათელს, თეორ ნათელ-ცისფერს და ა.შ., რადგან ჩინური წყაროების თანახმად კუმანები იყვნენ ცისფერთვალებიანი და ნათელთმიანი (დამოწმებული აქვს ო. მოლჩანოვის ნაშრომი).¹

ს. ასადოვი იქამდე მიდის, რომ მთელი ურარტული სამყარო და განაპირა მხარეები, მისი აზრით, ასევე თურქულ-აზერბაიჯანული წარმომავლობისაა. თვით ტერმინი ურარტუ და მისი ნაირსახეობანიც თურქულია. იგი წერს: ურუატრიდან წარმოიშვა ურარტუ. ტერმინი ურარტული წარმოშობის არაა. ურარტუ და ურუატრი ადგილობრივი წარმოშობისაა. იგი შედგება თურქული ურუ-ური-სა ნიშნავს შემაღლებულ ადილს და არტ-საგან მთა, მთიანი.² მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ საუბედუროდ ამ დრომდე თურქული ენობრივი ფაქტორი არ იყო გამოყენებული ძველი ტოპონიმების ასახსნელად.³

ჩვენი მხრიდან დავსძენდით, რომ ურარტულ და მის მეზობლად განლაგებულ სამყაროს არავითარი კავშირი არ გააჩნია თურქულთან. ეს არის ძველი ქართული სამყარო. ფინანსების მოძიების შემთხვევაში, ჩვენ მალე გამოუშვებული ტოპონიმების ასახსნელად.

¹ Историческая география западного Азербайджана, составитель С. Асадов, баку, 1998, с. 26.

² იქვე, გვ. 24, 25.

³ იქვე, გვ. 25.

ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც განხილული იქნება მთელ ურარტულ სამყაროში არსებული ქვეყნების, ოლქების, დასახლებული პუნქტებისა და მეფე-მმართველთა საკუთარი სახელების სემანტიკა-ეტიმოლოგია. ასევე ქართველურ სამყაროს უკავშირდება ურარტულ წყაროებში მოხსენიებული არაერთი სიტყვა და ტერმინი, რომლებიც დღემდე გაუგებარია.

ქანთიშიშა (კანციშიშა)

ქანტიშიშა ქაშქების ქვეყნის ერთ-ერთი ქალაქია. თუ ამ ტოპონიმის სახელწოდებას შევადარებთ ძირძველ ქართულ-მეგრულ ტოპონიმებსა და ადამიანის სახელ-გვარებს, აშკარად დავინახავთ, რომ საკვლევ ტოპონიმში ერთ-ერთ ელემენტად ქან-კან უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში არის მსგავსი ძირიანი გვარ-სახელები და ტოპონიმები. მეგრული და ქართული გვარებია: ქანთარია, ქანტარია, ქანდარაშვილი, ქანდაურაშვილი, ქანთიშვილი, კანდელაკი, კანკავა; ქართული და სვანური სახელებია: ქანუ, კანა და სხვა.¹ ტოპონიმებია სკანდა (ს-კან-და), უძველესი ციხე სიმაგრე იმერეთის ტერიტორიაზე; მას მოხსენიებს პროკოპი კესარიელი (VII.), ამჟამად სოფელი. ქანდასოფელია ქართლში, შეიძლება მდინარე ქსანის სახელიც ასეთი წარმოშობის იყოს (შეადარეთ: ქსანი-სქანი). თუმცის სოფელია ხანდო. ზუგდიდის რაიონში ჭითახანდა

¹ ვ. სილაგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 519, 548; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 771.

(წითელი შრომა), ხანგუ (თიხანარ, წყალგაუვალი ადგილი) მიკროტოპონიმებია.¹

კან-ქან ძირიანი ტოპონიმები ქაშქების ტერიტორიის სიახლოესაც აღინიშნება. ურარტუს საზღვრებში მოიხსენიება ოლქი სახელით კანიუნი, ფარსუას ქალაქი, ქანთაუ. ურარტუსა და ასურეთს შორის დასახლება ქანა, ქუას (ქვას) გვერდით.²

რა სემანტიკის მატარებელია ქან ელემენტი? მეგრულ ენაში ქანა, ქანა, ქიანა ქვეყანაა.³ ამის მიხედვით ქანთიშ-შიშა თითქოს ქვეყანა თიშიშას აღნიშნავს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქანთი ადამიანის საკუთარი სახელია (შეადარეთ ქართული გვარი ქანთიშვილი). ალბათ, გამომდინარე აქედან, რომ ქანდა – ოქროს ვარაყია.⁴ მაშინ შშიშა-ს წარმომავლობაა საძიებელი. მაშასადამე, ქანთიშიშა ქანთი-ს შიშას უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ ორი შშ აქ უცხო აფრიკატის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ც ა პ ც ი ნ ა

ქაშქების ქვეყნის ერთ-ერთი ქალაქია. იგი ლოკალიზდება თანამედროვე თურქეთის ქალაქ ტეფთას მიდამოებში.

ქაშქების ტერიტორიაზე იმავე პერიოდში არსებობდა მსგავსი სახელის მქონე მეორე ქალაქი ტახან-ტაპტიპა. საქართველოში გავრცელებულია ფონეტიკურად ახლოს მდგომი გვარსახელი-ტაბატი-ძე.

¹ პ. ცხადია. სამეცნიეროს... გვ. 25.

² Н.В. Арутюняն. Бийаниլի (Урарту), с.284, 295, 317.

³ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული დექსიკონი, III, გვ. 135.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 453.

ქართულ ენაში ტაფ იგივეა, რაც ტაფობი, ხოლო ტინა პიტალო კლდე,¹ აქედან გამომდინარე ტოპონიმის შინაარსი იქნება “ტაფობი კლდეზე.”

მეორენაირი ახსნა საკვლევი ტერმინის წარმოშობილობისა შემდეგია. არნ. ჩიქობავას აზრით, ქართული ტფ-ილ-ი, მეგრული ტიბუს ძირეული მასალა ტაბ წარმოადგენს. თუკი ამ მსჯელობას რაიმე კავშირი გააჩნია ტერმინ ტაპტინასთან, მაშინ ტინა ძველქართულ სამყაროში სახლს აღნიშნავდა, და, ტოპონიმის შინაარსი იქნება თბილი სახლი.

თ ე ფ ი ხ ი ნ ა

ტოპონიმის სახელწოდება შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ წარმომდგარიყოს ორი ელემენტისაგან: თეფი და ხინა. პირველი მათგანი შეიძლება იყოს მთების გაღმოცემა, ძველი, უპრეფიქსო ფორმით-თები-მთები (თა-მთა-ს მრავლობითი რიცხვი). თაფა ქართველურ ენებში მიწის ყრილზე ბორცვს, გორაკს ველზე აღნიშნავს.² მეორე ელემენტი ხინა შეიძლება ყინუა – ყინვა იყოს, რაც ძლიერ სიცივეს ან ყინულს ნიშნავს.³ თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ სახელწოდება უნდა განიმარტოს როგორც ძალიან ცივი მთები (ან გორაკი).

გვაქვს მეორე ვერსიაც. თები-თეფი (შეადარეთ თები-ძე) ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს და ხინა-ხინი შვილის ტოლფარდი. ასეთ შემთხვევაში საკვლევი ტერმინის

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, გვ. 1260, 1295.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 238.

³ იქვე, გვ. 466.

შინაარსი იქნება თეფის-შვილები, უფრო სრულად თეფის-შვილების საცხოვრისი ან მოდგმა.

საქართველოში ტებიში მიკროტოპონიმია, სოფ. ჭადუა-ში (ზუგდიდის რაიონი); ტები განმარტებულია, როგორც ტევრი, ხშირი ტყე. საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილი უნდა უკავშირდებოდეს სოფელ ხინოს სახელს (ქობულეთის რაიონი); შიშტეფი სოფელადაა აღნიშნული ტაშირის ხეობაში. ტოპონიმში აშკარად გამოიყოფა ტაფი (თეფი) ელუმენტი. ჭანეთ-ლაზეთშია მთა ბალგაშ-თეფე, სამეგრელოში, სოფელ თიქორშია ტებდალ(უ), დელე, ტები აქაც განმარტებულია ტევრი, ხშირი ტყე.¹

მკვლევართა აზრით, ქართულ ტფილს მეგრული ტიბუ, ჭანური ტუბუ II ტიბუ, სვანური ტებიდ შეეფარდება. ძირეული მასალა ტაბ უნდა ყოფილიყო. ამის მოწმობაა სვანური ტებ, ჭანურში ტუბ-ტობ; ტიბ – მეორეულია, მიღებულია ტუბ-ისგაბა.² ჭანურში ტები – ტყავია.³ ტეფი – თბილია, აქედანაა ტფილისი.⁴ კ. სამუშიას გადმოცემით, სამეგრელოში ფახულანის ტერიტორიაზე მდებარეობს ქვაბული ტებენე. თებენე-ტები, ცნობილია მარტვილსა და ხონში, გვაქვს მდ. ტებენე. იმოწმებს ი. ყიფშიძეს და მიუთითებს, რომ ტები-ტებენე ეწოდება გაუვალი ტყით დაფარულ ღრმად ჩაქცეულ ადგილს – ქვაბულს.⁵

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 67.

² არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 237, 326-327.

³ ივ. ჯავახიშვილი. ოხმ. ტ. X, თბ., 1992, გვ. 191, შენ. 1.

⁴ ხ. ჭუმბურიძე. როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1963, გვ. 86.

⁵ კ. შამუშია. ქართული ზეპირსიტყვიერება... გვ. 131-132.

Յ Օ Ճ Ո Տ

Եյտուր Իշրուլունուտ մյացլեցի մոեսենոյեցուլու վաժկեծու յշտ-յրտու ոլլիո, վալայ վատեսաուցատու. օգու աւյշրուլ լուր և մենուլ Ծյէլքըցի մուեսենոյեցա յուրմուտ-Ծյեձու¹ ու տռակցուա? մդյեծարյունու յրթոնճանու ճածլունունու օմինչու մուսանցազրյուն. մասզա յեսանցազրյունու ացու² (եասասաւ ոլլիո). սաելովուցի բուծու տացուսու յուրմուտ-պյուրու ացեցուլունու աշ-յարաւ წածցաց յուրմուտ-պյուրու (որուլ) հաւոննու մուսաելու յու-դյա յրտ վարուցալունու բումուս սաելու - բուծարյենս, րոմ-լունուց եալունուցի ճածլունու ծոնացանու մանակուրունու մա-ցու նուցուս սանապուրունու³ յրարուլու վալայ յածա, ցնունու-լունու վայսանա յածալու, րոմյալսաց մաշլուցարյունու ըյրմուն օւերս յացմուրյունունու⁴.

Սանուրու լույսեոյոնուս մուեցաւու ըյնիւ-ընուրու, վառնուս; ⁵ մյացրուլ յնանու բուծութիւն - տեսունու, բուծու - բուծու, բուծուս - մարու բուծու⁶ վարուլու յնանու սություն բուծուս նունաց յսաելուցարուս.⁷

Սավարուցալունու ասետուզ յումուտ արուս ըունունումյունու: եռ-ցալու բուծանու, բուծույսարու, եռոցալու ոյսինեացույսա ճած եռոցալունու որսանցուանու, ըունուասեցանու յ.ո. ըունուասեցու եռոցալունու մաշ-լունունու (աշարա) ճած ա.մ. բուծուս սամցարյունունու ցարուցա.

¹ յ.Ա. Մանադյան. Օ ուշադիրական... ս.87.

² Վ. Խաչատրյան. Վահագուստ և առաջարկություններ. Երևան, 1971, ս. 58, 129.

³ Ե. Ցողովունու. Տամարական առաջարկություններ. Երևան, 1971, ս. 171-172.

⁴ Վ. Դ. Ա. 1951, Նու 2, ս. 313, 320.

⁵ Յ. Ա. Մանադյան. Վահագուստ և առաջարկություններ. Երևան, 1971, ս. 719.

⁶ Պ. Կաչատրյան. Վահագուստ-Վարույնու լույսեոյոնու, III, ս. 25, 35.

⁷ Վարույնու յնուս յանմարթյունունու լույսեոյոնու, ս. 8, ս. 614.

ტიბარენი, მკვლევართა აზრით, მეგრულია და ტბაზე
მოსახლეს ნიშნავს.¹ ს. მარის, ს. გორგაძის და ს. ჯანაშიას
მიხედვით, ტიბარენი იგივე ოობელი-იბერები არიან.² ზოგის
აზრით, ტერმინი ტიბარენი ტაბალს ჰგავს გარეგნულად და,
იგი, არც გეოგრაფიულად და არც ლინგვისტურად არ
მტკიცდება.³ აქვე ჩვენც გვინდა ერთი შენიშვნა გავაკეთოთ,
მე მექქება, რომ ანტიკური ტიბარენი ქაშქური ოლქის
ტიბიას სახელიდან მომდინარეობდეს და თან თაბალთან
რაიმე კავშირი ჰქონდეს.

ს. ბადას მიხედვით, ტიბია მეგრულად თბილს ნიშნავს.⁴
ტაბ ეტიმოლოგიური ძირია, ხოლო თბ მორფოლოგიური.⁵

ფ ი კ უ ნ ბ ი

ფიკურზი ქაშქების ქავების ერთ-ერთი ქალაქია, ასეთივე
სახელის მქონე ოლქი (ფიკურზი) გვაქვს კიდევ ჩრდილოეთ
მესოპოტამიაში, ასურეთის ჩრდილოეთით, იყო ამ ქვეყნის
სამფლობელო. იგი ასურულ წყაროში ტიგლათ-ფილესერ I
(1115-1077 წწ.)-თან მოიხსენიება ალზის (აზი, ალზნი) ქვე-
ყანასთან ერთად.⁶ ალზი (აზი) ქართული ქვეყნის ხაიასას

¹ თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 1956, გვ. 75, შენ.

² ს. ჯანაშია. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 58 და შემდეგი; ს. გორგაძე.
საქართველოს ისტორია, გვ. 26; Н. Марр. По этапам развития яфетической
теории, М. – Л., 1926, с. 79.

³ И.М. Дьяконов. Малая Азия... с. 52.

⁴ ს. ბადა. ლაზ-მეგრელთა ისტორია, გვ. 227.

⁵ თ. ქიტოშვილი. ფუძის საკოთხისათვის შეალებითკონტაქტიან ზმნებში.
– საენათმცნიერო ძიებაზი, X, თბ., 2000, გვ. 85.

⁶ И.М. Дьяконов. АВИИУ.-ВДИ, 1951, №2, с. 270; Я.А. Манандян. О
Некоторых... с. 121.

(პაიაშა) შემადგენლობაში შედიოდა.¹ რაც შეეხება ფიკურ-ზის, მისი მეორე სახელია ფირულუმზი, რაც, ჩვენი აზრით, სვანურად ნიშნავს “ძროხა ლამაზი, რქიანი.” მაშასადამე, ჩრდილომესოპოტამიური ქვეყანა ფიკურზი (ფირულუმზი) ქართველური ქვეყანა იყო. მსგავსი წარმომავლობისა უნდა იყოს ქაშქური ქალაქის სახელი ფიკურზიც.

სვანურში ფიკუ ვაცს ეწოდება² ე.ი. მამალ თხას. შესაძლებელია, საკვლევი ტერმინი ქართული სიტყვიდან ფიქრ (ფიქურ?) - მომდინარეობდეს სი თუ ზი სუფიქსის დართვით.

ფურხუმიფა (თურმითა)

აღნიშნული ქვეყანა ხეთურ წყაროებში მოიხსენიება დურმითას ფორმით. ასურულ წყაროებში გვხვდება ქალაქი დურხუმიტა (დურჟუმიტა) სახელით. თურმითას ლოკალიზაცია უცნობია.

საკვლევ ტერმინში თუკი ტურ II თურ გამოიყოფა, მაშინ იგი მეგრული სიტყვაა და მოგვარეს, სისხლს, ნათესავს აღნიშნავს. თურით ნაწარმოებია მეგრული გვარები ჭანთურია, ე.ი. ჭანის მოგვარე, ჭანის სისხლი. ასეთივედ არის ნაწარმოები ბაღათურია (ბაღას გვარისა) და სხვა. თავად ქაშქურ ტოპონიმებს შორისაა დადასტურებული-თათაშ-თურია, თახაშ-თურია და სხვა. საქართველოში გავრცელებულია როგორც გვარი, ისე სახელი თურია. იგი გამოიყოფა ქართულ გვარებშიც-თურ-მანიძე, თურმანაული, თურმანიშვილი. იმ შემთხვევაში თუკი თავკიდური ხმოვანი

¹ Гр. Капанциян. Хайаса – колыбель армян, Еր., 1948, с. 239; ს. გოგიტიძე. უძველესი ქართული ქვეყანა ხაიაშა (პაიაშა), გაზ. აჭარა, 2002, 6 სექტემბერი.

² ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 760.

თ-კი არა, არამედ და, მაშინ ასეთ შემთხვევაში საკვლევი ტერმინის პირველი ნაწილი აიხსნება, როგორც დურუ (დურჭუ), რაც ძველი ქართული ადამიანის საკუთარი სახელია.

რაც შეეხება მეორე კომპონენტს, მითა-მიტონ-ს, იგი ქართველური სამყაროსათვის კარგად ცნობილი ადამიანის საკუთარი სახელია. ასე ერქვა მითა მესს მუშქების ტომის მეფეს.¹ იგი მოიხსენიება აგრეთვე ძველბერძენ ისტორიკოსთან პეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.) მიდას ფორმით.

საქართველოს ტერიტორიაზე დურმითა-თურმითა ოდნავ სახეცვლილი ფორმებით გვხვდება, აი ისინიც: დუმათი (შავშეთ-იმერხევში), დუმათი და დურმათი (ჭანეთში).²

აქედან გამომდინარე, ტოპონიმი განიმარტება, როგორც მითას გვარისა, ან თურ-მითას ან კიდევ თურისძემითას, იგულისხმება, საკუთარია ეს ქალაქი. სახელწოდებაში გამოყოფილი ხ(უ) შეიძლება სწორედ კუთვნილების ან შვილის, შთამომავლობის აღმნიშვნელი მაწარმოებელი იყოს (შეადარეთ ქართული ფხე, და სვანური ხი).

ქამამა (კამამა)

ტოპონიმში (ოლქის სახელი) გამოყოფილი ფუძის და-კავშირება შეიძლება მეგრულ ქამ-თან, რაც რქიანს ნიშნავს³ და სვანურ ქამ-ფერფლი, ქამა-შეძენა, დამატება.⁴ ქართულში ქამ-ნამი, სისველეა; ქამა-სოკოა ერთგვარი.

¹ ВДИ, 1951, №1, с. 318.

² о. სიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი, ბათ., 1988, გვ. 40; მისივე, ჭანეთი, I, ბათ., 1977, გვ. 78.

³ თ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 124.

⁴ გ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 779.

შესაძლებელია, იგივე ქალაქი თუ ქვეყანა იყოს, რასაც ასურული წყაროები ქამანას ეძახის, მაღატიის დასავლეთით, ხოლო ურარტული ქამანანი, ანტიკური კომანა.¹ ასეთივე სახელწოდების ქალაქს ურარტული წყაროები ასახელებენ უდური ეთიუნის ქვეყნის ტერიტორიაზე² ქამანი სევანის ტბის – დასავლეთში თუ სამხრეთში მდებარეობდა, სადაც ასევე ქართველური მოდგმის ტომები მოსახლეობდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ რატომდაც გვიონია, რომ საკვლევ ტერმინს, რომელიც ქაშქების მიწა-წყალზე არსებობდა, არ იყო ტერიტორიულ კავშირში ასურული და ურარტული წყაროების ქამანასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში დასტურდება (ა) მა და (ა) ნა სუფიქსების მონაცვლეობა. ძველქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება ადამიანის საკუთარ სახელად კამი, ქამქამი, ქამანი, ქამუშა, კამოლე, გვარი – ქამულიანი, კამბერიანი,³ ქამქამიძე, ქამუშაძე, ქამუშიძე და სხვა.⁴

შესაძლებელია საკვლევი ტერმინი კომპოზიტური სახელი იყოს: ქა (თუ კა) და მამა, რამდენადაც ცნობილია მეორე ელემენტი მამა-ს ფორმით. მამა ქალაქი თუ ქვეყანა მდებარეობდა ქანესსა და ურშუს შორის.⁵ ასეთ შემთხვევაში ქა ადამიანის საკუთარ სახელად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც საფუძვლად მნიშვნელობა ქა (იგივე რქა) ან კაკაი (კარგი) ან კიდევ კა-დვთაების სახელი უდევს საფუძვლად.

¹ ქართული კილო-თქმათა სიტყვის ქონა, გვ. 560.

² Г.А. Меликишвили. УКН, с. 155 Д.

³ სვანეთის წერილობით ძეგლები, II, გვ. 519, 548.

⁴ ი. ახეუშვილი. ქართული გვარ-სახელები, გვ. 771, 870.

⁵ ძახიქ, გვ. 173, შენ. 43.

ფ ი თ ა ღ ა ხ ს ი

ტოპონიმის სახელი შეიძლება დავუკავშიროთ სვანურ სიტყვას: ფინთი, რომელიც ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ბინძური, ცუდი; ფათლახ – უსუფთაო ადამიანი.¹

ქართული ლექსიკონის მიხედვით, საკვლევ ტერმინთან ახლოს მდგომი სიტყვებია: ფითილა – ცაცხის თხელი ფირფიტა; ფათალა – სურო.²

საქართველოში გავრცელებულ სახელ-გვარებს შორისაა: თათალი, ფათალა, ფოთოლა, ფოტინე, ფიფელა, ფიფულა, ფათალაძე, ფათალია, ფათალიშვილი.³

თუმცა შესაძლებელია, რომ სახელწოდება შემდგარი იყოს ორი ელემენტისაგან: ფითა და ლახსი (ლახში), რადგან საამისო საფუძველი არსებობს. პირველი მათგანი ფითა უნდა უკავშირდებოდეს ქართულ სახელ-გვარებს, როგორიცაა: პიტა-პიტაური, ფიტუ-ფიტურია, ფიტელა-ფიტელური და ა.შ.⁴ რაც შეეხება მეორე ნაწილს (ლახში) შეიძლება დაკავშირებული იქნას ქართულ ონომასტიკონში კარგად ცნობილ გგართან ლაშხი. როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი შ და ს ბგერების მეტაოუზისით შეიძლება იყოს წარმოშობილი. თუკი საკვლევი ტერმინის ამგვარი გააზრება მართებულია, მაშინ მისი შემადგენელი ნაწილები შესაძლებელია დავუკავშიროთ ქართულ ფიტ – უთაფლო

¹ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 761.

² ქართული კილო-ოქმათა სიტყვის კონი, გვ. 532, 542.

³ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 159; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, 869.

⁴ ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, გვ. 133, 136.

ფიჭა, ფიტა – ერთგვარი თევზი, ფით – ბარაქა, პიტა – თიკანი.¹

ფითა-ფითიე და მსგავსი წარმოების ტოპონიმები, როგორც ძველ ქართულ სამყაროში, ისე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის ყველგანაა მოფენილი. მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ამ საკითხით დაინტერესებულ პირს შეუძლია ისინი ნახოს ქვეთავში “ფითაურია.”²

თასთანი (თაშთანი)

ტოპონიმის სახელი ეტყობა ორ ნაწილად უნდა დაიყოს-თაშ და თარი. პირველი ნაწილი შეიძლება იყოს როგორც სვანური, ისე მეგრული წარმომავლობის სიტყვა: სვანურად თაშ ყველია,³ ხოლო თას მეგრულად თესლს ნიშნავს.⁴

საკვლვი ტერმინის მეორე ნაწილი შეიძლება აიხსნას მეგრული ენის გამოყენებით, თარ ნიშნავს მთავარს, დიდებულს, საღს, რჩეულს.⁵ თარუ სათებში (ძველ მეგრულ სამყაროში) და, ალბათ ქაშქებშიც, ამინდის დვთაება იყო. იგივეა რაც ქართული დარი, ტაროსი და ა.შ.

მონათესავე სახელებიდან ქაშქერ სამყაროში აღსანიშნავია თასთარეშა, თარუგა და სხვა. სათეური სამყაროდან ცნობილია: ქალაქი ტასხინია (ტაშხინია), ტასუმია (თაშუ-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, გვ. 105, 119, 126; ქართულ კილო-თქმათა... გვ. 540, 544.

² იხ. აგრეთვე, Д.Д. Качарава и др. Города и поселения Причерноморья античной эпохи, Тб., 1991, с. 223-224.

³ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 258.

⁴ მ. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 39.

⁵ იქვე, გვ. 37.

მია), ტასტებასტა (თაშთა) და სხვა.¹ მსგავსი ტოპონიმები ასურულ წყაროებშიც გვხვდება, როცა ისინი ურარტუსა და მის გვერდით მყოფ ქვეყნებს ახასიათებდნენ, კერძოდ, ქალაქი ტაშტამი თუ თასთამი, ტაშუხა თუ თასუხა.

საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ფუძით ცნობილი იყო ტაშირი (ქართლის სამხრეთი ნაწილი), პუნქტი ტასტინა თუ თაშტინა და ა.შ. ქართულ გვარში ვანთაშისძე² აშგარად გამოიყოფა თაშ ელემენტი, რომელიც საკვლევი ტერმინის პირველი ნაწილის თაშ-ის ტოლფასოვანი უნდა იყოს.

რაც შეეხება ტოპონიმის მეორე ნაწილს იგიც ქართველურია, და, რომ ქართველურსავე სამყაროში არსებობს თარ-ითა და ამ ფუძით გაფორმებული როგორც ტოპონიმები, პიდრონიმები, ორონიმები, ისე სახელ-გვარები ამის დასადასტურებლად მცირე ნაწილს აქვე მოვიტანთ: თავად ქაშქურ სამყაროში თარია, თათაშ თარია, თახან თარია, მეგრული სახელები და გვარებია თარა, ტარა, თარაში, თარია, თარიაშვილი და ა.შ.³ მეგრული ტოპონიმებია: ტარას ოსერე (საისლე) სოფელ აბასთუმანში, ტარბაიაშ მუხური (სახნავი) სოფელ დარჩელში, თარაშ წყურგილი (წყალი) სოფელ ნაწულუქუში, თარაშ წყურგილი (წყალი) სოფელ ჭალუაში და სხვა მრავალი.⁴ საქართველოს ისტორიული ოლქებია (მხარეები): თარიუნი, თრიარი, თრიალეთი, თარიანი, თარი და სხვა.⁵

¹ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... გვ. 123, 132.

² ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 145.

³ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაფანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 282; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 684.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს... გვ. 32, 116, 275, 377.

⁵ ს. გოგიტიძე. დაიავნი-დიაოხი, გვ. 59-60.

შუიშმელი (სუისმელი)

სახელწოდება ქაშქურ პირთა სახელია. იგი აშკარად ქაშქური წარმომავლობისაა.¹ ძველაღმოსავლურ, მცირეაზიულ წყაროებში გვაქვს ღვთაების სახელი სიუსემი.² ვფიქრობთ, უდავო უნდა იყოს ამ ღვთაების სახელის კავშირი ადამიანის საკუთარ სახელთან-შუიშმელი. მათ შორის სხვაობა ელ ქართული სუფიქსით განისაზღვრება.

რა კავშირი გააჩნია ქართულ სამყაროსთან? აღნიშნული ქაშქური პირსახელი შუიშმელი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ქართულ სახელ-გვარებთან: შაიშმელაშვილი, შაიშვილი.³ იმ შემთხვევაში თუკი საკვლევი ტერმინი ორი ნაწილისაგან შედგება: შუიშ-მელი, მაშინ მისი დაკავშირება შეიძლება: შიაოშ, შიოშ, სიეში, სიოში,⁴ შიოშვილი და სხვა. მეორე ნაწილი შეიძლება კავშირში იყოს ქართულ გვარებში გამოყოფილი ელგმენტისა: ართმელაძე, მელაძე, მელავა, მელაშვილი, მელაქაძე და სხვა.

სემანტიკის მხრივ საინტერესოა ქართველური სიტყვები; მეგრული: შუშ – ჩუმი, წყნარი, მშვიდი;⁵ სვანური: სუისტ – სუსტი;⁶ საკუთრივ ქართული: შუის – იგივეა, რაც შხუის.⁷

¹ გრ. გიორგაძე. ხეთები და ასურული ლურსმნული... გვ. 16.

² ძახიქ, გვ. 175.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 370, 371.

⁴ სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 542, 553.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 274.

⁶ ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 712.

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 506.

ქაქაღუ[...] კაკაღუ[...]

აღნიშნული ტოპონიმის სახელი კაგშირშია ურარტუს (მზიანი მხარე, მზის დვოთაების ქალაქი) ვანის ტბისპირა ერთ-ერთი ოლქის უესის, ო-აია-ესის მმართველის სახელ-თან ქაქადანუ.¹ აქედან გამომდინარე საკვლევი ქალაქი დაარსებულია ვიდაც კაკაღუ-ს მიერ.

რა კაგშირშია ქართულ სამყაროსთან? საქართველოში გვაქვს ადამიანის საკუთარი სახელები-ქადელა, ქაქაი, კაპუ, კაპაი, ქაქიტი, ქაქუბერია, ქაქუბაი, ქაქუცა, ქაქი, ქაქუ² გვაქვს გვარები-კაკალაძე, კაკაბაძე, კაკაურიძე, კაკაშვილი, კაკიაშვილი, ქაქიჩაშვილი, ქაქუბერია, ქაქუბერიძე და ა.შ.³

სვანურ ენაში ქაქ ნიშნავს ფაფას, კაპუ – წაყეფებას, წაწკმუტუნებას, ქაქდუირ – წამხდარი, გაფუჭებული, ბინძური, ტყუილი, აბდაუბდა.⁴ მეგრულში -ქაქუ ქაცვია,⁵ საკუთრივ ქართულში – კაკდ – ოოფლზე საცურაო ფიცარია,⁶ ქოქა – აბრეშუმით მოქარგული მძვივიანი სამკაულია ქალისა, ქაქია – ასკილია, ქოქო – გაუმაძღარი, ქოქ – მოდგმა, წინაპარი, გვარი.⁷

სვათა შორის, საქართველოში გავრცელებული სახელია კაკაღუ, იგივეა რაც, საკვლევი ტოპონიმის სახელი და ურარტული პირსახელი კაკადანუ.

¹ ВДИ, 1951, №2, с.338.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 548, 549.

³ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 772.

⁴ ვ. ოოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 343, 778.

⁵ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 130.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, გვ. 259.

⁷ ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 575, 576, 563.

მუნისქა (მუნიშგა)

საკვლევი ტერმინი ტოპონიმია. გრ. გიორგაძე მას ორი ფორმით კითხულობს: მუნისქა და მუნიშგა.¹ ოუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. მსგავსი დაბოლოება ახასიათით სხვა ქართველურ ტომებს, კერძოდ: სანიგი, სანგი, ქაშქა, ქასგა, მუშქი.

ტოპონიმი უნდა დაიყოს ფუძედ მუნი და შქა, ან შ-ქა. მეგრულ ენაში შქა-შგას მნიშვნელობებია: შუა, ფუტკარი, სკა. გამორიცხული არაა, როგორც მრავალ ქაშქურ ტოპონიმებში შქა-შკა შეიძლება იგივე შკუა (შეადარეთ: პა-პაშქუა, პაპასკირი, კოლოსქუა) იყოს, და ნიშნავდეს მუნისშვილებს, მათ სამოსახლოს. იმ შემთხვევაში, თუკი ამ დაბოლოებას ბოლოკიდურ ქასგან გამოვყოფთ, მაშინ შიქნება კუთხნილებითი სუფიქსი, ქა-ქვეყანა. ამ ბოლო გარემოების გათვალისწინებით ტოპონიმის შინაარსი იქნება: მუნის ქვეყანა, მხარე.

რა სემანტიკის მატარებელია თავად სიტყვა მუნი?

სათური ღვთაების სახელია ამუნქი, შესაძლებელია მასში ა პრეფიქსად მივიჩნიოთ და იგი დაუახლოვდეს საკვლევ ტერმინს. მსგავსი სახელი მუნა ერქვა ძველაღმოსავლურ ხანაში მდინარე არაქსს (არქზი, რახსი, ფასისი). ასეთ შემთხვევაში შეიძლება მუნა-მონა დაუკავშიროთ სიტყვა ცუდს. ასეთი სახელი მდინარისათვის შესაფერი იქნებოდა. სხვათაშორის სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, მონიო ძველად ნიშნავდა მდინარე წყნარი, მდორე ადგილი მდინარეში.² ქართულ ენაში მუნი-ავადმყოფობაა, მდერი (ბლერი).

¹ გ. გიორგაძე. ხეთური ლურსმნული ტექსტების... გვ. 15.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, გვ. 835.

მეგრულ ენაში მუნი-მონა ნიშნავს შიგ, შიგნით; მუნე-
გამოღმით, სიღრმეში; მუნია – მოღრუბლება, ღრუბელი, ცის
ღრუბლით დაფარვა; მონა – მონას, გლახას და ა.შ.¹

ფ ი ა ფ ი ტ ი

ადამიანის საკუთარი სახელი უნდა წარმოდგებოდეს
ორი დამოუკიდებელი სახელისაგან ფია (ფაია) და ფილი
(ფილუ).² ორივე მათგანი საქართველოში გავრცელებული
სახელია. თავად ქაშქურ, ისე ურარტულ და ხეთურ სამ-
ყაროში ფია, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი ძალ-
ზედ გავრცელებული ყოფილა. ფია ქაშქებში პირსახელია,
გვხვდება კომპოზიტურ სახელებშიც: ფიახათახილა,
ფი(ა)ხათახი. ხურიტულ ტექსტებში გვხვდება ავა მწერალი,
ფაა (წარწერა ბეჭედზე), ფაი-თეშუბ. ხეთურ წყაროებში
გვხვდება ფიასილი (ფიაშილი),³ რომელიც აშკარად მეგ-
რული წარმომავლობისაა. ფაია მეგრული სახელიცაა და
გვარიც.

რაც შექხება საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილს, ისიც
მეგრულია. ფალის მსგავსი სახელები სამეგრელოში ისტო-
რიულად ფართოდ გავრცელებული ყოფილა. ადამიანის
საკუთარი სახელია ფილუ და ფილა.⁴ არის მეგრული გვა-
რი ფილია, ფილიავა, ფილიური. გვაქვს შესაბამისი ტოპო-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 300, 336, 337.

² ძახიქ, გვ. 256, 255.

³ Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с. 16.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი... გვ. 55, 106, 110, 189, 217.

ნიმებიც: ფილუშ დიხა, ფილუშ ნოხორი, ფილუშ ტობა, ფილუშ დალე და სხვა.¹

ქაშქური სახელი ფიაფილი ისეთი თრნაწილადი სახელია, როგორიც სხვა ქართული სახელები: თურმანი (აქედანაა თურმანიძე), ოდიშელი (ოდიშელიძე, ოდიშელია), ჭანტური (ჭანტურია) და მრავალი სხვა.

ქართულ ენაში ფია ბავშვის საჭმელი თხელი ფაფაა,² ფილი – როდინი, ფილა – ბრტყელი ნაჭერი ქვის, თიხისა, ლითონის და ა.შ.³

მეგრულ ენაში ფია არის გლახა, ცუდი,⁴ იქნებ ტერმინი ფიაფილი ერთი სიტყვიდან ფიაფია მომდინარეობდეს ილი სუფიქსის დართვით, რაც მეგრულში ნისნავს: “ნაჭერნაჭერ, ძალზედ დაქუცმაცებულად.”⁵

თუთუსქა (თუთუშქა)

ერთი შეხედვით ტოპონიმის სახელი ადვილი ასესნადი უნდა იყოს. ისევე როგორც სხვა ქაშქურ ტოპონიმებს, თუკი მასაც მეგრულ ენაზე გავიაზრებთ, მაშინ იგი უნდა დაიყოს ორ ან სამ ნაწილად: თუთუ-შ-ქა ან თუთუ-სქა, მით უმეტეს რომ ასეთი დაყოფისათვის მიზეზიც არსებობს. უეჭველია, თუთუ-თუთა ძველქართულში და ქართველურ ენებშიც მთვარეს ნიშნავდა, თუდო-დაბლა, ქვევით, ძირს.⁶ მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც მთვარე, ასევე

¹ იქვე, გვ. 217, 360, 372.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 98.

³ იქვე, გვ. 105.

⁴ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 98.

⁵ იქვე.

⁶ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 64, 65.

ადამიანის საკუთარი სახელი. ასეთივე სახელები გვაქვს საქართველოშიც, ოღონდ ძველ ენგბში ო-ს უქონლობით, ზოგიერთი უ-თია გააზრებული. ჩვენს ქვეყანაში გაგრცელებული სახელ-გვარებია: თუთა, თუთაი, თუთაბერი, თუთარ, თუთაშ, თუთალია, თუთაშხია, თუთაცირა, თუთი, თუთარუ, თუთაილა, თუთალა, თუთარუ, თუთი, თუთრია, თოთარ,¹ თოთიბაია, თოთაბერი, თოთობაბერი, თოთია, თუთაშვილი, თუთაბერ, თუთბერიძე, თუთიშვილი და ა.შ.

ახლა, რაც შეეხება საკვლევი ტერმინის დაბოლოებას შქა-სკა-ს. შქა-სკა, როგორც ცნობილია, მეგრულში ნიშნავს შუას, ფუტკარს, სკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ტოპონიმის შინაარსი იყოს მთვარის შუა ან თუთას სკები, ფუტკარი. თუმცა არაა გამორიცხული სკა-შქა ისეთივე სუფიქსი იყოს, როგორიც მეგრულ გვარებში დასტურდება, კერძოდ: პაპასკირი, პაპასკუა, კოლოსკუა, უზარასკუა და ა.შ. აქედან გამომდინარე, უფრო სარწმუნო ჩანს, ტოპონიმი განიმარტოს, როგორც თუთუს შვილები.

ფ ი თ უ ნ თ უ შ

ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ქართულში აღნიშნულ ფუძეს ფითუ-ს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობები: ფიტი (უთაფლო ფიჭა), ფიტა (ბარაქა), ფიტი (ერთგვარი თევზი).²

მეგრულ ენაშიც არის მსგავსი სიტყვები, კერძოდ: ფითონი - თარო სამზად სახლში - სამზარეულოში ჭრა-

¹ ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 844; ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 512.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 119.

ქის ან სხვათა ჩამოსადებად.¹ ამავე ენაში ამ სიტყვის მეორე ნაწილი თუშ ნიშნავს ჩოჩიალა ურმის კავები, მთიდან ბალახის ჩამოსატანი მოწყობილობა; თუმია — ჩოჩიალა ურემი.²

ფ ა ც ა ნ ა

ადამიანის საკუთარი სახელი ფაცანა შეიძლება მომდინარეობდეს ქართული სიტყვიდან ფაცია, იგივეა რაც ფაციუცი, მოფაცფაცე, არეულობას აღნიშნავს.³ მსგავსი სახელ-გვარებითაა მოფენილი ქართველური სამყარო, უფრო კი მეგრული: ფაცა, ფაცი, ფაცია, ფაცუნა, ფაცაცო, ფაცუცა, ფაცაცია, ფაცურია, ფაცხალია და სხვა.⁴ ტბეთის სულთა მატიანეში დასტურდება პირსახელი ფოცუნა,⁵ იგივე ფაცუნაშიფაცანა.

როგორც ჩანს, ეს სახელი მეგრული სიტყვიდან ფაჩი მომდინარეობს. ფაჩი არის მოფერებითი მიმართვა გოგონა-სადმი, მაგალითად ქუმორთი ფაჩი, ჩქიმდა! მოდი, ფაჩი ჩემთან! ან შეიძლება ფაჩალ-იდან მომდინარეობდეს, რაც ნიშნავს ფაჩუნი,⁶ საკუთრივ ქართულში ბაც ნიშნავს დია, მკრთალი (ფერი), ბაცაცა — ბაჭია.⁷ სვანურში ბაჩ — ქვაა.

მეგრული საკუთარი სახელია ფაცა, ფაცი, ფაცია, ფაცუნა. მსგავსი რიგის სახელია ქაშქური ფაცანა. რო-

¹ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 98.

² იქვე, გვ. 68.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 50.

⁴ გ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 546; ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, გვ. 767, 869.

⁵ ტბეთის სულთა მატიანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 20.

⁶ ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 91.

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 58.

გორც ჩანს, ფაც-ა ძირია, ხოლო ან (ა) სუფიქსი. საკვლევი ტერმინის სემანტიკა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. იმ შემთხვევაში თუკი ქართული ბაჩანას ტოლფასოვანია, მა-შინ შესაძლებლად მიგვაჩნია მისი ფორმა ძველაღმოსავ-ლური ენებისათვის ყოფილიყო ფაცანა ფორმა.

ბ ა ც ი უ ნ ა

გაციურა იხსენიება ხატუსილ III-ის (1304-1280 წწ.) ავტობიოგრაფიაში. ამ ქალაქის მოსახლეობამ ქურუსთამასა და ქაშქების ქვეყნის სხვა ქალაქებთან და ოლქებთან ერთად თავდასხმა მოაწყო ხათის მიტოვებულ (დაცლილ) ქალაქებზე.¹

სახელწოდება გაციურა, როგორც ჩანს, მომდინარეობს ხათურ-ქაშქერი დათაების გაცის სახელისაგან. ის იგივე დათაებაა, რომელიც მოგვიანებით ხეთების სამეფოს წარ-მოქმნის უწინარეს, ან დაშლის შემდეგ, ან კიდევ VII-VI საუკუნეებსა თუ ალექსანდრე მაკედონელის წინა აზიაში ლაშქრობის პერიოდში მცირებაზიელ ქართველურ ტომთა (ხათები, ქაშქები, მუშქები?) დიდმა ნაკადმა შემოიტანა მცეკოთაში.² ყოველ შემთხვევაში ეს იყო სუფთა მეგრულ-ლაზური ნაკადი. ქართული გვარსახელებია: უთურ-გაცი, უთურ-გაიძე, ქაცა, გაჩნა, გაჯა, გაიკარაშვილი და სხვა.

ტერმინის მეორე ნაწილი ურა მხარეს, ქალაქს, ადგილს აღნიშნავს. ასე იყო ურარტულში, ხეთურში. ქართულში ჰურა, ურა; სომხურმა შეითვისა ვურის სახით. თანა-

¹ ძახიქ, გვ. 204.

² მომზადებული გვაქვს მონოგრაფია არიან-ქართლის ლოკალიზაციისა და მასთან კავშირში მყოფი თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

მედროვე მეგრულში ხურა, მუხური იმასვე ნიშნავს. ურა-
ხური-პური ურარტულ-შუამდინარულ-ხათურ ამიერკავკა-
სიურ (ქართველურ) სამყაროში ხშირია, როგორც ტოპო-
ნიმების, ისე გვარების წარმოების მხრივ. ძველი საქართ-
ველოს ტერიტორიაზე იყო, ქალაქები: ურიეიუნი, ურაიანი,
პური (პური-არტაანი), მუ-ხური, ხიდურა. თანამედროვე
საქართველოს ტერიტორიაზე სოფლების სახელები: მახვი-
ლაური (მახვილას მხარე, სოფელი), თოდოგაური, მახინ-
ჯაური, ცეცხლაური, ხოხატაური, ძველი ქართული გვარე-
ბია: ხოშარაული, გოგოლაური, გოგელაური, ქეთელაური,
ღუდუშაური, ხიტაური და სხვა.

სახელწოდება გაციურა ნიშნავს ღვთაება გაცის ად-
გილს ან გაცის (იგულისხმება ადამიანი) სამოსახლო, ქა-
ლაქი. ამ ქალაქს გაზიურას ფორმით მოიხსენიებს სტრა-
ბონი (ძვ. წ. 64-ას. წ. 24 წლ.).¹ იგი იყო პონტოს სამეფოს
დედაქალაქი, თანამედროვე თურქალის ადგილას.

ფ ი ა ფ ი ღ ი

ფიაფილი ადამიანის საკუთარი სახელია. იქიდან გამომ-
დინარე, რომ ქაშქურ სამყაროში არსებობდა პირსახელი
ფია, საკვლევი ტერმინი ფიაფილი უნდა წარმოდგებოდეს
ორი სახელისაგან- ფაია და ფილი. თუმცა ქაშქურ
ტოპონიმთა და ადამიანის საკუთარ სახელთა შორის არის
ასეთებიც: ფიგა-ფილუ, ფი(ა)-ფელუ, ფიფა-ლილა, ფია-ხათა-
ხილა და სხვა. მურსილის ძმის სახელია ფია-შილი.²

¹ Страбон. География, с. 514.

² Г.Г. Гиоргадзе. Вопросы... с.16.

ქართველურ ენებში ფია – რძის ფაფაა, ფია – ცუდის, გლახას სინონიმია.¹ ფაია – ქართულ ენაში კედლის ის ნაწილია, რაზედაც კამარის ფეხებია დაყრდნობილი.²

ტერმინ ფია-ფილის პირველ ნაწილს კავშირი უნდა ჰქონდეს მეგრულ სახელთან ფაია. აშკარაა მისი კავშირი ქაშქურ ტოპონიმთან აშხარ-ფაია-სთან.

საკვლევი ტერმინის მეორე ნაწილი ფილი, უეჭველად ადამიანის საკუთარ სახელებთანაა კავშირში, რომლებიც დამოწმებულია ძველ ქართულ, სვანურ და მეგრულ წერილობით ძეგლებში, აგრეთვე თანამედროვე საქართველოში: ფილა, ფილი, ფილუ, ფილაური, ფილიშვილი, ფილიური და ა.შ.³

ფილ (ფილა) – ქართულ ლექსიკონში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1 ქვევრის ქუსლის დასადგმელი (ხის) 2 თავ-ფართო ქოთანი; 3 ღორის ქონი; 4 ფილთაქვა და ა.შ.

ამრიგად, ადამიანის საკუთარი სახელი ფიაფილი აშკარად მეგრული წარმომავლობისაა. იგი წარმოდგება ორი სახელისაგან – ფია და ფილი, რომლებსაც გავრცელება დღევანდელ საქართველოში ახლაც მოეპოვება.

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 542, 544; ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, გვ. 98.

² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 532.

³ ს. მაკალათია. ოუშეთი, გვ. 172; სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 547; პ. ცხადაია, გ. ჯოჯუა. სამურზაფანოს... გვ. 306, 314.

Simon Gogitidze

Is Qashqa-Abeshla part of Abkhazian or Georgian world?

Summary

In this work are discussed ca. 170 names of countries, regions, cities, humans, etc. and researched semantic and etymology of these.

On our view, all of them connected with Georgian world. Most part to Mengrelo-Lazian world and lesser to Kartvelian and Svanian. Concerning to Abkhazian, this phenomena connected to the northern Caucasus and has not direct links with south Caucasus and Asia Minor.

It is well known that Kashka tribes were living in the South-Eastern part of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Kosogi (Circassians) tribe and some scientists are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Kashka tribe are not in any relation with Apsuas and Kosogs (Circassians). In contrary they were of Kartvelian origin.

Termin Kashka is connected with Kartvelian (Megrelian) personal names, surnames, toponymies and the words. It is possible to divide this word into two or three parts: Ka-shka or Ka-sh-ka. Ka-denotes the personal name of a person, Shka-shka-shkua-son, Sh-the suffix of belonging and the Ka (ki, Kha)-country, people. The content of this termin will be the next- Ka-sons or the country belonging to Ka. It is possible to connect this word Kashka with the Khattian deity by the name Kashka, Kartvelian word Kashkasha(bright) which sometimes is fixed in such form in the literature.

It is well known that the Abeshla (Kashka) tribes were living in the South- Eastern of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Apshil's tribe and are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our

point of view Abeshla tribe and Apsils are not in any relation with Apsuas. In contrary they were of Kartvelian origin. Term Abeshla are connected with Georgian names, surnames and toponymy. Here we can separate the prefix “A”- and suffix “La”, which are Georgian word-building affixes. The root of the word Abes-Abesh-Afesh-Afsh can be connected with Mingrelian word “Abes”, with the meaning “story”, The term “Abeshla” can be explained by the other Georgian words, for example,- “The sons of Aba.” If the name “A” is the prefix, then it must be connected with Georgian word Psha, that means the water running near the river or mingrelian word Psila - that means the sand and so on.

3,500-3 000 old toponyms and anthroponyms: Tibia, Phithauria, Thathalia, Phatana, Tsiana, Dada, Thuthu, Qanu, Qasu, Thakhani, Muthi, Phiphia, Sharia, Thuria, Tharia, Quqava, Phasava, Gakharia, Kharia, Phatsia, Phaia, Litha, Nunu, Thali, Vasha, etc. had exact parallels in Georgian sources and modernity: Thakhash Thuria, Thathash Thuria, Thakhan Tharia, Tsitha Kharia, Qathi Kharia, Vasha Kharia, Vash Kharia, Askhar Phaia, Thul (Thal) Malia, etc.

Симон Гогитидзе

Кашка-абешла: абхазско (апсуа)-адигейский или грузинский мир?

Р е з ю м е

Известно, что племена Кашки проживали на юго-восточном Причерноморье в глубине полуострова. Исследователи этот факт связывают с названием племени Косогы (Черкесы) и считают Апсую адыгейским племенем. По нашему мнению Кашки не имели никакой связи с северо-западными народами и в том числе с апсуйцами (т.е. с современными абхазами). Напротив, они были грузинского (мегрельского) происхождения. Эта точка зрения поддерживается хетскими источниками упомянутых личных имен и топонимов, которые на сегодняшний день являются фамилиями, личными именами, а иногда топонимами мегрелов. Напр. Малия, Хария Тулия, Фация, Фаия, Тария, Хаяя, Фамалия, Шария, Гахария, Кукава, Фифия, Тали, Дада, Ками, Мути и др.

Термин Кашка имеет связь с грузинскими (скорее всего с мегрельскими) личными именами, фамилиями, топонимами и словами. Его можно разделить на две или три части: Ка-шка или Ка-ш-ка. Ка является личным именем, шка-шкуа-сыном, ш суффиксом принадлежности, а ка (qi, xi) – страна, люди. Так что этот термин означает : сыновья ка или страна принадлежащая Ка. Может быть название Кашка связано с хатским лунным божеством Кашку. Сравните с грузинским словом кашкаша (сияние звезды). Иногда в источниках встречается и в такой форме.

Известно что племена Абешла (Кашка) проживали на Юго-Восточном Причерноморье. Исследователи этот факт связывают с названием племени апшилов и считают предков Апсуйцами (современные Абхазцы). По нашему мнению Абешла и Апсили не

имели никакой связи с Апсуйцами, напротив, они были Картвельского происхождения.

Термин Абешла имеет связь с грузинскими личными именами, фамилиями и топонимами. Здесь можно выделить префикс «А» и суффикс «ЛА», которые считаются грузинскими словообразовательными аффиксами. Корень слова Абес-Абеш Афеш-Авш можно связать с мингрельским словом Абес, который означает событие. Термин Абешла можно объяснить и другими грузинскими словами, например: «Синовья Аба». Если в названии «А» является префиксом, то он должно быть связан с грузинским словом Фша - которое означает воду протекающую вблизи реки, или с мингрельскими словами Фсила-песок и другое.

Топонимы и антропонимы, которые у кашков были около 3,5-3 тысячи лет тому назад (Тибия, Питаурия, Фаталия, Фатана, Циана, Дада, Туту, Дадилу, Татили, Касу, Кану, Тахани, Мути, Фифия, Шария, Турция, Тария, Кукава, Фасава, Гахария, Хария, Фация, Фаия, Лита, Нуну, Тали, Вasha и др.). Они все подтверждение находят в грузинских исторических источниках и нынешней в Грузии точно такими же формами. В Грузии, скорее всего в Самегрело (Мингрелия), можно встретить людей такими же именами и фамилиями, которые были похожие в мире, например: Тахаш-турия, Таташ-турия, Тахан-тария, Цита-хария, Кати-хария, Ваш-хария, Ваш-хаяя, Асхар-фаия, Тул(Тал)-малия и т.д. Семантику из всех перечисленных можно объяснить на грузинском, вернее, на менгрелском языке. В этих названиях выделенные суффиксы (шка, лия, ия, ва, ция, эн, эл, фа, иян, ха, ки, ша) особенно характеризует менгрело-лазского, в частности и грузинского (картвелкого) и сванского языков. Приведем два примера:

Шария – это название находит объяснение в сванском языке, но видно происхождение его мегрельское. В термине должно выделиться «шар», что означает полоса, шара-полосатый, а «ия»

обычный грузинский суффикс, который производит фамилии мегрельско-лазского происхождения: Гвазабия, Кишмария, Кория, Алания, Шенгелия, Тария и многие другие. На территориях Урарту существовали топонимы оформление происхождением ия: Бараия, что на мегрельском означает – «равное», Каламия, калам – ботанический «овсяница луговая», калами - «эта круглая деревянная чаша для питья вина и каламия – «вишневая ветвь».

Шария-менгрельская фамилия. В Грузии распространены фамилии похожими элементами: Баба-шария, Оди-шария, Шартава и др. Грузинские фамилии Шарадзе, Ба-шара—ел-и, Ба-шарадзе, Шарабидзе, Шарадзе и др.

На грузинском Шари-Шариани означает «клевета», «выдумать клевету». Суффикс «шар» в мегрельском означает «происходство», например, потомство Баба-Бабашари. Похожие происхождения Бабашария, Одишария, и др. В сванской памятной письменности подтверждено, что одишари означает выходцы из Одиши. В грузинском наречий Шара – означает дорога. В Грузии как исторический, так же широко распространены современные похожие топонимы Шараула (Тао-Кларджети), Шорапани (Имерети), Шариспира (Джурквети), Ушарни и т.д.

В сванской памятной письменности подтверждается имена с похожим происхождением: Елашари, Одишари, Уедшари, историческая фамилия Шариани. Для сравнения возьмем мегрельскую фамилию Шария, Шару, Шара, Шарина. Шария – у кашков есть либо фамилия, либо имя, которое у кашков превращено в топонимы.

В менгрельском есть топонимы: Шка самаргалош шара (село Ахалсопели), Шка самаргалош шара (с. Ингири), Каличаш шара (там же), Темшара (с. Кахати), Сашарашио (с. Хурча) Шаруш нохори (с. Одиши), Шарагимал (с. Джихаскари) и др.

В Акадском «шари» означало царя. Известно то, что древнее среднеречье было родина сванских и мингрельских племен т.е. миром древней Грузии. Может быть у похожих терминов шар-шари-шария были похожие происхождение. С точки зрения С. Бада, шара (которое выделена в грузинских фамилиях Шарвашидзе, Шарашия) есть на юге нижней Месопотамии, т.е. в Шумере имя божества покровителя города-государства Ушма.

В ряду этого Шар-Шара должно быть термином мегрельского происхождения и означает происходство, но не исключено, что шара может быть имя человека или божества, а Шария детей шары или потомство. Город Шария может быть основана с именем божества Шара.

Талифация – этот топоним, как видно, мегрельского происхождения, но оно еще объясняется с применением сванского языка. У сванов «талафа» означает «ресница». Если название топонима действительно произведено от этого слова, то талифация должно объясняться, как «местность с населением особыми ресницами.» У этого термина, в сванском языке есть и другие варианты объяснения. Если оно представляет композит, то возможно его деление на два компонента тал-и-фация. Тал обозначает «клин», а фация в сванской памятной письменности появляется как именами людей. Если оно так, то тогда исследуемый термин объясняется как «клин фаций», или же места «клина фации». Как видно этот пункт назван так потому, что на этом месте когда то «фация» производил свой медные или же деревянные клины. В Грузии несколько сел с таким названием. В описаниях Болниской низменности, Триалети и Эенисели внесены села с именем «Тала».

По данным Грузинского языка, название можно объяснить следующим образом: первая часть композита Тали может быть

имя человека Тали-Талико. Тала-тоже самое «полей», «Бардана», а второе, «фация» может быть пация (еле-еле, мало, т.е. маленького размера) или фачуа (маленький). А также можно сказать и то, что «Тали-фация» было сложным составным именем, как Тиглатпиласар, Тукултиниурта, Тутхалия, Турмани, Ардашели, Пиримзе, Тинатин и т.д. А в хеттской письменности найдутся такие названия, которые будут первым или вторым составным элементом того или иной географической единицы исследуемого термина, например: Фига-фацуй, Тал-мания, Фаци-м[...], Фаци-ци, из хеттского божественного пантеона «Хафан-талия».

Тут не надо отметить и то, что сегодня в Грузии найдутся не мало людей с таким именем и фамилией. Тали собственное имя, а Фация мегрельская фамилия (есть и имя) так же как кашский и мегрельский Тали-Мания. А так же есть фамилий Талаквадзе, Талавадзе и т.д. Фация может быть именем династий или фамильного рода.

В ряду с этим Тали Фация должно представить имя и фамилия того человека (имя династий), той личности который основал местность с этим названием. Тали может быть разнообразием богини Дали, которая была распространена в том мире. Сванская традиция сохранила богиню Дали как богиню охоты. С огнем оно должно связано быть.

В ряду с этим талифация представляет мегрельское имя (Тали) и фамилию (Фация).

ՑԵԹՈԿԱԼԵՅԱՆՈ

1. АВИИУ – Ассиро-Вавилонские источники по истории Урарту.
2. ВДИ – Вестник древней истории.
3. УКН – Урартские клинообразные папирусы, М., 1960.
4. Տօն – Տայարտցելու ուժորուս նարձաւածո.
5. Տյաշիթ – Տայարտցելուսա դա յարտցելյան ազմութեալու շահեալու դա յարտցելու Ծյրմոնուացոցա, տէ., 1993.
6. Ժաեյ – Ժցելո ազմուացլյատու եալետա ուժորուս յրյացուատոցա, տէ., 1990.

სარჩევი

შესავალი	5
ქაშპაზი და მათი ეთნოგრაფი წარვიტოლება	16
ქაშპაზი საქართველოს ტარიებორისა და მათი მთამომავლები	34
ტარიები აზეპლას ნარმომავლობისათვის	60
ტარიები აზეპლას კავშირი საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე ტარიებორისათან	85
ადამიანის საკათარი სახელისა და ტოარმინების ნარმომავლობა	106
ფათადია	106
შანია	110
თახიფაცია	112
თახაშოურია-თაქაშოურია	114
ხუმინთეშქა	116
ღეღეშქა (ღაღესქა)	118
ქაფიფინი (ქაფიპინი)	120
ფიგაფიღე	123
ქანიქენისქა (ქანიქენიშქა)	124
ხათეფა	126
ფიქენიადი	127
ხაფინა	128
ასხანფაია (აშხანფაია)	129
თახანთანია	131
თუღმადია	134
თიშქა (ღიშქა)	136
გაბაპა	137
თითია D(ღითა)	139
ეღენია (იღენია)	139
ფიფია	140
თათიშქა (ღაღიშქა)	141
ფიანთიშქა (ფიანთისქა)	143
ფაცანა	145
ღაღა (ღათა)	147

საფალი (სათაღი)	148
თურქი	150
ითიღი	152
ქაშაღევა	152
თიქექავა	154
სხესაფალი (აშხაფალი)	155
გაღიღორება	157
ფასათა	159
ფოფელი	160
ფაფაღიღა	162
ფიგაფატები	162
ქათაღაღევა	163
ქიფერევა	164
ხათენტევა	166
ქანახევა	167
ქასქამევა	168
საფიღევა (ხიფიღევა?)	170
თაფასავა	172
ეიმუმევა	173
გახანია	175
ქათხანია	176
შეხენია	177
მეხენია	179
ეიხანია	180
ეიხანებია	183
ეითახანია	184
კაშხანია	186
ფიხენია	188
თიმია	189
ფატიფი	190
ფიფიფი და იფიფი	192
ხიმევა	193
ხიმეიღი	196
კაშხანია	197
გათიღი	199
თათაშთურია	200
ქათხაიღევა	200
ხიმეთიღი (ეიმეთიღი)	202

სუნაიდი	203
საუსილი (შაუშილი)	203
თიმითი	204
ფაღვე	205
ქანე	205
ქახე	206
ფიფურუვა	206
ჭერიალი	207
ჭენალი	208
ხათიფთა	208
ქსექილი	209
თათილი	209
ციფილი	210
თაფაფახხევა	211
თაფაფანუვა	212
ქათითიმუვა	212
ასღებერა (აშღებერა)	214
ანქერუვა	215
ერხითა	215
კასულა (კაშულა)	217
იხვაღუვა (იმთაღუვა)	218
გაპუპუვა	219
ცაკვახინა	220
ცასანცაპინა	220
კუმებმახა	221
ისხეფითა (იშხეპითა)	222
ხუცუპა	223
კასიპა (ქაშიპა)	224
ცაგაპურა	225
თაღმაღია	225
თაფაღუვა	227
თახანა	228
თახფასანა	229
თემია	230
თაფურანიფი	231
იახნება	232
იხქმახას	232
მახაჯა	233

զօտա	234
մշտեալօ	234
ևազյացա	235
ևալս	236
ևյնյացածո	237
շյածեօցա	237
տյմշտ	238
նյօնյօ	240
եյնեամա (եանմամա)	240
եսօնյելօս (ձաօնյելօս)	241
յաեցոս	242
եանյացոյենօ, բաթօմ[...]օ, վյատյանյաթօ	243
եյրօւս (եանօմա, Շառօմա)	244
տագաետա (տագամթա)	245
Յալբյացա	246
յացօնյեծա	246
եյրնա	248
յուեանա	249
տարյածա	249
օդալբյեծա	250
տաետարյմա (բամթարյմա)	251
տայլյացսա	252
եայմօւս	253
եյթ[...]	254
տյեաեյնա	254
ջուենյացածո	256
յանյնյ	256
ջորյմյացա	258
ջոյյաելյուօրօ	259
եօնեօնօւս	259
ջուետածո	260
ջուետաենօցա	261
ջուելյմյացա	262
ջուգանյես (ջուգանյմա)	263
յաստամա	264
շյեցա[...]	265
եալմատօ	265
ջովանա	268

იშთუმისთა	269
დანქუშნა (დანქუსნა)	271
ისქერეს	273
ფითაურია	275
ფია	277
ხანაი	279
ფიშხურე	280
ხაღიძა	281
იშვახანა და დაიშვივა	283
ცანიკანიბა (ცანკუმა, თანკუმა)	284
ქანთიშიშა (კანფიშიშა)	289
ცაპინა	290
თეფიხინა	291
ციბია	293
ფიკერბი	294
ცუნხუმიცა (თურმითა)	295
ქამაბა (კამაბა)	296
ფითაღახები	298
თასთანი (თაშთანი)	299
შეიშმელი (სუისმელი)	301
ქაქაღუ[...] კაკაღუ[...]	302
მუნისქა (მუნიშგა)	303
ფიაფიღი	304
თურუსქა (თურუშქა)	305
ფითუნთუშ	306
ფაცნა	307
გაცოურა	308
ფიაფიღი	309
 ნებიუმე ინგლისურ ენაბე	311
ნებიუმე რუსურ ენაბე	318

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.11.2010
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 20.2
ტირაჟი 100

ვასი სახელშეპრეზენტო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35